


ჯურხა ნადირაძე

**მვირილის ხეობის
არქეოლოგიური
ქვლეები**



საქართველოს არქეოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი 1922 წელი

902.6(C41)
902.6(47.922)
6162

ნაშრომში განხილულია ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. ეს ხეობა ადამიანთა უპირველესი საცხოვრისი ყოფილა, რასაც მოწმობს აქ მიკვლეული და შესწავლილი პალეოლითური სადგომები, ხოლო სამინათმოქმედო კულტურის ადრეულ საფეხურზე მეტალურგიის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო მთელ ამიერკავკასიაში. ყვირილის ხეობის ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის ძეგლები სადღეისოდ კარგადაა ცნობილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში, წინამდებარე შრომაში კი ძირითადად მომდევნო ეპოქების მატერიალური კულტურაა წარმოდგენილი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მდინარე ყვირილის ზემო წელი, რომელიც დღევანდელი ჭიათურა-საჩხერის რაიონებს მოიცავს, წარსულში წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეოდის — ისტორიული არგვეთის დიდ ნაწილს.

მდინარე ყვირილა, რომელმაც „მოიგო სახელი ესე თვისის ჩქარისა და კლდესა ზედა ღინებითა“¹, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ერწოს ტბიდან იღებს სათავეს. სოფ. ჭალიდან საჩხერემდე იგი მშვიდად მოედინება მთებს შორის ფართოდ გაშლილ ხოდაბუნებზე, ხოლო საჩხერიდან შორაპნამდე ისევ ვლდოვანსა და ღრმახრამიან ხეობაში მიიკვლევს გზას. მდინარის მარჯვენა სანაპირო მჭიდროდ ეკვრის რაჭა-იმერეთის მთებს. ტყეებით დაფარული ქედების ძირში, ფერდობებზე, გაშენებულია ბალ-ვენახებით დამშვენებული სოფლები. მარცხენა სანაპირო ძირითადად ძირულის ხეობას გასდევს და სამოცი კალომეტრის მანძილზე ამფითეატრით ეშვება აღმოსავლეთიდან დასავლეთით და კოლხეთის დაბლობს უერთდება.

აღნიშნულ ტერიტორიას ჩრდილოეთიდან რაჭა-იმერეთის მთები ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან რაჭა-იმერეთის მთების სამხრეთით განშტოებული ლიხის ქედი, რომელიც პირობითად დღევანდელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარს წარმოადგენს და ცენტრალური და მცირე კავკასიონის შემაერთებელ ხაზს ქმნის. ყვირილასა და ძირულას შორის მოქცეული ზემო იმერეთის პლატო, სადაც ცალკეული მწვერვალების სიმაღლე 1200—1500 მეტრს აღწევს, დასავლეთით ვრცელდება, თანდათანობით დაბლდება და ამ მდინარეების შესართავში ქმნის 150 მ სიმაღლის კონცხს. მასზე აღმართული შორაპნის ციხე აღნიშნული მხარის დასავლეთის კარი იყო და საუკუნეების განმავლობაში თავისებურ დარაჯს წარმოადგენდა უძველესი სანაოსნო და სახმელეთო გზების გა-

—

საყარზე და თავშესაყარზე, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა.

სავარაუდებელია, რომ ძველი სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი ყვირილის ხეობითა და ჭერათხევის გადასასვლელით მიემართებოდა მტკვრის სანაპიროსაკენ. ერთი შეხედვით ეს მიჩინული მხარე ფეოდალურ ხანაშიც და მის წინა ეპოქაშიც გზათა თავშესაყარს წარმოადგენდა. გზების საკითხს ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით, აქ კი დავძენთ, რომ მათი არსებობა გარკვეულ როლს ასრულებდა ამ მხარის დაწინაურების საქმეში. ყვირილის ზემოწელი ძირითადად მოქცეულია მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში. ზომიერმა ჰავამ, ნაყოფიერმა სახნავსათესმა მიწებმა, ალპურმა საძოვრებმა და წიაღისეულით მდიდარმა მიდამომ შორეულ წარსულშივე განაპირობა ისტორიული არგვეთის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება, რაზედაც ნათლად მეტყველებს ყვირილის ზემოწელზე გამოვლინებული არქეოლოგიური ძეგლები და ფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობანი.

მეთვრამეტე საუკუნეში პირველად ეახუშტი ბავრათიონმა მოგვცა ყვირილის ზემოწელის გეოგრაფიული დახასიათება და ზოგიერთი ისტორიული ძეგლის აღწერა. ბატონიშვილს მითითებული აქვს ამ ძეგლების ადგილსამყოფელი. ეს ცნობა მით უფრო საინტერესოა, რომ ძეგლების ნაწილი დანგრეულია¹.

მეცხრამეტე საუკუნეში ყვირილის ხეობაში მრავალმა მეცნიერმა იმოგზაურა და ზოგიერთმა მათგანმა საყურადღებო ნაშრომებიც მიუძღვნა ამ მხარეში არსებულ კულტურის ძეგლებს. მათ ნაშრომებში ძირითადად განხილულია არქიტექტურულად საინტერესო ფეოდალური ხანის ტაძრები. ცალკე უნდა აღინიშნოს გამოჩენილი მეცნიერის ვიორჯი წერეთლის მცირე გამოკვლევა, რომელიც მან ყვირილის ხეობაში მოგზაურობის შედეგად დაწერა და ყურადღება გაამახვილა წინაქრისტიანული ხანის ძეგლებზე. გ. წერეთელს სწორედ ყვირილის ხეობაში ეგულებოდა ის დიდი საქარავნო გზა, რომელიც უძველეს ხანაში პონტოდან ბაქტრიაში მიემართებოდა².

საჩხერის წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს პირველად ყურადღება აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია. 1910 წელს მან დაბა საჩხერეში მიაკვლია ყორღანული ტიპის სამარხს, მცირე გათხრები აწარმოა და იქ გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალებს გამოკვლევა მიუძღვნა³. საჩხერეში აღ-

¹ ეახუშტი ბავრათიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 154

² Г. Церетели, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью, МАК т. VII.

³ Е. С. Такашвили, О Сачхерском кургане Шоропанского уезда. Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. III, Тбилиси, 1913 г.

მოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი განსვენებულმა მეცნიერმა სპილენძის ხანას მიაკუთვნა და ვარაუდობდა, რომ საჩხერული კულტურა ყოზანში აღმოჩენილი კულტურის წინა საფეხურს წარმოადგენდა¹. თაყაიშვილის შემდეგ ყვირილის ზემოწელი დიდხანს არავის გაუხდია არქეოლოგიური კვლევის ობიექტად, რის გამოც თაყაიშვილის მიერ გამოთქმული მეტად გაბედული და საინტერესო მოსაზრება ღავიწყებას მიეცა.

1929 წელს ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს ყურადღება მიაქცია აკად. ბ. კუფტინმა და მათი შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ საჩხერული კულტურა განვითარების ადრეულ საფეხურს მიეკუთვნებოდა. ამ მეტად რთული და სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იყო მეცნიერულ გათხრებზე დამყარებული ახალი არქეოლოგიური მასალების გამოძიება. ამ მიზნით 1936 და 1939 წლებში პროფ. ბ. კუფტინი გულმოდგინედ სწავლობდა ყვირილის ზემოწელზე არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებს, სადაც მან მრავალსამეტყველო მატერიალური კულტურის ნაშთები მოიპოვა. საჩხერეში და ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილი ადრეული ხანის მასალების შესწავლამ აკად. ბ. კუფტინს საშუალება მისცა დამაჯერებლად უარეყო მანამდე არქეოლოგიაში გაბატონებული შანტრისა და ვირზოვის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ მეტალურგიის აყვავება საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში იწყება მხოლოდ ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე, რკინის მეტალურგიის განვითარებასთან ერთად, რომ აქ არ არსებობდა ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების წინა ეტაპები².

პროფ. ბ. კუფტინმა რამდენადმე დააზუსტა და ზოგ შემთხვევაში მთლიანად შეცვალა ჟაკ დე მორგანისა და სხვა ავტორიტეტულ მეცნიერთა მიერ ამიერკავკასიის არქეოლოგიისათვის მანამდე მიღებული ქრონოლოგიური ჩარჩოები. ამიერკავკასიაში მეტალურგიის განვითარების ადრეული საფეხურის დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ საჩხერის გორასამარხებში აღმოჩენილ ლითონის ნაწარმს, რომელსაც იგი თავდაპირველად ძვ. წ. III—II ათასწლეულის მიჯნას აკუთვნებდა³.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბ. კუფტინმა მუშაობა განაახლა ყვირილის ხეობაში. საჩხერეში ნაჩერქეზებზე და ცარცის გორის სამაროვნებზე, აგრეთვე სოფელ ქორეთში აღმოჩენილ მატერიალური კულტურის ძეგლებს მან საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა⁴, რომელშიც გამოთქვა მოსაზრება,

¹ Е. С. Такашвили. დასახლებული ნაშრომი, გვ. 167.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трипалети, Тб., 1941 г., стр. 3.

³ Б. А. Куфтин, დასახლებული ნაშრომი, გვ. 16.

⁴ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию.

რომ საჩხერული კულტურა შეიცავდა არქაულ ელემენტებს და დაკავშირებული იყო ადგილობრივი მეტალურგიის საწყისებთან. პროფესორი ბ. კუფტინი, სრულიად მართებულად, ამ კულტურის ფესვებს III ათასწლეულის სიღრმეში ეძებდა. საჩხერულ მასალებს იგი განიხილავს უძველესი კულტურების ფონზე და შედარებითი ანალიზის საფუძველზე მიუთითებს ამიერკავკასიისა და წინა აზიის უძველესი ცივილიზაციების კულტურულ კავშირზე. საჩხერეში და თრიალეთის ადრეული ხანის გორა-სამარხებში მოპოვებული კერამიკისა და სხვა მასალების შესწავლის შედეგად კი პროფ. კუფტინი შესაძლებლად მიიჩნევდა ელაპარაკა იმ ხალხების ეთნიკურ ერთიანობაზე, რომლებიც მეტალურგიის განვითარების ვარიეტაჟზე ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და მცირე კავკასიონზე მოსახლეობდნენ.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ყვირილის ზემოწელზე გამოვლენილი ადრეული ხანის კულტურა იმთავითვე დაუკავშირდა ამიერკავკასიის არქეოლოგიის მეტად რთულ პრობლემებს და სწორედ ამის გამო სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საჩხერეში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს ყურადღება მიაქცევს როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა.

პროფ. კუფტინის გარდაცვალების შემდეგ ყვირილის ზემოწელის ადრე-ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლა გააგრძელა და გააღრმავა პროფ. ოთარ ჯაფარიძემ. მისი ხელმძღვანელობით 1955 წელს ყვირილის ხეობაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიცია. ექსპედიციამ საჩხერეში ადგილ ნაჩერქეზე და სოფ. ქორეთში ადგილ პასიეთში გათხარა გორა-სამარხები. მეცნიერული მეთოდით გამოვლენილი მასალების მოპოვებამ პროფ. ოთ. ჯაფარიძეს საშუალება მისცა გაერკვია ყვირილის ზემოწელის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების ხასიათი და მათი რაობა. მოგვიანებით მან თავის სადოქტორო ნაშრომში დიდი ადგილი დაუთმო აღნიშნულ მასალებს და მოგვცა ქორეთისა და საჩხერეში გათხრილი სამაროვნების პერიოდიზაცია¹. პროფ. კუფტინისაგან განსხვავებით, რომელიც ძეგლების ზოგადი დახასიათებითა და ცალკეული წამყვანი ტიპების განხილვით დაკმაყოფილდა, პროფ. ოთ. ჯაფარიძე იძლევა მასალების სრულ აღწერილობას, განიხილავს მათ საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე მის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი ადრეული ხანის მასალებთან ურთიერთკავშირში და ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად იძლევა შედარებით სრულ სოციალურ და სამეურნეო სურათს იმ ტომე-

¹ ოთ. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1964 წ., გვ. 122 — 189.

ღის შესახებ, რომლებიც ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე ყვირილის ზემოწელზე მოსახლეობდნენ.

აღნიშნულ მეცნიერთა ნაშრომებში ძირითადად განხილულია ყვირილის ხე-ობაში არსებული ადრეული ხანის არქეოლოგიური ძეგლები. გვიანდელი ხანის არქეოლოგიური მასალებას კვლევა-ძიება უკანასკნელ დრომდე არავის უწარმოებია და სწორედ ამის გამო ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება არქეოლოგიურ გათხრებზე დამყარებული ნაშრომი, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენილი იქნებოდა აღნიშნული კუთხის მომდევნო ეპოქების ისტორიული სურათი.

პროფ. ბ. კუფტინი საჩხერის რაიონში გამოვლენილი ცხრა არქეოლოგიური პუნქტიდან ოთხს მიაკუთვნებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ლითონის განვითარების ადრეულ საფეხურს, ხოლო დანარჩენ ხუთს — გვიანი ხანის სხვადასხვა ეპოქებს¹.

გვიანი ხანის საჩხერული მასალები კუფტინს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია. თავის ნაშრომში მხოლოდ აღმოჩენის ადგილს მიუთითებს. ზოგადად ეხება მათ თარიღს და მიანიშნებს, რომ ყვირილის ზემოწელი მომდევნო ეპოქებშიც მეტად საინტერესო „ქვეყანას“ წარმოადგენდა არქეოლოგიური თვალსაზრისით².

ორმოცდაათიან წლებში საჩხერის რაიონში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების შეგროვებას ხელი მოჰკიდა სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მ. გოგატიშვილმა. რამდენიმე წლის შემდეგ მის მიერ შექმნილ სასკოლო მუზეუმში თავი მოიყარა საკმაოდ მრავლისმეტყველმა და არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ასეულობით ნივთმა.

აღნიშნული მასალები მ. გოგატიშვილმა ზოგადად მიმოიხილა გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებში. 1957 წელს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენს მიერ წაითხული იქნა მოხსენება, რომელიც სოფელ ქორეთის სასკოლო მუზეუმში დატული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ცდას წარმოადგენდა³.

1961 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ქორიძემ გამოაქვეყნა

1 Б. А. Куфтин, маршрутная арх. экспедиция, გვ. 66.

2 Б. А. Куфтин, დასახლებული ნაშრომი, გვ. 67.

3 გ. ნაღრაძე, სოფ. ქორეთის სასკოლო მუზეუმში დატული არქ. ძეგლები, თბ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო სესიის თეზისები, 1957 წ., აღნიშნული მოხსენების მოკლე შინაარსი დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ (1958 წ. № 2).

მონოგრაფია¹, რომელშიც განხილულია ყვირილის ზემოწელზე შემთხვევით ჰოპოვებული და აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სხვადასხვა დროს შემოსული მასალები. მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ქორეთის სასკოლო მუზეუმში დაცულ მატერიალური კულტურის ნაშთებს. როგორც ავტორი წიგნის შესავალში აღნიშნავს, შემთხვევით მოპოვებული მასალების დამუშავების დროს ძალზე ძნელია სტრატოგრაფიაზე და ზუსტ თარიღზე ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, მკვლევარი მანც ცდილობს ძეგლები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განიხილოს. უპირველეს ყოვლისა დ. ქორიძე განიხილავს განიერქედთან ტარშურჩენელ სატევრებს, სპირალისებური ორნამენტით შემკულ ბრინჯაოს სამაჯურებს და მათ ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებით ათარილებს. ეს მომენტი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საჩხერის მიდამოები, კერძოდ, მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირი, მდიდარია სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ნაშთებით და აქ ხშირად ერთსა და იმავე ადგილზე შეინიშნება ინტენსიური ცხოვრების კვალი ადრებრინჯაოს ბანიდან მოყოლებული ფეოდალურ ხანამდე. ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე სოფელ საირხეში შემთხვევით აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთები, რომელთა უმრავლესობას დ. ქორიძე სრულიად მართებულად ადრეანტიკური და ელინისტური ხანით ათარილებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ახლა საირხეში მოპოვებულია აღნიშნული ხანის მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ეს სოფელი წარსული ცხოვრების დიდ ნაკვალევზე დგას და რომ იგი ანტიკური ხანის პირველხარისხოვან არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს.

ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყვირილის ზემოწელზე აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს. აღნიშნული ორგანიზაციის არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით 1962—63 წწ. გათხრებს აწარმოებდა სოფ. ითხვისში. ექსპედიციამ აქ შეისწავლა „ბრინჯაო-ანტიკური ხანის ნაშთსახლარი გორა და ანტიკური ხანის სამაროვანი“². მიუხედავად იმისა, რომ ითხვისის არქეოლოგიური ძეგლების დიდი ნაწილი დანგრეული იყო მარგანეცის ღია კარიერების გადახსნის დროს, ექსპედიციამ ორი სეზონის განმავლობაში გამოავლინა წინა ანტიკური და ანტიკური ხანის პირველხარისხოვანი ძე-

¹ დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბილისი, 1961 წ., გვ. 9—10.

² რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური მუშაობის ანგარიში, 1962 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მოხსენებათა ანოტაციები, გვ. 5.

კლები. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების ნივთებს, რომლებიც, ერთი მხრივ, მიუთითებენ ანტიკურ ხანაში ამ მხარის კულტურულ-ეკონომიურ დაწინაურებაზე, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის დაზუსტდეს და შემოწმდეს ადრეანტიკური ხანის ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლების თარიღები, რომლებიც საქართველოს ისტორიის რთული პრობლემების ახსნას უკავშირდება. საქმე იმაშია, რომ ითხვისში, როგორც შემთხვევით*, ასევე არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული კომპლექსები შეიცავენ ვანის 1961 წელს გათხრილი მდიდრული სამარხისა და ასაღვორის განძის ზოგიერთი ნივთების ზუსტ ანალოგებს. ითხვისში შემთხვევით აღმოჩენილ სამარხულ კომპლექსს თავის საღისერტაციო ნაშრომში ი. გაგოშიძემ საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო¹, ხოლო ცოტა მოგვიანებით ითხვისურ მასალებს მან საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა² და შედარებით ზუსტად განსაზღვრა მათი თარიღი.

სამარხის თარიღის დადგენა ძირითადად მან ითხვისის სამაროვანზე აღმოჩენილი ბერძნული შევლაკიანი ჯამისა და კილიკის მეშვეობით მოახერხა. ითხვისში აღმოჩენილი მოხატული კილიკი მიეკუთვნება შეფიფურიანი კილიკების უვეიანეს ჯგუფს, ე. წ. ჰაიმონის ჯგუფს, რომელიც ძირითადად ატიკური სახელოსნოების ნაწარმს წარმოადგენს. გაგოშიძე აღნიშნულ ჭურჭელს შედარებითი ანალიზის საფუძველზე V საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისით ათარიღებს³. ითხვისურ ჭურჭელს თითქმის ამავე ხანისად მიიჩნევს ით. ლორთქიფანიძე. არანაკლებ საინტერესოა ითხვისის სამარხში აღმოჩენილი შევლაკიანი ჯამი, რომელზედაც ბერძნული ასოებით მფლობელის სახელია ამოკვეთილი. აქვეა აღმოჩენილი ასოებისაგან შემდგარი მონოგრამა. ეს შემთხვევა ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ჯამზე ამოკაწრული წარწერა საქართველოში აღმოჩე-

* 1962 წლის 17 ივნისს სოფელ ითხვისში ადგილ ჩელითზე კოათურის მარჯანეთის ტრესტის ახალი ითხვისის მდაროთა სამმართველოს № 3 კარიერზე ვადახსნითი სამუშაოების წარმოებას დროს შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხი ბერძნული კერამიკის ნაპეშებით დასაჯა ნივთებით. რომლებიც შეაგროვა და აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმს გადასცა მდაროთა მუშა მ. ხითარცივილი. გაგოშიძეს თავის შრომაში სწორედ მისი მასალება აქვს განხილული.

¹ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის საქართველოს ნივთიერი ძეგლები, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, საღისერტაციო შრომა, ხელნაწერი, თბილისი, 1965 წ., გვ. 116—141.

² ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის შრომა, ტ. XXIIV, 1968, გვ. 31.

³ ი. გაგოშიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 39.

ნილი ბერძნული წარწერებიდან ჯერჯერობით ერთი უძველესთაგანია ¹. ეს ფაქტი კი ადრეანტიკურ ხანაში ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობაზე მიუთითებს, რაც თავისთავად გულისხმობს ყვირილის ზემოწელის მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ დაწინაურებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყვირილის ზემოწელის ადრეული ხანის ძეგლები გაცილებით კარგად იყო შესწავლილი, ვიდრე გვიანი ხანისა. უკანასკნელ დრომდე აქ გამოვლენილი არ ყოფილა შუა და გვიანბრინჯაოს, აგრეთვე ადრეული რკინის ხანის მატერიალური კულტურა. ცოტა რამ იყო ცნობილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ² შესახებ. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შესაესებად საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა აკად. შ. ამირანაშვილის თაოსნობით მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც 1966—70 წლებში ყვირილის ზემოწელზე — საირხეში და მოდინახეზე აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს. გათხრების შედეგად აქ გამოვლენილ იქნა როგორც ანტიკური, ასევე წინა ანტიკური ხანის მეტად ღირსშესანიშნავი ძეგლები. წინამდებარე ნაშრომი ამ ძეგლების რეცანიერულად დამუშავების ცდას წარმოადგენს.

¹ ი. გაგოშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 40.

² კიათურა-საჩხერის რაიონი მდიდარია ქვის ხანის ძეგლებით. უკანასკნელ წლებში ამ ძეგლების ინტენსიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს აკად. ს. ჭანაშვიას სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია დ. თუშაბრაშიშვილის ხელმძღვანელობით.

მოდინახეს არქეოლოგიური კვლევები

1967 წელს საჩხერის ჩრდილოეთით, მოდინახეს ციხის სამხრეთ ფერდობზე, ექსპედიციის მიერ მიკვლეულ იქნა არქეოლოგიური ძეგლი.

ციხე მოდინახე რაჭა-იმერეთის მთების სამხრეთის ყველაზე დაბალ განშტოებაზეა აგებული.

ქელის იმ ნაწილს, რომელზედაც ფეოდალური ხანის ციხე და არქეოლოგიური ძეგლი ჩუქურბუღის, დასავლეთიდან მდინარე ჯრუჭუჭის ხეობა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან მდ. ჩიხურის ხეობა. ჩრდილოეთიდან ღრმა შეეული კლდით განიყოფილია სოფელ დუნთისაგან. სამხრეთი ნაწილი, რომელზედაც გაშენებულია ქ. საჩხერე, ამფითეატრივით ეშვება მდინარე ყვირილის რიყოვან ნაპირამდე. აღნიშნული ტერიტორიის უმაღლეს წერტილზე, რომელიც ქედზე ამოზიდული კირკვის დიდ მასივს წარმოადგენს, დაფუძნებულია გვიანფეოდალური ხანის ციხესიმაგრე, მისი კოშკებიდან მოჩანს ისტორიული არგვეთის თითქმის მთელი მიდამო (ტაბ. 1₁).

მოდინახე სათავადო ციხეს წარმოადგენდა. მეცნიერთაგან მას პირველად ვახუშტი ბაგრატიონი იხსენებს: „ყვირილის ჩრდილო არს მალას კლდესა ზედა ციხე მოდინახე, მოზღუდვილი კლდითა მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან“¹. გულდენშტედტი მას მოიხსენიებს როგორც წერეთლის კუთვნილ ციხესიმაგრეს².

XIX საუკუნეში, გიორგი წერეთელმა მოდინახეს წარსულს მცირე გამოკვლევა მიუძღვნა ჟურნალ „კვალში“. აღნიშნული ძეგლი მან პროკოფი კეისარიელის თხზულებაში მოხსენებულ მოხირისის ციხედ მიიჩნია³. იგივე აზრი გაიმეორა ისტორიის მასწავლებელმა მ. გოგატიშვილმა საჩხერის ადგილობრივ გაზეთში გა-

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 152.

² გ. გელაშვილი, გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1967 წ., გვ. 103.

³ გ. წერეთელი, ჟურნალი „კვალში“, № 3, 1893 წ., გვ. 24.

მოქვეყნებულ ვრცელ წერილში, სადაც ციხესთან დაკავშირებული ისტორიული ამბებია მოთხრობილი¹.

სრულიად მოსალოდნელია, რომ გვიანფეოდალური ხანის ციხე მოდინახე აშენებული იყოს აქ ადრეულ ხანაში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობის ადგილზე, მაგრამ ჩვენი აზრით, პროკოფის თხზულებაში მოხსენებულ გეოგრაფიულ სახელ მუხურისთან თუ მოხირისთან მას საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს. ბიზანტიელი მწერალი, როდესაც სპარსელების მიერ VI საუკუნის კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოებულ საომარ ოპერაციებზე მოგვითხრობს, მოხირის² ასახელებს. როგორც ჩანს, გ. წერეთელმა ეს სახელი მოდინახეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სოფელ მოხვის სახელწოდებასთან გააიგივა და ამ ციხის უძველეს სახელად მიიჩნია. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, პროკოფისთან მოხსენებული მოხირისი არის ქვეყანა, რომელიც გადაჭიმულია ცხენისწყლიდან რიონამდე და არა ერთი რომელიმე პუნქტი. მოხირისის ქვეყანაში იყო ამავე სახელწოდების ციხე. იგი სამტრედიის რაიონში, დღევანდელ სოფელ დაბალგომის ტერიტორიაზე მდებარეობდა³.

ხალხში შემონახული ლეგენდა ციხის მშენებლობის ამბავს ასე გადმოგვცემს: პაპუნა წერეთელს თავად დავით აბაშიძის ასული მოსწონებია და მისთვის დამოყვრების სურვილი განუცხადებია. აბაშიძეს სასიძო გაუკილავეს: ციხის არმქონე წიგნაძემქვს ქალს არ მივცემო და შუამავლები უარით გაუსტუმრებია. საწერეთლოს შეურაცხყოფილ თავადაზნაურებს აბაშიძეზე გალაშქრება მოუნდომებიათ, მაგრამ ისინი პაპუნა წერეთელს დაუმშვიდებია: „მმათა სისხლის ღვრას ოფლის ღვრა სჯობიაო“ უთქვამს და ციხის მშენებლობა დაუწყია. მშენებლობა რომ დაუსრულებია, აბაშიძისათვის კაცი გაუგზავნია: მოდი, ნახეო. ამის შემდეგ დარქმევია ციხეს „მოდინახე“. დავითი მოუხიბლავს მკვიდრად ნაშენ უზარმაზარ კოშკებთან ციხეს და წერეთელი დაუმოყვრებია“. ამ გადმოცემაში სიმართლის ანარეკლი შეინიშნება. პაპუნა წერეთელი და დავით აბაშიძე იმერეთის მეფის ალექსანდრე V დროინდელი ისტორიული პირები არიან. XVIII საუკუნის შუა ხანებში საჩხერელი წერეთლების შტო მეფის კარზე საკმაოდ დაწინაურდა. ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი სათავადოს მესვეურს თავისი სამფლობელო ციხე-კოშკებით უნდა გაემაგრებინა, რაც გარეშე მტერთან სამეფოს თავდაცვითს უნარს ამ-

¹ გ. გოგატიშვილი, „მოდინახე“, გაზეთი „ახალი ცხოვრება“, № 31, 35.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, ტ. II, გვ. 208, თბილისი, 1965 წ.

³ ს. ყაუხჩიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 209—210.

• გადმოცემა ჩავაწერინეს თბილისში მცხოვრებმა პაპუნა წერეთელმა და საჩხერეში მცხოვრებმა ექვთიმე ვაბიძემ. იგი გამოქვეყნებულია მ. გოგატიშვილის მიერ საჩხერის რაიონულ გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“, 1965 წ., № 31.

ლიერებდა, ხოლო შინაური აშლილობის დროს სათავადოსა და თავადის ძალაუფლების შენარჩუნების საფუძველს წარმოადგენდა¹. სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობა. მოდინახეს ციხე, რა სახითაც იგი დღემდეა მოღწეული, განახლებული უნდა იყოს XVIII საუკუნის ორმოციან წლებში. მისი დასავლეთის კოშკის კედლის წყობაში შეინიშნება კარგად გათლილი ქვის კვადრები, რაც დამახასიათებელია ადრეული ხანის კედლის წყობისათვის. ციხის აღმოსავლეთით, მთის თხემზე, შეინიშნება დულაბით ნაშენი ნაგებობის კვალი, რომლის გარშემო მრავლად ყრია ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი სამეთუნეო ნაწარმის ნაშთები. ციხის წყობაში გამოყენებული გათლილი კვადრები და თხემზე ანაკრეფი მასალები იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მოდინახე აშენებულია ძველი საფორტიფიკაციო ნაგებობის ადგილზე.

1961 წელს მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე გზის გაყვანის დროს ბულდოზერისაგან ჩამონგრეულ მიწაში გამოჩნდა სხვადასხვა დროის სამარხები და მძლავრი კულტურული ფენა. აქ ბრინჯაოს, რკინისა და ოქროს იარაღ-სამკაულებთან ერთად ნაპოვნი იყო კერამიკის ადგილობრივი და იმპორტული ნაწარმი². აღნიშნული მასალების უმრავლესობა დაკარგული ჩანს, ნაწილი კი საჩხერისა და ქორეთის სასკოლო მუზეუმებშია დაცული.

მოდინახეზე შემთხვევით მოპოვებული მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვქონდა მეტად საინტერესო არქეოლოგიურ ძეგლთან. ვინაიდან გზის გაფართოების შემთხვევაში ძეგლის დიდ ნაწილს განადგურება ელოდა, გადაწყდა მისი არქეოლოგიური შესწავლა.

ნაშრომის სტრუქტურა

მოდინახეს ციხის სამხრეთი ფერდობი, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს, ამჟამად დაფარულია მაღალი ბუჩქნარით. სამი ათეული წლის წინათ ეს ადგილები წარმოადგენდა საყანე მიწებს, რომლებიც სოფელ დუნთის მცხოვრებლებს ეკუთვნოდათ (ტაბ. 12). მიუხედავად იმისა, რომ ფერდობები ქვალორღიანია, მიწა აქ საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა და გლეხები ჭირნახულის კარგ მოსავალს იღებდნენ. დუნთელი კოლმეურნეების ა. შაბახიძის, გ. შაბახიძის და ე. გაბაძის გადმოცემით, მიწის დამუშავების დროს ისინი ხშირად პოულობდნენ ქოთნის ნატეხებს, ადამიანის ძვლებსა და ლითონის ნივთებს. ფერდობის მთელ ტერიტო-

¹ ი. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1966 წ., გვ. 50.

² მ. გოგატიშვილი. „მოდინახე“, გაზეთი „ახალი ცხოვრება“, № 34, 1965 წ.

რიაზე მრავლად არის ქვაყრილები, რომლებიც ყანების გაწმენდის შედეგად შეგროვილი ხურდუმები უნდა იყოს, ხოლო ყორეები, რომლებითაც დასერილია ფერდობის დიდი ნაწილი, შესაძლებელია ძველი ნაგებობების ან ზღუდეების ნაშთებს წარმოადგენდეს.

ამ რამდენიმე წლის წინათ მოდინახეზე გაუშენებიათ ნაძვის ტყე. საკმაოდ ღრმად გათხრილ სანერგე ორმოებს არქეოლოგიური ძეგლი ნაწილობრივ დაუზიანებიათ. ძეგლის დიდი ნაწილი დაზიანებულია აგრეთვე მოდინახეზე 1961 წელს სამანქანო გზის გაყვანის შედეგად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოდინახეს ფერდობები დამრეცია, მას განუწყვეტლად რეცხავს ნიაღვრები და ამის გამო კულტურული ფენები საკმაოდ არეულია, რაც ამწელებს ძეგლის სტრატოგრაფიის დადგენას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადგილზე მაინც ხერხდება ქრონოლოგიურად განსხვავებული ნამოსახლარი ფენების შემჩნევა, რომლებიც ჭრილში ზოგჯერ გამოიყოფა თიხატყეპნილებით. თიხატყეპნილებს შორის მოქცეული შრეები უმეტესწილად ერთი ეპოქისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ნაშთებს შეიცავს.

ექსპედიციის მიერ მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილია სამი კულტურული ფენა. წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს შეადგენს II და III ფენაში აღმოჩენილი მასალების დაწვრილებით განხილვა. მაგრამ რადგან I ფენა უშუალოდ უკავშირდება ნამოსახლარის შემდგომ ფენებს, საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით შევეხოთ იქ მოპოვებულ მასალებს და ზოგადად მივუთითოთ მათ თარიღზე.

პირველი ფენა აყალიბებს მიწის ფერისაა და კარგად გამოიყოფოდა მეორე ფენისაგან. მისი სისქე საშუალოდ 0,70 მ-ს უდრიდა. აქ უმთავრესად აღმოჩნდა ცხოველის ძვლები და კერამიკული ნაწარმის ნაშთები. ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი, ფრაგმენტები უმთავრესად სქელკედლიანი დიდი ზომის ჭურჭლების ნატყეხებს წარმოადგენს. კეცი ორი ან სამფენოვანია. ზოგ მათგანს მუქი ნაცრისფერი შიდა პირი აქვს, ზოგსაც ვარდისფერი. ზედაპირი ანგობირებულია და გაპრიალებული. გვხვდება შავზედაპირიანი და მოწითალო ნაცრისფერზედაპირიანი ჭურჭლები. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს დიდი ჭურჭლების მასიური ყურები. ფორმის მიხედვით ისინი წარმოადგენენ მოკლე ნახევარკალისებურ ყურებს, რომელთა ოვალური ნახვრეტი ჭურჭლის შეზნეპილ კედელში შედის. ჭურჭლის ზომაერთი ნატყხე შემკულია ტალღისებური და ჩაღრმავებული ხაზებისაგან შედგენილი სპირალური ორნამენტით (ტაბ. II 1,2,3).

პირველ ფენაში აღმოჩენილი ჭურჭელი სრულიად იდენტურია აკად. ბ. კუფტინისა და პროფ. ოთ. ჯაფარიძის მიერ საჩხერეში ცარცის გორაზე და ნაჩერქეზე უკვე აღმოჩენილი სამეთუნეო ნაწარმისა. ეს განსაკუთრებით ითქმის მოდინა-

ხეს დიდი ზომის ჭურჭლის ყურებზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში როგორც ფორმებით, ასევე ზომებით თითქმის ემთხვევიან ცარცის გორაზე მოპოვებულ ცალებს¹. აკად. ბ. კუფტინი საჩხერის რაიონის გორა-სამარხების სამეთუნეო ნაწარმს სამხრეთ კავკასიის კერამიკის იმ ჯგუფს აკუთვნებდა, რომელსაც ვარდისფერი სარჩული აქვს და ადრებრინჯაოს ხანისათვის არის დამახასიათებელი². ჩვენი კოლექციის რამდენიმე ფრაგმენტი შემკულობის მიხედვით ახლოს დგას საჩხერის სამარხებში მოპოვებულ სპირალური ორნამენტით შემკულ ბადისებურ ჭურჭლებთან³ (ტაბ. II). მოდინახეზე ახლად აღმოჩენილი მასალები ნამოსახლარი ფენიდან მომდინარეობს და ეკუთვნის იმ კულტურის მატარებელ ტომებს, რომლებიც ლითონის განვითარების ადრეულ საფეხურზე ყვირილის ზემოწელზე მოსახლეობდნენ. საჩხერული ჭურჭელი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს სამეთუნეო ხელოსნობის იმ ნაწარმებთან, რომლებიც სამხრეთ საქართველოს მთიანეთის გორასამარხებშია მოპოვებული და წინ უსწრებს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურას. ახლად აღმოჩენილი მასალების საფუძველზე ეს ფაქტი კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული.

ანტირანის გორის შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა ფორმებითა და შემკულობის ხასიათით ბევრ საერთოს პოულობს მოდინახეს პირველ ფენაში აღმოჩენილ კერამიკასთან⁴. მოდინახეზე მოპოვებული დიდი ზომის ერთი ჭურჭლის ყური თითქმის ემთხვევა სადახლოა გეო-თეფეზე 1965 წელს მოპოვებული ჭურჭლის ყურს. შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ხანის მასალები თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება სომხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ ამ ხანის ძეგლებს⁵. ეს კი საშუალებას იძლევა ყვირილის ხეობის ადრეული ხანის კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში მოვაქციოთ. საჩხერის ადრებრინჯაოს ხანის სამაროვნებში მოპოვებული კულტურის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ყველაზე მართებულად ჯერჯერობით ჩვენ აკად. კუფტინისა და პროფ. ოთ. ჯაფარიძის თარიღი მიგვაჩნია. ესენი აღნიშნულ ძეგლებს III ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებენ⁶. შედარებით ანალიზი საშუალებას გვაძლევს ძირითადად ამავე ხანას მივაკუთვნოთ მოდინახეს პირველ ფენაში აღმოჩენილი მასალები.

1 Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспед., таб. LXII.

2 Б. А. К у ф т и н, დასახლებული ნაშრომი, გვ. 74.

3 ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 187.

4 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ანტირანის გორა, ტაბ. VIII, თბილისი, 1963, საქ. სსრ ხელოვნების მუზეუმის არქ. ფონდი.

5 А. А. М а р т и р о с я н, Арм. эпоху бронзы... Ер., 1964, стр. 30.

6 Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрут. экспедиция, стр. 109.

მეორე ფენა მოშავო რუხი ფერისაა, კარგად გამოიყოფა პირველი ფენისაგან. შისი სისქე ზოგჯერ 2,40 მეტრამდე აღწევს. იგი შეიცავს ნახშირისა და ნაცრის შრეებს. ალაგ-ალაგ შეინიშნება თიხატექანილები. ფენაში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ცხოველის ძვლები. გვხვდება აგრეთვე ლითონის ნივთებიც. განსაკუთრებით მდიდარია სამეთუნეო ნაწარმის ნაშთებით, რომლის ძირითად მასას ე. წ. ზოომორფული კერამიკა შეადგენს. გვხვდება მცირე, საშუალო და დიდი ზომის ჭურჭლის ყურები. ჭურჭლები დამზადებულია ჩარხზე მსხვილი სტრუქტურის მქონე კარგად გარჩეული ქარსნარევი თიხისაგან. ზედაპირი ხაოიანია, ზოგ შემთხვევაში შეინიშნება გაპრიალების კვალი. გვხვდება ლეგა, შავი და მურა-მოწითალო ფერის ფრაგმენტები. ყურის ფორმების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი:

1) საშუალო ზომის ჭურჭლის ყურები ქედზე მიძერწილი წაკვეთილი რქის მსგავსი ორი შვერილით. ყური ცალკეა გაკეთებული და შემდეგ არის ჭურჭელზე მიძერწილი, რაზედაც მიუთითებს ნატეხზე შემორჩენილი ჩასამაგრებელი შვერილი. ჭურჭლების ზედაპირი გაპრიალებულია. (ტაბ. III, 2, 3).

2) ამ ჯგუფებში შეიძლება გავაერთიანოთ საშუალო ზომის მურა-მოწითალო ფერის ჭურჭლის ყურები, რომლებიც ხასიათდებიან ქედზე მიძერწილი სადა ან ტდეული ლილეებით. ლილეების ბოლოები ზოგ შემთხვევაში სცილდება ბრტყელ-ვანიკვეთიან სახელურს და ცხოველის წაკვეთილ რქებს მოგვაგონებს. (ტაბ. III, 6, 7, 8, 9, 10, 11).

3) მესამე ჯგუფს მივაკუთვნებთ მცირე ჭურჭლის ყურებს სადა ლილეებით, რომლებსაც აგრეთვე წაკვეთილი რქების ფორმა აქვთ. ერთ ნატეხზე ყურის ზედაპირზე მოთავსებულია ამოღარული ხაზები (ტაბ. IV, 2, 3, 4).

4) ცალკე უნდა გამოვყოთ ბრტყელვანიკვეთიანი საკმაოდ მოზრდილი ფართო ყური, რომელიც მიძერწილი ყოფილა მოწითალო ფერის ჭურჭელზე, კარგად გაპრიალებული ზედაპირით, ყური შემკულია წიწვოვანი ორნამენტით. თიხა ქარსნარევი და მსხვილმარცვლოვანი (ტაბ. IV, 6).

5) აღსანიშნავია აგრეთვე მურა ფერის დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ყური სადა მასიური ლილეით (ტაბ. IV, 5).

6) მეორე ფენისათვის დამახასიათებელია საშუალო და მცირე ზომის ქილის ფრაგმენტები, რომლებიც შედარებით კარგად არის მოღწეული. ფრაგმენტების შეკოწიწების შედეგად შესაძლებელი გახდა ჭურჭლების აღდგენა. ჭურჭლები დამზადებულია ჩარხზე, კარგად გარჩეული მსხვილი სტრუქტურის მქონე ქარსმინარევიანი თიხისაგან. ჭურჭლები წარმოადგენენ ბრტყელძირიან ცალყურა ქი-

ლებს ოდნავ გადმოწეული პირით, რომლებსაც მხარზე შემოსდევს ჭდეული ორნამენტი. ყური ზოომორფულია (ტაბ. IV₇).

მეორე ფენაში მოპოვებული ზოომორფული კერამიკა უპირველეს ყოვლისა უკავშირდება საჩხერის რაიონში ადრევე აღმოჩენილ ამგვარ ნიმუშებს. ჯერ კიდევ 1946 წელს პროფ. კუფტინმა სოფელ ბჟინევში დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვა ქოთნის ყური წაკვეთილი რქის მსგავსი შვერილებით, რომელსაც იგი გვიანბრინჯაოს ხანის პროდუქტად მიიჩნევდა¹. მსგავსი მასალები დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი ითხვისის არქეოლოგიურ ძეგლზე, ანტიკური და წინა ანტიკური ხანის ნამოსახლარ ფენებში². ამ ჭურჭლის ზოომორფული ყურები აღმოჩენილია აგრეთვე სოფ. ნაგარბეთში³. კალატსა⁴ და გორაპირზე⁵ დასახლებული პუნქტები, რომლებიც მდინარე ყვირილის ხეობაშია განლაგებული, წარმოადგენენ მეტად საინტერესო არქეოლოგიურ ძეგლებს. ისინი ჯერ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამდენად მოდინახზე ახლად გამოვლენილი მასალები შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზემო იმერეთის ანტიკური და წინა-ანტიკური ხანის მატერიალური კულტურის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. მდ. ყვირილის ზემოწელზე მოპოვებული ზოომორფული ჭურჭლები თავისი ფორმებითა და შემკულობის ხასიათით უკავშირდება როგორც კოლხეთის, ასევე შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილ სამეთუნეო ნაწარმს. დასავლეთის უკიდურეს პუნქტს, სადაც მოდინახეს შესატყვისის მასალაა მოპოვებული, წარმოადგენს ემერისა და სოხუმის მთის ნამოსახლარი. სოხუმის მთის ნამოსახლარ ფენებში მოპოვებული ზოომორფული ყურები, რომლებიც სქემატურად გამოხატავენ ცხოველის თავებს⁶, კეციტა და თავის ფორმით სრულიად შეესატყვისება ჩვენს მიერ მესამე ჯგუფში გაერთიანებულ ჭურჭლის ყურებს. სოხუმის მთაზე მოპოვებული ადგილობრივი ჭურჭლის შესწავლის შედეგად ალ. კალანდაძე დაასკვნის, რომ იგი წინაანტიკური ხანის კოლხური მეთუნეობის ნაწარმს წარმოადგენს, რომელიც ანტიკურ ხანაშიც იმარებოდა და იმპორტულ კერამიკას ღირსეულ კონკურენციას უწევდა⁷. მოდინახეს მეორე ფენაში მოპოვებული ჭურჭლის ზოგიერთი

¹ საქ. მუზეუმის არქ. ფონდი, № 11—51—29.

² რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქ. ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, 1962 წ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 6. აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქ. მუზეუმის არქ. ფონდი, № 26—65—61, 26—65—62.

³ დაუთვლია ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

⁴ დაუთვლია საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის სასკოლო მუზეუმში.

⁵ საქ. ხელოვნების მუზეუმის არქ. ფონდი, გ—64—1.

⁶ ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, ტაბ. XVII.

⁷ იქვე, გვ. 48.

ყური სრულ ანალოგიას პოულობს დაბლაგომის შუა ფენაში აღმოჩენილ ზოომორ-ფულ ყურებთან¹. მსგავსი ყურები დამოწმებულია აგრეთვე ნოსირის არქეოლო-გიური ძეგლის წინაანტიკური ხანის მასალებშიც*. ნაოხვამოს ფენისათვის დამა-ხასიათებელია უხეშად ნაძერწი ჭურჭლის ზოომორფული ყურები, რომლებიც გვხვდება აღნიშნული ძეგლის ზედა ფენაში, ნაოხვამისა და დიხა გუძუბას ნამო-სახლარ ფენებში აღმოჩენილი მასალები, რომლებიც დაცულია ფოთისა და ზუგ-დიდის მუზეუმებში, შემკულობის ხასიათით ახლოს დგას მოდინახეს მეორე ფე-ნაში მოპოვებულ თიხის ჭურჭლებთან.

ძვ. წ. პირველი ათასწლეულის კოლხური მატერიალური კულტურის განხილ-ვისას მკვლევართა უმრავლესობა მიუთითებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქარ-თველოს სამეთუნეო ნაწარმის მსგავსებაზე, რაც ხშირად ფორმების ერთიანობაში ვლინდება. ამ მოსაზრებამ მკვეთრი დადასტურება პოვა მოდინახეზე ახლად მოპო-ვებული მასალების ფონზე. აქ გამოვლენილი სამეთუნეო ნაწარმი უკავშირდება როგორც ქვემო და შიდა ქართლის, ასევე თრიალეთის ზეგანზე მოპოვებულ კერა-მიკულ ნაწარმს. განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებს სტალინირის, ნაცარგო-რისა და მოდინახეს მეორე ფენის ის ზოომორფული ყურები, რომლებიც ჩვენს მიერ III ჯგუფშია გაერთიანებული. მეორე ფენის თარიღის დადგენისათვის განსაკუთ-რებული მნიშვნელობა ენიჭება მეექვსე ჯგუფში გაერთიანებულ მცირე ზომის ეი-ლებს, რომლებსაც დაკეჭნილი ძირი და ზოომორფული ყურები აქვთ. მსგავსი ჭუ-რჭლები აღმოჩენილია უფლისციხის II ფენაში. ისინი აქ გვხვდება სოლისებური ნიშნებით შემკულ ფრაგმენტებთან. ჭურჭლების ამგვარი ნიშნებით შემკობა და-დასტურებულია როგორც გვიანბრინჯაოს, ასევე ადრერკინის ხანის კომპლექსებ-შიც², ხოლო უფლისციხის მეორე ფენაში ისინი ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯ-ნით თარიღდება³. ძირდაკეჭნილი ჭურჭლები დამახასიათებელია აგრეთვე ნაცარ-გორის მესამე ფენისათვის. გ. გობეჯიშვილს აღნიშნული ფენის თარიღი ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნით აქვს განსაზღვრული⁴. მსგავსი ჭურჭლები რომ შედა-რებით ადრეული ხანისთვისაა დამახასიათებელი, ამის დამტკიცებას ქვემოთ შევეც-დებით მოდინახეზე აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსების განხილვის დროს. ამჯერად ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია შორეული პარალელები მოვიტანოთ. ზო-ომორფულ კერამიკას პარალელები საკმაოდ ადრეული ხანიდან ეძებნება და იგი

¹ Б. А. К у ф т и и, Материалы к археологии Колхиды, т. II, таб. 36.

* ცნობა მოგვაწოდა არქეოლოგმა ქორიძემ.

² დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე, თბილისი, 1964 წ., გვ. 45.

³ იქვე, გვ. 47.

⁴ გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, მიმოხილველი ტ. II, თბ., 1951, გვ. 252.

დიდი ხნის მანძილზე იყო დამახასიათებელი ძველ სამყაროში არსებულ სამეთუნეო ხელოსნობის ნაწარმისათვის. კოლხეთისა და ქართლის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებში შესაძლოა მართლაც შეინიშნებოდეს ერთგვარი მსგავსება და შორეული კავშირი იტალიის ტერამირების და სხვა ქვეყნების სამეთუნეო ნაწარმთან¹, მაგრამ ჩვენში მოპოვებული კერამიკა მაინც განსხვავებული ჩანს. ის ბირითადად ადგილობრივ ტრადიციებზეა აღმოცენებული და საკუთარ ელფერს ატარებს. მისმა შემდგომმა შესწავლამ შესაძლებელია საშუალება მოგვცეს ვილპარაკოთ ამ კულტურის შემქმნელი ტომების ეთნიკურ ერთიანობაზე.

მოდინახეს მეორე ფენაში დიდი რაოდენობით არის მოპოვებული მდიდრული ორნამენტით შემკული მრავალგვარი ასორტივენტის ჭურჭლის ფრაგმენტები. საშუშხაროდ, ჭურჭლები ისეა დაღეწილი, რომ მათი აღდგენა არ ხერხდება და ამდენად საშუალება არ გვაქვს წარმოდგენა შევქმნათ მათ ფორმებზე, შემკულობის მთლიან სასიათზე და დანიშნულებაზე. მრავალი ათეული ფრაგმენტიდან ჩვენ განვიხილავთ ჭურჭლების იმ ნაწილებს, რომლებიც შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა როგორც ორნამენტის მთლიან სასიათზე, ასევე არქიტექტონიკაზე და ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი მეორე ფენისათვის. აქ უმთავრესად გვხვდება: თხელკედლიანი, პირგადაშლილი ლეგა ან შავი ფერის კოთნის ფრაგმენტები, შემკული წნვეით გამოყვანილი პრიალა პორიზონტალური ან შვეული ხაზებით. გვხვდება აგრეთვე ამოღარული ხაზებისაგან შედგენილი სარტყლები, რომლებიც ჭურჭლებს მუცელსა და მხრებზე შემოსდევს (ტაბ. VI, 2, ა). დიდი რაოდენობით არის მოპოვებული მურა-მოწითალო და შავი ფერის ფართო ყელიანი ჭურჭლის ნატეხები. ჭურჭლების უმრავლესობა შიგნიდან გაპრიალებულია და ყელზე შემოსდევს ფართო, ამოღარული ხაზებისაგან შედგენილი სარტყლები (ტაბ. VI). მეორე ფენაში აღმოჩენილი კერამიკული მასალიდან ყურადღებას იქცევს წიწვოვანი ორნამენტით შემკული მურა-მოწითალო ფერის ჭურჭლის ფრაგმენტები, ტალისებური ორნამენტით შემკული მორუხო-ვარდისფერი დერგის ნატეხი (ტაბ. VI). აგრეთვე შავი ფერის კარგად გაპრიალებული ჭურჭლის კედლის ნატეხი შემკული ლამაზად გამოყვანილი წიწვოვანი ორნამენტით. მეთუნეობის ეს ნაწარმი დამზადებულია ჩარხზე, მსხვილი სტრუქტურის მქონე ქარსნარევი თიხისაგან. აღწერილი მასალები შემკულობის სასიათისა და ფორმების მიხედვით ანალოგიებს პოულობს კოლხეთისა და შიდა ქართლის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიურ კომპლექსებში².

¹ გ. გ. ბ. ჯ. შ. ვ. ლი, სტალინის ნაცარგორა, „მომოხილველი“, ტ. II.

² რ. ა. ბ. ა. შ. ვ. ლი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების თარიღისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. XIX და XXX, ტაბ. I.

მეორე ფენაში მოპოვებული ლითონის ნივთებიდან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ისრის პირები. აქ აღმოჩენილი ოთხი ისრის პირიდან ერთი შედარებით მასიურია, იგი ორფრთიანია, ბრტყელი ყუნწი და ძირს ჩამოშვებული ოდნავ მორკალული ფრთები აქვს. მის ბრტყელ ზედაპირზე ორსავე მხარეს რელიეფურადაა გამოსახული ისრის პირი (VIIa). ფორმით იგი შესაძლოა დაუკავშირდეს სამთავროს № 55 სამარხში აღმოჩენილ ისრის ძირს, რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით ათარილებს¹. დანარჩენ სამ ისრის პირს, რომლებიც თხელი ფირფიტებისაგან არის დამზადებული და ბრტყელი ყუნწი და ძირს ჩამოშვებული ფრთები აქვთ (ტაბ. VII, 6, 7), ანალოგიები ეძებნება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ როგორც გვიანბრინჯაოს, ასევე ადრეული რკინის ხანისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ კომპლექსებში. მსგავსი იარაღები დამახასიათებელია ხოვლეგორის იმ ფენისათვის, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისს მიეკუთვნება². მოდინახეს ცალეები განსაკუთრებულ მსგავსებას პოულობენ სამთავროს ორმო-სამარხებში მოპოვებულ ისრის პირებთან³. ისინი შეიძლება დავუკავშიროთ აგრეთვე დაბლაგომის ნამოსასლარ ფენაში და ბეშთაშენის სამარხულ კომპლექსებში აღმოჩენილ ცალებს⁴.

მეორე ფენაში აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს მასიური ღეროსაგან დამზადებული სამი თავხვია საკინძი (ტაბ. VII, 2, 3). ტანსაცმელთან დაკავშირებული ამგვარი ნივთები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. სოფ. ბეშთაშენთან მოპოვებულ თავხვია საკინძებს ბ. კუფტინი გვიანბრინჯაოს ხანას აკუთვნებდა⁵. ამავე სოფელში შემთხვევით მიკვლეულ სამარხში მასრაგასხნილ შუბისპირთან, ბრინჯაოს სატყერის გვერდით, აღმოჩნდა თავხვია საკინძი. აღნიშნულ კომპლექსს რ. აბრამიშვილი ძვ. წ. XIV საუკუნით ათარილებს⁶. მცხეთის უძველეს სამარხებში მოპოვებულ თავხვია საკინძებს გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ოქროპირიძემ და ისინი გვიან-

¹ რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამარხებზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების თარიღისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX და XXX, ტაბ. I.

² ცნობა მოგვაწოდა დ. მუსხელიშვილმა.

³ ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1957 წ., გვ. 111, აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქ. მუზეუმის არქ. ფონდი.

⁴ Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхети, т. II, таб. II.

⁵ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 75.

⁶ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე XXII, გვ. 314, თბილისი, 1961 წ.

ბრინჯაოს ხანის ნაწარმად მიაჩნია¹. არქეოლოგ ჰანჩარს კავკასიური თავზვია საკინძების ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. XIV—XII სს. აქვს მითითებული. თავზვია საკინძები სხვადასხვა დროს თავიანთ ნაშრომებში განიხილეს აგრეთვე ს. მაკალათიამ², გ. ნიორაძემ³, გ. ლომთათიძემ⁴, ტ. ჩუბინიშვილმა⁵, ე. კრუპნოვმა და სხვებმა. მეცნიერთა უმრავლესობა კავკასიაში აღმოჩენილ ამ სახის ნივთებს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს.

მოდინახეს ნამოსახლარის მეშვენიერად ფენა მოშაო ნაცრისფერია, დაახლოებით 110 სმ სისქისა და II ფენისაგან ჭრილში ზოგჯერ კარგად გამოიყოფა აგურისფერი თხატყეპნილით. ეს ფენა ძალზე მდიდარია სამეთუნეო ნაწარმის ნაშთებით, ხელსაწყოებით, ოსტეოლოგიური მასალითა და ლითონის ნივთებით.

მესამე ფენის სამეთუნეო ნაწარმი ფორმებითა და ორნამენტით ახლოს დგას II ფენის ჭურჭელთან, მაგრამ ამავე დროს შეინიშნება განსხვავებაც, რაც უპირველეს ყოვლისა ახალი ფორმების გაჩენა-წარმოშობით არის განპირობებული. მესამე ფენისათვის დამახასიათებელია ჭურჭლის ყელ-პირის ნატყეპები, რომელთაც ჭრილში შუაზე გაკვეთილი ისრის წვერის ფორმის პირი აქვთ. დამზადებულია მსხვილი სტრუქტურის მქონე ქარსნარევი თიხისაგან. ჭურჭლის პირის გარეთა სიბრტყე უმეტეს შემთხვევაში შემკულია სხვადასხვა სახის გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით. თევზისფერი, წიწვოვანი და რომბისებური ორნამენტაცია რელიეფური ან ამოღარული ხაზებითაა შედგენილი. ჭურჭლების შიგნითა ზედაპირი საგულდაგულოდაა გაპრიალებული. (ტაბ. VIII, 2, 3, 4, 5, 6, 7). მსგავსი ფრაგმენტები დადასტურებულია კოლხეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ ადრეანტიკური ხანის ნამოსახლართა ფენებში⁶. შესაძლებელია ისინი დავუკავშიროთ ოჩამჩირეში აღმოჩენილ ჭურჭლებს, რომლებსაც საწარმოო დანიშნულება ჰქონ-

¹ ნ. ოქროპირიძე, ბრინჯაოს თავზვია საკინძები სამთავროს ორმო-სამარხებიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951 წ., გვ. 141—152.

² ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930 წ., გვ. 228.

³ გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დახვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1944, გვ. 201.

⁴ გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატყეპები და მახვილები სამთავროს უძველეს ორმო-სამარხებში, გვ. 17.

⁵ ტ. ჩუბინიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 114.

⁶ ნ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966 წ., გვ. 188, ტაბ. VII.

დათ¹. მოდინახეზე აღმოჩენილი ფრაგმენტები განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებენ ითხვისის ნამოსახლარზე მოპოვებულ ფრაგმენტებთან, რომლებიც იქ ძირითადად ადრეანტიკური ხანის ფენებში გვხვდება².

მესამე ფენისათვის დამახასიათებელია სუფთა სტრუქტურის მქონე გარჩეულ-დამუშავებული თიხისაგან დამზადებული ღია მოყავისფრო ან მოშაო ლეგა ფერის პირშეზნექილი ან პირგადმოშლილი უქუსლო ღრმა ჯამები. ჭურჭლები გარედან სადაა. ზოგიერთი მათგანის შიგნითა ზედაპირი შემუქულია წნევით გამოყვანილი პრიალა ხაზებით. ერთ ჯამზე შეინიშნება ქუსლის გამოყოფის კვალი. (ტაბ. VIII, 9, 10).

პირშეზნექილი ჯამები მიეკუთვნება ადრეანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებულ ტიპს. ამგვარი ჯამები დიდი რაოდენობით გვხვდება სამარხებში და ნამოსახლართა ფენებში. მოდინახური ფილები თავისი კეციტა და ფორმებით ახლოს დგას სოფელ ითხვისის ანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილ პირმოყრილ ჯამებთან. ითხვისში აღმოჩენილ მასალებს რ. აბრამი-შვილი ძირითადად ძვ. წ. V—IV საუკუნეებით ათარიღებს³. ს. ხითარიშვილის მიერ ითხვისში შემთხვევით მიკვლეულ მდიდრულ სამარხში ბერძნული შავლაკიანი კალიქისა და ჯამის გარდა მოპოვებული იყო ორი პირმოყრილი დაბალი ფიალა. აღნიშნული სამარხის ინვენტარი კარგად თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებით⁴. მოდინახურის მსგავსი ფილები დიდი რაოდენობით გვხვდება რაჭაში, შრომის უბანში აღმოჩენილ სამარხეულ კომპლექსებში, რომლებიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს მიეკუთვნებიან. ამავე ხანისაა იშვრეთში სოფელ ზვარეში და ცხინვალის მახლობლად ცარციატის ბორცვზე მოპოვებული პირშეკეცილი უქუსლო ჯამები⁵. სამეთუნეო ხელოსნობის ამგვარი ნაწარმი დამახასიათებელია ვანის ნაქალაქარისა და ქუთაისის არქეოლოგიური ძეგლების იმ ფენებისათვის, რომლებიც ადრეანტიკური ხანით თარიღდება⁶. შავად გამომწვარი ბრტყელპირიანი ჯამები აღმოჩენილია ურბნისში ძვ. წ. VI—IV საუკუნეების სამარხებში⁷ და ხოვლეგორის III ფენაში⁸. მოდინახური ჯამები მსგავსებას პოულობს აგრეთვე ბემთაშენის ცი-

¹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 289.

² აკად. ს. ჟანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის არქ. ფონდი, № 26—65—879, 863.

³ რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ასგაროში, სამეცნიერო სესიის ანოტაციები, 1962 წ.

⁴ ი. ვაგოშიძე, ითხვისის სამარხი, აკად. ს. ჟანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXI, 1968 წ., გვ. 40.

⁵ ცნობა მოგვაწოდა გ. გობეჯიშვილმა.

⁶ ცნობა მოგვაწოდა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ.

⁷ ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964 წ., გვ. 37.

⁸ ცნობა მოგვაწოდა დ. მუსხელიშვილმა.

ხის მახლობლად ბ. კუფტინის მიერ ადრეაქემენიდური ხანის სამარხებში მოპოვებული ჯამბთან¹. ამავე ფენაში გვხვდება დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები ჭდეული ორნამენტით, რელიეფური ლიწვებითა და წნევით გამოყვანილი პრიალა ხაზებით. აღნიშნული ფრაგმენტები ანალოგიას პოულობს დაბლაგომის კოლხურ პითოსებთან, რომლებიც იქ სამარხებად იყო გამოყენებული. დაბლაგომის სამარხი ქვევრები გამოირჩევა ედვარდი ფორმებითა და ორნამენტის თავისებური ფაქტურით², რაც დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ტერიტორიაზე უარყოფით გაერცვლებული დიდი ზომის ჭურჭლებისათვის. მოდინაზე მოპოვებულ ფრაგმენტებს პარალელები ეძებნებათ ქუთაისის³, ითხეისის⁴, აფხაზეთისა და ნაოხვამეს ბორცვის ზედა ფენებში მოპოვებულ სქელკედლიან ჭურჭლებთან. ყველა ეს ძეგლი ძირითადად ადრეანტიკური ხანით თარიღდება და მოდინახეს ჭურჭლებიც ამავე პერიოდა უნდა მიეკუთვნოს.

ზემოთ განხილული სამეურნეო ნაწარმის გარდა მესამე ფენაში დიდი რაოდენობითაა მოპოვებული პირბაკოიანი ფართოყელიანი ჭურჭლის ყელ-პირის ნატეხები. რომლებიც ძირითადად მურა-მოწითალო, შავი და რუხი ფერის საშუალო ზომის ტერჯოლებს წარმოადგენენ. ერთ მათგანს, რომელსაც გადაშლილი პირი და საკმაოდ სქელი ბაკო აქვს, ყელზე შემოსდევს ღარისებური ხაზები (ტაბ. VII₁₂). გვხვდება აგრეთვე ფართოყელიანი ჭურჭლები, შემკული ჭდეულხაზებიანი ორნამენტით (ტაბ. VII₁₃), მონაცრისფრო ჭურჭლის ფრაგმენტები დაბალი ყელითა და დაკეწნილი პირით. ყველა ეს ფრაგმენტები დაახლოებით ერთი ტიპის ჭურჭლებს მიეკუთვნება და დამახასიათებელია მხოლოდ III ფენისათვის.

მესამე ფენაში აღმოჩენილია ყურმილიანი ჭურჭლის თხუთმეტი ყური, ზერძული შავლაკიანი ჭურჭლის მცირე ფრაგმენტები და აღმოსავლური წითლად მოხატული ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ადრეანტიკური ხანის ამიერკავკასიის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის.

მესამე ფენაში მრავლადაა მოპოვებული კარგად გარჩეული თიხისაგან დამზადებული სხვადასხვა ფერის პირგადმორღლი ქოთნის ფრაგმენტები. ჭურჭლების უმეტესობას მხრებთან შემოსდევს ღარისებური ხაზები; ზედაპირი უმრავლესობას ხაოიანი აქვს, ხოლო ზოგიერთზე შეინიშნება გაპრიალების კვალი. მესამე ფენაში, ისე როგორც მეორეში, დადასტურებულია ზოომორფული ყურებიც, მაგრამ უმთავრესად აქ მაინც დიდი და საშუალო ზომის ჭურჭლის სადა ყურები ჭარბობს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შემკულია წნევით გამოყვანილი პრიალა ხაზებით.

¹ Б. А. Куфтин, Арх. раскопки в Триалети, т. I, стр. 41-46.

² Б. А. Куфтин, Матер. к арх. Колхиды, т. II, стр. 66-67.

³ П. С. Уваров, Коллекция Кавказского музея, т. 5, арх. Тифлис. 1902, гл. 109.

⁴ აკად. ს. ჭანაშვილის სახ. მეზეუმის არქ. ფონდი.

II და III ფენის სამეთუნეო ნაწარმის ურთიერთშედარება შემდეგ სურათს იძლევა: მესამე ფენაში მოპოვებული პირშეზნეკილი და პირგადმოშლილი ბრტყელძირიანი ჯამები, დერგებისა და ქოთნების სადა ყურები, შუაზე გაკვეთილი ისრის წვერის ფორმის პირის მქონე დიდი ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, აღმოსავლური წითლად გამომწვარი მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები, ბერძნული შავლაკიანი ჭურჭლის ნაშთები და ყურმილიანი ჭურჭლები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის (ვანი, ფოთი, სოხუმი, დაბლაგომი, ქუთაისი, ქობულეთი, ფიჭვნარი, საირხე, ითხვისი, ურბნისი, უფლისციხე, ხოვლეგორა, თრიალეთი და ა. შ.), მესამე ფენაში თითქმის არ გვხვდება. II ფენაში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის 200-მდე ზომოვრფული ყური, III ფენაში 10 ასეთი ყურია დადასტურებული. სადა ბრტყელგანივკვეთიანი ყურები, რომლებიც დამახასიათებელია მესამე ფენისათვის, II ფენაში თითქმის არ ყოფილა დადასტურებული. რაც შეეხება პირბაკოიან ფართოყელიან ჭურჭლებს, პირგადმოშლილ თხელკედლიან ქოთნებს, ისინი, ოდნავ სახემეცვლილი, დამახასიათებელია როგორც II, ასევე III ფენისათვისაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფორმები კონსერვატიზმით ხასიათდება და დიდი ხნის მანძილზე განაგრძობენ არსებობას.

მესამე ფენის თარიღის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს იქ აღმოჩენილ ე. წ. სკვითურ ისრის პირებს: ისინი წარმოადგენენ რომისებური ფორმის ორფრთიან ისრის პირებს, რომელთა მრგვალ მასრაზე მიმაგრებულია მოხრილი დეზი (ტაბულა VII, 9, 10). ასეთი იარაღის გავრცელების არე ძალზე დიდია და მოიცავს სამხრეთ რუხეთის, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ვრცელ ტერიტორიას და ძირითადად ძვ. წ. VII—VI სს. ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. პ. რაუს კლასიფიკაციის მიხედვით სკვითური ისრის პირები შედარებით არქაული წარმოშობისანი არიან და ძვ. წ. VI საუკუნეშიც განაგრძობენ არსებობას. ჩრდილოეთ კავკასიაში ნესტოროვის სამაროვანზე მოპოვებული სკვითური ისრის პირები, იქ აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსების მიხედვით, ძვ. წ. VI საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს¹. ბ. ზ. რაბინოვიჩი მათ აგრეთვე VI საუკუნით ათარილებს². მოდინახეს ტიპის ისრის პირები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე ყულნურხვას სამარხეულ კომპლექსებში. სამწახნაგა ისრის პირებთან და ბრინჯაოს სარკესთან ერთად იქ აღმოჩენილი იყო რომისებური ფორმის კაუჭიანი ისრის პირები. ყულნურხვას სამარხეულ კომპლექსს აწ განსვენებული არქეოლოგი მ. ტრაფში ძვ. წ. VII—VI საუკუნეების მიჯნით ათარილებს³. საქარ-

¹ Е. И. Крупнов, древняя история Северного Кавказа, Москва, 1960 г., стр. 295.

² Б. З. Рабинович, о датировке некоторых скифских курганов среднего Приднепровья са, I л. 1936 г., стр. 84.

³ М. М. Трапш, памятники колхидской, скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР, Абгосиздат, 1962 г., стр. 54.

თველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ამგვარ იარაღებს მკვლევართა უმრავლესობა ძვ. წ. VII—VI სს. ნაწარმად მიიჩნევს¹. ამ თარიღს რამდენადმე აზუსტებს რ. აბრამიშვილი. იგი სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ რომბისებური ფორმის ისრის პირებს VII საუკუნის მეორე ნახევრითა და VI საუკუნით ათარიღებს². მასალის შეჯერება საფუძველს გვაძლევს მოდინახური ცალეები ანტიკური ხანის საწყის პერიოდს მივაკუთვნოთ და აქ მათი არსებობა ძვ. წ. VI საუკუნეში ვივარაუდოთ.

როგორც შედარებითა ანალიზმა დაგვარწმუნა, მოდინახეს მეორე ფენაში მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები ძირითადად გვიანბრინჯაოს გვიან საფეხურსა და ადრეული რკინის ხანას უნდა მიეკუთვნოს. ეს ფენა არ შეიცავს ე. წ. ფრინველის მკერდისებური ფორმის ყურებს, წერტილებით და ხაზებით შევსებულ ღარისებური ორნამენტით შემკულ ჭურჭლებს, რაც კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების ეგედა ფენებში გვხვდება³ და თ. მიქელამის პერიოდიზაციის მიხედვით კოლხური კულტურის განვითარების ადრეული საფეხურისათვისაა დამახასიათებელი. მკვლევარი ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ ყვირილის ხეობის ათვისება კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ შედარებით გვიან ხანაში უნდა მომხდარიყო⁴. მოდინახეს მეორე ფენის კერამიკის მასალაც რამდენადმე უჭერს მხარს ასეთ მოსაზრებას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ნამოსახლარის მცირე ფართობია შესწავლილი და მომავალმა კვლევამ შესაძლოა უფრო ძველი ფენებიც დაადასტუროს.

მეორე ფენის სამეთუნეო ნაწარმი რიგ შემთხვევაში სრულიად იდენტურია დაბლაგომის შუა ფენაში მოპოვებული კერამიკისა⁵, განსაკუთრებით ეს ითქმის რქისებურ შევრილებიან და ქვდზე მიწერწილ ჭდეულ ლილვებიანი ჭურჭლის ზოომორფულ ყურზე, რაც კოლხური კერამიკის სპეციფიკას შეადგენს⁶. ისინი აქ მრავალგვარი ვარიანტითაა წარმოდგენილი და ქრონოლოგიურად ემთხვევა დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სანეთუნეო ნაწარმს, რომელიც თ. მიქელამის მიხედვით ძველი კოლხური კულტურის მეორე ეტაპს შეესატყვისება და ძირითადად დამახასიათებელია მეორე ათასწლეულის ბოლო და პირველი ათასწლეულების საწყისი საუკუნეებისათვის⁷.

¹ ვ. ავალიშვილი, თ. სანებლოძე, დმანისის სამაროვანი, მაცნე, 4.

² რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო... აჯღ. ს. ჩანაშის სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, ტაბ. 1.

³ Б. А. Куфтин, материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 220-224, таб. 60.

⁴ თ. მიქელამი, მასალები კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, ძ. წ. XV—IV სს., გვ. 140. სადოქტორო შრიზა, ხელნაწერი. თბილისი. 1969. ჩაეახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

⁵ Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223.

⁶ თ. მიქელამი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 777.

⁷ იქვე.

ნამოსახლარის მესამე ფენა წარმოდგენილია ფართო ასორტიმენტის ჭურჭლით. აქ უკვე ჩნდება ჭურჭლის ისეთი ახალი ფორმები, როგორცაა პირმოყრილი და პირგადაშლილი ბრტყელძირიანი ჯამები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები, ყურმილიანი დოქები, ცილინდრული ფორმის ფეხიანი სასმისები, ღარისებური ორნამენტით შემკული ფართოყელიანი დოქები, გეომეტრიული ორნამენტით შემკული სამკუთხა კანიკვეთის მქონე დერგის პირები, დიდი ზომის ლანგრები და სხვ. იმავე ფენაშია დადასტურებული აგრეთვე შავლაკიანი პერძნული კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი და აღმოსავლური წითლად მოხატული კერამიკის ნატეხები. მეორე ფენის კერამიკასთან შედარებით განსხვავება შეინიშნება ჭურჭლის ორნამენტაციამაც. დამახასიათებელია ჩაღრმავებული საზევით შედგენილი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი. გვხვდება რელიეფური სახეები და წნეკით გამოყვანილი პრიალა საზევი. მესამე ფენის სამეთუნეო ნაწარმის ზოგიერთი ნიმუში თითქმის იმეორებს მოდინახეზე ადრეანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილ ჭურჭლებს, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული და შედარებით ზუსტად დათარიღებული სხვა არქეოლოგიური მასალებით. უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ფენა თითქმის არ შეიცავს კარგად განლექილი თიხისაგან გაკეთებულ ფერად ჭურჭლებს, რომლებიც დამახასიათებელია ელინისტური ხანის ნამოსახლარისათვის.

მესამე ფენის კერამიკა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს მეორე ფენის სამეთუნეო ნაწარმთან და სრულიად აშკარაა, რომ იგი ამ უკანასკნელის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ახალი ფორმების გაჩენა და ჭურჭლის ნაირსახეობათა წარმოქმნა კი, როგორც ფიქრობენ, მეურნეობის ახალი დარგების განვითარებასთან და საერთოდ ეკონომიკაში მომხდარ დიდ ძვრებთან უნდა იყოს დაკავშირებული¹. მესამე ფენის კერამიკა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა კარგად შეესაბამება ძვ. წ. VI—IV საუკუნეების, ე. ი. შუა კოლხეთის პირველი ეტაპის სამეთუნეო ნაწარმს², რომელიც დამახასიათებელია რიონის დაბლობისა და ნაწილობრივ შუაქართლის ნამოსახლარი ფენებისა და სამარხეული კომპლექსებისათვის.

აღრმავებული და ელინისტური ხანის სამარხები

1961 წელს მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე გზის გაყვანის შემდეგ ბულდოზერისაგან გადმონგრეულ მიწაში საჩხერის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებს უპოვნიათ ოქროს საყურე და ბერძნული შავლაკიანი ჭურჭლის ძირი. ოქროს საყურე მოსწავლეს ს. ზაბახიძეს გადაუცია ისტორიის მასწავლებლისათვის და იგი

¹ თ. მ. ქ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 169.

² იქვე. ტაბულა XV.

ამჟამად სკოლასთან არსებულ მუზეუმში ინახება. ბერძნული ჭურჭლის ფრაგმენტ-ტი საჩხერის პიონერთა სახლში მოხვედრილა და, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა მისი მპოვნელის ვინაობის დადგენა. აღნიშნული ჭურჭლის ფრაგმენტი ოთ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა სადოქტორო ნაშრომში¹. გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპედიციას ც. ლაშხმა გადასცა კიდევ ერთი ფრაგმენტი შველაკიანი ჭურჭლისა. იგი გამოქვეყნებულის ნაწილი გამოდგა. აღდგენის შემდეგ შესაძლებელი გახდა შედარებით სრული წარმოდგენა შეგვექმნა ჭურჭლის ფორმაზე და შემკულობაზე. იგი წარმოადგენს საკმაოდ ღრმა ჯამს, რომელიც გარედან ნაწილობრივ, ხოლო შიგნიდან მთლიანად დაფარულია შავი ლაკით. ჭურჭლის ძირზე გამოსატყლია ხუთი პალმებით შემკული წრიული გვირგვინი. ლაკი მაღალხარისხისაა, თიხა ნარინჯისფერი (ტაბ. IX₃). მოდინახეზე აღმოჩენილი ჭურჭელი ატიკური საბუნდოების ნაწარმს ეკუთვნის და იგი ძვ. წ. V—IV საუკუნეების მიჯნით თარიღდება². მაგაცის ჭურჭელი, რომელზედაც გამოხატულია პალმებით შემკული გვირგვინი, ნაპოვნია ალენის აგორაზე. ე. კორბეტი მას ძვ. წ. V საუკუნით თარიღებს³.

საყურე ბიკონუსური ფორმისაა. ოქროს სადა ღეროსაგან გაკეთებულ ყურსაკიდზე, რომელიც გახვერტილი თავებით ყოფილა ერთმანეთზე დამაგრებული, მირჩაღულია საკიდი. საკიდის შუა გამობურცული ნაწილი შემკულია ცვარულებით. (ტაბ. IX₄). ასეთივე, ოღონდ დიდი ზომის ბურთულებით არის შემკული საყურის ბოლო ნაწილი. ანალოგიური სამკაული აღმოჩენილია ითხვისის № 2 და № 4 სამარსში⁴.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სამარსები ადრეანტიკური ხანით თარიღდება. ისინი შეიძლება შევადაროთ აგრეთვე დაბლაგომის ქვევრსამარსების სფეროსებურ საკიდებს⁵. უფრო შორეული პარალელები მოდინახურ ცალს ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილ ადრეანტიკური ხანის სამარხულ კომპლექსებში⁶.

ზემოთ განხილული ნივთების გარდა საჩხერის სკოლაში ინახება გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი სამეთუნეო ნაწარმი და საბრძოლო დანიშნულების იარაღები. მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ციხის სამხრეთით მდებარ-

¹ ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილსი, 1966 წ., გვ. 83.

² ოთ. ლორთქიფანიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 84.

³ E. Corbet Attie potteru of the later fifth century from the Athenion Agora neperio XVIII, გვ. 329.

⁴ აკად. ს. ჯანაშის სახ. საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ფონდი 20 — 65 — 1810. 1811, 1846:

⁵ Б. А. Куфтин, Колхида, т. II, таб. 15, 13-14.

⁶ Е. И. Крупица, დასახლებული ნაშრომი, გვ. 297.

რე ფერდობზე საქებნელი იყო აღნიშნული ხანის ნეკროპოლი. № 2 თხრილში, იქ, სადაც კულტურული ფენებია დადასტურებული, გაითხარა ადრეანტიკური ხანის ერთი სამარხი. იგი მოთავსებული იყო მაღლიდან გადმოცვენილი დიდი ლოდების ძირში. თავის ქალა მიწის ზედაპირიდან 15 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა, წელქვევით მიცვალებულს ზემოდან ედო ქვაყრილის საკმაოდ სქელი ფენა. მიცვალებული დასაფლავებული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ, ოვალური ფორმის ორმოში, რომლის სიგრძე 150 სმ იყო, ხოლო სიგანე 70 სმ, ორმოში არ შეინიშნებოდა ნაგებობის ნაშთი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში ადამიანის პირისახის წინ ეწყო ბატკნის ძვლები (ტაბ. X₁). სამარხში აღმოჩნდა შექმნილი ნივთები:

1. ჯამი — ნაკლული, ლეგა ფერის, ოდნავ პირგადმოშლილი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული მხრებით, ბრტყელძირიანი, დამზადებულია ქარსმინარეებიანი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან (ტაბ. XI₁), იდო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მიცვალებულის თავის ქალასთან.

2. სამაჯური — ვერცხლის, მრგვალფორიანი, სადა, თავგადახსნილი. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მტევანთან (ტაბ. XI₂).

3. საყურე — ოქროსი, გახვრეტილთავებიანი ყურსაკიდით, დაგრძელებული ფორმის. რკალისებურ ყურსაკიდზე მირჩილული აქვს ოთხი სხივისებური ღერო. ღეროები ბოლოებისაკენ თანდათან ფართოვდება და შემკულია ორმწკრივი ცვარულებით (სურ. 1). იდო თავის ქალის არეში.

მოდინახეზე მიმავალი სამანქანო გზის მარცხენა მხარეს № 4 თხრილში, იქ, სადაც გაითხარა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი, აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის სამი სამარხი.

სამარხი № 2 აღმოჩნდა მიწის პირიდან 1,78 მეტრ სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა ოვალური ფორმის ორმოს, რომელსაც გარს შემოწყობილი ჰქონდა ქვის ცალპირი კედელი, ზემოდან კი 30 სმ სიმაღლის ქვაყრილი.

მიცვალებული დასაფლავებული იყო ძალზე მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. თიხის მაღალყელიანი ხელადა, პირფართო, გამობერილი მუცელი ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული, ბრტყელძირიანი, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარზე და ყელზე. მუცლის ზედა ნაწილზე შემოუყვება ღარისებური ხაზები. ასეთივე ხაზებითაა გაფორმებული ყელისა და მხრის გადასვლის ადგილი. ჭურჭელი ლეგა მოწითალო ფერისაა. დამზადებულია კარგად გარჩეული მსხვილი სტრუქტურის მქონე ქარსმინარევიანი თიხისაგან (ტაბ. XI₃). აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიცვალებულის ზურგს უკან.

2. ჯამი — პირმოყრილი, ბრტყელძირიანი, შავი ფერის, დამზადებულია ქარს-

მინარევებიანი თიხისაგან (ტაბ. XI₄). იდგა ორმოს ცენტრში, მიცვალებულის ზურგს უკან.

3. სამარილე — პირმოყრილი, ბრტყელძირიანი, ლეგა მოწითალო ფერის (ტაბ. XI₅). იდგა ორმოს ცენტრში, მიცვალებულის ზურგს უკან.

სამარხი № 3 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,10 მეტრზე. იგი წარმოადგენდა ოვალური ფორმის ორმოს. ზემოდან ეფარა 20—25 სმ სიმაღლის ქვაყრილი. ორმოს ზომები: სიგრძე 1,5 მ; სიგანე 1 მ; მიცვალებული დასაფლავებული იყო გრუნტზე, მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ (ტაბ. XIII₁). ჩატანებული ჰქონდა შემდეგი ნივთები:

1. მოყვითალო ფერის დოქი, ფართოპირიანი, მუცელგამოზებრილი, ბრტყელძირიანი, ყური მიძერწილი აქვს მხარზე და წელზე. დამზადებულია კარგად განლეკილი უქარსო თიხისაგან. იდგა ორმოს ცენტრში (ტაბ. XI₇).

2. მოყვითალო ფერის ნაკლული ჩაფი, მუცელგამოზებრილი, ბრტყელძირიანი. პირ-ყელი მოტეხილი აქვს. დამზადებულია კარგად გარჩეული უქარსო თიხისაგან (ტაბ. XI₆). იდგა ორმოს ცენტრში.

3. სარძევე (დოქი) ლეგა ფერის, დაბალყელიანი, გადმოშლილი პირით, მკვეთრად გამოზებრილი მუცლით, ბრტყელი ძირით. ყური მიძერწილი აქვს მხარზე და პირზე. მუცელზე შემოსდევს ღარისებური ხაზები, ყელისა და მხრების გადასვლის ადგილი შემკული აქვს სამ ღარს შორის ჩასმული წიწვოვანი ცდულებით (ტაბ. XI₁₁).

4. შავი ფერის დოქი, ყელმაღალი, ოდნავ პირგადმოშლილი, მკვეთრად დატანებული მხრებით, მუცელგამოზებრილი. ყური მიძერწილი აქვს მხარზე და პირზე. დამზადებულია მსხვილი სტრუქტურის მქონე მოწითალო ფერის ქარსმინარევებიანი თიხისაგან (ტაბ. XI₁₀). იდგა ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

5. შავი ფერის ჯამი, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი (ტაბ. XI₂). იდგა ორმოს აღმოსავლეთ კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალასთან.

6. რგოლი ოქროსი, წარმოადგენს ექვსწახნაგა ღეროს, ბოლოები გახვრეტილი აქვს, როგორც ჩანს, ერთმანეთზე მანჭვლით მაგრდებოდა. აღმოჩნდა თავის ქალის არეში, ქვედა ყბასთან (სურ. 2).

7. ვერცხლის საკისრე რგოლი, გაკეთებულია მრგვალგანიჯკვეთიანი მავთულის ღეროსაგან, რომლის მოკაუჭებული ბოლოები ერთმანეთზეა ჩამოცმული. საკისრე რგოლი შუა ნაწილს ზემოთ ორსავე მხარეს გამსხვილებულია. გამსხვილებულ ზედაპირზე ამოტვიფრულია წრეებს შორის ჩასმული გეომეტრიული ორნამენტი (ტაბ. XI₁). აღმოჩნდა ორმოს დასავლეთ ნაწილში, მიცვალებულის ქვედა ყბასთან.

8. კავი რკინისა, ოთხწახნაგაგანიკვეთიანი მართი კუთხით მოხრილი, ბოლო გაბრტყელებულია და დახვეული (ტაბ. XII₂).

სამარხი № 4 მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,60 მ-ის სიღრმეზე. მიცვა-ლებული ესვენა ოვალური ფორმის ორმოში, რომლის იატაკი მოკირწყლული იყო კირქვის მცირე ზომის ნატეხებით. იწვა მარცხენა გვერდზე, ძალზე მოკრუნჩხულ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ, მარჯვენა ხელის მტევანი მოთავსებული ჰქონდა მუცლის არეში, მარცხენა კი გაშლილი ჰქონდა ბარძაყის გასწვრივ. ჩონჩხი დაზიანებული იყო ორმოში ჩაცვენილი ლოდებისაგან.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. თიხის ჯამი, შავი ფერის, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქარსმინარევებიანი თიხისაგან (ტაბ. XI₃). აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან.

2. თიხის ჯამი, რუხი ფერის, მცირე ზომის, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი. შედარებით ტლანქად არის ნამქრწი. დამზადებულია ქარსმინარევებიანი თიხისაგან. აღმოჩნდა ორმოს აღმოსავლეთ კედელთან (ტაბ. XI₂).

3. თიხის ქოთანის, ლეგა მოწითალო ფერის, დაბალი, ფართო გადმოშლილი პირით, გამოხედილი მუცელი მკვეთრად დაქანებული ბრტყელი ძირისაკენ. ნახევარკალისებური ფორმის ყურები ჰორიზონტალურად აქვს მხრებზე მიმქრწილი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქარსმინარევებიანი თიხისაგან (ტაბ. XI₁₃). აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კედელთან.

4. თიხის ხელადა, ლეგა მოვარდისფრო, ყურმილიანი, საშუალო სიმაღლის ყელით, ბიკონუსური ფორმის, ბრტყელძირიანი. მილიანი ყური მიმქრწილი აქვს მხარზე და ყელზე. მკვეთრად გამოწეული მუცლის ზედა ნაწილზე გარს შემოუყვება ჩაღრმავებული ხაზებით შესრულებული ტალღისებური ორნამენტი და სწორი ღარისებური ხაზები. დამზადებულია მოწითალო ფერის ქარსმინარევებიანი თიხისაგან (ტაბ. XI₂). აღმოჩნდა ორმოს აღმოსავლეთ კედელთან.

5. დიდი ზომის დოქი, ყვითელი ფერის, გამოხედილი მუცელით, ბრტყელი ძირით. ყური მიმქრწილი აქვს მხარზე და პირზე, ყურის ქედზე აქვს ორი, ლურსმნის თავისებური კოპი. აღმოჩნდა ორმოს სამხრეთ კედელთან. დამზადებულია კარგად განლექილი მოყვითალო ფერის თიხისაგან.

6. რკინის სამაჯური, ნაკლული. გარე ზედაპირი შემკული აქვს ბურთულებით. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მაჯასთან.

7. საყურე ოქროსი, გახვრეტილთავებიანი ყურსაკიდით. საკიდის მრგვალგანიკვეთიან ღეროზე მირჩილულია ოთხი სხივისებური ღერო. ღეროები ბოლოები-საკენ თანდათან ფართოვდება და შემკულია ცვარულებით (სურ. 1). აღმოჩნდა მარჯვენა ყურთან.

8. საყურე ოქროსი. აღწერილის ანალოგიურია. აღმოჩნდა მარცხენა ყურთან (სურ 1).

9. მძივები ოქროსი, 36 ცალი, სფეროსებური მოყვანილობის. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (სურ. 3).

10. კოლხური მონეტა. ოთხი ცალი ვერცხლის, შუბლზე — პროფილში გამოხატული ადამიანის თავი, ზურგზე — ხარის თავი (ტაბ. XIV, 2). მონეტები მიცვალებულს პირში ჰქონდა ჩადებული.

სამარხში მოპოვებული სამეთუნეო ნაწარმი 6 ძირითად ტიპად შეიძლება დაეყოს. ესენია: 1. პირმოყრილი ან პირგადმოშლილი ბრტყელძირიანი ფიალები; 2. ფართოკორპუსიანი ცალყურა ხელაღები; 3. ყურმილიანი ჭურჭელი; 4. ქოთანი ვერტიკალურად მიძერწილი ყურებით; 5. დიდი ზომის ჩაფები; 6. სარძევე ხელაღები.

სამარხებში აღმოჩენილი კერამიკის შესწავლა ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, იმის გამო, რომ ეს მასალები საშუალებას გვაძლევს რიგ შემთხვევაში სრული წარმოდგენა შევიქმნათ ნამოსახლარიდან მომდინარე ჭურჭლის ზოგიერთი ფრაგმენტის აღნაგობაზე და შემკულობის მთლიან ხასიათზე, რაც უკმაოდ უწყობს ხელს აღნიშნული ფენის თარიღის შედარებით დაზუსტებას.

სამარხში აღმოჩენილი პირმოყრილი ფიალები, რომლებიც თარიღდება სხვა მასალების საშუალებით და ტიპიურია მესამე ფენაში დადასტურებული ასეთი ჭურჭლებისა, ანალოგიებს პოულობენ ადრეანტიკური ხანის დათარიღებულ კომპლექსებში. მათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და განმეორებით პარალელების მოტანა აქ ახლა ზედმეტად გვეჩვენება. რაც შეეხება № 1 სამარხში აღმოჩენილ პირგადმოშლილ ბრტყელძირიან ფიალას, იგი შესაძლოა შევედაროთ სოფელ ბეშთაშენის სამარხეული კომპლექსების ჯამებს, რომლებსაც ოდნავ გადმოშლილი პროფილირებული პირი აქვთ¹. ფართოკორპუსიანი ცალყურა ხელაღების მსგავსი ჭურჭლები დადასტურებულია ითხვისის ადრეანტიკური ხანის სამარხებში² და ბეშთაშენის³ სამაროვანზე. ისინი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ბ. კუფტინის მიერ მესამე ჯგუფში გაერთიანებულ დაბლაგომის სამეთუნეო ნაწარმთანაც⁴. ეს უკანასკნელი შესაძლოა უფრო გვიანდელი ხანისა იყოს, მაგრამ მათი გენეტიკური მსგავსება მოდინახურ ხელაღებთან საეჭვო არ უნდა იყოს.

ყურმილიანი დოქები ბიკონუსური ტანით უმთავრესად ადრეანტიკური ხანის

1 Б. А. Куфтин, Триалети, том I, гл. 271, аგრეთვე, მ. მენაბდე, ც. დაკ-ლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები. თბილისი, 1968 წ.

2 აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის მუზეუმის არქ. ფონდი № 1730, № 1858.

3 Куфтин Б. А., დასახელებული ნაშრომი. გვ. 265.

4 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, таб. XXI а.

არქეოლოგიური ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი ჭურჭელი აღ-
მოჩნდა ითხვისის მდიდრულ სამარხში ¹, რომლის ინვენტარიც კარგად თარიღდება
ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის შუა ხანებით ². მსგავსი ცალები დადასტურე-
ბულია ფიჭვნარში ³. ყურმილიანი დოქები, რომლებსაც საღვინე ჭურჭლად მიიჩ-
ნევენ ⁴, გავრცელებული ჩანს დროის დიდ მონაკვეთში, ალბათ ძვ. წ. VII—III საუ-
კუნეებში, მაგრამ ბიკონუსურტანიანი ყურმილიანი ჭურჭლები მხოლოდ ძვ. წ.
VI—IV საუკუნეებში გვხვდება ⁵.

ქოთანი, მხრებზე ჰორიზონტალურად მიძერწილი ყურებით, იშვიათ მოვლენას
წარმოადგენს ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმში. ასეთი აგებულების
ჭურჭელი ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ კომპლექსებში მთლიანი სახით არსა-
დაა დადასტურებული. რკალისებური ფორმის ყურიანი ჭურჭლის ცალკეული
ფრაგმენტები აღმოჩენილი ყოფილა ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის ნა-
მოსახლარ ფენებში ⁶.

დიდი ზომის დოქები, რომლებსაც ჩაფებიც შეიძლება ვუწოდოთ, თავიანთი
ფორმითა და თიხის სტრუქტურით განსხვავებული ჩანს სამარხებიდან მომდინა-
რე სხვა სამეთუნეო ნაწარმისაგან. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ერთ მათგანს
პირ-ყელი მოტეხილი აქვს, ხოლო მეორეს ყურზე მიძერწილი აქვს ლურსმნისე-
ბური კოპები. ასეთი კოპებით შემკული ჭურჭლები დამახასიათებელია წალკაში
(სოფელ კარიაკში) ადრეანტიკური ხანის ქვაყუთებში აღმოჩენილი სამეთუნეო
ნაწარმისათვის ⁷. ფორმების მიხედვით ისინი გარკვეულად უკავშირდებიან ბემ-
თაშენის სამარხების ფართოკორპუსიან დიდი ზომის დოქებს ⁸. მსგავსი ჭურჭლები
აღმოჩენილია აგრეთვე ითხვისის № 7 სამარხში ⁹. რაც შეეხება მცირე ზომის ე. წ.
სარძევე დოქებს, ეს ჭურჭლები ადრეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკაში ძალზე

1 აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის არქ. ფონდი № 1730, № 1858.

2 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ითხვისის სამარხი, აკად. ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის მოამ-
ბე, ტ. XXV, 1968 წ., გვ. 41.

3 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწ. მუზეუმის საგამოფენო ეიტრინა, № XXXIX.

4 საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959 წ. გვ. 248, ტაბ. XXIV₁₋₂.

5 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41.

6 ცნობა მოგვაწოდა ოთ. ლორთქიფანიძემ.

7 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. მუზეუმის არქ. ფონდი, № 67:64, 148.

8 მ. შ ე ნ ა ბ ლ ე, ც. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, თრიალეთის სამაროვანი, თბილისი, 1968 წ.,

გვ. 169.

9 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი,
26—65—1858.

გავრცელებული ჩანს და დიდი რაოდენობით გვხვდება დაბლაგომის¹, ვანის², ითხვისის³ და ფიჭვნარის არქეოლოგიურ ძეგლებში.

მოდინახეს სამაროვანის თარიღის დაზუსტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს № 1 და № 4 სამარხებში მოპოვებულ საყურეებს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარი ნივთები ცნობილია სხივანა საყურეების სახელწოდებით და დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ადრე-ანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსებისა და განძებისათვის. სოფ. ჭითაწყაროში აღმოჩენილი სხივანა საყურეები, რომლებიც დაცულია ზუგდიდის მუზეუმში, ახლო ანალოგიას პოულობს მოდინახეს ცალთან. პროფ. ბ. კუფტინი ჭითაწყაროს საყურეებს დაბლაგომის სამარხეულ კომპლექსებთან ურთიერთკავშირში განიხილავს და ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებით ათარილებს⁴. 1952 წელს ვანის მახლობლად, სოფ. მთისძირში, აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი შეიცავდა სხივანა საყურეს. მისი მსგავსი 1961 წელს, ხოლო შემდეგ 1969 წელს, აღმოჩნდა ვანის მდიდრულ სამარხში⁵.

ვანისა და მოდინახეს ცალებს შორის განსხვავება შეიმჩნევა. პირველის საკიდი ბრტყელგანიგვეთიანია და წრიული, ხოლო უკანასკნელისა მრგვალღერძიანია და ნახევრად წრიული. ეს საყურეები, როგორც დამზადების ტექნიკით, ასევე ფორმებით ერთმანეთს გვანან. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოდინახეს საყურე მხატვრული თვალსაზრისით ვანურთან შედარებით დაბალ დონეზეა შესრულებული და შედარებით ნაკლებსაც იწონის.

მსგავსი საყურეები აღმოჩენილია ფიჭვნარში⁶, რაჭაში⁷, გვხვდება აგრეთვე ყაზბეგის განძში, ბემთაშენის⁸ სამაროვანზე, სოხუმში, იკოთში⁹ და ქობულეთის განძში ქიზიკინებთან ერთად¹⁰.

1 К у ф т и н Б. А., Колхида, т. II, табл. 20.

2 ცნობა მოგვაწოდა რ. ფუთურიძე.

3 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველო სახელმწიფო მუზეუმის არქ. ფონდი, 26—65—1715.

4 К у ф т и н Б. А., Материалы к арх. Колхиды, т. II, გვ. 41, სურ. 9.

5 Хоштария Н., Археологические раскопки Вани, კავკასიური არქეოლოგიური კრებული, გვ. 16; იხ. აგრეთვე, თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ა. ქციონია, არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში, 1969 წ., გვ. 65.

6 ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 63.

7 ბ. ხოშტარია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 17.

8 К у ф т и н Б. А., Арх. раскопки в Триалети, стр. 45.

9 იქვე.

10 К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада Колхидок, Нумизматика и эпиграфика, т. VI, Москва, 1966 г., 34.

სხივანა საყურეები ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული და ძირითადად ადრეანტიკური ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ვფიქრობთ, მოდინახეს ცალიც სწორედ ამჟვე ხანას უნდა მიეკუთვნოს. მის მოპოვებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ მოდინახეს სხივანა საყურე შედარებით კარგად ათარილებს სამარხეულ კომპლექსს, რომელიც თავგახსნილი ვერცხლის სამაჯურის გარდა შეიცავს ბრტყელძირიან პირგადმოშლილ ან პირმოყრილ ჯამებს, ყურმილიან ჭურჭელს, ფართოკორპუსიან დოქებსა და ხელადებს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღნიშნული სახის სამეთუნეო ნაწარმით განსაკუთრებით მდიდარია მოდინახეს მესამე ფენა, მაშინ იგი გვევლინება, როგორც დამათარილებელი ნივთი აქ არსებული ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარისა, რომელსაც ჩვენ III ფენის სახით გამოვყოფთ.

№ 1 სამარხში აღმოჩენილი მრგვალგანიკვეთიანი ვერცხლის სადა სამაჯურის მსგავსი სამკაულები დიდი რაოდენობით გვხვდება ბეშთაშენის სამაროვანზე¹, ხოლო № 3 სამარხის საკისრე რგოლი ზუსტ ანალოგიას პოულობს ითხვისის № 2 სამარხში მოპოვებულ ამგვარ სამკაულთან². აქვე აღმოჩენილი რკინის კავა სავსებით შეესატყვისება ითხვისის № 1 და № 2 სამარხებში დადასტურებულ რკინის კავებს. ეს ნივთები სამარხნაგებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ მათი დანიშნულება გაურკვეველია³.

№ 4 სამარხში აღმოჩენილი მონეტები წარმოადგენს მცირე ზომის კოლხურ ნომინალებს, ე. წ. ნახევარდრაქმებს. ასეთი მონეტები ჩვენამდე დიდი რაოდენობით არის მოღწეული⁴, აღმოჩენილია სამარხებში და გვხვდება აგრეთვე განძების სახითაც. იგი ანტიკურ ხანაში მონეტების ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპად გვევლინება და, როგორც ჩანს, ხანგრძლივი დროის მანძილზე იჭრებოდა⁵. ქობულეთის განძს, რომელიც ჩვეულებრივი ტიპის 291 ცალ კოლხურ მონეტას შეიცავდა, თან ახლდა ელექტრონის სხივანა საყურეები, ქიზიკინები და ბრინჯაოს ჭურჭელი. სპეციალისტების აზრით, ბრინჯაოს ეს ჭურჭელი ძვ. წ. V საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს⁶. ხოლო ქიზიკინებს მკვლევარები ძველი წელთაღრიცხვის 500—460 წლებით ათარილებენ⁷.

¹ აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის არქ. ფონდი 169 — 64 — 187.

² იქვე, № 26—65—1802.

³ ი. გაგოშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

⁴ К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада Колхидок, Нумизматика и Эпиграфика, том. VI, Москва, 1966 г., стр. 31.

⁵ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950 წ., გვ. 27.

⁶ К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

⁷ Agnes Begeing Der greichische coedschatr von prinikina rfm. XLI, 1931 г., გვ. 31.

კოლხური მონეტების დანარჩენ სამ განმსაც, რომელიც აღმოჩენილი იყო ზუგდიდის რაიონის ახალსოფელში, დაბლაგომში და ჩოხატაურის რაიონის სოფ. ჩომათში, გოლენკო და კაპანაძე ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით ათარილებენ და დასძენენ, რომ ყველაზე ადრეული მათ შორის არ შეიძლება ძვ. წ. IV ს. პირველ ნახევარზე გვიანდელი იყოს¹. ზოგიერთი მკვლევარი ამ ტიპის მონეტების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. II საუკუნეს მიიჩნევს, ხოლო კ. გოლენკო და დ. კაპანაძე თვლიან, რომ მისი მოჭრა უნდა შეწყვეტილიყო ძვ. წ. 325 წლის ახლო ხანებში, კოლხეთში ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის მონეტების ფართოდ გავრცელების შემდეგ². მოდინახეს ცალბეზე გამოსახული ადამიანის პროფილი მსგავსეზას ამჟღავნებს კოლხურ დიდ დრაქმებზე გამოსახულ იმ პროფილებთან, რომლებსაც ა. ზოგრაფი ძვ. წ. V საუკუნისად თვლის³. № 4 სამარხის დანარჩენი ინვენტარიც ეერ ჩაითვლება ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეზე გვიანდელად და ვფიქრობთ აქ აღმოჩენილი მასალები უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევარზე უნდა მიუთითებდეს. ამავე ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ № 1 და № 3 სამარხის ინვენტარი. ეს კომპლექსები შეიცავენ მოცივითაღ ფერის უქარსო თიხისაგან დამზადებულ ფართოკორბუსიან ჩაუებს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკულ სახელოსნოებზე მიუთითებს. შესაძლებელია მათი გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვივარაუდოთ ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებიდან და ეგების წინ უსწრებდეს ზოხატული ჭურჭლის გავრცელებას, რომლის ცალკეული ფრაგმენტები დადასტურებულია საირხის ლომინაურის კულტურულ ფენებში, ხოლო მთლიანი სახით წარმოდგენილია ვანისა და ითხვისის ძვ. წ. IV საუკუნის სამარხებში⁴.

№ 1 სამარხში აღმოჩენილ უხეშად ნაძერწ თიხის ჯამებს და ბიკონუსური ფორმის ხელადას, რომელსაც ფართო პირი აქვს და სამარხის დანარჩენი ხელადეზისაგან განსხვავებით ყური მიძერწილი აქვს ყელზე და არა პირზე, უფრო არქაული იერი გადაჰკრავს. მაგრამ მასალის სიმციერის გამო აღნიშნული სამარხის მიახლოებით ზუსტ თარიღზე რამის თქმა მაინც ჭირს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ № 1 სამარხის დონეზე, მისგან აღმოსავლეთით 2 მეტრის დაშორებით, პატარა ქვებით მოკირწყლულ იატაკზე იდგა საშუალო ზომის თიხის დერგი. შესაძლოა, რომ ეს ჭურჭელი ეკუთვნოდეს ადრეანტიკური ხანის დანგრეული სამარხის ნაშთს.

¹ К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, დასახელებული ნაშრომი. გვ. 36.

² იქვე, გვ. 37.

³ А. Н. Зограф, Распространение находок античных монет, стр. 35, იხილეთ აგრეთვე К. Голенко, Д. Капанадзе. დასახელებული ნაშრომი. ტაბ. XVII, № 816.

⁴ ი. თ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ა. კყონიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ., არქ. კვლევა-ძიება საქართველოში, 1969 წ., თბილისი, 1971 წ., გვ. 65.

№ 4 თხრილში ის ადგილი, სადაც № 2 სამარხი და სამარხის ნაშთი აღმოჩნდა, გვიანანტიკურ ხანაში სამაროვნად გამოუყენებიათ და ორმოების ჩაჭრის დროს დაუზიანებიათ ადრეული ხანის სამარხები. ამ ფაქტს ადასტურებს დერგის მახლობლად მიწაში უწესრიგოდ ჩაყრილი ძვლები და მოკირწყლული იატაკი, რომელიც ჩვენს მიერ დადასტურებული იყო № 4 სამარხში.

ჭურჭელი ნაკლულია, პირ-ყელის არე მომტვრეული აქვს. იგი წარმოადგენს მოშავო, ლეგა ფერის, ბრტყელპირიან, საშუალო ზომის დერგს, რომლის ტანი შემკულია წნევით გამოყვანილი პრიალა შვეული საზებით. მხარზე და ყელზე მიძერწილ ყურს ქედზე ტდეულებით შემკული ლილვი გადასდევს. ლილვი სუსტი, რელიეფის სახით არის გამოყოფილი და ყურის მსგავსი შვერილებიც დაკნინებულია (ტაბ. XI₁₉).

ეს ჭურჭელი თავისი აღნაგობითა და შემკულობით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს თრიალეთში, წალკის რაიონის სოფელ ავრანლოში № 2—3 სამარხის კერამიკასთან, რომლებიც მცირე ზომის ზოომორფულყურიან ჭურჭლებს წარმოადგენენ და ტანზე პრიალა შვეული საზები დაუყვება¹. ავრანლოს კომპლექსები შეიცავენ აგრეთვე ადრეანტიკური ხანის საწყისი პერიოდისათვის დამახასიათებელ მოხრილ რკინის დანებს და ბრინჯაოს მრგვალ სამაჯურებს². მოდინახეზე აღმოჩენილი დერგი წარმოადგენს გვაძლევს ჭურჭლის აუარებელ ფრაგმენტებზე, რომლებსაც დერგის ანალოგიური ყურების სახით ვხვდებით II და III ფენაში. ასეთი ყურები აღმოჩენილია საირხის, ფოთისა და ფიჭვნარის ნაშოსახლარ ფენებშიც. თუ ადრეული ჭურჭლის ყურებზე ზოომორფული მოტივები საკმაოდ მკვეთრად არის გამოსატული და ისინი თითქმის ნათლად გამოხატავენ ცხოველის თავებს, მოგვიანო ხანის ყურებზე ზოომორფული მოტივები მხოლოდ სიმბოლურად აღინიშნება და ადრეანტიკური ხანის საწყისი პერიოდისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

ამ ეპოქის შუა ხანებში, როგორც ამას მოდინახეს და ითხვისის სამარხეული კომპლექსები გვიდასტურებენ, ზოომორფულყურებიანი ჭურჭლები აღარ გვხვდება. აღნიშნულის გამო ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია № 2 სამარხისა და სამარხის ნაშთის სამეთუნეო ნაწარმი ადრეანტიკური ხანის საწყის პერიოდს დაუუკავშიროთ.

№ 4 თხრილში ადრეანტიკური ხანის № 3 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორი მეტრის მოშორებით, აღმოჩნდა ელინისტური ხანის ორი სამარხი.

№ 5 სამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,55 მეტრზე. ორმოს ზემო-

¹ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საბ. მუზეუმის არქ. ფონდი, № 33—65—44.

² იქვე, № 33—65—32—36—31.

დან ეფარა 20—30 სანტიმეტრის სისქის ქვაყრილი. მიცვალებული დასაფლავებულ იყო გრუნტზე. ესვენა მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. წითელი ფერის დოქი, პრიალა ზედაპირით, ვიწრო ყელით, გადაშლილი პირით, დაბლა დაწეული, მკვეთრად გამოხედილი მუცლით. მრგვალგანივიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელზე და მხარზე. ყელზე შემოსდევს ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ჭდეულები, იდგა ორმოს დასავლეთ კუთხეში. დამზადებულია კარგად განლექილი ქარსმინარევებიანი თიხისაგან. (ტაბ. XI₁₄).

2. მცირე ზომის სარძევე დოქი, ნაკლული, მოყვითალო-მოთეთრო ფერის, დაბალი ფართო ყელით, ზომიერად გამოწეული მუცლით. მრგვალგანივიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარზე და პირზე. დამზადებულია კარგად განლექილი მოწითალო ფერის თიხისაგან. იდგა ორმოს დასავლეთ კუთხეში (ტაბ. XI₁₆).

3. სამაჯური ბრინჯაოსი, ზურგშეზნექილი, თავგახსნილი, თავები მომრგვალებულია და გარედან შემოჭერილი აქვს ბრინჯაოს ფირფიტის საღტეები. დამზადებულია მრგვალგანივიკვეთიანი მავთულის წვრილი ლეროსაგან (ტაბ. XI₁₅).

4. სამაჯური ბრინჯაოსი, ზომებითა და ფორმით აღწერილის ანალოგიურია. (ტაბ. XI₁₅).

5. რკინის სამაჯური, ნაკლული, რკალის გარე ზედაპირზე ბურთულები შემოუყვება (ტაბ. XII₆).

6. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, მცირე ზომის, ორნაწილადი, მოხრილი რკალის ბრტყელ ზედაპირზე ნაჭდევები შემოუყვება (ტაბ. XII₄).

№ 5 სამარხის ჩრდილოეთით, მისგან 4 მეტრის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,55 მ-ის სიმაღლეზე აღმოჩნდა სამარხი № 6. მიცვალებული ესვენა გრუნტზე. ჩონჩხი დაზიანებული იყო. თავის ქალა დამხრობილი ჰქონდა დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. წითელი ფერის დოქი, ზედაპირგაპრიალებული, დაბალყელიანი. მრგვალგანივიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მუცელზე და პირზე. მუცელი დაბლა აქვს დაწეული და მკვეთრად გამოხედილი. ბრტყელპირიანია. დამზადებულია მოწითალო ფერის ქარსმინარევებიანი თიხისაგან. აღმოჩნდა ორმოს ჩრდილოეთ კუთხეთან (ტაბ. XI₁₅).

2. თიხის დოქი, ლეგა მოწითალო ფერის, ცუდად გამოწეარი, პირ-ყელი და ყური მოტეხილი აქვს. ჭურჭლის ტანი მსხლისებური ფორმისაა, დამზადებულია ქარსმინარევებიანი ყავისფერი თიხისაგან. აღმოჩნდა ორმოს ჩრდილოეთ კუთხეში (ტაბ. XI₁₇).

3. ვერცხლის ფიალა, მცირე ზომის, პირგადმოშლილი, სფეროსებური, ძირზე

პატარა ღრმული აქვს გაკეთებული. დამზადებულია ვერცხლის თხელფურცლოვანი ფირფიტისაგან. (ტაბ. XI₁₃).

4. რგოლები ოქროსი, დამზადებულია ექვსწახნაგოვანი მავთულის ღეროსაგან. თავები გაბრტყელებული და გახვრეტილი აქვს. აღმოჩნდა ორმოს დასავლეთ კედელთან, თავის ქალის არეში, მარჯვენა და მარცხენა ყურთან (სურ. 2).

5. რკინის სამაჯური, ნაკლული, რკალზე შემოსდევს ბურთულები (ტაბ. XI₁₆).

6. საბეჭდავი ბეჭედი — ინტალიო, დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან. ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამობურცული. რკალი მხრებისაკენ ფართოვდება და უშუალოდ ოვალური მოყვანილობის ფარაკს უერთდება. ფარაკის ოდნავ ამობურცულ ზედაპირზე გამოსატულია ფრინველი. ფრინველს გრძელი ნისკარტი და მალა აწეული ფრთები აქვს. ორად გაყოფილი გრძელი ბოლო ძირს აქვს დაშვებული. გამოსახულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. მისი კვეთა ღრმა არაა, მაგრამ მკაფიოა. ფრინველის სხეულის ცალკეული ფორმები დაუმუშავებელია, მხოლოდ მკერდზე და კისერზე შეიმჩნევა რამდენიმე ურთიერთპარალელური ხაზი, რომლებითაც შესაძლოა ბუმბულია აღნიშნული. ბეჭედს რკალის დიდი ნაწილი აკლია, ამიტომ მისი ფორმების ზუსტად აღდგენა შეუძლებელია (ტაბ. XI₁₇).

აღწერილი სამარხეული კომპლექსებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს № 5 სამარხში აღმოჩენილი სამეთუნეო ნაწარმი. ეს ინტერესი იმით აიის გამოწვეული, რომ აღნიშნული სამარხის კერამიკა სრულიად განსხვავებული ჩანს ზემოთ განხილული ადრეანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნაწარმისაგან. ეს განსხვავება უპირველეს ყოვლისა შეინიშნება არქიტექტონიკაში და დამზადების ტექნიკაშიც. ჭურჭლის ზედაპირის შემოკობა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით, რაც დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის, აქ სრულიად გამქარაღია. მის ნაცვლად ზედაპირი შეღებილია და ზოგჯერ გაპრიალებული. ეს განსაკუთრებით ითქმის დაბალყელიან პირგადმოშლილ ცალყურა ხელადებზე, რომლებსაც პარალელები აღმოსავლურ ქართულ ძეგლებში ეძებნებათ. ურბნისის ნაქალაქარზე ელინისტური ხანის სამარხებში მოპოვებული ვიწროყელიანი პირგადმოშლილი ხელადა თითქმის ანალოგიურია მოდინახური ცალყურისა¹. ამ სამარხეულ კომპლექსებს აწ განსვენებული არქეოლოგი დ. ქორიძე ადრეელინისტური ხანით ათარიღებდა.

ისინი შეიძლება შეგუდართო აგრეთვე მცხეთის ადრეული ხანის ქვევრსამარხების ხელადებს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვევრსამარხების ჭურჭელი

1 აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი, № 1—59 21—71.

შედარებით უზემად არის ნაკეთები და ფორმის მხრივაც ნაკლებად დახვეწილია¹.

უფლისციხეში ყათლანიხევის № 1 ორმო-სამარხში აღმოჩენილია ფართოკორპუსიანი ხელადა, რომელსაც ვიწრო ყელი და ოდნავ გადმოშლილი პირი აქვს. ფორმის მხრივ კარგად ესადაგება მოდინახეს № 5 სამარხში მოპოვებულ ჭურჭელს. ყათლანიხევის ამ სამარხეულ კომპლექსებს დ. ხახუტაიშვილი ძვ. წ. III—II საუკუნით ათარიღებს².

ზედაპირგაპრიალებული წითელი ფერის კერამიკული ნაწარმი დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი უფლისციხის ელინისტური ხანის ნამოსახლარის ფენებში³ და გვხვდება აგრეთვე სამადლოს ნამოსახლარზეც⁴. ყურადღებას იქცევს № 6 სამარხის მცირე ზომის დოქი, რომელიც ზემოთ აღწერილი ხელადებისაგან განსხვავდება როგორც დამზადების ტექნიკით, ასევე ფორმითაც. ჭურჭელი დაზიანებულია, მაგრამ მისი მსხლისებური ტანი აშკარა მკაფიანებას ამჟღავნებს მოდინახეს გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხების მსხლისებური მოყვანილობის, ზედაპირგაპრიალებული თიხის დოქებთან. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ფორმის ჭურჭლები უკვე ჩასახულია ელინისტურ ეპოქაში და ისინი გვიანანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმში წამყვან ტიპებს წარმოადგენენ.

მავთულის მრგვალი ღეროსაგან დამზადებული ზურგმუზნეკილი სამაჯურები დამახასიათებელია ელინისტური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის. მოდინახეს მკაფიან ევზემპლარები აღმოჩენილია სოფ. ნერონ დერესას გვიანაქემენიდური ხანის სამარხებში⁵, მცხეთის ადრეული ხანის ქვევრსამარხებში⁶, უფლისციხის ყათლანიხევის № 1 სამარხში⁷ და ფარცხანაყანებში⁸. ყველა ეს არქეოლოგიური კომპლექსები ძირითადად ადრეელინისტური ხანით თარიღდება.

ზემოთ დასახელებულ სამაროვანთა ინვენტარში დიდი რაოდენობით გვხვდება ვერცხლის რგოლები, რომლებიც მოდინახური რგოლებისაგან განსხვავებით მრგვალგანიკვეთიანი მავთულის ღეროსაგან არის დამზადებული და საყურეებს

1 ვ. თოლორდავა, მასალები ქართლას საქეთის ისტორიისათვის, ძვ. წ. III—I სს. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, გვ. 6.

2 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე. თბილისი, 1964 წ. გვ. 85.

3 იქვე.

4 საქ. სსრ ხელოვნების მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილების ფონდი.

5 Б. А. К у ч т и и. Триалети, т. I, стр. 31, рис. 33.

6 ვ. თოლორდავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7—8.

7 დ. ხახუტაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 84, ტაბ. 16.

8 М. М. П в а ш е н к о, Кувшинные погребения Грузии, изд. ჭავჭავაძის სახელობის ისტ. ინსტ. არქ. განყოფილების არქივი, ხელნაწერი, გვ. 155.

უნდა წარმოადგენდეს¹. ასეთ ვარაუდს კარგად ადასტურებს მოდინახური ოქროს რგოლები, რომლებიც თავის ქალის არეში აღმოჩნდა მარცხენა და მარჯვენა ყურთან.

№ 6 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა, რომელსაც თასიც შეიძლება ვუწოდოთ, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ადრეანტიკური ხანის ვერცხლისა და ოქროს თასებისაგან განსხვავებით სადა ზედაპირიანი და შედარებით მცირე ზომისაა. მიუხედავად ამისა, იგი გენეტიკურად დაკავშირებული ჩანს ადრეანტიკური ხანის პირგადმოშლილ სფეროსებურ ძირიან ვერცხლის თასებთან და გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ყანჩაეთის ვერცხლის თასთან². თუმცა უფრო პირდაპირი და მახლობელი პარალელები ისევ ელინისტური ხანის არქეოლოგიურ მასალებში ეძებნება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სფეროსებურ ძირიანი თიხის ჯამები წალკისა³ და მცხეთის⁴ ელინისტური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებიდან, რომლებიც თავიანთი ფორმებით კარგად შეესაბამებიან მოდინახურ სასამისს.

№ 6 სამარხის საბეჭდავი ბეჭედი ეკუთვნის ბეჭდების იმ ტიპს, რომლებიც ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. VI—III საუკუნეებში⁵. ამ ტიპის ბეჭდები VI საუკუნიდან საქართველოს მოსახლეობამაც შეითვისა და დაიწყო მისი ადგილობრივი წარმოება⁶. მოდინახური ბეჭედი ფორმის მიხედვით ძვ. წ. IV—III საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს⁷. გამოსახულების სტილის და კვეთის მანერის მიხედვით ბეჭედი ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს (შეადარეთ საძეგურში აღმოჩენილ ბეჭედზე გამოსახული გრიფონი; ფეხების, ფრთისა და სხეულის გამოსახვის მანერა⁸), რაც შეეხება ფარაქზე გამოსახული ფრინველის გამოსახულებას, მსგავსი სიუჟეტები ანტიკური და ელინისტური ხანის საბეჭდავებზე ხშირად გვხვდება⁹. მოდინახეზე აღმოჩენილ ბეჭედს მისი თანმხლები ინვენტარის დათარიღების საქმეში ვერ მიენიჭება რაიმე უპირატესობა. თუმცა, როგორც

1 ო. თ. ქ ა ფ ა რ ი ძ ე, არკნეთის სამაროვანი, თბილისის უნივერსიტეტის წარწემბი, ტ. 63, 1963 წ., გვ. 194.

2 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 62.

3 Б. А. К у р т и ш, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31, ტაბ. IV.

4 აკად. ს. ჭ ა ნ ა შ ვ ი ა ს ხ. ს. ა. მუხუშუმის არქეოლოგიური ფონდი, 12—54—11788.

5 F. Marshall Catalogie od the friquirrings greek Itruscan angroman, london, 1907, № 43, 80, 1037.

6 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძვ. საქ. გლობტიკური ძეგლების კორპუსი, 1969 წ., გვ. 40, 47.

7 F. Marshall, დასახელებული ნაშრომი, № 49.

8 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, № 49.

9 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, №№ 43, 45, 51.

შედარებითი ანალიზი გვარწმუნებს, ამ სამკაულის არსებობა ელინისტურ ხანაში სრულიად კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს.

ზემოთ განხილული ექვსი სამარხის ინვენტარი ცხადყოფს, რომ ამ მასალების სახით საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა ეპოქის მატერიალურ კულტურასთან. პირველ ოთხ სამარხში მოპოვებული არქეოლოგიური კომპლექსები ადრეანტიკურ ხანას უნდა მიეკუთვნოს და № 2 სამარხის გარდა მათ აბსოლუტურ თარიღად ძვ. წ. V საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ № № 5—6 სამარხი ადრეანტიკური ხანის სამაროვანის დონეზე და მის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მასალა განსხვავებული ჩანს. შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს იხინი ელინისტურ ეპოქას მივაკუთვნოთ და სამარხის აბსოლუტური თარიღი ძვ. წ. III საუკუნით შემოვფარგლოთ. როგორც ადრეანტიკური, ასევე ელინისტური ხანის სამაროვნების აღნაგობა და მათში დაკრძალვის წესი ერთნაირია. მხოლოდ № 1 სამარხში იყო მიცვალებული დამხობილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დანარჩენ შემთხვევაში დაკრძალვა ხდებოდა მოკრუნჩხულ პოზაში თავით დასავლეთისაკენ. ეს წესი უძველესია. განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი ადრეანტიკური ხანისათვის და ძირითადად უცვლელი რჩება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე.

ადრეანტიკური ხანის სამარხები გაფანტულია დიდ ტერიტორიაზე ცალკეული ბუდეების სახით. მაგალითად № 1 სამარხი მდებარეობს № 2 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 150 მეტრის მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მდებარე ტერიტორია მთლიანად გათხრილია და შესწავლილი, აქ ადრეანტიკური ხანის არც ერთი სამარხი არ ყოფილა დადასტურებული. № 4 სამარხი მდებარეობს № 3 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 10 მეტრის მანძილზე. ორივე ეს სამარხი, ისე როგორც № 2, ჩაშვებულია გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ფენაში, დიდი და საშუალო ზომის ქვებით ამოყვანილი ტერასის ძირში (სამხრეთით).

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ტერასის ზედაპირის დონეზე მისგან ჩრდილოეთით 10—15 მეტრის მანძილზე და ტერასის მთელ სიგრძეზე გვხვდებოდა თიხატყეპნილი იატაკები, რაც უეჭველია ეკუთვნოდა ტერასის ჩრდილოეთით მდებარე სამეურნეო ან საცხოვრებელი სახის ნაგებობებს. მაშასადამე, მოდინახეს ანტიკური ხანის მოსახლეობა მიცვალებულებს (ამ შემთხვევაში შესაძლოა ერთი ოჯახი თავის წევრებს) ასაფლავებდა ეზოს გადაღმა, ტერასის ძირში. მიცვალებულების ეზოში დამარხვის ჩვეულება დასავლეთ საქართველოს რიგ სოფლებში გვიანობამდე იყო შემორჩენილი. ასეთი წესის არსებობა ადრეანტიკური ხანის კოლხეთში სავარაუდოა განპირობებული იყო სოციალურ-ეკონომიური მიზეზით, რაც შესაძლოა უკავშირდება მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის ფაქტს. ასეთი ვა-

რაუდი, რა თქმა უნდა, ძალზე სათუთა, მით უმეტეს, რომ საქართველოს რიგ რაიონებში, მაგალითად, ბეშთაშენის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი წარმოდგენს ერთიან დიდ სასაფლაოს. მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია შესაძლოა არ ყოფილიყო ისე ღრმად წასული, როგორც ეს შეიძლება მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კოლხეთის სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, მით უმეტეს, რომ ბეშთაშენის სამაროვანი ადრეანტიკური ხანის ადრეულ საფეხურს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ მისი მომდევნო სამარხები თრი-ალეთშიც ცალკეული ბუდეების სახით არის წარმოდგენილი, თანაც საბრძოლო იარაღების გარეშე. ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხებში იარაღის გაქრობის ფაქტს მკვლევარები სამართლიანად უკავშირებენ სოციალურ მოვლენას¹. რიგით სამარხებში იარაღის გაქრობა გარკვეული ხანიდან დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისათვის². საბრძოლო იარაღები აღმოჩენილი არ ყოფილა დაბლაგომის³ და ფარცხანაყანების⁴ ქვევრსამარხებში, ითხვისის ადრეანტიკური ხანის რიგით სამარხებში⁵ და აგრეთვე თრიალეთისა და ქვემო ქართლის ელინისტური ხანის სამაროვნებზე. იარაღი არ გვხვდება სამთავროს სამაროვნებში და სრულიად უჩვეულოა იგი იმავე ტიპის ქვევრსამარხებისათვისაც. მიუხედავად იმისა, რომ მოდინახეს სამარხები ოქროს ნივთებით არის წარმოდგენილი და ორი მათგანი, როგორც ჩანს, საკმაოდ შეძლებული შუაფენის მამაკაცებს ეკუთვნის, იარაღი აქაც არაა დადასტურებული. საწინააღმდეგოდ ამისა, ადრეანტიკური ხანის მდიდრული სამარხები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში უხვად შეიცავენ საბრძოლო იარაღებს. დამადასტურებელი მასალები შეიძლება მოგვეტანა ვანის⁶, ითხვისის⁷, ყანჩაეთის⁸, ალგეთის და სხვა კომპლექსებიდან, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ეს სამარხები ადგილობრივ დიდებულებსა და მათი ოჯახიდან გამოსულ წარჩინებულ ადამიანებს ეკუთვნის. ერთი

1 ს. ჭანაშია, საქართველო ადრეული ფეოდალიზმის გზაზე, შრომები, I, 1955 წ.

2 ი. გაგოშიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 77.

3 Б. А. Куфтин, Колхида, т. II, стр. 36-35.

4 М. М. Ивашенко, Кувшинный могильник в Западной Грузии, СА XII, 1956 г., стр. 330.

5 Б. А. Куфтин, Триалети, стр. 30-31.

6 ი. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ა. ქყონია არქეოლოგიური გათხრები ვანში, 1969 წ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1969 წ. გვ. 63.

7 ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, ს. ჭანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV, 1968 წ., გვ. 34—35.

8 ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 80—82.

მხრივ, უიარალო სამარხებისა და, მეორე მხრივ, მდიდრული, იარაღის შემცველი სამარხების მეპატრონეთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს ანტიკური საზოგადოების ორი კლასის წარმომადგენლებთან, სადაც იარაღი და მასთან ერთად ძალაუფლებაც, საზოგადოების გარკვეული, უფლებრივად და ეკონომიურად დაწინაურებული ფენის ხელშია, სადაც იარაღის ტარება და ქვეყნის დაცვაზე ზრუნვა ამ ფენის მოვალეობას, უფრო მეტიც მის პრივილეგიას შეადგენს, ხოლო მოსახლეობის ძირითადი მწარმოებელი ნაწილი, მისი მუშეები და მოქალაქენი „თავისუფალი არიან იარაღისაგან და ფიზიკური თავდაცვის აუცილებლობისაგან“.¹ ი. გაგოშიძის ამ მოსაზრებას შესაძლებელია დაეუმატოთ, რომ წარჩინებული მცირერიცხოვანი პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლების ხელმძყრობთა პრივილეგიაა იარაღის სამარხში ჩატანება. პოლიტიკური ხელისუფლის სამარხში იარაღის მთელი კომპლექსიც კი შეიძლება ინსიგნია იყოს. ეს გამოხატავდა მის სოციალურ პრივილეგიას გარდაცვალების შემდეგ, რასაც იმავე სოციალურ-ეკონომიური მიზეზების გამო მოკლებული არიან საზოგადოების რიგითი ან საშუალო ფენის წევრები. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთ ქვეყნის თავდაცვაში კი უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ იარაღით დაკრძალვის უფლება არ ჰქონდათ, რადგან იგი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე.

გვიანანტიკური ხანის სამარხები

მოდინახეს არქეოლოგიურ ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გვიანანტიკური ხანის მასალებს, რომლებიც ძირითადად სამარხეული კომპლექსების სახითაა წარმოდგენილი. მოდინახეს სამხრეთი ფერდობი, აქ მოპოვებული მატერიალური კულტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ელინისტურ ხანაში წყვეტს არსებობას, როგორც დასახლებული პუნქტი. უფრო მოგვიანებით ანტიკური ხანის დასასრულს იგი სამაროვნად გამოუსყენებიათ მათ, ვინც ამ ქვეყნის გამგებელნი უნდა ყოფილიყვნენ.

სამარხები ჩაშვებულია ძვ. წ. პირველი ათასწლეულის ნამოსახლარ ფენაში. განლაგებულია მიწის სიღრმეში 1,20 მეტრზე. სამარხთა აღნაგობა ორგვარია; მართკუთხედი ფორმის ორმოები რიგ შემთხვევაში შემოზღუდულია მშრალად წყობილი ქვის ცალპირი კედლებით. უმეტესობა ჩვეულებრივ ორმოების სახითაა წარმოდგენილი ნაშენი კედლების გარეშე.

ოთხი სეზონის განმავლობაში გაითხარა გვიანანტიკური ხანის ორმოცამდე

¹ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 81.

სამარხი. ყველა მათგანის დაწვრილებით აღწერა-დახასიათება აქ შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმ კომპლექსებს განვიხილავთ, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვიანანტიკური ხანის ქართული კულტურისა და ისტორიის შესასწავლად.

სამარხი № 1 მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 1,8 მ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დასაფლავებული იყო მართკუთხედი ფორმის ორმოში, იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, მოკრუნჩხულ პოზაში. მარჯვენა ხელის მტევანი მკერდთან ჰქონდა მიტანილი, ხოლო მარცხენა ხელის მტევანი მარჯვენა ხელის იდაყვქვეშ ამოდებული. თავის ქალის არეში აღმოაჩნდა ოქროს ორი საყურე, ხოლო მარცხენა ხელის თითებზე ოქროს ორი ბეჭედი. გულმკერდის არეში გაბნეული ჰქონდა გიშრის მძივები.

ბეჭედი ოქროსი, შუა წრიული რკალი ბრტყელია, მხრებისაკენ ფართოვდება და გარეთა მხარე მომრგვალებული აქვს. თვალბუდე რკალშივეა ამოყვანილი, შიგნუქი ნარინჯისფერი სარდიონის თვალი ზის (ტაბ XV₂).

ბეჭედი ოქროსი, მრგვალი რკალი შუაში ბრტყელია, მხრებისაკენ ფართოვდება. რკალში ამოჭრილი ცენტრალური თვალბუდე მრგვალია, მასში მოყვითალო მინისებური პასტის თვალთა ჩასმული. ცენტრალური თვალბუდის ორივე მხარეს, რკალზე, მირჩილულია თითო სამყურა ფოთლის ფორმის თვალბუდე. ერთში მწვანე ფერის პასტის თვალთა ჩასმული, მეორეში თვალთა არ ზის. ფოთლისებური ბუდის წვერებთან თითო პატარა ბუდეა მირჩილული, რომლებშიც წითელი ფერის თვლებია ჩასმული. თვალბუდეებს აქა-იქ ოქროს ცვარულები აქვს მირჩილული. (ტაბ. XV₇).

საყურეები ოქროსი, ნაკლული, საყურის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ოქროს ფირფიტა, რომელზედაც ამოყვანილია ორი მრგვალ-ბრტყელი ბუდე. ზემოთა მოზრდილ ბუდეში მინის ღურჯი ოვალურზედაპირიანი თვალთა ზის. ქვემოთა მომცრო ბუდეში მინისებური პასტის ოვალურზედაპირიანი თვალთა ჩასმული. ორივე ბუდეს გარშემო ცვარულები შემოუყვება. საყურეს ქვედა ნაწილში მირჩილულია ოქროს ყუნწი, რომელშიც გაყრილია ბრინჯაოს ბოლოგადაკვერილი ღერო. ღეროზე ასხმულია ოქროს ორი ვარდული. ვარდულებს შორის მოთავსებულია ვარდისფერი პასტის როდინისებური მრავალწახნაგა მძივი. ღერო ბოლოვდება ხუთტოტიანი ბოლოვებადაკვეთილი ბრინჯაოს ღერაკებით, რომელზედაც ასხმულია მარგალიტის ხუთი ბურთულა. (სურ. 4).

მეორე საყურე იმავე ფორმისაა. აკლია ბრინჯაოს ღერო ოქროს ვარდულე-ბითა და მარგალიტის ბურთულებით, აგრეთვე ყურსაკიდი რგოლი. (სურ. 4).

მძივები — გიშრის, კუბის ფორმის.

მძივები გიშრის, ცილინდრული ფორმის.

სამარხი № 2. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-და-
სავლეთისაკენ, მოკრუნჩხულ პოზაში. ხელის მტევნები პირისახის წინ ჰქონდა მო-
თავსებული. კისრისა და ყელის არეში გაბნეული იყო გიშრის მძივები. კეფის არე-
ში აღმოჩნდა ოქროს რკალგახსნილი საყურე. ორმოს ცენტრში ჩადგმული იყო
თიხის დოქი.

საყურე ოქროსი, ნაკლული. ბოლოებგახსნილ ყურსაკიდ რგოლზე მირჩილუ-
ლია ყუნწი, მასში გაყრილია ბრინჯაოს ღერი მოხრილი თავით, რომელზედაც შე-
მორჩენილია ერთი როდინისებური ფორმის პასტის თეთრი მძივი.

თიხის დოქი, ნარინჯისფერი, პრიალა ზედაპირით, ვიწრო, საშუალო სიმაღ-
ლის ყელით, გადმოშლილი პირით, გამობერილი მუცლითა და ბრტყელი ვიწრო
ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირზე და მხარზე.

გიშრის მძივები, შინდის კურკის ფორმის თითო ნახვრეტით, მრგვალ-
ბრტყელი ორ-ორი ნახვრეტით.

სამარხი № 3. სამარხი წარმოადგენდა მართკუთხედის ფორმის ორმოს, რომელსაც გარშემო ქვები ჰქონდა შემოწყობილი. ჩონჩხი ძალზე დაზიანებული იყო. მიცვალებული (ბავშვი) მარჯვენა მხარეს უნდა წოლილიყო. სამარხის სამხრეთ-
დასავლეთ კუთხეში, თავის ქალასთან, აღმოჩნდა ბრინჯაოს წინწილები, მიცვა-
ლებულს გულმკერდის არეში ჰქონდა გიშრისა და მინის მძივები, ვერცხლის ბეჭე-
დი. ორმოს ცენტრში აღმოჩნდა წყვილი ვერცხლის საყურე. ორმოს ჩრდილო-აღ-
მოსავლეთ ნაწილში, მიცვალებულის მარცხენა მხართან, მოთავსებული იყო ბრინ-
ჯაოს დაფანჯრული საკიდი და ბრინჯაოსავე ზანზალაკი. მიცვალებულის ფეხებ-
თან ჩადგმული იყო ნარინჯისფერი თიხის დოქი.

თიხის დოქი, მოწითალო ფერის, მსხლისებური ფორმის, ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელზე და მუცელზე. ჭურჭელი და-
ფარულია წნევით გამოყვანილი წითელი, პრიალა შეეული ზოლებით (სურ.
№ 5).

თეფშები ბრინჯაოსი წარმოადგენს ნახევარსფეროსებური ფორმის საგანს,
რომელსაც შემოსდევს პუნსონით გამოყვანილი წიწვოვანი ორნამენტი. ბრტყელ-
განივკვეთიანი სახელურები მომპერალია. (ტაბ. № XVI₁).

ზანზალაკი ბრინჯაოსი, კონუსისებური; მრგვალგანივკვეთიანი ყუნწი თავ-
თან წერილდება. რკინის ენა ყუნწთან ამოჭრილ ნახვრეტშია მოთავსებული.

საკიდი ბრინჯაოსი, ოვალური ფორმის, დაფანჯრული. ნაწნავისებური ორ-
ნამენტი დაფარული ღეროები ბრინჯაოს ვარდულში, ბოლოში იყრიან თავს,
ხოლო ზემოთ მრგვალგანივკვეთიან ყუნწს უერთდებიან. (ტაბ. XVII₃).

მძივები გიშრის, ცილინდრული ფორმის.

მძივები მინის, ბიკონუსური ფორმის, ლურჯი.

სამარხი № 5. სამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,6 მ-ის სიღრმეზე-
ცი წარმოადგენდა დიდი ზომის ქვებით შემოფარგლულ ორმოს.

მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, ოდნავ მოხ-
რილი ფეხებით. მარცხენა ხელის მტევანი ყელის არეში ედო, ხოლო მარჯვენა ხე-
ლის მტევანი პირისახის წინ უნდა ჰქონოდა. ხელის ახლოს გაურკვეველი დანიშ-
ნულების რკინის მრგვალი ფირფიტები ეწყო. თავის ქალაზე ბრინჯაოს რვა ქინ-
ძისთავი ეყარა. მარცხენა ხელის არათითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა. გიშრისა და
პასტის მძივები გულშეკერდის არეში იყო გაბნეული. ორმოს ცენტრში აღმოჩნდა
ბრინჯაოს მშვილდსაკინძი.

გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთი, ნაკლული. ნივთი შედგება
ექვსი მასიური მრგვალი ფირფიტისაგან. ფირფიტები შეწყვილებულია, ცენტრში
გახვრეტილია. აქედან ერთი წყვილი რკინის ღერითაა შეერთებული.

ქინძისთავი ბრინჯაოსი, ნაკლული. მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოსაკენ გა-
წვრილებული ღეროთი (ბოლო წატეხილი აქვს). ღეროს თავზე წამოცმული აქვს
სარდიონის ბიკონუსური ფორმის ყვითელი-მოწითალო ფერის მძივი, რომელსაც
ბოლოში ბრინჯაოს მცირე ზომის რგოლი ამაგრებს, ხოლო თავზე ბრინჯაოს პა-
ტარა ბურთულა აზის. (ტაბ. XVII₈).

ქინძისთავი ბრინჯაოსი, ნაკლული, მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოგაწვრილე-
ბული ღეროთი. ღეროს თავთან მძივის დასამაგრებელი ბრინჯაოს რგოლია მირ-
ჩილული (ტაბ. XVI₉).

ქინძისთავი ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოგაწვრილებული ღე-
როთი. ღეროს თავი წატეხილი აქვს, რომელზედაც წამოცმულია მარგალიტის მცი-
რე ზომის მძივი (ტაბ. XVII₁₀).

ქინძისთავი ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოგაწვრილებული ღე-
როთი, ბურთულიანი თავით (ტაბ. XVII₁₁).

ქინძისთავი ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოგაწვრილებული ღერო-
თი, ბურთულიანი თავით (ტაბ. XVII₁₂).

ქინძისთავი ბრინჯაოსი, ნაკლული, მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოგაწვრილე-
ბული ღეროთი, მოწითალო ფერის სარდიონის ბიკონუსური ფორმის თავით.

ქინძისთავი ბრინჯაოსი, ნაკლული, თავებურთულიანი, მრგვალგანიკვეთიანი
ღეროთი.

ქინძისთავი ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი, ბოლოგაწვრილებული ღერო-
თი. ღეროზე, თავთან, მძივის დასამაგრებელი ბრინჯაოს რგოლია მირჩილული,
თავზე ჩამოცმულია მუქი ლალისფერი მრგვალი მძივი. მძივს თავზე ბრინჯაოს
პატარა ბურთულა აქვს მირჩილული. ღერო დეფორმირებულია (ბოლოგალუ-
ნული).

ვერცხლის ბეჭედი, მრგვალგანიკვეთიანი რკალით, მრგვალ დაბალ თვალბუდეში მუქი ჩაისფერი თვალი ზის. (ტაბ. XVII₂).

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ორნაწილდი; მრგვალგანიკვეთიანი ბოლო თანდათან წვრილდება, შემდეგ კი ერთ სწორ ხაზად ბრტყელდება, რომელზედაც გეომეტრიული ორნამენტია ამოღარული. (ტაბ. XVII₇).

მძივები ცისფერი.

მძივები გიშრის.

მძივები მოყვითალო, 6 ცალი.

სამარხი № 6. სამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,4 მ-ის სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა დიდი ზომის ქვებით შემოწყობილ ოთხკუთხა ფორმის ორმოს სიგრძით 2,1 მ-სა და სიგანით 1,1 მ-ს.

მიცვალებული იწვა გულალმა, გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისაკენ. თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ვერცხლის ფიალა, იქვე აღმოჩნდა ოქროს მონეტა, მარცხენა ყურის არეში ოქროს საყურე. მარცხენა ხელის არათითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა. მარჯვენა ფეხის ბარძაყის ძვლის გასწვრივ იდო რკინის სატყვარი. ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიცვალებულის ფეხებთან, მოთავსებული იყო დიდი ზომის თიხის ჩაფი და ნარინჯიასფერი თიხის დოქი. (ტაბ. XVIII₁).

ბეჭედი ოქროსი, რკალი ოვალური მოყვანილობისა და ბრტყელგანიკვეთიანი აქვს, მხრები კუთხოვანი. მხრებს ქვემოთ რკალი სადაა, მხრებს ზემოთ კი, თვალბუდეში, აქეთ-იქით აუყვება სუსტად გამოხატული წიბო. მაღალი თვალბუდე ოვალური ფორმისაა და სწორი ნაპირები აქვს. თვალბუდეში ზის ყავისფერი მინის თვალი. (ტაბ. XV₃).

ვერცხლის თასი, ნაკეთებია თხელი ფირფიტისაგან. თასის ძირზე, ცენტრალურ ნაწილში, თევითაა ამოყვანილი ექვსფოთლიანი ვარდული, რომელსაც გარშემო მსხვილი და მომცრო ბურთულები შემოსდევს. კედლებზე 5,2 სმ დიამეტრის ხუთი ბურთულაა ამოყვანილი. თასს ოდნავ პროფილირებულ პირს ქვემოთ შემოსდევს წერილი ბურთულების ერთი მწკრივი. (ტაბ. XIX₂).

მონეტა ოქროსი, კონსტანტინე დიდის, სუბერატი. (სურ. 6).

საყურე ოქროსი, ყურსაკიდი რგოლი ბოლოებგახსნილი აქვს, რომელზედაც მიჩნეულია ყუნწი. მასში გაყრილია ბრინჯაოს თავყუნწიანი ბოლოგადაკვერილი ღერო, რომელზედაც ასხმულია ოქროს ვარდული, პასტის მოგრძო ვარდისფერი მძივი, ისევე ვარდული და ბოლოვდება მარგალიტის ორი ბურთულით. (სურ. 7).

თიხის დოქი, ნარინჯისფერი, ცალყურა, გადამლილი პირით, ვიწრო, საშუალო სიმაღლის ყელით, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ვიწრო ძირით. ბრტყელგანიკ-

კვეთიანი ყური პირსა და მხარს ერთმანეთთან აერთებს. ზედაპირი დაფარულია წნევეთ გამოყვანილი ვერტიკალური, ოდნავ შესამჩნევი პრიალა ზოლებით. კარგად განლექილი თიხა თანაბრადაა გამოშვარი. (სურ. 8).

თიხის ჩაფი, მოწითალო-ვარდისფერი, ორყურა, გადაშლილი პირით, ფართო, ჰაშუალო სიმაღლის ყელით, მუცელგამობერილი, ბრტყელპირიანი. ორი ბრტყელ-განიკვეთიანი ყური მხარსა და ყელზე აქვს მიძერწილი. ქარსმინარევებიანი კეცი მოწითალოა. (ტაბ. XVIII).

რკინის სატევარი, ორლესული, მასვილი წვერით, სწორი განიერი მხრებით (ცალი მხარი ჩამოტეხილია), სატარე ბრტყელი ყუნწით. პირს დაუყვება დაბალი ქედი. აქა-იქ შერჩენილია ხის ანაბეჭდები. (ტაბ. XX₅).

სამარხი № 7. სამარხი მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1,1 მ-ის სიღრმეზე. წარმოადგენდა ოთხკუთხედის ფორმის ორმოს — სიგრძით 2,12 მ-სა და სიგანით 1 მ-ს. სამარხში მოთავსებული იყო ორი ჩონჩხი. პირველი იწვა ორმოს ჩრდილოეთ ნაწილში გულადმა გამოტილი, გულხელდაკრეფილი, მეორე — ორმოს სამხრეთ ნაწილში, მარცხენა გვერდზე, მოხრილი ფეხებით, ხელის მტევნები გადაჭდობილი ჰქონდა გვერდით მოთავსებული მიცვალებულის იდაყვზე. ორივე მიცვალებულს თავი დასავლეთისაკენ ჰქონდა მიმართული.

ორმოს აღმოსავლეთით, მიცვალებულთა ფეხებთან, აღმოჩნდა ნარინჯისფერი თიხის დოქი. ორმოს ცენტრში, პირველი მიცვალებულის მარჯვენა ბარძაყის ძვალთან, იდო რკინის სატევარი. მეორე მიცვალებულის თავის ქალის არეში აღმოჩნდა წყვილი ოქროს საყურე, გულმკერდის არეში კი გიშრის პასტისა და სარდიონის მძივები, ორმოს ცენტრში სარდიონის თვალი.

საყურეები ოქროსი, ნაკლული, საყურის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ოქროს გულის ფორმის ფირფიტა, რომელსაც გარშემო ოქროს თავწაკვერილი ღერაკები შემოუყვება. ღერაკებზე წამოცმულია მარგალიტის ბურთულები. ფირფიტის კიდეებზე, გარშემო ამოყვანილია მრგვალი თვალბუდეები, რომლებშიც ძირითადად ვარდისფერი პასტის თვლებია ჩასმული (ზოგი ცისფერია). ცენტრში ოქროს გულის ფორმის თვალბუდეში ჩასმულია პიროპის თვალი. საყურეს მირჩილული აქვს ოქროს ყუნწი, რომელშიც გაყრილია ოქროსავე თავყუნწიანი და ბოლოგადაკვერილი ღერო. ღეროზე ასხმულია ოქროს და პასტის მძივები. ღერო ბოლოვდება პასტის მრგვალი ბურთულით. საყურის ზემოთა ნაწილს მირჩილული აქვს ოქროს ორი ყუნწი, რომლებშიც გაყრილია ოქროს ბოლოებგადახსნილი რგოლი. რგოლზე მირჩილულია ოქროს ყუნწი და სამყურა ფოთლისებური ფორმის თვალბუდე — ოქროს თავწაკვერილი ღერაკით, რომელზედაც მარგალიტის თვალია წამოცმული. თვალბუდეში ზის ფირუზისფერი პასტის ბრტყელზედაპირიანი თვალი (სურ. 9).

თიხის დოქი, ნაკლული, ნარინჯისფერი პრიალა ზედაპირით, მსხლისებური

ფორმის, ბრტყელი ძირით. კარგად განლექილი თიხა თანაბრადაა გამომწვარი. (სურ. 5).

რკინის სატევარი, ორღესული, მახვილი წვერით, სწორი განიერი მხრებით, ბრტყელი, ზემოთ წაწვეტებული ყუნწით. დაზიანების გამო დაბალი ქედი ოდნავ-ლა შეიმჩნევა. აქა-იქ შერჩენილია ხის (ქარქამის) ანაბეჭდები. (ტაბ. XX₄).

მძივები გიშრის, შინდის კურკის ფორმის, ცილინდრული, სხვადასხვა ზომის, თითო ნახვრეტით (7 ცალი).

სარდიონის მძივები, მოწითალო ფერის, შინდის კურკის ფორმის, წახნაგოვანი, მრგვალი (1 ცალი), სხვადასხვა ზომის.

პასტის მძივი, ცისფერი, მრგვალი (1 ცალი).

სარდიონის თვალი, ნაკლული, მუქი ნარინჯისფერი.

სამარხი № 8. სამარხი მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე. მიცვალებული იწვა გულაღმა გამოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისაკენ. თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ვერცხლის ფილა. ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა რკინის შუბის პირი, სამხრეთ კედელთან — მიცვალებულის მარჯვენა ბარძაყის ძვალთან — რკინის ორი სატევარი და ერთი დანა (ნაკლული); იქვე, სატევრის წვერთან, რკინის კონუსის ფორმის ნივთი (შესაძლოა ფარის ნაწილი); მარცხენა ხელის იდაყვთან აღმოჩნდა დანის ძვლის ტარი; აღმოსავლეთ კედელთან რკინის ერთი სამწახნაგა ისრის პირი; ჩრდილოეთის კედელთან რკინის ორი სამწახნაგა ისრის პირი, მარჯვენა ყბის ძვალთან აბზინდის მსგავსი რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი. ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მიცვალებულის თავთან, აღმოჩნდა თიხის დამტვრეული ჭურჭელი. მიცვალებულს მარცხენა ხელის ნეკზე ეკეთა ოქროს ბეჭედი.

ბეჭედი ოქროსი, ბრტყელგანივკვეთიანი. რკალი მხრებისაკენ ფართოვდება. მხრები ოდნავ წაკუთხულია. მაღალ, მრგვალ თვალებზე მისი პასტის ცისფერი, ბრტყელი თვალი ზის. თვალების გარშემო ცვარულები შემოსდევს. (ტაბ. XV₅).

ვერცხლის თასი, ნაკეთებია თხელი ფირფიტისაგან. თასის ძირზე, ცენტრში, თევით არის ამოყვანილი ექვსფოთლიანი ვარდული, გარშემო ბურთულების მწკრივით. კედლებზე 5 სმ დიამეტრის ხუთი ბურთულაა ამოყვანილი, რომელთა შორის თითო პატარა ბურთულა ზის. ოდნავ პროფილირებულ პირს ქვემოთ შემოსდევს წვრილი ბურთულების ორი მწკრივი (ტაბ. XI₂).

რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, ნაკლული, კონუსური ფორმის, გარშემო თხელი, 2 სმ სიგანის პირით. ძირზე შემორჩენილი აქვს ორი მანჭვალედი ერთმანეთის საპირისპირო მხარეს. ჩამოტენილ ნაპირებს, რომლებიც ფრაგმენტების სახითაა შემონახული, მანჭვალეები აქვთ შემორჩენილი. (ტაბ. XX₉).

თიხის დოქი, ნაკლული, ნარინჯისფერი, პრიალა ზედაპირით, ბრტყელი ძირით.

რკინის ისრის პირი, ნაკლული, სამწახნაგა, მრგვალგანივკვეთიანი ყუნწით. რკინის ისრის პირის, სამწახნაგა, მრგვალგანივკვეთიანი ყუნწით.

რკინის ისრის პირი, ნაკლული, სამწახნაგა.

რკინის სატევარი, ორლესული, სწორი განიერი მხრებით, ბრტყელი, ერთ-მანჭვლიანი ყუნწით. დაბალი ქედი ოდნავლა შეიმჩნევა. აქა-იქ შერჩენილია ხის (ქარქაშის) ანაბეჭდები. (ტაბ. XX₁₀).

რკინის შუბის პირი, მრგვალი მხრებით, მაღალი ქედით, მასრაშეკრული. რკინის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღერო მასრაზე მიმაგრებულია რკინისავე მანჭვალით, რომელიც უთუოდ ხის ტარსაც ამაგრებდა მასრაში. მასრის შიგნით ხის ანაბეჭდები შეიმჩნევა. (ტაბ. XX₁₁).

სამარხი № 9. სამარხი მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე. მართკუთხედი ფორმის ორმოს, რომლის სიგრძე იყო 1,85 მ, სიგანე 0,8 მ, შემოვლებული ჰქონდა, ქვის ცალპირი კედლები. მიცვალებული იწვა გულ-აღმა, ფეხები მოხრილი ჰქონდა, მარცხენა მკლავი მკერდზე ედო, ხოლო მარჯვენა სხეულის მიმართულებით ჰქონდა ჩამოშვებული. ორმოს ჩრდილო-დასავლეთით, მიცვალებულის თავთან, აღმოჩნდა ბრინჯაოს წინწილები. იქვე აღმოჩნდა რკინის ჯაურკვეველი დანიშნულების მრგვალფირფიტებიანი ნივთი, სამხრეთ კედელთან თიხის ჩაფი და დოქი. მიცვალებულის გულმკერდის არეში ეყარა გიშრის, მინის, პასტისა და სარდიონის მძივები. თავის არეში აღმოჩნდა ოქროს მსხლის ფორმის საყურეები, მარცხენა ხელის თითზე გემიანი ოქროს ბეჭედი, ორმოს ცენტრში ვერცხლის თასი აბზინდით. აღმოსავლეთის კედელთან, მიცვალებულის ტერფის ძეგლებთან იყო ერთი მძივი.

ვერცხლის თასი, ნაკეთებია თხელი ფირფიტისაგან. თასის კედლებზე ცენტრიდან ნაირებისაკენ თეგით არის ამოყვანილი ტოლმკლავა კანილურებით შესრულებული ჯვარი. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია რვაფოთლიანი ვარდული, ფოთლის წვერებზე თითო მცირე ზომის ბურთულით. ასეთივე ბურთულები მოთავსებულია თითოეულ კანილურს შორის. თასს კედელზე მანჭვლებით მიმაგრებული აქვს აბზინდი. (სურ. 10).

ბეჭედი ოქროსი, ოვალურგანივკვეთიანი რკალი მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება. რკალის ქვედა ნაწილი მირჩილულია მაღალ თვალბუდესთან ერთად გამოყვანილ ზედა რკალთან. მირჩილვის ადგილებთან კუთხოვანი მხრები იქმნება. ზედა რკალს თვალბუდისაკენ გასდევს ორ-ორი ოდნავ შესამჩნევი წიბო. თვალბუდე ოვალურია და გარშემო ცვარულები შემოუყვება. თვალბუდეში ზის მუქი ნარინჯისფერი ინტალიო — ოდნავ ფრთაგამილი არწივის გამოსახულებით.

არწივი დაბალ, მრგვალ სამსხვერპლოზე დგას. ნისკარტში გვირგვინი უჭირავს, ხოლო ფეხით პალმის ტოტი — გამარჯვების სიმბოლო. (სურ. 11).

საყურეები ოქროსი, ბოლოებგახსნილ ელექტრონის რკალზე მირჩილულია ყუნწი. ყუნწში გაყრილია ბრინჯაოს თავყუნწიანი ბოლოგადაკვერილი ღერო. ღეროზე ასხმულია: ელექტრონის წვრილი ცილინდრული მძივი, პასტის როდინისებური თეთრი მძივი და ელექტრონის მძივი. ღერო ბოლოვდება ოქროს მსხლისებური ფუყე ბურთულით, რომელიც შემკულია კოვზური ორნამენტით. ბურთულის ზედა და ქვედა ნაწილი ერთმანეთზეა მირჩილული, რის გამოც მუცელზე ჩაღრმავებული წრესაზი იქმნება. (სურ. 12).

თიხის ჩაფი, მოწითალო-ვარდისფერი, გადაშლილი პირით, ფართო საშუალო სიმაღლის ყელით, გამოზებრილი მუცლით, ბრტყელი ძირით. ორი ბრტყელგანიკვეთიანი ყური მხრებსა და ყელზე აქვს მიმერწილი. ქარსმინარევებიანი კეცი მოწითალოა.

თიხის დოქი, მოწითალო ფერის, მსხლისებური ფორმის, გადაშლილი პირით, საშუალო სიმაღლის ვიწრო ყელით, ბრტყელი ძირით. ბრტყელგანიკვეთიანი ყური ყელსა და მუცელზე აქვს მიმერწილი. ზედაპირი დაფარულია წნევით გამოყვანილი პრიალა შვეული ზოლებით.

თეფში ბრინჯაოსი. პირზე შემოუყვება პუნსონით გამოყვანილი წიწვოვანი ორნამენტი. ბრტყელგანიკვეთიანი სახელურები ვუმბათისებურად ამოზნექილ გარე ზედაპირზე აქვს მიმაგრებული.

მძივები მინის, ლურჯი ფერის.

მძივები გიშრის, ცილინდრული ფორმის;

მძივები პასტის, ცისფერი, ცილინდრული ფორმის.

სამარხი № 10. სამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,15 მ-ის სიღრმეზე, წარმოადგენდა ქვებით შემოწყობილ ოთხკუთხა ფორმის ორმოს. მიცვალებული იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. მარცხენა ხელი მუცელზე ედო, ხოლო მარჯვენა ბარძაყის ძვლამდე ჰქონდა ჩამოშვებული. სამარხის სამხრეთით, ორმოს ცენტრში, აღმოჩნდა დიდი ზომის ჩაფი და დოქი. მარჯვენა ფეხის ბარძაყთან იდო რკინის სატევარი. მიცვალებულის მარჯვენა ყურის არეში იყო ოქროს საყურე და მონეტა, ხოლო მარცხენა ყურთან ვერცხლის საყურე. მარცხენა ხელის თითზე შერჩენილი ჰქონდა ოქროს ბეჭედი ცისფერი თვლით.

მონეტა ოქროსი, კონსტანციუს II-ისა, ნაყალბევი.

საყურე ოქროსი, ნაკლული. ოქროს ყურსაკიდ რკალს მირჩილული აქვს ოქროს ყუნწი, რომელშიც გაყრილია ბრინჯაოს თავყუნწიანი და ბოლოგადაკვერილი ღერო. ღერო გადატეხილია ყუნწთან, ისე, რომ ბრინჯაოს ყუნწი განცალკევებულია ღეროს იმ ნაწილისაგან, რომელზედაც ასხმულია პასტის მრგვალი ცისფერი

მძივი, ოქროს ვარდული, ოქროს მსხლისებური ფუყე ბურთულა და სულ ბოლოს ჰატარა მარგალიტის მძივი. მსხლისებური ბურთულა, რომელიც საყურის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, შემკულია კოვზური ორნამენტით. (სურ. 12).

ელექტრონის საყურე, ნაკლული. ბოლოებგადადებულ რკალზე მირჩილულია ელექტრონის ყუნწი, რომელშიც გაყრილია ბრინჯაოს თავყუნწიანი ბოლოგადაკვერილი ღერო. ღერო გადატეხილია და ნაწილი დაკარგულია. ღეროზე ასხმულია ელექტრონის ვარდული, პასტის როდინისებური თეთრი მძივი, ელექტრონის ბრტყელგანივკვეთიანი რგოლი და ვერცხლის ბურთულა. ვერცხლის ბურთულას შერჩენილი აქვს ბოლოგადაკვერილი ღეროს ნაწილი.

ბეჭედი ოქროსი. ბრტყელგანივკვეთიანი რკალი შუაში წვრილია, მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება, მხრები კუთხოვანი აქვს. მაღალი წაკვეთილი კონუსის ფორმის თვალბუდე მირჩილულია რკალზე, გარშემო ოდნავ შესამჩნევი წიბოები-თაა დაფარული. თვალბუდეში ჩასმულია ცისფერი კამეა. ფონი მოლურჯო-ნაცრისფერია. გამოსახულება თეთრ ფენაზეა ამოკვეთილი. გამოსახულია გორგონას თავი. გამოსახულება ძალიან მაღალი რელიეფითაა შესრულებული, რამდენადმე დაუდევრად. მედუზას მოგრძო, ფართოდ გახელილი თვალები, ოდნავ დაბერილი ტუჩები და ლამაზი მოყვანილობის სახის ოვალი აქვს. სახე გარშემოვლებულია გრძელი ხვეული თმებით. კამეას ზედაპირი კარგად არის გაპროალეზული. მედუზას ცხვირი და თავის ნაწილი მოტეხილი აქვს. (სურ. 11).

თიხის დოქი, ნაკლული. მოწითალო-ნარინჯისფერი. მსხლისებური ფორმის, საშუალო სიმაღლის ვიწრო ყელით, ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარსა და პირზეა მიძერწილი. დოქს მხარზე სამ წყებად შემოსდევს დამრეცი ჭდეულები. ზედაპირი დაფარულია წნევით გამოყვანილი პრიალა შვეული ზოლებით.

რკინის სატევარი, ნაკლული, ორლესული, სწორი განიერი მხრებით, ბრტყელი ყუნწით, წვერი წატეხილი აქვს. ზოგან ხის ანაბეჭდები შეინიშნება.

სარდიონის თვალი, ოვალური ფორმის, მოწითალო-ყავისფერია. (სურ. 13).

სამარხი № 11. სამარხი მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1,30 მ-ის სიღრმეზე. წარმოადგენდა ქვებით შემოწყობილ ოთხკუთხა ფორმის ორმოს (სიგრძით 1,40 მ, ხოლო სიგანით 0,85 მ). სამარხში ბავშვი იყო დაკრძალული, იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილი ფეხებით. ხელის მტევნები სახის წინ უნდა პქონოდა მოთავსებული. იქვე აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭედი, ოქროს ბუდეში ჩასმული წითელი ფერის თვალი, ხოლო ორმოს ცენტრში ჩადგმული იყო ზაფრანის-ფერი თიხის დოქი.

თვალი გრანატიის (პიროპი), მრგვალ-ბრტყელი, ჩასმულია ოქროს მრგვალ თვალბუდეში.

თიხის დოქი, ნაკლული. ზაფრანისფერი, ბრტყელი ძირით (მსხლისებური ფორმის უნდა ყოფილიყო), აღდგენა არ ხერხდება.

საყურე ბრინჯაოსი, მსხლისებური ფორმის. მირჩილულია ლეროზე, რომელიც ყუნწით მთავრდება. ყუნწში პატარა რგოლია გაყრილი. ლეროზე ასხმულია ბრინჯაოს ორი ვარდული და მათ შუა მოყვითალო ფერის პასტის მიძივი.

ბეჭედი ვერცხლის, ნაკლული.

სამარხი № 13. სამარხი მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1, 10 მ-ის სიღრმეზე, წარმოადგენდა დიდი ზომის ქვებით შემოწყობილ ოთხკუთხა ფორმის ორმოს, რომლის სიგრძეა 2 მ, სიგანე 0,80 მ. მიცვალებული იწვა გულაღმა გაშობილი, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთისაკენ. ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა დიდი ზომის დაღეწილი ჩაფი და ნარინჯისფერი დოქი. მიცვალებულის თავის ქალის არეში აღმოჩნდა ოქროს ორი საყურე (სხვადასხვა ფორმის) და რკინის დანა, მარცხენა ხელის თითზე მცირე ზომის ოქროს ზეჭედი, გულმკერდის არეში გიშრის, პასტისა და სარდიონის მიძივები.

საყურე ოქროსი. წარმოადგენს ოვალური ფორმის ოქროს ბრტყელ ფირფიტას, რომელსაც კიდებზე გარშემოუყვება ყვავილოვანი ორნამენტი. შუაში ოქროს ოვალური თვალბუდეა ჩასმული, გრანატის ოდნავ ამობურცული თვლით. თვალბუდე, თანაბარი მანძილებით დაშორებული ოქროს ოთხი ლერაკით, უკავშირდება ყვავილოვანი ორნამენტის შიგნით შემოვლებულ თხელ რკალს. ამ რკალსა და თვალბუდეს შორის მოთავსებულია მოშაო ფერის პასტის თვლები. საყურეს ზემოთ მირჩილულ ორ ოქროს ყუნწში გაყრილია ოქროს ყურსაკიდი რგოლი, რომელიც გახსნილია ბოლოებით. რგოლს მირჩილული აქვს დეფორმირებული ყუნწი. საყურეს ქვემოთ მირჩილული აქვს სამი ოქროს ყუნწი. თითოეულ ყუნწში გაყრილია თავყუნწიანი ბოლოგადაკვერილი ოქროს ღერო. შუა ლეროზე შერჩენილია ოქროს ვარდული და როდინისებური სალათისფერი პასტის მიძივი. დანარჩენ ღეროებზედაც უნდა ყოფილიყო ასხმული მიძივები და ვარდულები. საყურე ნაკლულია (სურ. 4).

ბეჭედი ოქროსი. მრგვალ-ბრტყელგანივკვეთიანი რკალი მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება, კუთხოვანი მხრები აქვს. თვალბუდე ოვალურია და გარშემო ოქროს ცვარულები შემოუყვება. შიგ ზის გრანატის თვალი.

საყურე ოქროსი, ნაკლული. იგი წარმოადგენს ბიკონუსური ფორმის ფუყე ბურთულას, რომელიც კონცენტრული ჩალარული წრეებითაა დაფარული. ბოლოში ხუთი ოქროს ცვარული აქვს მირჩილული. (ტაბ. XIV).

თიხის დოქი, ნაკლული, ნარინჯისფერი, მსხლისებური ფორმის, გადაშლილი პირით, ბრტყელი ძირით. ყური ყელსა და მუცელზე აქვს მიძერწილი. ზედაპირი დაფარულია წნევით გამოყვანილი პრიალა შვეული ხაზებით.

რკინის დანა, ირიბად ჩამოჭრილი წვეტით, სწორი მხრებით, ბრტყელი ყუნ-
წით, ყუნწზე ერთი სამანჭვალე ნახვრეტი აქვს. (ტაბ. XX₆).

მძივები ქარვის, მრგვალი, მრავალწახნაგა, მოწითალო-მოვარდისფრო.

სამარხი № 17. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,30 მ-ის სიღრმეზე. წარმოადგენდა ოთხკუთხედის ფორმის ქვებით შემოზღუდულ ორმოს, რომლის სიგრძე იყო 1,9 მ, სიგანე 1,1 მ. მიცვალებული იწვა გულაღმა, თავით დასავლე-
თისაკენ. ხელები მუცლის არეზე ჰქონდა დაკრეფილი. ყურების არეში აღმოაჩნდა ოქროს წყვილი საყურე, ხოლო მარცხენა ხელის ნეკზე ოქროს ბეჭედი.

ბეჭედი ოქროსი, მხრებდაკუთხული, მაღალი მრგვალი თვალბუდით, ბეჭდის ცენტრალურ თვლად გამოყენებულია მონეტა ოქროსი. (ტაბ. XXII₄).

ოქროს წყვილი საყურე, რკალზე მირჩილული აქვს ოქროს ყუნწი, რომელშიც გაყრილია ბოლოებგადაკვერილი ბრინჯაოს ღერაკი. ღერაკზე ასხმულია ოქროს ორი რგოლი, რომელთა შორის მოქცეულია პასტის როდონის ფორმის თეთრი მძივები. საყურე მთავრდება ოთხი ღერაკით, რომელზედაც ასხმულია მარგალი-
ტის მძივები (სურ. 14).

ფირფიტა ოქროსი, მრგვალი. წონითა და ზომით უახლოვდება რომაულ მონე-
ტებს (სურ. 6).

სამარხი № 18. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე. მიცვა-
ლებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილი ფეხებით. ხელები პირისახის წინ ეწყო. სამარხში აღმოჩნდა ოქროს საყურეები, ბეჭედი და მძივები.

საყურე ოქროსი. ყურსაკიდ რკალს მირჩილული აქვს ოქროს ყუნწი, რომელ-
შიც გაყრილია თავყუნწიანი და ბოლოგადაკვერილი ღერო. ღეროზე ასხმულია:
ოქროს ორ ვარდულს შორის მოქცეული პასტის უფერული როდინისებური მძივი,
მას მოჰყვება მარგალიტის მძივი და ოთხტოტიანი ბოლოებგადაკვერილი ოქროს
ოთხი სხივი. მეხუთე სხივს ქმნის თვითონ ღერო. სხივებზე ასხმულია თითო მარ-
გალიტი და ბოლოში იქმნება მარგალიტების კუნწულა (სურ. 14).

ბეჭედი ოქროსი, რკალი ქვემოთ ვიწროა, თვალბუდისაკენ თანდათან ფარ-
თოვდება. რკალის გარე ზედაპირი ოდნავ ამოზურცულია, ზედა ნაწილში მომრ-
გვალეებულია. დაბალი თვალბუდე ოვალურია და შიგ ზის ორფეროვანი თვალი,
ქვედა ფენა შავია, ზედა — ცისფერი (ტაბ. XVI₁).

მძივები გიშრის, შინდის კურკის ფორმის, 2 ცალი.

მძივი ოქროსი, როდინისებური, ერთი ცალი.

ფრაგმენტი ოქროსი, ყურძნის მტევნის ფორმის.

თიხის დოქი, ნარინჯისფერი, ნაკლული. ბრტყელგანივკვეთიანი ყური პირი-
დან გადადის და მხარზე აქვს მიძერწილი. პროფილირებული ვიწრო პირი ოდნავაა

გადმოშლილი. ზედაპირზე წნევით გამოყვანილი ვერტიკალური პრიალა ხაზები დაუყვება. კეცი ვარდისფერია, კარგადაა განლექილი.

სარდიონის თვალი, მოწითალო, მრგვალბრტყელი, გლუვი ზედაპირით. ორივე მხარე მოხატულია თეთრი საღებავით. ცენტრში წრეა შემოსაზული, რომლის გარშემოც ხაზები სხივებივით მიემართება ნაპირებისაკენ. სხივებს აერთიანებს ნაპირზე შემოვლებული წრე. ცენტრში და სხივებს შორის თეთრი წერტილები ზის. მთლიანად ხევისურულ ქუდს მოგვაგონებს. აქვს ერთი ხვრეტილი, რომელიც ბრტყელ ნაპირებს აერთებს (სურ. 13).

თიხის დოქი, მოწითალო-ნარინჯისფერი, ნაკლული. მსხლისებური ფორმის ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელზე და მუცელზე. ვიწრო პროფილირებული პირი ოდნავაა გადმოშლილი. ყელი ვიწრო და მაღალი აქვს, მუცელი გამობერილი. კეცი ვარდისფერია, კარგადაა განლექილი.

სამარხი № 29. მიცვალებული იწვა თავით დასავლეთისაკენ. ფეხები სწორად ეწყო. ჩონჩხის დანარჩენი ნაწილი დაზიანებული იყო. თავი ვერცხლის თასში ჰქონდა ჩასვენებული. თავის ქალის არეში ოქროს საყურეები აღმოჩნდა, ხოლო ორმოს ცენტრში გაურკვეველი დანიშნულების ვერცხლის ნივთი და ოქროს ბეჭედი. ორმოს სამხრეთ კედელთან თიხის დიდი დამსხვრეული ჩაფი და თიხისავე პატარა დოქი იდგა. მარჯვენა ფეხის ბარძაყთან აღმოჩნდა რკინის დანა.

ბეჭედი ოქროსი, ოვალურგანივკვეთიანი, რკალი ქვემოთ წვრილია, მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება. ბეჭდის დაბალ თვალბუდევ ფოთლის ფორმა აქვს, რომელშიც ზის ფოთლისავე ფორმის ირიზებული მინის თვალი. თვალბუდის წვეტიან კიდეებთან ოქროს ბოლოგადაკვერილი შვერილი აქვს, რომელზედაც წამოცმული უნდა ყოფილიყო მარგალიტის მძივი.

ვერცხლის თასი, ნაკლული. ნაკეთებია თხელი ფირფიტისაგან. პირი ოდნავ აქვს პროფილირებული (ტაბ. XIX).

გაურკვეველი დანიშნულების ვერცხლის ნივთი, ნახევარსფეროს მოყვანილობის; ვერცხლის ნივთი ცენტრში გახვრეტილია. სფეროს კედლები დაფარულია ყვავილოვანი ორნამენტით.

ს ა ყ უ რ ე, ყურსაკიდ რკალზე მირჩილულია ოქროს ყუნწი. საყურის ეს ნაწილი ცალკეა. მეორე ნაწილი წარმოადგენს ბრინჯაოს ბოლოგადაკვერილ ღეროს, რომელზეც ასხმულია ოქროს ორი ბრტყელგანივკვეთიანი რგოლი, მათ შორის მოქცეულია პასტის როდინისებური თეთრი მძივი და ბოლოში ერთი მარგალიტის მრგვალი მძივი (სურ. 7).

ს ა ყ უ რ ე, ოქროს ყურსაკიდ რკალს მირჩილული აქვს ოქროს ყუნწი, რომელშიც გაყრილია ოქროს თავყუნწიანი ბოლოგადაკვერილი ღერო. ღეროზე

ასხმულია ოქროს ორ ვარდულს შორის მოქცეული პასტის თეთრი როდინისებური მძივი და მარგალიტის ორი მძივი (სურ. 7).

რკინის დანა, ნაკლული, ყუნწი მოტეხილია. დანის პირზე და ყუნწზე შეინიშნება ხის ანაბეჭდები. დანა ჟანგისაგან ძალზე დეფორმირებულია.

სამარხის № 36. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 90 სმ-ის სიღრმეზე, კედლის ერთი მხარე დიდი გაუთლელი ქვებით იყო შემოზღუდული. მიცვალებული იწვა გულალმა გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. თავი ჩასვენებული ჰქონდა ვერცხლის თასში. ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა ვერცხლის სურა. ორმოს ცენტრში, მიცვალებულის მარჯვენა მკლავსა და ნეკნებს შორის, ეგდო ოქროს ორი მონეტა. მარცხენა ხელის თითზე ჰქონდა სარდიონის თვლიანი ოქროს ბეჭედი. ორმოს ცენტრში, მიცვალებულის წელის არეში, აღმოჩნდა ოქროს წყვილი ბალთა. ორმოს სამხრეთ კედელთან, მიცვალებულის მარჯვენა ბარძაყის ძვალთან, იდო ოქროთი გაწყობილი სატევეარი და რკინის დანა.

ორმოს აღმოსავლეთ კედელთან (მიცვალებულის ფეხებთან) ეწყო სამი ვერცხლის კოჭსაფარი და რკინის სამწახანაგა ნაკლული ისრის პირი. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე სამეთუნეო ნაწარმი.

ბ ა ლ თ ა ო ქ რ ო ს ი, ორნაწილიანია. ერთი ნაწილი შედგება აბზინდი-საგან, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ოქროს მრგვალ, ოდნავ ამალეზულ თვალბუდეს, რომელშიც სფეროსებრი-ფორმის ძოწის თვალი ზის. თვალბუდეს გარშემო ოქროს ცვარულები შემოსდევს. იგი მირჩილულია ოქროს ბრტყელ ორმაგ ფირფიტაზე (სურ. 15).

მეორე ბალთა ოქროსი აღწერილის ანალოგიურია (სურ. 15).

მონეტა, ოქროსი, რომაული (სურ. 6).

მონეტა, ოქროსი, რომაული (სურ. 6).

ბეჭედი ოქროსი, ბრტყელგანივიკვეთიანი რკალის ქვედა ნაწილი მირჩილულია მაღალ თვალბუდესთან ერთად გამოყვანილ რკალის ზედა ნაწილზე. მირჩილვის ადგილებთან იქმნება კუთხოვანი მხრები. მხრებს ზემოთ, რკალის თვალბუდის პირამდე აუყვება გადაცვეთილი ორ-ორი წიბო. თვალბუდეში ზის სარდიონის მუქი ჩაისფერი თვალი თხის გამოსახულებით (ტაბ. XXI₁).

რ კ ი ნ ი ს დ ა ნ ა, ნაკლული. რკინა დაშლილია. გაირჩევა მხოლოდ დანის წვერის ფორმა, ტარზე ოქროს მოსართავი აქვს. იგი წარმოადგენს თხელი ფირფიტისაგან ნაკეთებ ოქროს რგოლს კონცენტრული ჩაჭრილი ზოლებით. რგოლი ნაკლულია.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს თ ა ს ი. ნაკეთებია ვერცხლის თხელი ფირფიტისაგან. თასის მთელი ფართობი შიგნითა ზედაპირიდან პუნსონით არის დაწინწკლული ისე, რომ გარე ზედაპირზე წინწყლები ამობურცულია. წინწყლები თანაბარი მანძი-

ლებითაა ერთმანეთს დაშორებული და ქმნიან კონცენტრულ წრეხაზებს. (ტაბ. XIX).

რკინის სატევარი ოქროს მოსართავებით. სატევარი დაშლილია. შემორჩენილია ყუნწი, რომელსაც ვადასთან ოქროს დეფორმირებული სალტე აქვს შემოკრული. ყუნწს, რომელზედაც ხის ტარის ანაბეჭდები შეინიშნება, ოქროს ბუდე აქვს. უფრო მოზრდილი ხეიები ვადასთან ჰქონდა, ხოლო მომცრო — სატევრის შუა ტანსა და წვერს შორის. ზედა ხეიებს თავისივე ფორმის ორ-ორი ღარი გასდევს, ხოლო ქვედა ხეიებს თითო ღარი. სატევრის წვერთან იდო ოქროს ბრტყელძირიანი ქარქაშის ბუდე. (ტაბ. XL₃).

ვერცხლის სურა, მსხლისებური ფორმის საშუალო სიმაღლის ყელით, გადაშლილი პირით. ყელზე შემოსდევს თეგით ამოყვანილი ლილვი. ლილვს ორივე მხარეს შემოსდევს თითო ჭედული ზოლი. ზოლს ქვემოთ შემოსდევს მცენარეული ორნამენტები, რომლებიც ფოთლებს გამოსახვენ. (სურ. 16).

კოჭსაფარები ვერცხლის. თითოეული წარმოადგენს ვერცხლის ფირფიტისაგან ნაკეთებ ნახევარაფეროს, რომლის კედლებზე ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილებით დაშორებული სამი ჭრილია. ჭრილებს წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს. თითოეულ ჭრილს ამოყრილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ჩალარული ყუნწი, რომლის მომრგვალებული ბოლოები შეერთებულია მანჭვალით. საკოჭურის პირი ოდნავ პროფილირებულია.

კერამიკა. აღწერილი კომპლექსების ინვენტარიდან პირველ რიგში განვიხილავთ სამეთუნეო ნაწარმს. სამარხებში აღმოჩენილ ჭურჭლებს ხუთ ჯგუფად ჩყოფთ. პირველ ჯგუფში ვაერთიანებთ კარგად განლექილ თიხისაგან დამზადებულ გაპრიალებულზედაპირიან ნარინჯისფერ, მრგვალმუცლიან დოქებს, რომლებსაც მხარზე და პირზე მიძერწილი ყური აქვთ. (სურ. 8). მეორე ჯგუფში ვაერთიანებთ მსხლისებური ფორმის მოწითალო ფერის ბრტყელძირიან დოქებს მაღალი ყელითა და ოდნავ გადმოშლილი პირით. ამ ჭურჭლებს ყური მიძერწილი აქვთ მხრებზე და ყელზე. (სურ. 5).

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება დიდი ზომის ნარინჯისფერი დოქები მრგვალი მუცლით, ბრტყელი ძირით, სამტუჩა პირით. დოქებს ყური პირზე და მხრებზე აქვთ მიძერწილი. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ასეთი დოქებია შემკული ორნამენტით. მათ მხარზე შემოსდევს ჩალრმავებული ჭედულებით შედგენილი წრეები. (ტაბ. XXIII₁).

მეოთხე ჯგუფს მივაკუთვნებთ დიდი ზომის მოწითალო ფერის ფართო დაბალყელიან ორყურა ჩაფებს, რომლებსაც ყურები მიძერწილი აქვთ მხარზე და ყელზე. მესუთე ჯგუფს — მცირე ზომის მოყვითალო ფერის დოქებს. (ტაბ. XVIII_{1,2}).

სამეთუნეო ნაწარმი ძირითადად სადაა, ნატიფადაა ნაძერწი და გამოირჩევა

დახვეწილი ფორმებით. პირველ და მეორე ჯგუფში გაერთიანებული დოკუმების თითქმის იდენტურია ურბნისის ნაქალაქარზე ახ. წ. IV საუკუნის სამარხებში მოპოვებული თიხისა ცურჭლები¹ და გარკვეულ მსგავსებას აძლავნებს არმაზის ხევისა და აპაჭარხუს გვიანანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმთან.

მესამე ჯგუფში გაერთიანებული ცურჭლები არქიტექტონიკით ურბნისის ნაქალაქარის შედარებით გვიანდელი ხანის სამეთუნეო ნაწარმთან იჩენს მსგავსებას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაო განსხვავება შეინიშნება დამზადების ტექნიკაში.

მოდინახური დოკუმების ზედაპირი გაპრიალებულია და ორნამენტითაა შემკული. ეს სამტურა დოკები გენეტიკურად თითქოს დაკავშირებული ჩანს ელინისტური ხანის საღვინე ხელადებთან.

მეოთხე ჯგუფში გაერთიანებულ დიდი ზომის ამფორისებურ ჩაფებს ზუსტი ანალოგიები ეძებნება აგრეთვე ურბნისის ნაქალაქარის ანტიკური ხანის დასასრულის სამეთუნეო ნაწარმთან². ზღუდერში აღმოჩენილ ორკურა ჩაფებს, ისე როგორც დოკებს, გ. ნემსაძე IV—VI საუკუნეებით ათარიღებს³.

ს ა ო მ ა რ ი ი ა რ ა ლ ი. სამარხებში დიდი რაოდენობით არის მოპოვებული რკინა-ფოლადის იარაღი — საჭურველი. მამაკაცებს ჩატანებული აქვთ ფოლადის ორღესული სატევრები, მძიმე წონის მასრამეკრული შუბის პირები, ოდნავ მოხრილი რკინის დანები და ისრის პირები. მერვე სამარხში აღმოჩენილია რკინის სქელი ფირფიტისაგან დამზადებული კონუსური ფორმის ნივთი, რომელსაც ანალოგიები ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ კომპლექსებში თითქმის არ ეძებნება, მაგრამ ვფიქრობთ იგი ფარის შუა ნაწილზე იყო მიმაგრებული და ამ საბროლო იარაღის დეტალს წარმოადგენს. (ტაბ. XX₉). რაც შეეხება ორღესულ სატევარს, ისინი ორი სახითაა წარმოდგენილი: შედარებით გრძელი დაშლისებური სატევარი და საშუალო სიგრძის მხრებგანიერი, წვერისაკენ მკვეთრად დაქანებული სატევრები, რომლებსაც ხის ან ძვლის ტარში ჩასამაგრებელი 6—7 სანტიმეტრის სიგრძის ყუნწი აქვთ. მსგავსი იარაღები (ტაბ. XX) გვიანანტიკური ხანის საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. გვხვდება მცხეთის⁴, კლდეეთის⁵ და აპაჭარხუს⁶

1 ლ. ჰილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964 წ., გვ. 62.

2 ლ. ჰილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97, ტაბ. XX X.

3 გ. ნემსაძე, ზღუდერის არქ. ექსპედიციის 1964—66 წწ. ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციის ანგარიშები 1965—67 წწ., გვ. 44.

4 ა. აფაქიძე, აღ. კალანდაძე, გ. ლ. მთათიძე, მცხეთა 1, ტაბ. III.

5 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, ტაბ. XX I.

6 Г. К. Шамба, Ахачарху-древний могильник нагорной Абхазии, Сухуми, 1970 г., стр. 18.

სამარხებში. ისინი შეიძლება შევადაროთ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ ცალებს¹.

მოდინახური სატევრები ძალზე მოგვაგონებენ კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ ორლესულ ხანჯლებს. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მათ უშუალო განვითარებას უნდა წარმოადგენდეს. სამარხში აღმოჩენილი შუბის პირებიც ორი სახისაა: მასრაშეკრული მძიმე წონის შუბის პირები, რომელთა წონა თითქმის ერთ კილოგრამს აღწევს. ისინი შედარებით მოკლეა და შეკრულ მილისებურ მასრაზე მიჭედელი აქვს ოთხგანიკვეთიანი რკინის მასიური სამხრეული. სამხრეული შუბის პირის შუბის ტარზე მისაჭედად და დასამაგრებლად ყოფილა განკუთვნილი. მეორე სახის შუბის პირები წარმოდგენილია სამხრეულის გარეშე. შეკრული მასრა შედარებით გრძელი აქვს და პირზე დაბალი ქედი გასდევს. ასალი წელთაღრიცხვის IV საუკუნით დათარიღებული ამ სახის შუბის პირებს მრავლად შეიცავს აპაჭარხუს სამაროვანის არქეოლოგიური კომპლექსები². გრძელი მილისებური მასრაშეკრული შუბის პირები გვიანანტიკურ ხანაში ყველაზე უფრო გავრცელებულ იარაღს წარმოადგენს და გვხვდება ბანძის, ჩხოროწყუსა და კლდეეთის იმ სამარხებში, რომლებიც ძირითადად ახ. წ. II—IV საუკუნეებს მიეკუთვნებიან³.

სამარხებში აღმოჩენილი დანების უმეტესობა ცუდადაა შენახული, ისინი სწორზურგიან დანებს წარმოადგენენ, რომლებსაც ტარში ჩასამაგრებელი სამი-ოთხი სანტიმეტრის სიგრძის ბრტყელი ყუნწი აქვთ. (ტაბ. XX). მსგავსი იარაღები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე შავიზღვისპირეთის გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე⁴. რაც შეეხება მოდინახურ სამფრთიან ისრის პირებს, რომლებსაც ტარში ჩასამაგრებელი ოთხ-კუთხედი ან მრგვალი ყუნწი აქვთ, ახლო ანალოგიას პოულობენ კლდეეთურ ისრის პირებთან. ამრიგად, მოდინახეს სამარხეულ კომპლექსებში წარმოდგენილი იარაღ-საჭურველი, რომელსაც ანალოგიები ეძებნება გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალებში, შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის აღნიშნული ეპოქის საომარ აღჭურვილობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხანის სამარხები, განსაკუთრებით კი მცხეთის IV საუკუნის მდიდრული სამარხები, რომელთა სამკაული ძალიან ახლოს დგას მოდინახურთან, თითქმის არ შეიცავენ საბრძოლო იარაღებს.

1 Н. И. Соколовский. Боспорские мечи, Мюн., 33, таб. VI.

2 გ. შამბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

3 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 15. ტაბ. XXI.

4 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXI; იხილეთ აგრეთვე ო. ლაშაშიძე, მსკა, გვ. 192.

ამდენად მოდინახურ კომპლექსებს დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ეპოქის სოციალური სურათის დასადგენად.

ს ა მ კ ა უ ლ ი. როგორც აღწერიდან ჩანს, მოდინახეს არქეოლოგიური კომპლექსები დიდი რაოდენობით შეიცავენ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს. ეს ნივთები ძირითადად სამკაულს წარმოადგენს და შედგება სხვადასხვა ფორმისა და ზონის ბეჭდებისა და საყურეებისაგან. საყურეები შვიდ ტიპად, შვიდ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაყვით. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საყურეები, რომლებსაც ოქროს, ელექტრონის ან ბრინჯაოს ღეროსაგან დამზადებული პირგახსნილი წრიული საკიდები აქვთ.

საკიდებზე მირჩილულ ყურზე ჩამოკიდებულია ოქროს ან ბრინჯაოს ღერაკები. ღერაკებზე ხშირ შემთხვევაში ასხმულია პასტის მძივები, ოქროს ვარდულეები და ორნამენტით შემკული მსხლისებური ან სფეროსებური ფორმის ოქროს ბურთულები. (სურ. 12, 17). დაახლოებით ასეთი ფორმისა და აგებულების საყურეები დამახასიათებელია არმაზისხევის IV საუკუნის მდიდრული სამარხისათვის. რკალის მოყვანილობით და ღერაკზე ასხმული მძივის ფორმებით, ზოგჯერ ისინი დეტალურად ემთხვევიან № 12 სამარხში აღმოჩენილ საყურეებს¹, რომლებიც მოდინახურისაგან განსხვავებით, ოქროს მძივების ნაცვლად, მარგალიტის ბურთულებით ბოლოვდებიან. ასეთი ტიპის საყურეები პირველად აღმოჩენილი იყო ერისთავთა სამაროვანის მეორე სამარხში².

მეორე ჯგუფში გაერთიანებულ საყურეებს მრგვალი პირგახსნილი რკალი აქვთ. რკალზე მირჩილულია საკიდი და მაღალი სამყურა ფოთლის მოყვანილობის ოქროს ბუდე. ბუდეში ჩასმულია მწვანე ფერის პასტის თვალი. საყურის ძირითადი ნაწილი გულის ფორმისაა. გარშემო სხივების სახით შემოსდევს ოქროს ღერაკები. თვალბუდეში ჩასმულია ძოწის თვლები. საყურეებს გარშემო შემოსდევს საკმაოდ ღრმა, მრგვალ თვალბუდეში ჩასმული პასტის მძივები. ბოლოზე მირჩილული აქვს ყუნწი. ყუნწზე ჩამოკიდებულ ოქროს ღერაკზე ასხმულია ოქროს რგოლები და როდინისებური პასტის მძივი (სურ. 9). ეს საყურეები ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. მათ პირდაპირი ანალოგიები არ ეძებნებათ, თუმცა დამზადების ტექნიკითა და ფორმით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ არმაზის ხევის № 19 სამარხში აღმოჩენილ საყურეებთან³. არმაზის ხევის ამ უნიკალურ საყურეებისათვის, ისე როგორც მოდინახურისათვის,

1 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, 1955 წ., გვ. 104.

² იქვე.

3 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, გვ. 108.

დამახასიათებელია საყურადღებო ფოტოლის მსგავსი ბუდეები შუაში ჩასმული გულია ფორმის თუ ნუშის ფორმის თვლებით. საკიდებზე ასხმულია მიძევები და მარგალიტის ბურთულები. ქართულ არქეოლოგიურ მასალებში არმაზის ხევის საყურეები ერთ-ერთ უღამაზეს სამკაულად შეიძლება ჩაითვალოს¹. იგივე ითქმის მოდინახურ ცალებზე, რომლებიც ღირსეულ მეტოქეობას უწევენ გვიანანტიკური საიუველირო ნაწარმის ამ სახის ნივთებს.

მესამე ჯგუფს მივაკუთვნებთ ოქროს ფირფიტისაგან დამზადებულ საყურეებს, რომლებსაც წრიული ფორმის, გავარსით შემკული ბუდეები აქვთ. ზედა ბუდეში, რომელიც ქვედასთან შედარებით გაცილებით დიდი ზომისაა, ჩასმულია ამობურცულზედაპირიანი მოწითალო ფერის მინის თვლები. საყურის ქვედა ბუდე, რომელშიც მწვანე ფერის პასტის თვლებია ჩასმული, ბოლოვდება ყუნწით. ერთ მათგანზე შემორჩენილია ბრინჯაოს ღერაკი, ზედ ასხმული როდინისებური პასტის მიძევებით და ოქროს ვარდულებით. იგი ბოლოვდება ბრინჯაოს ღეროზე ჯვარედინად ასხმული მარგალიტის ხუთი ბურთულით. (სურ. 4). ეს საყურეებიც რთულადაა ნაკეთები და საკმაოდ ღამაზ სამკაულს წარმოადგენს. პირდაპირი ანალოგიები ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ ლიტერატურაში მათ არ ეძებნებათ, თუმცა საერთო სტილით, რაც ზოგჯერ ცალკეული დეტალების დამთხვევით გამოიჩატება, ისინი მოგვაგონებენ გვიანანტიკური ხანის ამ სახის სამკაულებს. მოთვალული საყურეები თითო ბუდით და საკიდებით აღმოჩენილია ზღუდერის № 3 სამარხში². ასევე შეიძლება ისინი შევადაროთ არმაზის ხევის № 8 სამარხის საყურეებს, რომლებიც ბრტყელ ფირფიტაზე დამაგრებული ორი თვლით არის წარმოდგენილი³.

მეთოხე ჯგუფს მივაკუთვნებთ იმ საყურეებს, რომლებსაც ოქროს ღერისაგან დამზადებული პირგახსნილი საკიდები აქვთ. საკიდზე მიჩრილულ ყუნწზე ჩამოკიდებულ ოქროს ან ბრინჯაოს ღერაკებზე ასხმულია როდინისებური პასტის მიძევები, ოქროს რგოლები ან ოქროს ვარდულები. (სურ. 7, 14). სამი მათგანი ბოლოვდება სხივისებური, ღერაკებზე ჯვარედინად ასხმული მარგალიტის ხუთი ბურთულით, სამი საყურე მარგალიტის ორი ბურთულით, ხოლო ერთი ერთი ბურთულით. ამ სახის საყურეები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი არმაზის ხევის IV საუკუნის მდიდრულ სამარხებში. № 19 სამარხში აღმოჩენილი წყვილი საყურე მხოლოდ იმით განსხვავდება მოდინახური ცალებისაგან, რომ ამ უკანას-

¹ ა. აფაქიძე, გ. ჯობჯიშვილი, აღ. კლანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, გვ. 108.

² გ. ნემსაძე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—66 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციის ანგარიშები 1965 — 67 წწ., თბ., 1963 წ., გვ. 50, ტაბ. 7.

³ მცხეთა I, გვ. 69, ტაბ. VI.

კნელს ჯვარედინად ასხმულ მარგალიტის ბურთულებს ქვემოთ, ყუნწზე ჩამოკიდებულ ღეროზე ოქროს ვარდულთან და ცისფერ როდინისებურ მძივთან ერთად. კიდევ ერთი მარგალიტის ბურთულა აქვს ასხმული¹. რაც შეეხება ერთბურთულიან საყურეებს, ისინი თითქმის იმეორებენ არმაზის ხევის ათეულობით ასეთი სახის სამკაულს², აგრეთვე გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ურბნისის³ და ზღუდერის⁴ გვიანანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილ რკალგახსნილ ერთბურთულიან საყურეებთან.

მესუთე ჯგუფში გაერთიანებული საყურეები წარმოადგენენ ოქროს მასიურ საყურეებს, რომლებსაც გახსნილ წრიულ რკალზე მირჩილული აქვთ ოქროს მასიური ბურთულებისაგან შედგენილი მტევნები ან კუნწულები. ოთხი ასეთი საყურის რკალი წრიული და სადაა, ხოლო ორისა ოვალურად არის მოყვანილი და გავარაბითაა შემკული. ამ საყურის წონა 14 გრამს აღწევს, რთული ტექნიკითაა შესრულებული და გვიანანტიკური ხანის ქართული საიუველირო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. (სურ. 17, 18).

ამ ხანის ხელოვნებისათვის უცხო არ არის მტევნებითა და კუნწულებით სამკაულის შემკობა. კლდეეთში⁵, ბორში, სამთავროში, ურბნისში⁶ აღმოჩენილი საყურეები ხშირადაა შემკული ამგვარი საკიდებით. განსხვავება იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში მათი მტევნები თუ კუნწულები ოქროს ფუყე მარცვლებისაგანაა შედგენილი. მოდინახეს ყველა საყურე მთლიანად მასიური ოქროსაგანაა დამზადებული. ამ მხრივ მათ პირდაპირი პარალელი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეძებნებათ. საქ. სახ. მუზეუმში დაცულია სოფ. ქორეთში შემთხვევით აღმოჩენილი საყურე, რომელიც მოდინახური სადა რკალიანი საყურის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს.

ცალკე უნდა გამოვყოთ № 13 სამარხში აღმოჩენილი ბრტყელი საყურე, რომლის ყვავილოვანი ორნამენტით შემკული კარკასი ოქროს ოთხი ტიხარით დაკავშირებულია ოვალური ფორმის თვალბუდესთან. თვალბუდეში ზის ამობურცულ-ზედაპირიანი ძოწის თვალი. საყურის ქვედა ნაწილში მიმაგრებულ სამ ყუნწზე ჩამოკიდებულ ოქროს ღერაკზე, როგორც ჩანს, ასხმული იყო მძივები და მარგალიტის ბურთულები. (სურ. 4). ოქროს ღერაკებით დატიხრული ეს ნივთი პოლიქრომიული ნივთების იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც დამახასიათებელია.

¹ მუხეთა I, გვ. 107—108.

² იქვე. ტაბ. XII 7—8, XII 3—4, XIV 6—7.

³ ლ. კილაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXI.

⁴ გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

⁵ გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

⁶ ლ. კილაშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 34.

III—V საუკუნეების საიუველირო ნაწარმისათვის. მოდინახური საყურე აღნაგობითა და ფორმით თითქმის იმეორებს არმაზის ხევის № 2 სამარხში აღმოჩენილ მედალიონს, იმ განსხვავებით, რომ მედალიონის თვალბუდეში კამფა ჩასმულია და მისი გარე ზედაპირი ორნამენტის გარეშეა წარმოდგენილი¹. მოდინახური სამკაულიც შეიძლება გულსაკიდად მიგვეჩნია, მაგრამ ყუნწში გაყრილი პირგახსნილი რკალი მაინც იმაზე მიუთითებს, რომ იგი საყურის მოვალეობას ასრულებდა.

მეშვიდე ჯგუფს მივაკუთვნებთ ბიკონუსური ფორმის საყურეს. (ტაბ. XIV₄). იგი № 13 სამარხშია აღმოჩენილი და აღწერილთაგან განსხვავდება როგორც ფორმით, ასევე დამზადების ტექნიკით. გაკეთებულია მთლიანად ოქროს ფირფიტისაგან. ყურსაკიდი რჩილვის წესითაა დაკავშირებული საყურის ძირითად ნაწილთან. ასევე რჩილვის წესითაა მიმაგრებული ცვარულები საყურის ბოლოზე, რომელსაც ყურძნის მტევენის ფორმა აქვს. სამკაული იმით არის საყურადღებო, რომ იგი აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის სამარხში, ხოლო თავისი ფორმით ძალზე ახლოს დგას ადრეანტიკური ხანის ამ სახის საიუველირო ნაწარმთან. ბიკონუსური ფორმის საყურეები აღმოჩენილია მოდინახეზე, გვხვდება ითხვისის² და ვანის კარგად დათარიღებული ანტიკური ხანის სამარხებში³. თუ ეს ნივთი შემთხვევით არ არის მოხვედრილი სამარხში, მაშინ იგი გვევლინება როგორც დამაკავშირებელი რგოლი გვიანი და ადრეანტიკური ხანის ძეგლებს შორის და ამდენად მის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური ხანის ქართული საიუველირო ხელოვნების გენეზისის შესასწავლად, რომელსაც ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

ამრიგად, მოდინახეზე აღმოჩენილი საყურეები, რომლებიც შვიდ ტიპად წარმოვადგინეთ, თავისი სტილითა და დამზადების ტექნიკით გვიანანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის მოდინახურ სამკაულს გარკვეული პარალელები ეძებნება II—III საუკუნეების ძეგლებს შორის, ვერც ერთი მათგანი IV საუკუნეზე ადრინდელად ვერ ჩაითვლება. ადრეული ხანის ძეგლებთან მსგავსება გვიანანტიკური საიუველირო ნაწარმის სტილის ერთიანობით შეიძლება აიხსნას.

ბ ე ჯ დ ე ბ ი. სამარხებში აღმოჩენილი ბეჭდები ოთხ ტიპად, ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მხრებდაკუთხული მასიური ოქროს ბეჭდები, რომლებსაც მალალი ოვალური ფორმის თვალბუდეში ჩასმული აქვთ ნახევრად ძვირფასი სადა ან გამოსახულებით შემკული თვლები (სურ. 11). ასეთი ბეჭდები დიდი რაოდენობით არის მოპოვებული არმაზის ხევის IV საუკუ-

¹ მცხეთა I, გვ. 42.

² საქ. სახ. მუზეუმის არქ. ფონდი.

³ ვანი I, სურათი 191.

ნის მდიდრულ სამარხებში. მოდინახეზე № 10 სამარხში აღმოჩენილი კამეიანი ბეჭედი განსაკუთრებით ჩამოგავს არმაზის ხევის მეორმოცე სამარხის მხრებდაკუთხულ ბეჭედს, რომლის თვალბუდეში გემაა ჩასმული¹. ასევე ზუსტი ანალოგიები შეიძლება გავავლოთ არმაზის ხევის № 42 სამარხში აღმოჩენილ ბეჭედებსა² და მოდინახეს იმ მხრებდაკუთხულ ბეჭედებს შორის, რომლებსაც თვალბუდეს ირგვლივ შემოუყვება წვრილი, მჭიდროდ მოჭრილი გავარსი. არმაზის ხევის აღნიშნული სამარხები მრავალრიცხოვანი ინვენტარით კარგად თარიღდება ახ. წ. IV საუკუნით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ბეჭედები თითქმის არ გვხვდება უფრო ადრეული ხანის სამარხებში.

მეორე ტიპს მიეკუთვნება ბრტყელრკალიანი ბეჭედები, რომლებსაც რკალზე რამდენიმე თვალბუდე აქვთ. (ტაბ. XV 7, 4). № 1 სამარხში აღმოჩენილ ამ ტიპის ბეჭედს შუა თვალბუდის ორივე მხარეს გაკეთებული აქვს სამყურა ფოთლის ფორმის საკმაოდ მაღალი ბუდეები, რომლებშიც ჩასმულია ლალისა და ცისფერი პასტის თვლები. ასეთი რკალმოთვალული ბეჭედებიც დამახასიათებელია მეოთხე საუკუნის ქართული საიუველირო ნაწარმისათვის. ერთი ჩვენი კოლექციიდან ფორმის მიხედვით თითქმის ზუსტი ასლია არმაზის ხევის მეორმოცე სამარხში აღმოჩენილი რკალმოთვალული ბეჭდისა³.

მესამე ჯგუფის ბეჭედებს თვალბუდე რკალშივე აქვთ ამოჭრილი. რკალი ზოგჯერ ჭედულებითაა შემკული და მხარზე ოქროს ღერაკები აქვს დამაგრებული. ღერაკებზე მარგალიტის ბურთულა ყოფილა წამოცმული. (სურ. 2). ღერაკიანი ბეჭედებიც დიდი რაოდენობით არის მოპოვებული IV საუკუნის მცხეთის მდიდრულ სამარხებში⁴ და ისინი, ისე როგორც რკალმოთვალული ბეჭედები, ზოგჯერ თითქმის იმეორებენ ერთმანეთს.

მეოთხე ჯგუფში გაერთიანებული ვერცხლის ბეჭედები უმთავრესად დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ღეროსაგან, რომლებსაც წრიული ფორმის შემალღებულ თვალბუდეში უზის პასტის, მინის ან ლალის თვლები (ტაბ. XVII₁). ასეთი სახის ბეჭედები დამახასიათებელია, როგორც ადრეული, ასევე მომდევნო ხანის — გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის და გვხვდება ურბნისის⁵, ზღუდერისა⁶ და მცხეთის⁷ სამარხებში.

1 მცხეთა I, გვ. 107.

2 იქვე, გვ. 117.

3 მცხეთა I, გვ. 107.

4 იქვე.

5 ლ. კ. ი. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ნაქალაქარი ურბნისი, სურ. 34.

6 გ. ნ. მ. ს. ა. ძ. ე., დასახ. ნაწროში, გვ. 47, 50, ტაბ. VII.

7 მცხეთა I, ტაბ. XCVI.

მოდინახურ ბეჭდებს საყურეებისაგან განსხვავებით შედარებით ზუსტი ანალოგიები ეძებნება მეოთხე საუკუნის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ ამ სახის სამკაულებთან. მხრებდაკუთხული ბეჭდები მაღალი თვალბუდით ნაკლებად არის დამახასიათებელი II—III საუკუნის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის და, როგორც ჩანს, მეოთხე საუკუნის საიუველირო ნაწარმის განმსაზღვრელ ჯგუფს წარმოადგენს.

გ ე მ ე ბ ი. 1. ინტალიო აღმოჩნდა № 9 სამარხში, მოწითალო ყავისფერი სარდიონის ქვისგანაა გაკეთებული, ოვალური ფორმისაა და ოქროს ბეჭედშია ჩასმული. მის ოდნავ ამობურცულ ზედაპირზე ამოკვეთილია დაბალ, მრგვალ სამსხვერპლოზე შემომჯდარი არწივი. მარცხნივ შემობრუნებულ ნისკარტში გვირგვინი უჭირავს, ხოლო ბრჭყალებით პალმის ტოტი — გამარჯვების სიმბოლო. (ტაბ. XX₁₂). მსგავსი გამოსახულებები ძალზე გავრცელებულია რომაულ გლიპტიკაში. მ. მაქსიმოვას აზრით, ეს გემები დაკავშირებულია მათ ლეგიონებთან და გვხვდება ყველგან, სადაც კი რომაელთა ჯარებს შეუღწევიათ. ამგვარი გამოსახულებები იარაღის, ძლიერების, მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლური განსახიერებაა. ასეთ გემებს ატარებდნენ არა მარტო რომაელები, არამედ ისინიც, ვინც რალაციით დაკავშირებული იყვნენ მათ ლეგიონებთან¹. საქართველოში მსგავსი სიუჟეტის გემები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე², კლდეეთში³ და ურბნისში⁴.

2. ინტალიო აღმოჩნდა № 36 სამარხში. თაფლისფერი სარდიონის ქვისგანაა გაკეთებული, მხრებდაკუთხულ ოქროს ბეჭდის თვალბუდეშია ჩასმული. მის სწორ ზედაპირზე გამოსახულია თხა. სხვადასხვა ცხოველები და მათ შორის თხებიც ხშირად გვხვდება ანტიკურ გემებზე (ტაბ. XX₁₁). დაახლოებით ასეთი სიუჟეტის გემები აღმოჩენილია ბაგინეთში⁵ და ურბნისში⁶.

3. ინტალიო აღმოჩნდა № 10 სამარხში, მოწითალო იასპის ქვა ჩასმულია მხრებდაკუთხულ ოქროს ბეჭდის მაღალ თვალბუდეში. მას ბრტყელი პირი და ოვალური ფორმა აქვს. მამაკაცი, რომელსაც მოკლე ტუნიკა აცვია, პროფილშია

¹ М. И. Максимова, Геммы из Некрополя, Мшхета Самтавро, საქ. სახ. მეზეუმის მოამბე, XXI №, 1950, გვ. 230.

² იქვე, № 28, 36.

³ მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბ. 1961, გვ. 16.

⁴ ქ. ჭავჭავაძისილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, № 72.

⁵ მ. ლორთქიფანიძე, საქ. სახ. მუზეუმის გემები, II, თბ., 1958, გვ. 9.

⁶ ქ. ჭავჭავაძისილი, დასახ. ნაშრომი, № 104.

გამოსახული, მარჯვენა ხელში თავთავი უჭირავს, ხოლო მარცხენაში მხარზე გადებული კომბალი, რომელზეც ნანადირევი ფრინველი და რალაც ცხოველი აქვს ჩამოკიდებული. (სურ. 19). ასეთი სიუჟეტიც რომაული ხანის გემებისათვისაა დამახასიათებელი. მასზე ნადირობიდან დაბრუნებული სოფლელი ბიჭი უნდა იყოს გამოსახული.

4. საბეჭდავი ინტალიო აღმოჩნდა № 81 სამარხში. დამზადებულია მუქი ნარინჯიანი ფერი სარდიონის ქვისაგან. იგი დაბრტყელებული სფეროს ფორმისაა. შუა ადგილზე გაკეთებული აქვს თასმის გასაყრელი ნახვრეტი. საბეჭდავის ოვალური მოყვანილობის ბრტყელ ზედაპირზე გამოსახულია გარეული თხა (ანტილოპი) პროფილში. მას უკან გადაწეული გრძელი სწორი რქები, მოკლე კუდი და დიდი ზომის თვალი აქვს. რამდენიმე ურთიერთპარალელური სწორი ხაზით ცხოველის ტანზე ბეწვია აღნიშნული. ცხოველს სამი ფეხი მოკეცილი აქვს, მარჯვენა წინა ფეხი კი მაღლა აწეული. ინტალიოს კვეთა ზედაპირულია. ნახატი რამდენადმე სქემატურადაა დამუშავებული (სურ. 19). მსგავსი საბეჭდავები ფართოდაა გავრცელებული სასანურ გლიპტიკაში¹. საბეჭდავზე ასახული სიუჟეტი, მისი სტილი და კვეთის მანერა სასანური გემოვნებისათვისაა დამახასიათებელი. ფეხმოკეცილი ირმები, თხები და ანტილოპები დიდი რაოდენობით გვხვდება სასანური ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე. საბეჭდავზე გამოსახული ცხოველი სტილითა და ამოჭრის მანერით ყველაზე ახლოს დგას ა. ბორისოვისა და ვ. ლუკონინის მიერ გამოცემულ საბეჭდავების გამოსახულებასთან². ავტორები ამ გემებს ახ. წ. VI—VII საუკუნეებით ათარიღებენ. ვფიქრობთ, ჩვენი საბეჭდავიც, რომელიც სასანური გლიპტიკის ნაწარმს წარმოადგენს, ამავე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

5. კამეა აღმოჩნდა № 10 სამარხში. სარდიონ-ფირცხლის ქვაზე ამოკვეთილი კამეა წარმოადგენს გორგონას თავს, რომელიც შესრულებულია ძალიან მაღალი რელიეფით. მას მრგვალი სახის ოვალი და გაშლილი თმები აქვს, ცხვირი და ტუჩები დაზიანებულია. (ტაბ. XXIX). გორგონას სახე უძველესი დროიდან დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ანტიკურ ხელოვნებაში ხშირად გვხვდება როგორც ბერძნულ, ასევე რომაულ გემებზე და განსაკუთრებით კი კამეაზე³.

ამრიგად, სამი გემა და ერთი კამეა წარმოადგენს რომაული გლიპტიკის ნაწარმს და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ახალი წელთაღრიცხვის III—IV სს.

1 А. Я. Борчков, В. Г. Лукошин, Сасанидские геммы, № 366.

2 А. Я. Борчков, В. Г. Лукошин, დასახელებული ნაშრომი, № 363-370.

3 А. Furtnagber, Die Antiken Gemmen, Leipzig Berlin, 1900, ტაბ. LIX 1, 2.

თარიღდება¹, ხოლო ერთი გემა სასანური გლიპტიკის ნიმუშია და ახ. წ. VI — VII სს. უნდა მიეკუთვნოს².

სამარხებში ცალკე გვეხვდება ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან გაკეთებული ბეჭდის თვლები. მოდინახეზე ხუთი ასეთი თვალია აღმოჩენილი. ზოგიერთი მათგანი კარგად, ხოლო ზოგი ნახევრადაა დამუშავებული (სურ. 13). ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქვები ადგილობრივ სახელოსნოებში მზადდებოდა და შესაძლოა ბერძნულ-რომაული სიუჟეტის შემცველი გემებიც ადგილობრივი ოსტატების ნახელავს წარმოადგენდეს.

ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ თ ა ნ და კ ა ე შ ი რ ე ბ უ ლ ი ნ ი ვ თ ე ბ ი. ამ სახის ნივთებიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს მშვილდსაკინძები. № 5 და № 39 სამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები რთულადაა ნაგები. № 2 სამარხის მშვილდსაკინძს მრგვალგანივკეთიანი, ზომიერად მოხრილი რკალი აქვს. რკალზე დამაგრებული ზამბარა და ნემსი ერთი მთლიანი მავთულისაგან შედგება და ენის ბრტყელ ბუდეზე იკვრება. ბუდე რკალზეა ასხმული. მშვილდსაკინძის ბუდის გარე ზედაპირი ორნამენტით არის შემკული. იგი საკმაოდ რთული კონსტრუქციის ნივთს წარმოადგენს, ფაქიზი ნახელავია და სრულიად აშკარაა, რომ უნაზესი ქსოვილის შესახვევ-შესაკინძად იყო გამოყენებული (ტაბ. XVII). მისგან განსხვავებით № 39 სამარხის მშვილდსაკინძი, რომელიც ორნახევარჯერ უფრო დიდია, ტლანქად არის დამუშავებული და, როგორც ჩანს, შალის უხეში ტანსაცმლის შესაყარავად გამოიყენებოდა.

მშვილდსაკინძები, როგორც კონსტრუქციით, ასევე ფორმებით, ძალზე ახლოს დგას სამთაეროს სამაროვანის იმ მშვილდსაკინძებთან, რომლებსაც ო. ტყეშელაშვილი პირველი ვკუთხის მესამე ტიპში აერთიანებს და ახ. წ. II—III სს. ათარიღებს³.

¹ მოდინახეზე აღმოჩენილი გლიპტიკის ძეგლებს თარიღის დადგენაში დახმარება გავცივია აქ. ჯაჯახიშვილმა.

² უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 1981 სამარხი, სადაც სასანური გემა აღმოჩნდა. ზღებარეობს გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხების სამხრეთ-აღმოსავლეთით მისგან 200 მ-ზე. აქ ერთ-ერთ საკონტროლო თხრილში, 1 მ-ზე, აღმოჩნდა სამარხები. სადაც მიცვალებულები—როგორც ქალები, ასევე კაცები—დაკრძალული იყვნენ ქრისტიანული წესის მიხედვით, ყოველგვარი ინვენტარის გარეშე. სამაროვანის ის ნაწილი, სადაც აღნიშნული სამარხები გაითბარა, წარმოადგენს გვიანანტიკური ხანის ნეკროპოლის პერიფერიას და აქ აღრეფერალურია ხანის სამარხების აღმოჩენა ბუნებრივად გამოიყურება.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სამაროვანზე მომდევნო ხანაში იმარხებიან იმავე გეარის წევრები, მაგრამ მათ სამარხებში ინვენტარის გაქრობა ქრისტიანული რელიგიის დოგმების განმტკიცებითა და მისი საბოლოო გამარჯვებით უნდა იქნას ახსნელი.

³ ო. ტყეშელაშვილი, სამთაეროს სამაროვანის ახ. წ. II — III სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX — B, გვ. 312.

აღნიშნულ ხანაში და უფრო გვიანაც ასეთი მშვილდსაკინძების გავრცელების არეალი ძალზე დიდია და მოიცავს როგორც ამიერკავკასიას, ასევე სამხრეთ რუსეთისა¹ და დასავლეთ ევროპის² მთელ რიგ ქვეყნებს. ზოგიერთი მკვლევარი მსგავსი მშვილდსაკინძების წარმოშობის ადგილად შავიზღვისპირეთის ჩრდილო სანაპიროს ქალაქებს მიიჩნევს, მაგრამ ასეთი მოსაზრება დამაჯერებლად არის უარყოფილი. ოთ. ტყეშელაშვილი სრულიად მართებულად ფიქრობს, რომ ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის შედეგად რომელიმე პრინციპული სტილისათვის დამახასიათებელი ეს ნივთები დასავლეთ საქართველოს რომელიმე რაიონში უნდა ჩამოყალიბებულიყო³. ვფიქრობთ, ასეთი ნივთის ადგილობრივად დამზადება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო მხატვარ-ხელოსანთა იმ წრეში, რომელმაც გვიანანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ბრწყინვალე კულტურა შექმნა.

№ 5 სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს ქინძისთავეები. წვრილ. ძალზე ნაზღეროიან ქინძისთავეებს თავები სფეროსებური, მრგვალი ან ბროწეულის მარცვლის ფორმის ნახევრად მვირფასი ქვებითა და ბრინჯაოს ბურთულებით აქვთ შემკული (ტაბ. XVII). მსგავსი ქინძისთავეები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსებისათვის და მომდევნო ხანის ძეგლებშიც გვხვდება. ისინი შუბლის ქინძისთავეებად, ქალთა თავსაბურავის შესამკობდასამაგრებელ ნივთებად არის მიჩნეული⁴. ასეთ მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს მოდინახეზე აღმოჩენილი ქინძისთავეები, რომლებიც, თითქმის ყველა შემთხვევაში, თავის ქალის არეშია გაბნეული.

სამარხებში ასეულობითაა მოპოვებული მცირე ზომის ოქროს ღილაკები. თხელი ფირფიტისაგან დამზადებულ, სვანური ქუდის ფორმის ღილაკებს შიგნიდან ტანსაცმელზე მოსაბმელი ყუნწი აქვს. მსგავსი კილიტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი არმაზის ხევის მდიდრულ სამარხებში⁵. როგორც ჩანს, მცხეთელი დიდებულების მსგავსად, მოდინახელი მანდილოსნებიც, ნაზი ქსოვილისაგან შეკერილ სამოსს ელვარება რომ შემატებოდა, ოქროთი პქარგავდნენ. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს შეძლებული კლასის წარმომადგენლებთან.

მ მ ი ვ ე ბ ი. მოდინახური სამარხეული კომპლექსები დიდი რაოდენობით

1 Л. И. Колптинский, О некоторых формах фибулы из Южной России, Сб. статей по археологии и Византиноведению, Прага, 1927 г.

2 А. Л. Монгайт, Археология Западной Европы, М, 1974 г., стр. 351-357.

3 ოთ. ტყეშელაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 315—317.

4 ოთ. ტყეშელაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 307.

5 ნეკეთა I, გვ. 73.

შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ მძივებს. გვხვდება გიშრის, სერდოლიკის, მთის ბროლისა და პასტის მძივები. ფორმების მიხედვით ისინი რამდენიმე ტიპად შეიძლება დაიყოს: ცილინდრული, შინდის კურკის ფორმის, მრგვალი, დაბრტყელებული სფეროსებრი და წახნაგოვან-ბიკონუსური ფორმის მძივები (ტაბ. XVII).

მსგავსი მძივები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის ძეგლებისათვის¹ და დიდი რაოდენობით გვხვდება ურბნისის², არმაზის ხევის³, კლდეეთისა⁴ და უოლოტოს⁴ იმ სამარხეულ კომპლექსებში, რომლებიც ძირითადად ახ. წ. III—V საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი.

ვერცხლის ჭურჭელი. გვიანანტიკური ხანის ქართული ტორევიტიკის შესასწავლად გარკვეული მნაშენელობა აქვს მოდინახეზე აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელს. ეს ნაწარმი ძირითადად ორი სახითაა წარმოდგენილი — ფიალეზი და სურა. ფიალები, რომლებიც ნაკეთებია ვერცხლის ფირფიტისაგან, ფორმის მიხედვით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შემკულობის ხასიათით კი იხინი ოთხ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ჯგუფის ფიალები, რომლებიც მერვე და მეექვსე სამარხშია აღმოჩენილი, შემკულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით. მას შიგა ზედაპირზე წნევით ამოყვანილი სფეროსებური ბურთები აზის, რომლებიც თასის გარე ზედაპირზე მრგვალ ბუდეებს ქმნიან. ორივე ფიალა ხუთ-ხუთი ასეთი ამობურცულ ზედაპირიანი ბურთულით არის შემკული. მათ ძირზე, პუნსონებით შედგენილი წრის შიგნით, თეგით ამოყვანილი ხუთფურცლიანი ვარდული ზის, მხრებზე კი პუნსონებით შედგენილი წრეები შემოსდევს. (ტაბ. XIX₂).

მეორე ჯგუფში გაერთიანებული, თხელი ფირფიტისაგან ნაკეთები ვერცხლის ფიალები, რომლებიც ოცდამეცხრე და ოცდამეათე სამარხშია აღმოჩენილი, ფორმებით თითქმის იმორებს პირველი ჯგუფის ფიალებს, მაგრამ ისინი ორნამენტისა და რაიმე გამოსახულების გარეშე არიან წარმოდგენილი (ტაბ. XIX₁). ოცდამეათექვსმეტე სამარხში აღმოჩენილი ფიალა ვერცხლის სქელი ფირფიტისაგანაა დამზადებული და მიახლოებით მთლიანად დაფარულია პუნსონებით შედგენილი კონცენტრული წრეებით. ოცდამეცამეტე სამარხში აღმოჩენილი ფიალა შედარებით მცირე ზომისაა, ძირზე გამოსახული აქვს ფურცლოვანი ვარდული და ტოლმკლავა ჯვრის ფორმის ყვავილის ფოთლები, რომელიც თასის მთელ ზედაპირზე

1 ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 70.

2 მცხეთა I, ტაბ. XCVI.

3 გ. ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. XI.

4 გ. სინაური. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოლოდან, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII, გვ. 118. ტაბ. 2.

ვრცელდება. (სურ. 10). მიუხედავად იმისა, რომ თასებს სუფრაზე დასადგმელი ძირი არა აქვთ, ისინი სასუფრე ჭურჭელს წარმოადგენენ. რომაული ხანის ვერცხლის სერვიზში მსგავსი თასებისათვის არსებობდა სპეციალური სადგარები, რომლის წრიულად შეკრულ მავთულის რგოლში ჭურჭელი იდგმებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი თასები ბორში¹ და ბაგინეთში² აღმოჩენილი.

ჩვენს მიერ პირველ ჯგუფში გაერთიანებული თასები ფორმით, დამზადების ტექნიკითა და შემკობის ხასიათით განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ბაგინეთის² ე. წ. ზუღეებიან თასთან. თავის მხრივ კი ქართული გვიანანტიკური ხანის ტორევიტიკის ნაწარმი ამ სახის რომაული ხელოვნების გავლენას განიცდის³ და მათი უმრავლესობა აღნიშნულ ქვეყანასთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის შედეგად უნდა იყოს საქართველოში მოხვედრილი⁴. თუმცა მკვლევარების ერთი ნაწილი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ვერცხლის ჭურჭელი რომაული ხელოვნების გავლენით ადგილობრივი ხელოსან-მხატვრების მიერ იყოს დამზადებული⁵ და რომ საქართველო გალიასთან, დიდ ბრიტანეთთან და მცირე აზიასთან ერთად შედიოდა ქვეყნების იმ წრეში, სადაც შესაძლებელი იყო დაემზადებინათ რომაული სამეფო სტილისათვის დამახასიათებელი ისეთი მაღალმხატვრული ვერცხლის ჭურჭელიც კი, როგორც არმაზის ხევის რელიეფიანი ფიალებია⁶.

მოდინახეზე მოპოვებული თასები არ წარმოადგენს ისეთ რთულსა და მაღალმხატვრულ ნაწარმს, როგორც მცხეთის სამეფო ჭურჭელია და, მით უმეტეს, მათი ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადება არავითარ სიმნელესთან არ იქნებოდა დაკავშირებული. თითქმის ყველა თასი აღმოჩენილია მამაკაცთა სამარხებში და, როგორც წესი, ამ თასებში მიცვალებულებს თავი აქვთ ჩასვენებული. დასაფლავების ასეთი წესი, რომელიც რელიგიურ რიტუალთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, მოდინახეს გარდა დამოწმებულია ზღუდერისა⁷ და ჟინვალის⁸ გვიანანტიკური ხანის სამარხებში.

1 Я. И. Смирнов, Восточное серебро, сиб., 1909 г., стр. 7.

2 საქ. სახ. მუზეუმის არქ. ფონდი.

3 Ш. Я. Амيرانашвили, Две серебряные чаши из раскопок в Армазии, Вестник древней истории, т. I, 1950 г., стр. 100.

4 К. Г. Мачабели, Серебряные фиалы из Армазиисхевн, тб., 1970 г., стр. 67.

5 Ш. Я. Амيرانашвили, указ. соч., стр. 100.

6 К. Г. Мачабели, указ. соч., стр. 67.

7 ცნობა მოგვაწოდა არქეოლოგმა გ. ნემსაძემ.

8 რ. რამიშვილი, ჟინვალის არქ. ექსპ. 1971 წ. მუშაობის ანგარიში, არქ. კვლევა-ძიება საქ., 1971 წ., თბ., 1972 წ., გვ. 46.

№ 36 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის სურას (სურ. 16) არ ეძებნება პირდაპირი ანალოგიები რომაულ ტორევტიკაში და უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ადრეული ხანის ამ სახის ბიზანტიურ ნაწარმთან, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სურის მსხლისებური ფორმის ტანი ძალზე მოგვაგონებს და თითქმის იმეორებს ამავე სამარხში აღმოჩენილ თიხის დოქის ფორმას, რაც შეიძლება იმავე მიუთითებს, რომ ვერცხლის სურა თიხის სასუფრე ჭურჭლის მიზაძვით ადგილობრივ სახელოსნოში იყოს დამზადებული.

მოდინახეზე აღმოჩენილი ვერცხლის სასუფრე ჭურჭელი, ისე როგორც საიუგელირო ნაწარმი, წარმოდგენას გვიქმნის რომაული ხანის ქართულ ცივილიზაციაზე, ამ ნივთების შემქნელთა და მომხმარებელთა მხატვრულ გემოვნებაზე.

ბრინჯაოს თეფშები აღმოჩენილია № 3—9 სამარხში. ეს სახელწოდება, აღნიშნული ნივთებისათვის პირობითია. მათი დანიშნულება გაურკვეველია. ისინი წარმოადგენენ ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტისაგან გამოჭედილ თეფშისმაგვარ საგნებს გუმბათისებური თავით, რომელზედაც დამაგრებულია ბრტყელი სახელურები, ხოლო საკმაოდ ფართო ფარფლები პუნსონებით ამოყვანილი წიწვოვანი ორნამენტით აქვს შემკული (ტაბ. XVI).

უზირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი თეფშები აღმოჩენილია თრიალეთში და კახეთში. ერთი ცალი ასეთი თეფში ინახება ქორეთის სასკოლო მუზეუმში. გასულ საუკუნეში ასეთივე თეფშები შემთხვევით აღმოჩენილა სოფ. სხვიტორში. ამ საგნების დანიშნულება დღემდე გაურკვეველია, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში სხვიტორში აღმოჩენილი ასეთი თეფშების შესახებ გაზეთ „დროება“-ში სხვიტორელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ თავის წერილში დ. წერეთელი შენიშნავდა, რომ ოქროს ნივთებთან ერთად, სხვიტორში იპოვეს ბრინჯაოს ნივთები სწორედ ისეთი, როგორც როტის სასულე ორკესტრის „ტარეაკებიო“¹. ეს მოსაზრება საგნების ფორმაზეა დამყარებული და, როგორც ჩანს, სინამდვილეს შეეფერება. ჩვენს მიერ აღნიშნული ნივთები წინწილებად იყო მიჩნეული. წინწილი სულხან-საბას განმარტებული აქვს როგორც ტკბილსაკრავი ინსტრუმენტი; რუსთაველი ორჯერ იხსენებს მას „ბუცაჲ ჰკრეს და წინწილანი დაატკობობდის მათთა ხმათა“ და შეძლებ „ათ ღლებდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა ებნისა“. არც რუსთაველთან და არც საბასთან არ ჩანს, თუ რა სახის საკრავია წინწილი, მაგრამ ძველ აღთქმაში ვკითხულობთ, რომ „არა ნესტუებითა და წინწილითა მოვწვევადეს ძაცთა“. ნესტუ აქ სალამურია მნიშვნელობით არის ნახმარი როგორც სასულე ინსტრუმენტი, ხოლო წინადადებიდან თითქოს ისე ჩანს, რომ წინწილი ხსნა სახის ინსტრუმენტი უნდა იყოს. იქვე ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ „იმღერ-

¹ გაზეთი „დროება“, 1875 წ., № 37—38.

და წინაშე ღმრთისა... ებნითა, ბოლინითა, წინწილითა და ნესტვითა“ და შემდეგ „დაადგინდეს წინწილითა რვალისათა“. ამ უკანასკნელი წინადადებიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ წინწილი რვალისაგან, ე. ი. სპილენძისაგან არის გაკეთებული. უნდა აღინიშნოს, რომ სამარხში თეფშები ყოველთვის წყვილად არის აღმოჩენილი, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იპინი შეწყვილებული სახით იხმარებოდა. ორ მათგანს შეიცავდა ბავშვის სამარხი და ისინი მცირე ზომისანი არიან. მაგრამ დიდი ზომის ასეთ ბრინჯაოს თეფშებს, რომლებიც გამიზნული იქნებოდა „სამღერად წინაშე ღმრთისა“ და „კაცთა მოაწყევად“ — მოსახმობად, საკმაოდ ძლიერი ხმა და მუსიკალური ქლერადობა უნდა ჰქონოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს თეფშები წარმოადგენენ ძველ ქართულ წყაროებში ჩოსხენებულ წინწილს. („ორი თეფში მეტალისა, ერთიმეორის შემოსაყრვით საქლერელი“¹).

მონეტები. კონსტანტინე დიდის ოქროს სოლიდი აღმოჩნდა ოცდამეთექვსმეტე საწარხში, იჭრებოდა 306—337 წლებში. შუბლზე გამოსახულია კონსტანტინე დიდის პორტრეტი პროფილში (სურ. 6), ზურგზე გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ვიქტორია, რომელსაც მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს, ხოლო მარცხენაში მხარზე გადაებული ტოტი (სურ. 20). მოჭრილია ქ. სისციამში.

კონსტანციუს მეორის ოქროს მონეტა აღმოჩენილია ოცდამეთექვსმეტე საწარხში, იჭრებოდა 337—361 წლებში. შუბლზე გამოსახულია იმპერატორის დრავირებული ბიუსტი დიადემით (სურ. 6), ზურგზე — ქალები (სურ. 20), რომლებიც ანსახიერებენ რომა და კონსტანტინოპოლს. ხელში უჭირავთ ფარი, ძირს ლათინური წრიული წარწერაა gloria republice (დიდება რესპუბლიკას). მოჭრილია ანტიოქიის ზარაფხანაში.

მონეტა ოქროსი კონსტანტინე დიდის (სუბერატი) შემთხვევითაა აღმოჩენილი მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე, გვიანანტიკური ხანის ნეკროპოლის მიდამოებში. შუბლზე გამოსახულია კონსტანტინე დიდის პორტრეტი პროფილში (სურ. 6), ზურგზე — გამარჯვების ქალღმერთი ვიქტორია (სურ. 20). იგი დგას გემზე და ხელებში უჭირავს გვირგვინი — გამარჯვების სიმბოლო. მონეტაზე წრიული წარწერაა ლათინური ასოებით Libetari Publika (თავისუფლება ხალხს). მოჭრილია 306—337 წლებში კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში.

მონეტა ოქროსი კონსტანციუს მეორისა, ნახევარი სოლიდი აღმოჩენილია მეჩვიდმეტე საწარხში. გამოყენებული იყო ბეჭდის თვლად და საკმაოდ გაცვეთილია.

¹ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 452.

მუბლზე გამოსახულია იმპერატორის პორტრეტი პროფილში (ტაბ. XXI₄). ზურგზე გამოსახულია ქალღმერთი ვიქტორია, რომელსაც ხელში ფარი უჭირავს.

მონეტა ოქროსი (სუბერატი) აღმოჩენილია მეათე სამარხში. იჭრებოდა 337—361* წლებში. მუბლზე გამოსახულია იმპერატორია დრაპირებული ბიუსტი დიადემით (სურ. 6). ზურგზე — ქალები (სურ. 20). ძირს ლათინური წრიული წარწერა აქვს gloria republice (დიდება რესპუბლიკას), მოჭრილია ანტიოქიის ზარაფხანაში.

მონეტა კონსტანციუს მგორისა (სუბერატი), აღმოჩენილი მეცხრე სამარხში, აღწერილის ანალოგიურია (სურ. 6).

გვიანრომაული ხანის მონეტები მცირე ხნის წინათ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ცალი იყო მოპოვებული, ხოლო სასანური მონეტების სიმრავლე მკვლევარებს საშუალებას აძლევდა ეფიქრათ, რომ III—V საუკუნეებში საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მთავარ სავალუტო საშუალებას სასანური დრაჰმა წარმოადგენდა¹. ასეთი თვალსაზრისი განაპირობა იმან, რომ ამ დროისათვის აღნიშნული ხანის ძეგლები ნაკლებად იყო აღმოჩენილი და შესწავლილი². უკანასკნელ წლებში კი, საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების შედეგად და შემთხვევით აღმოჩენილი მონეტების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რომაული მონეტის მიმოქცევა და მისი მოხმარება საქართველოში საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა.

მკვლევარების ერთი ნაწილი იმასაც კი ვარაუდობს, რომ რომაული მონეტები, როდესაც მათი მოქცევა გარედან საკმარისი არ იყო, იჭრებოდა ადგილობრივად, მინაბაძეების სახით³. პროფ. დ. კაპანაძე ასეთ მინაბაძეებად თვლიდა საქართველოს მუზეუმში დაცულ ვალერიანის აურეუსს და ურეკში აღმოჩენილ ერთ მონეტას. იგი თითქმის ამავე ჯგუფში აერთიანებს მოდინახეზე 1968 წელს აღმოჩენილ კონსტანციუსისა და კონსტანტინე დიდის მონეტებს, რომლებიც ნაყალბევია** და დაბალრელიეფებიანი გამოსახულებით განსხვავდება ორიგინალისაგან⁴. მიუხედავად ამისა, მკვლევარი დანაშაულებით ვერაფერს ამბობს იმის შესახებ, შემოტანილია ისინი გარედან, თუ ადგილობრივად არის დამზადებული. ჩვენი

* მონეტების მოჭრის თარიღი და ადგილი განსაზღვრა ნემიზაბტა გ. ღუნდუამ.

1 Б. А. Пахомов. Монетные кланды Азербайджана, стр. 19-20.

2 Д. Г. Капанაძე. Новые находки подражаний Римским ауресам в Грузии. Вестник древней истории, № 4. м., 1970 г., стр. 82.

3 დ. კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

** მოდინახეზე აღმოჩენილი 6 მონეტიდან 3 ნაყალბევია. სპილენძის მრგვალ ფირფიტას გარედან აქვს გადაკრული ოქრო.

4 დ. კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 85.

აზრით, ეს მონეტები ადგილობრივად არ უნდა იყოს დამზადებული. ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად კარგ საბუთს უნდა წარმოადგენდეს მოდინახეზე № 16 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტა (სურ. 20), რომელიც წონითა და ზომით თითქმის უტოლდება რომაულ მონეტებს. ფირფიტა, ისე როგორც ყველა მონეტა, მიცვალებულს პირში ჰქონდა ჩადებული. მაშასადამე, დასაკრძალავ რიტუალში იგი ფულის მოვალეობას ასრულებს და იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინა სააღებმიცემო საქმეშიც. სრულიად აშკარაა, რომ ეს უნიშნო მონეტა ადგილობრივ არის დამზადებული, როგორც ფულის შემცველი ერთეული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მინაბაძების დამზადების ცენტრები ქვეყნის, ამ შემთხვევაში „საჩხერის ქვეყნის“ გარეთაა საქმენელი.

მოდინახეზე აღმოჩენილი მონეტები ერთხელ კიდევ მიუთითებენ იმაზე, რომ რომაული ფული, როგორც ამას ზოგიერთი მეკლევიარი ფიქრობდა, არ წარმოადგენს იშვიათ მოვლენას საქართველოს სინამდვილეში და რომ რომაული ვალუტა დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ფულად მიმოქცევაში.

სამარხებში აღმოჩენილი ყველა მონეტა მოჭრილია 306—361 წლებში, რაც კონკრეტულად მიუთითებს სამაროვნის აბსოლუტურ თარიღზე.

მოდინახეზე მოპოვებული ზემოთ განხილული გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები სავსებით აშკარად მიუთითებენ, რომ მათ მფლობელთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს მძიმედ შეიარაღებულ საშუალო ფენის არისტოკრატისთან, რომელთა საქმიანობა ძირითადად მეფე-ერისთავთა სამსახურში დგომითა და ლაშქრობით განისაზღვრებოდა.

სოციალური სურათის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს № 36 სამარხის ინვენტარს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ოქროსა და ვერცხლის ნივთებს. აქ აღმოჩენილი ძოწის თვლებით შემკული ოქროს წყვილი ზალთა, როგორც ჩანს, ტყავის ორმაგი ქამრის შესაკვრელად იყო გამოყენებული (სურ. 15). ვერცხლის აბზინდიანი ბალთები, რომლებიც შეიძლება შევადაროთ მოდინახურს, აღმოჩენილია ქვემო არანისის № 5 სამარხში. აღნიშნული სამარხი ინვენტარის მიხედვით ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება¹. გარკვეულ მსგავსებას იჩენს მოდინახური ბალთები აგრეთვე ხერსონესის IV საუკუნის სამარხეული კომპლექსის აბზინდიან ბალთებთან, რომელთაც თავის მხრივ პირდაპირი პარალელები ეძებნებათ აღმოსავლეთ ევროპის რომაული პროვინციული სტილის პოლიქრომულ ნივთებთან². ოქროს ბალთებიან ქამარზე მიცვალებულს,

¹ რ. რამიშვილი, სანამ არაგვს გზას შეუკრავდნენ.

² А. К. Амброз, Проблемы раннесредневековой Археологии Восточной Европы, Советская Археология, 1971 г., № 2, стр. 100-102, ნახატი 3, 4, 5, 10.

როგორც ჩანს, ასხმული ჰქონია ოქროთი გაწყობილი დანა და სატევარი. სატევრის ტარის თავი და ბოლო ოქროს მრგვალ ბუდეში ყოფილა ჩასმული, ხოლო ქარქაშა გაწყობილი იყო ოქროს ხვეულებით და იგი ბოლოვდებოდა ოქროს ბუდით (ტაბ. XL). უნდა აღინიშნოს, რომ გვიანანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ყველა სატევარი შესანიშნავად არის შენახული. ზემოთ აღწერილი სატევრის პირისაგან თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი. შესაძლებელია ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმაზე, რომ სატევარი არ წარმოადგენდა საბრძოლო ნივთს, რომ იგი ძლიერების გამომსახველი სიმბოლო იყო და ისიც, როგორც არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილი ძვირფასი თვლებითა და ოქროთი გაწყობილი სატევრები, მფლობელის ხელში ინსიგნიას წარმოადგენდა. სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის კოჭსაფარები და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ვერცხლის ჭურჭელი, ოქროს ბეჭდები, ოქროს მონეტები და ტანააცმლის მოსართავი ოქროს კილიტები მის მფლობელს „მეფურ“ იერს აძლევს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ კაცის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძველი არგვეთის გამგებელ ერისთავთა წრიდან გამოსულ დიდებულთან.

ეს სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ახ. წ. IV საუკუნით თარიღდება. ამ თარიღს რამდენადმე აზუსტებს იქ აღმოჩენილი მონეტები. ისინი კარგადაა შენახული და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის უხმარია. ეს ფაქტი კი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამარხში აღმოჩენილი კონსტანტინე დიდის მონეტა მოჭრილია მისი მოჭრის დასასრულს — მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო კონსტანციუსის მონეტა — მისი მოჭრის საწყის პერიოდში.

აღნიშნულის საფუძველზე სამარხის ხნოვანება IV საუკუნის შუა ხანებით, უფრო კი ამ საუკუნის ორმოციანი წლებით უნდა განისაზღვროს.

მეცხრე, მეათე და მეჩვიდმეტე სამარხების თარიღს აზუსტებს აგრეთვე იქ აღმოჩენილი კონსტანციუსის მონეტები, რომელთა მოჭრა 361 წელს შეწყდა. ეს სამარხები ძირითადად IV საუკუნის მეორე ნახევარს შეიძლება მივაკუთვნოთ. საერთოდ კი ჩვენს მიერ განხილული გვიანანტიკური ხანის დასასრულის არქეოლოგიური ძეგლების აბსოლუტურ თარიღად ახ. წ. IV საუკუნეს მივიჩნევთ.

აღნიშნული ხანა საქართველოს ისტორიაში დიდი პოლიტიკურ-რელიგიური ძვრების ეპოქა იყო. სწორედ ამ ხანაში ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა და ქართლის უზენაესი ხელისუფლება შეეცადა ახლად მიღებული რელიგიის დროშის ქვეშ მოეხდინა ქვეყნის ცენტრალიზაცია.

ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელებასთან ერთად დაიწყო ახალი ფორმაციის ჩამოყალიბება. ფეოდალური რევოლუცია, რომელიც IV საუკუნეში მოხდა,

ორასი წლის მანძილზე გრძელდებოდა და დამთავრდა მისი საბოლოო გამარჯვებით.

ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ეს სოციალურ-იდეოლოგიური ძვრები, რამდენადმე ააახულია მოდინახე გვიანანტიკური ხანის სამაროვნებში. აქ მამაკაცები დამარხული იყვნენ ქრისტიანული წესის მიხედვით, ხოლო ქალები და ბავშვები წარმართული წესით — მოკრუნჩხული წვანან მარცხენა გვერდზე. აქედან ის დაკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ქართლის სამეფოში შემავალ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში ქრისტიანული სარწმუნოება ჯერ კიდევ სუსტად იყო ფეხმოკიდებული.

ახალგაზრდა ფეოდალური კლასის წარმომადგენლები სრულიად ვერ სთმობენ ჯგულ პოზიციებს და ქრისტიანებად მხოლოდ ისინი არიან მოქცეულნი, ვინც უშუალოდ მეფე-ერისთავთა სამსახურში იმყოფებოდა და ქართლის უზენაესი ხელისუფლების ნება-სურვილს ემორჩილებოდა.

მოდინახეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები საკვებით აშკარად მიუთითებენ, რომ გვიანანტიკური ხანის დასაწყისიდან არგვეთის საერისთავოს ცენტრი ყვირილის მარჯვენა სანაპიროზე არსებობდა. ამ „ქვეყნის“ გამგებელთა რეზიდენცია, ისე როგორც ნეკროპოლი, საქებნელია ქალაქ საჩხერის ტერიტორიაზე.

ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ არგვეთის ერისთავის რეზიდენცია IX საუკუნეში ჩიხა იყო, შესაძლებელია გულისხმობდეს საჩხერის ტერიტორიას. ქართული ენის ნორმების მიხედვით თეორიულად შესაძლებელია შედარებით გვიან წარმოშობილი ტოპონიმი საჩხერე ჩხას დავუკავშიროთ.

მოდინახე — ანტიკური ხანის ციხე-ქალაქი

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მოდინახეზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი წინაქრისტიანული ხანის ექვსი ეპოქის სხვადასხვა ხასიათის ძეგლი. ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, ადრერკინისა და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენებიდან მომდინარე მასალები, ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანანტიკური ხანის სამარხები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ორი სეზონის მანძილზე სამარხეული კომპლექსების სახით მოდინახეზე გამოვლინდა ბრინჯაოს ხანის მრავლისმეტყველი ძეგლები. სპეციალისტების აზრით ეს კულტურა შეიცავს შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე კომპლექსს და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელ მეტად მრავალფეროვანსა და ღირსშესანიშნავ მასალებს.

ამრიგად, მოდინახეზე თავმოყრილია წინაქრისტიანული ხანის თითქმის ყველა ეპოქის ძეგლი მოყოლებული ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანანტიკურ ხანამდე.

ამ თვალსაზრისით აღნიშნულ არქეოლოგიურ პუნქტს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე შესწავლილი ვერც ერთი ძეგლი ვერ გაუწევს მეტოქეობას. მხოლოდ ამ მასალების მთლიანი პუბლიკაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი ფართო განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს წინაქრისტიანული ხანის ქართული კულტურის გენეზისის კვლევას და ცალკეული ეპოქების პოლიტიკურ-ეკონომიური სურათის დადგენას.

ამჯერად კი ჩვენ ურადლება გვინდა შევაჩეროთ მხოლოდ ერთ საკითხზე — რა სახის დასახლებას წარმოადგენდა მოდინახე წინაქრისტიანულ ხანაში და, კერძოდ, ადრეანტიკურ ხანაში.

როგორც ვნახეთ, მოდინახეს სამხრეთი ფერდობი სამოსახლოდ ათვისებული ყოფილა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ ძვ. წ. III ათასწლეულში. მიუხედავად იმისა, რომ იგი მთის ფერდობია, სოციალური შინაარსით გორა-ნამოსახლარია და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით სამოსახლო გორების იმ ტიპს უახლოვდება, რომელსაც აკად. ნ. ბერმენიშვილი განკიდულს უწოდებს¹. მიწათმოქმედი ტომების მიერ გორების სამოსახლოებად არჩევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მისი თავდაცვითი უნარიანობა. საკუთარ თავთან ერთად იგი იცავდა იმ მატერიალურ დოვლათს, რომელსაც მიწათმოქმედი ტომები უკვე ენეოლითის ხანიდან აწარმოებდნენ და რომელიც ამ საზოგადოების ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა². ამავ მიზეზით იყო განპირობებული გორების ხელახალი ათვისება მოგვიანებით. როგორც ვნახეთ, მოდინახეს სამხრეთი ფერდობი გვიანბრინჯაოს ხანაში დასახლებული ყოფილა კოლხური კულტურის მატარებელი ტომებით. ეს დასახლება განსაკუთრებით გაზრდილია და გაფართოებულია ადრეანტიკურ ხანაში კოლხური სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და მისი განვითარების შემდგომ საფეხურზე. გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანისათვის დამახასიათებელ ძეგლებს მხოლოდ სამხრეთი ფერდობის კულტურული ფენები შეიცავენ, ციხის აღმოსავლეთით გაშლილ პლატოზე და დასავლეთ ფერდობზე გაჭრილი თხრილები კი მხოლოდ ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურით ხასიათდება. საკუთრივ ციხისშიცა ტერიტორიაზე გაჭრილ სადაზვერვო თხრილებში აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმისათვის დამახასიათებელი პირმოყრილი და პირგადმოსლილი ჯამის ფრაგმენტები, რომლებიც იქ კარგად გათლილ ქვის კვადრებთან ერთად ეყარა სამი მეტრის სიღრმეში, მიუთითებენ, რომ მთის თხემზე ამოზიდულ კირქვის მასივზე ანტიკურ ხანა-

¹ დ. მუსხელიშვილი, გ. უქიტიშვილი, ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქ. ისტ. გეოგრაფიის კრებული, I, გვ. 187.

² დასახლებული ნაშრომი, გვ. 189.

ში აღმართული იყო თლილი ქვით ნაშენი რაღაც ნაგებობა. სავარაუდოა, რომ ეს ქვები საფორტიფიკაციო ნაგებობის იმ ნაშთებს წარმოადგენდეს, რომელიც აქ წინაქრისტიანულ ხანაში არსებობდა. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარი გორა ადრეანტიკურ ხანაში ციხე-ქალაქად გაფორმებულა. ასეთი ვარაუდი დასაშვებია, მით უმეტეს, რომ ჩვენი ისტორიის მკვლევარებს დიდი დაბური ტიპის დასახლებები და თვით დედაქალაქის წარმოქმნაც კი ნამოსახლარი გორის განვითარებად აქვთ წარმოდგენილი¹. როგორც ჩანს, ნამოსახლარი გორების ის ტიპები, რომლებსაც გეოგრაფიული და სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული და განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, უკვე ანტიკური ხანიდან ციხე-ქალაქების სახეს იღებენ.

ძვ. წ. V საუკუნის ავტორს ქსენოფონტს, რომელიც თვითმხილველი იყო საქართველოს სამხრეთი ოლქებისა, დაწვრილებით აქვს აღწერილი ქართველი და მათი მეზობელი ტომების მთის ფერდობზე არსებული მდიდარი დასახლებანი, დაცული თხრილებით, ორმოებით, მესერებით და ხის კოშკებით. აღწერიდან ჩანს, რომ ფერდობზე შეფენილ და ზღუდეთი გამაგრებულ ამ დასახლებების შიგნით, რომელსაც ქსენოფონტი ქალაქს უწოდებდა, არსებობდა მთის მწვერვალზე აღმართული, კარგად გამაგრებული შიდაციხე², რომელიც საშიშროების ქაშის მოსახლეობის თავდასაცავად იყო განკუთვნილი.

ისტორიულ წყაროებში მოცემულ ამ სურათს კარგად აღადგენს მოდინახეს არქეოლოგიური ძეგლი. ფერდობზე შეფენილი ვრცელი ნამოსახლარი და მთის წვერზე ამოზიდული კირქვის მასივი, რომელიც თითქმის ორივე მხრიდან ციცაბო კლდეებითა და უფსკრულებით არის შემოფარგლული, როგორც ჩანს, იმთავითვე წარმოადგენდა ამ დასახლებისათვის განკუთვნილ თავდაცვით ადგილს. მარტივი სასიმაგრო კედლების აღმართვის შემთხვევაშიც კი იგი ძნელად მისადგომი და აუღებელი იქნებოდა.

საუკუნის ბერძენ ავტორს სტრაბონს თავის გეოგრაფიაში, კოლხეთისა და იბერიის აღწერისას, დასახლების ოთხი ტიპი აქვს მოხსენებული: სოფელი, დაბა, ქალაქი და ციხე-ქალაქი. ამ უკანასკნელ ტიპს უნდა მიეკუთვნოს შორაპნის ციხე, რომელიც მრავალ ბერძნულ წყაროშია მოხსენიებული. ამ ციხეს და მის მსგავს საფორტიფიკაციო ნაგებობებს ფეოდალურ ხანაშიც არ დაუკარგავთ სტრატეგიული მნიშვნელობა.

საუკუნეების მანძილზე შემოსევების შედეგად მრავალჯერ დანგრეული და

¹ ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, იხ. ავრეთვე დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 62—78.

² თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ., 1967 წ., გვ. 94.

აღდგენილი ეს სტრატეგიული პუნქტები აღარ შეიცავენ უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთებს, მაგრამ მათ გარშემო არსებული წინაქრისტიანული ხანის ვრცელი დასახლებანი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ანტიკური ხანის ციხე-ქალაქებთან¹. ასეთ მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს უკანასკნელ ხანს კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში გათხრილი ძვ. წ. III საუკუნეში მტრისაგან დანგრეული და შედარებით კარგად კონსერვირებული საფორტიფიკაციო ნაგებობა — „ციხია გორაზე“. მოდინახეს მსგავსად ეს გორაც უკვე ადრებრინჯაოს ხანაში ყოფილა ათვისებული სამოსახლოდ¹. გვიანბრინჯაოს კულტურის ბაზაზე კი აქ წარმოქმნილია მძლავრი თავდაცვითი პუნქტი. ძვ. წ. IV საუკუნეში მასზე შენდება უზარმაზარი საფორტიფიკაციო ნაგებობა, ხოლო გორის აღმოსავლეთით დიდი დასახლებაა გაჩენილი². ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ციხია გორას“ ანტიკურ ხანაში ციხე-ქალაქის სახე აქვს.

ამრიგად, არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი გარკვეულად ადასტურებენ ბერძნულ წყაროებში მოხსენებულ „ციხე-ქალაქების“ არსებობის ფაქტს, რომელთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს მოდინახეს არქეოლოგიური ძეგლიც. მისმა გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა ნდებარობამ უკვე ადრეულ ხანაშივე განაპირობა აქ მოსახლეობის გაჩენა და სავარაუდოა, რომ ადრეანტიკურ ხანაში ქვეყნის, ამ შემთხვევაში „საჩხერის ქვეყნის“, მნიშვნელოვან თავდაცვით ცენტრს წარმოადგენდა **.

¹ 1973—74 წლებში ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მდ. ყვირილის ხეობაში მიკვლეულია და ნაწილობრივ შესწავლილი ადრეანტიკური ხანის ვრცელი დასახლებანი სვერის ციხისა და თოღაძის ციხის გარშემო. აღნიშნულ ხანაში ინტენსიური ცხოვრების კვალი შეინიშნება აგრეთვე ხაშურის რაიონის სოფ. მცხეთიჭვრის ციხის სამხრეთ კალთებზე.

² ბ. შატბერაშვილი, გ. ცქტიშვილი, კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, სპეცელ არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, თბილისი, 1973 წ., 62.

³ იქვე.

** საინტერესოდ გამოიყურება თვით გეოგრაფიული პუნქტის სახელი. სადაც ციხეა აღმართული. ტოპონიმი საჩხერე ნაწარმოები შეიძლება იყოს ჩიხადან; ჩიხა-ციხე. საჩხურე-საციხურე.

საირსის არქეოლოგიური კვლევები

სატაძრო ნაგებობა

სოფელი საირხე მდებარეობს ზემო იმერეთში, მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ საჩხერის სამხრეთით, სამი კილომეტრის დაშორებით. 1957 წელს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აწ განსვენებული ნიკოლოზ ლამბაშიძე არქეოლოგიურ დაზვერვით საზუსტოდ აწარმოებდა საჩხერის რაიონში.


იმავე წელს აგვისტოში ნ. ლამბაშიძე საცდელ თხრილებს ჭრიდა საირსის ჩრდილოეთით, საჩხერიდან თბილისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს ღებარე პატარა ბორცვზე. როგორც შემდეგში თვითონ იგონებდა, ერთ დღეს მას


წ. „ჭრელი ქვების“ შესახებ ცნობა მოაწოდა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

ნ. ლამბაშიძემ შემდეგში საირსელი რომანოზ ნადირაძის ეზოში ნახა ორი არქიტექტურული დეტალი. ისინი დაზვეწილი ორნამენტით იყო შეკული. ორნამენტის ქარგა, კვეთის მანერა და დეტალები თავისი ფორმით სრულიად განსხვავდება ქართული ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული ნიმუშებისაგან.


ამ აღმოჩენამ მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. 1957 წლის სექტემბერში აკად. შ. აშირანაშვილი საირხეში ჩავიდა და აქ მიკვლეული არქიტექტურული ფრაგმენტები ადრეანტიკური ხანის შენობის ბოძის კვარცხლბეკებად (ბაზებად) მიიჩნია. ერთი დიდი ზომის კვარცხლბეკი მარნის ბოძის საყრდენად, ხოლო მეორე, წყირე ზომის ნახევარბოძის კვარცხლბეკი ჭურის სარქველად იყო გამოყენებული. აღნიშნული დეტალები ლამბაშიძემ თბილისში გადმოიტანა და ამჟამად გამოფენილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში.

1958—1959 წლებში ბაზისების თავდაპირველი აღმოჩენის ადგილზე (ამ ადგილს ლომინაურსაც ეძახიან, სამარილესაც და კაჭაჭნარსაც) გათხრებს კვლავ ნ. ლამბაშიძე აწარმოებდა. მან აქ გამოავლინა ადრეული ხანის ნაგებობები და ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული საგნები. ნ. ლამბაშიძის მიერ ჩატარე-





სურათი 2





სურათი 4

სურათი 5








სურათი 8








სურათი 10







სურათი 12



სურათი 13






სურათი 14

სურათი 15






სურათი 17



სურათი 18







ბული გათხრების შემდეგ კვარცხლბეკების თავდაპირველი აღმოჩენის ადგილი კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული, რადგან აქ არ აღმოჩნდა ზემოთ აღნიშნული არქიტექტურული დეტალების შესაფერისი კედლები. ფიქრობდნენ, რომ ნაგებობა სხვაგან იყო საძებნელი.

1961 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა მკვლევარმა ხუროთმოძღვარმა გიორგი ლეჟავამ. მან საირხეში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები დორიული ტაძრის სვეტის თავებად მიიჩნია და მათზე დაყრდნობით შეეცადა მოეცა საირხეში საგულვებელი ტაძრის ზომებიც კი. ამ მოხსენების ძირითადი დებულებები მკვლევარმა გამოაქვეყნა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“.

1951 წელს მდინარე ყვირილის ზემო წელზე არქეოლოგიურ დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა აკადემიკოსი ბ. კუფტინი. მას საჩხერის საავადმყოფოს ექიმმა შარვაძემ გადასცა ქვისგან გამოკვეთილი ლომის თავის ქანდაკება. (ტაბ. XVIII). ბ. კუფტინი, როგორც მაშინდელი ექსპედიციის წევრები სკლიფასოვსკი, ნადიმაშვილი, კიროვა იგონებენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაპოვნს და გადაწვეტილი ჰქონდა შემდეგ წელს გათხრები ეწარმოებინა ლომის თავის აღმოჩენის ადგილზე.

1952 წელს ბ. კუფტინი მოულოდნელად გარდაიცვალა. მის 1951 წლის სამეცნიერო ანგარიშში ლომის თავის შესახებ არაფერია აღნიშნული. არ არსებობს კუფტინის 1951 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის დღიური. დაუთარში ლომის ოაჯი 1951 წლით არის გატარებული და აღნიშნულია, რომ იგი ექსპედიციისათვის შარვაძეს გადაუცია.

არქეოლოგ დ. ქორიძეს საჩხერის რაიონში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნული აქვს, რომ ლომის თავი გელბახიანს უპოვია. საირხის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ვ. გელბახიანმა დაგვიდასტურა ამ ცნობის სისწორე და დაახლოებით მიგვითითა ადგილზე, სადაც მან ნივთი იპოვა. გაიჩვენა, რომ ხელოვნების ეს უძველესი ნიმუშიც ლომინაურიდან მომდინარეობდა. გარდა ამისა, ჩვენ გამოკვითხეთ ყველა იმ პირს, ვისაც ბაზების „ჭრელი ქვების“ აღმოჩენა ახსოვდა. ისინი სათითაოდ მოგვყავდა ლომინაურში. ყველა დაახლოებით ერთსა და იმავე ადგილზე მიგვითითებდა.

ადგილი ლომინაური სოფელ საირხის ცენტრში მდებარეობს. იგი წარმოადგენს ზეგანს, რომელიც გადაჰყურებს მდინარე ყვირილის ხეობას და რაჭა-იმერეთის ქედის ფერდობებზე შეფენილ სოფლებს. ლომინაურის ტერიტორიაზე ძირითადად გაშენებულია საკოლმეურნეო ვენახები. აღმოსავლეთით გადის გზა, რომელიც სოფელ გორისისა და კორბოულის საზღვარზე უერთდება თბილისისაკენ მი-

მაველ ავტოსტრადას. სამხრეთით შემალეულ ადგილზე დგას სოფლის ეკლესია, ხოლო აღმოსავლეთით, ორი ლელის შესართავში აღმართულ კონცხზე, მესხები მოსახლეობენ.

წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო ლომინაურში. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გათხრებს აწარმოებდა ნ. ლამბაშიძე. ვინაიდან იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და არ დაუტოვებია საირხეში გათხრილი ძეგლების ფოტომასალები, ჩანახატები და დღიურები, საჭიროდ მივიჩნიეთ მის მიერ კონსერვირებული ძეგლის ნაწილის ხელახალი პრეპარაცია და სათანადო ფიქსირება*. გარდა ამისა, ნ. ლამბაშიძის განათხარი თავისებურ ორიენტირს წარმოადგენდა ექსპედიციისათვის შემდგომ მუშაობაში.

ლომინაურში თავდაპირველად გაეთხარეთ მცირე მოცულობის ნაგებობის ნაშთები. შემორჩენილი საძირკვლის მიხედვით იგი წარმოადგენდა პატარა ზომის წენობას, რომლის გარშემო მიწაში უწყესრიგოდ ეყარა კედლებიდან გადმოცვენილი მცირე და დიდი ზომის ქვები... სათანადოდ გაწმენდის შემდეგ მიწის ზედაპირზე მოიხაზა კედლების ნაშთები. აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის საძირკველი მთლიანად იყო შემორჩენილი, დასავლეთის კედლის ნაწილი მორღვეული ჩანდა. საძირკვლის სისქე საშუალოდ 50 სმ იყო. აღმოსავლეთის კედლის სისქე ორნახევარჯერ აღემატებოდა დანარჩენებისას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პირველ ნაგებობას აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა სხვა შენობა. შესამღებელია ეს იყო ქვაფენილის ნაშთი, რომელიც ნაგებობის აღმოსავლეთ კედელთან გადიოდა. ნაგებობის შიგნითა ტერიტორია, რომელიც 8 კვადრატულ მეტრამდე ფართობს მოიცავს, მეტად ღარიბია. აქ კულტურული ფენა 120 სმ-ზე ვრცელდება მიწის სიღრმეში და შეიცავს უსახურსა და მთლიანად დაღეწილ თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ზედა ფენაში აღმოჩენილი კარგად განლექილი მოთეთრო და წითელი ფერის ჭურჭლის ფრაგმენტები თავისი კეცით ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლებს უახლოვდება. თუმცა ამ ფრაგმენტების მიხედვით გარკვევით რამის თქმა შეუძლებელია.

ინტერესს იწვევს ექსპედიციის მიერ გამოვლინებული მეორე დიდი ზომის შენობა. (ტაბ. XXIV).

იგი პირველი ნაგებობიდან ერთი მეტრით არის მოშორებული და მის სამხრეთით მდებარეობს. შენობა მტკიცედაა ნაშენი, საგანგებოდ შერჩეული საშუალო ზომის ქვებისაგან. კედლების სიმაღლე ალავ-ალავ 120 სმ-ს აღწევს. ყველაზე მაღალ ადგილზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, შემორჩენილია კარგად გათლი-

* 1966 წ. ხუროთმოძღვარმა მ. ჩხიკვაძემ ჩვენ გადმოგვცა საირხეში ნ. ლამბაშიძის მიერ გათხრილი ნაგებობის გეგმა.

ლი ქვის კვადრი. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მეორე ნაგებობის ნაწილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს საძირკველთან, რომელზედაც თლილი ოთხკუთხედი კვადრატებისაგან ამოყვანილი კედლები იდგა. საძირკველის სისქე საშუალოდ 130 სმ-ია. სპეციალისტების აზრით, ასეთი სისქის საძირკველს 8—10 მეტრი სიმაღლის კედლები შეეძლო დაეჭირა. ჩრდილოეთის კედლის სიგრძე 11 მეტრია, აღმოსავლეთისა — 10, დასავლეთისა — 8; დასავლეთის კედელი ნაკლულია, სამხრეთის კედლის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. ნაგებობას მიწის სამუშაოების დროს წასწყდომიან და კედლები მოურღვევიათ.

შენობის ტერიტორია დიდი სიფრთხილით იქნა გაწმენდილი, მაგრამ იატაკის ან საკურთხეველის კვალს ვერ წავაწყდით.

მეორე ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან მიწის ზედაპირიდან 60 სმ-ზე აღმონდა ქვისგან გამოკვეთილი ცხოველის ქანდაკების თავის ფრაგმენტი (ნივთის ზომებია: სიგრძე 80 მმ, სიგანე 55 მმ). (ტაბ. XXV₃). ამ ფრაგმენტზე შემორჩენილია ყბის, ფაფრისა და ლაშის ნაწილი. ყბა რელიეფურადაა გადმოცემული და საერთო ფორმისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ფაფარი შესრულებულია წვრილი ერთნაირი რელიეფური ხაზებით. ეს დეტალი საერთო ფონისაგან სწორი ხაზითაა გამოყოფილი. თავდაპირველად ვვარაუდობდით, რომ ვიპოვეთ 1951 წელს აკად. კუფტინის მიერ საირხედან ჩამოტანილი ქანდაკების ნაწილი. ამ ქანდაკებას მარცხენა მხარე ჩამოტყვევული აქვს და თითქმის არც ერთი დეტალი არ იკითხება.

შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ იგი წარმოადგენს სხვა ქანდაკების ფრაგმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ მრგვალი ქანდაკების ეს უძველესი ნიმუშები ერთმანეთის ზუსტ ასლებს წარმოადგენენ. მცირე განსხვავებაა ზომებში. ეს აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს ვენდოთ საირხის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის გ. გელბახიანის ცნობას და დავასკვნათ, რომ 1950 წელს მის მიერ ნაპოვნი ცხოველის ქანდაკება ლომინაურიდან მომდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ აღმოჩენილი დეტალი 1950 წელს ნაპოვნი ლომის ყბის ზუსტი ასლია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანადროულნი არიან, ერთ სახელოსნოშია დამზადებული და შესაძლოა ერთი ოსტატის ნახელავიც იყოს. გარდა ამისა, ნ. ლამბაშიძის მიერ საირხეში აღმოჩენილი მასალების კოლექციაში მოიპოვება ქვისაგან გამოკვეთილი ზუთი ფრაგმენტი. ერთი მათგანი შემკულია თანაბარი მსხვილი რელიეფური ხაზებით. ხაზები დეტალზე ვრცელდება ოვალურად. შუა მთავარი გამყოფი ხაზის მარჯვნივ მოთავსებულია 6 რელიეფური ხაზი, მარცხნივ 11. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს დეტალეები ქანდაკების ნაწილია. იგი თავისი ფორმით, ხაზების განლაგებით და კვეთის მანერით სრულიად ემთხვევა საირხეში ნაპოვნი ცხოველის თავის ქანდაკებას. (ტაბ. XXV₁).

მეორე დეტალი წარმოადგენს მცირე ფრაგმენტს, იგი შუაზე გაყოფილია პორიზონტალური მრგვალი ლილვით. ცალი მხარე სადაა, ხოლო მეორე შემკულია მსხვილი ერთნაირი ზომის რელიეფური ხაზებით. ეს ფრაგმენტიც ცხოველის ქანდაკების ნაწილს წარმოადგენს. იგი კარგად ემთხვევა საირხეში აღმოჩენილ ლომის თავის ქანდაკებაზე თვალის არეში ამოკვეთილი ყბისა და ფაფრის აღმნიშვნელ დეტალებს. ზომებით იგი შედარებით მცირეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფრაგმენტი სხვა ქანდაკების ნაწილია.

დანარჩენი სამი დეტალის დანიშნულების გარკვევა შედარებით ძნელია. ისინი თავისი ფორმით არ შეესატყვისებიან ლომინაურში აღმოჩენილი ქანდაკების ფრაგმენტებს. თუმცა ორნამენტის კვეთის მანერა და ქვის დამუშავების სტილი აქაც ისეთივეა. მკვეთრი რელიეფური ხაზები, რომლითაც დეტალებია შემკული, შუაზე წრიული მკრთალი ხაზით არის გაყოფილი. ქვედა ნაწილი ამოზურცულია და ცხოველის დინგს მოგვაგონებს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ნახვრეტი, რომლითაც შესაძლებელია ნესტო იყო აღნიშნული. (ტაბ. XXII₂).

ზემოთ მოტანილი მასალის განხილვიდან ჩანს, რომ ლომინაურში ქვისგან გამოკვეთილი ცხოველის ქანდაკებები მრავლად ყოფილა, ყოველ შემთხვევაში სამი მათგანი ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს.

მეორე ნაგებობაში, დასავლეთის კედლის შიგნით, მიწის ზედაპირიდან 70 სმ-ზე აღმოჩნდა ქვისგან გამოკვეთილი მეტად საინტერესო საგანი. იგი წარმოადგენს ქვის მრგვალ ლეროს, რომელსაც სოკოსებრი ოვალური თავი აქვს. მის ორმხრივ დაფერდებულ ზედაპირზე ორი ნუშისებური რელიეფური დეტალია გამოსახული. დეტალები ერთმანეთისაგან ჩალარული ხაზით არის გამოყოფილი. ეფიქრობთ, რომ ეს ნივთი ფალოსის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს. (ტაბ. XXV₄).

დაახლოებით ამავე ფუნქციის მატარებელი ჩანს ნ. ლამბაშიძის მიერ ლომინაურში აღმოჩენილი ხუთი საგანი. ეს ნივთები ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავდება, როგორც ფორმით, ისევე შემკულობის შინაარსითაც. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქვისგან გამოკვეთილი, ფაქიზად დამუშავებული ნივთი, რომელიც ერთი შეხედვით ყველაზე მეტად ცხოველის ყურს მოგვაგონებს. მისი გარეთა მხარე სადაა და კარგად არის გასუფთავებული. შიგნითა მხარეზე მოთავსებულია საერთო ფონისაგან მკვეთრად გამოყოფილი რელიეფური სახეები.

შუა გამოყოფი ხაზი სწორხაზოვნად ვრცელდება საგნის მთელ სიგრძეზე. ამ ხაზის ორსავე მხარეზე ამოკვეთილია გაურკვეველი შინაარსის შემცველი დეტალები. იმ ადგილზე, რომელიც ცხოველის ყურის დასაწყისს მოგვაგონებს, მოთავსებულია ორი რელიეფური ხაზი. ისინი მოხრილი თავით ეხებიან შიდა ჩალრმავებულ ნაწილში ამოკვეთილ დეტალებს, რომელთა ზემოთ სხვადასხვა ფორმის ხაზე-

ბია მოთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ საგანი ძალზე ფაქიზად არის დამუშავებული და ჩამოსხმულის შთაბეჭდილებას ახდენს. (ტაბ. XXV₂) ამავე შინაარსის შემცველი ჩანს დანარჩენი სამი დეტალიც, რომლებიც ნაკულუბია და ჩვენამდე მცირე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ორი მათგანი შიგა ზედაპირზე ამოკვეთილი დეტალების შინაარსითა და ზომების მიხედვით ძალზე ახლოს დგას ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ნივთთან. (ტაბ. XXV). მესამე შედარებით მცირე ზომისაა და მასზე ვერტიკალური გამყოფი ხაზის ორსავე მხარეს მცენარეული ორნამენტის მოტივები უნდა იყოს წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ამ საუნების სახით საქმე გვაქვს ჩასახვა-განაყოფიერების პირობით აღნიშვნასთან და ისინი მდებარეობითი სასაქესო ორგანოს სტილიზებული გამოსახულებანია. აქ აღმოჩენილი ერთი ფრაგმენტი თავისი შინაარსით თითქმის იმეორებს ზემოთ აღწერილ საუნებს, იმ განსხვავებით, რომ მასზე წარმოდგენილია როგორც კტების, ასევე ფალოსი. (ტაბ. XXVI_{3,4}).

ლომინაურში აღმოჩენილი საკულტო ფალიური საუნების ფუნქციის განსაზღვრა, მათი მიკუთვნება რომელიმე ღვთაებისადმი და ამ ღვთაების სახელის გამოცნობა მეტად საძნელო საქმეა. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოში ფალიური კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და იგი უკავშირდებოდა ქართულ პანთეონში შემავალ არა ერთ, არამედ რამდენიმე ღვთაებას. ვიდრე შევუდგებოდეთ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალებისა და ქართული წარმართული მითოლოგიის წიაღიდან გამოსულ რელიგიურ დღესასწაულებში დაშრევებული ფალიური კულტის ზოგად განხილვას, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა ვთქვათ ამ კულტის წარმოშობაზე და მის გავრცელებაზე საერთოდ.

განვითარების ადრეულ საფეხურზე ფალიური კულტი გამოიხატება გამანაცოფიერებელ ორგანოთა გაღმერთებაში. მათ თავყვანს სცემენ როგორც დამოუკიდებელ ღვთიურ არსებებს და გამოსახავენ სიმბოლური სახით¹. აკრძალვის მიუხედავად ფალიური კულტი უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი იყო იაპონიაში. შინტოური კოსმოგონიის მიხედვით თვით კუნძულები კი ფალოსის სახითაა წარმოდგენილი².

ძველ სამყაროში ფალიური კულტის კლასიკურ ქვეყანას საბერძნეთი წარმოადგენდა. ფალოსი თავდაპირველად ფეტვიში იყო და შემდეგში თანდათან გადაიქცა იმ ღვთაებათა ატრიბუტად, რომლებიც ბუნების წარმოშობ ძალებს განასახიერებენ.

¹ Л. Я. Штернберг, Первобытная религия, Ленинград, 1936 г., стр. 30.

² Л. Я. Штернберг, დასახ. ნაშრომი.

კლასიკური ხანის საბერძნეთში ფალოსი გამოსახავდა ღმერთების დიონისეს, ჰერმესის, პრიამოსისა და აფროდიტეს სიმბოლოს.

კტეისს, ისე როგორც ფალოსს, თაყვანს სცემდნენ და მას დიდი ადგილი ეჭირა როგორც ადრეული ხანის, ასევე ძველი აღმოსავლეთის ცივილიზებული სამყაროს აგრარულ რელიგიურ მისტიკებში. არ შევუდგებით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებთან ამ კულტის არსებობის მაგალითების მოყვანას. მაგალითები ბევრზე ბევრია და კტეისის კულტი სხვადასხვა სახით გავრცელებული იყო რასობრივად განსხვავებულ და ტერიტორიულად სრულიად მოწყვეტილ ხალხებს შორის¹. აღნიშნული კულტის თაყვანისცემა შედარებით კარგად იყო ჩამოყალიბებული ძველ საბერძნეთში. პლინიუსის რწმუნებით, მწერებისაგან ნათესების გადასარჩენად საჭიროა, რომ მენსტრუაციის დროს ქალებმა თმებგაშლილებმა, მუხლებზემთო კაბააკაიწებულებმა და ფეხშიშველებმა იარონ ნათესებში. ამავე აზრისა იყო დემოკრიტე, რომელიც ამბობდა, რომ ფეხშიშველმა ქალებმა სამჯერ უნდა შემოუარონ ყანებო². როგორც ჩანს, ასეთი მოქმედებით სურდათ ნათესებისათვის გადაეცათ კტეისის ღვთაებრივი ძალა ნაყოფიერებისა, რომელსაც შეიცავდა მენსტრუაციის დროს გაუღენთილი ქალის სხეული³. საბერძნეთში დემეტრას კულტთან იყო დაკავშირებული ისეთი ჩვეულება, როდესაც ქალები კაბებს იწვედნენ და სასქესო ორგანოებს იშიშვლებდნენ. მსგავსი აქტები დამახასიათებელი იყო ბევრ სხვა ბერძნული კულტისათვის⁴.

ფალოსის მისტიკები უმთავრესად გაზაფხულზე იმართებოდა, როდესაც დედაბუნება იღვიძებდა და ნაყოფიერდებოდა. მას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული წარმართული მითოლოგიის წიაღიდან მომდინარე ბერიკაობა-ყენობის დღესასწაულში, რომელიც აგრეთვე ადრიან გაზაფხულზე იმართებოდა, ყველიერის კვირაში. ამ დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირის ბერიკაბა და ყენის ერთ-ერთ რიტუალურ საგანს წარმოადგენდა წითლად შეღებილი ფალოსი „კონკილა“, რომელიც მას წელზე ჰქონდა შებმული. მასპინძლის ეზოში შესული ბერიკა ოჯახის პატრონს დღესასწაულს მიულოცავდა, კარგ მოსავალს უსურვებდა, თავის საბრძანებელზე დაჯდებოდა და ფალოსით მიწას შეეხებოდა. ასეთი მოქმედებით მიანიშნებდა, რომ ფალოსი ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა, რომელიც ოჯახის დოვლათიანობას მფარველობს.

¹ Д. ж. Томпсон, Исследования по истории древнегреческого общества, Москва, 1958 г., стр. 225.

² იქვე, გვ. 202.

³ ს. შაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმოხილველი, თბ., 1926, გვ. 126.

⁴ კ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბ., 1966, გვ. 12.

ფალოსის კულტს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სვანურ საღმრთო დღესასწაულებში, რომლებიც ქვემო სვანეთში „ადრეკილაის“ და „მელია ტელეფიას“, ხოლო ზემო სვანეთში „საქმისაის“ სახელით¹ იყო ცნობილი. აღნიშნული დღესასწაულებიც ადრინა გაზაფხულზე იმართებოდა. ს. მაკალათიას გადმოცემით, ყველიერის კვირაში, სუთმაბათ დღეს, სოფელ ჟაბეშში თოვლისაგან „მურყვამს“ (კოშკს) აკეთებდნენ. კოშკის შუაგულში აღმართულ ხეზე ჰკიდებდნენ კალათს ან საცერს, ხის ხმალსა და ხისგან გამოთლილ ფალოსს². კალათს ან საცერს ძირი, სვანთა რწმენით, ნაყოფიერების სიმბოლო იყო³. სვანური საღმრთო დღესასწაულები მთავარი მოქმედი პირები იყვნენ: ყვენი, ან კეისარი და საქმისაი. ისინი მორთული იყვნენ სხვადასხვანაირად და წელზე უსათუოდ შებმული ჰქონდათ ხისგან გამოთლილი ფალიური საგნები. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუდგებით დღესასწაულის მთლიან აღწერას. სვანური „საქმისა“ და „მელია ტელეფია“ და საქართველოს ბარში გავრცელებული „ბერიკაობა-ყენობა“ წლების განმავლობაში წარმოადგენდა მეცნიერთა კვლევის საგანს. მათ მიერ დადგენილია, რომ ეს დღესასწაულები შეიცავენ სხვადასხვა ღვთაებებისადმი განკუთვნილი კულტმსახურების ელემენტებს, რომლებსაც ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული და წარმართული ხანიდან მომდინარეობენ. ეთნოგრაფიულ კვლევასთან ერთად, ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონის დადგენის საქმეში, და საერთოდ წინაქრისტიანული ხანის რელიგიის სურათის წარმოსადგენად, დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს. არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ ძველი ბერძენი და რომელი მწერლების ცნობებს იმის შესახებ, რომ საქართველოს ბარი წარმოადგენდა განვითარებული რელიგიის ქვეყანას, სადაც სხვადასხვა ღვთაებათა სახელზე აგებული იყო ტაძრები. უნდა ვიფიქროთ, რომ ანტიკური ხანის საქართველოში ზოგიერთ კულტს და მათ შორის ფალოსის კულტს, კლასიკური სახე ჰქონდა. იგი უკავშირდებოდა რამდენიმე ღვთაებას, რომელთა სახელზე აგებული ტაძრები თუ სალოცავები დიდხანს არსებობდა როგორც წარმართული კულტმსახურების წმინდა ადგილები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იქ ქრისტიანული ძეგლები დგას.

თრიალეთის ეთნოგრაფიული ენკაუციის მიერ სოფელ სანთას მახლობლად აღმოჩენილი იქნა „კტივისის“ სახის მქონე საყურადღებო ძეგლი, რომელიც თანამედროვე მოსახლეობაში მიჩნეული იყო ნაყოფიერების მომცემ წმინდა ადგილად. აქ ხდებოდა გასათხოვარი ქალების გამოლოცვა გარკვეული წესისა და შესაწირის

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, გვ. 65.

² ს. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 128.

³ ი ქ ვ ე.

შესრულებით. ფალოსის ფორმის საკულტო ქვები დაცულია სოფ. არახლოს წმინდა გიორგის ეკლესიაში. სოფ დილომში, მთიულეთში, ზომლეთის წმინდა გიორგის სალოცავში. ცალკე უნდა აღინიშნოს უზარმაზარი ქვესგან გამოკვეთილი ფალიური ძეგლი წითელი ხიდიდან¹. ფალოსის კულტის თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული იმერეთში, სოფ. ზეკარში აღმოჩენილი მამაკაცის შიშველი ქანდაკება მკაფიოდ გამოსახული სქესობრივი ნიშნებით და სტეფანწმინდის განძში შემავალი ითიფალური ქანდაკებები, რომელთაც აკად. შ. ამირანაშვილი მამრობითი სქესის ძალის განსახიერებად მიიჩნევს². როგორც ვხედავთ, ფალოსთან დაკავშირებული ძეგლები ყველგან და ყოველთვის მიჩნეულია ნაყოფიერების მომცემ ღვთაებრივ საგნებად და, ამდენად, ღვთაებებსაც განასახიერებენ. რომელია ეს ღვთაებები? ამის შესახებ ჯერჯერობით დაბუჯილებით რამის თქმა ჭირს. პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, ბერეკა-ყვენობის დღესასწაულში ბერეკა ფუნქციონალურ მსგავსებას ამჟღავნებს ზოგად ქართულ ღვთაება ბოსელ-ბოსლასთან და ქრისტიანულ წმ. ბასილთან, რომლებიც სქესობრივი განაყოფიერების, საქონლია და ადამიანის გამრავლების, მოსავლიანობისა და დოვლათიანობის უზენაეს მფარველად ითვლებიან³. აკად. ივ. ჯავახიშვილი მურყვანობას სქესობრივი სიყვარულისა და შვილიერების მფარველი ღვთაების კვირიას დღესასწაულის ნაშთად მიიჩნევს⁴. მკვლევართა მოსაზრებანი ამ შემთხვევაში ძირითადად ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ეს წარმართული საღმრთო დღესასწაულები ჩვენამდე შერყვნილი სახით არის მოღწეული. ამის გამო მათი თავდაპირველი სურათის აღდგენა და ფალოსის კულტთან დაკავშირებულ ღვთაებათა გამოცნობა არ ხერხდება. გარდა ამისა, საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სვანეთში არსებული ფალიური კულტი აქ არსებული გვაროვნული წყობილების გამო ვერ მიიღებდა კლასიკურ სახეს, როგორც მას შეეძლო საქართველოს ბარში მიეღო, ანტიკური ხანის სახელმწიფოებრიობის არსებობისას. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, საქმისათვის დღესასწაული სვანეთში ველური პირველყოფილებით იყო დაცული⁵. ამის საწინააღმდეგოდ საქართველოს ბარში, კერძოდ, საირხეში აღმოჩენილი ფალიური საგნების მიხედვით ჩვენ ამ კულტის კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე. აღნიშნული საკულტო საგნები სტილიზებული სახით არის გამოხატული. მიუხედავად იმისა, რომ საირხეში მოპო-

1 ნ. რ ე ხ ე ი ა შ ვ ი ლ ი, სალოცავი მზიერი (გიუნე). აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIV, გვ. 199.

2 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 68.

3 В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования, Тб., 1957 г., გვ. 62.

4 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 170.

5 ი ქ ვ ე, გვ. 65.

ვებული თითქმის ყველა საგანი ჩვენამდე ნაკლები სახითაა მოღწეული, აშკარად ჩანს, მათი გამოკვეთა ტრადიციულად შემუშავებულ გარკვეულ მხატვრულ სტილს ემორჩილება, რაც ერთგვარად გულისხმობს მაღალგანვითარებული რელიგიისათვის წინასწარშემუშავებულ კულტმსახურების დოგმააჲ.

ქართულ პანთეონში შემაჯავლ რომელ ღვთაებას უნდა მიეკუთვნოს საირხეში აღმოჩენილი ფალაური საგნები? შეაძლებელია თუ არა კვირიასა და ბოსელ-ბოსლას გარდა ფალოსის კულტის დაკავშირება სხვა ღვთაებასთან? ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდოდ გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საირხეში აღმოჩენილი კტივისის გამოსახულებანა წარმოადგენენ „წმინდა საშოს“ და ისინი ამ შემთხვევაში შეაძლებელია მდებარეობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდებოდნენ. როგორც აღწერიდან ვიცით, საირხეში, იმ ადგილას, სადაც ეს საგნებია აღმოჩენილი, ნაპოვნია ლომის თავის ქვის ქვის ქანდაკება და ასეთი ქანდაკების ხუთი სხვა ფრაგმენტი. ეს გარემოება გვაგულისხმებინებს, რომ საირხეში არსებული კულტის ერთ-ერთ ატრიბუტს წარმოადგენდა ლომის გამოსახულება. ლომი, როგორც ძალისა და ძლიერების სიმბოლო, ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ სამყაროში უკავშირდებოდა ნაყოფიერების ღვთაებას. ქართულ სინამდვილეში ეს ფაქტი, არქეოლოგიური მასალის გარდა, წერილობითი წყაროებითაც არაა დადასტურებული. ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის ანტიკური ფლავიუს არიანე, რომელსაც მოვლილი ჰქონდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, თავის „პერიპლუსის“ პირველ ნაწილში¹ მოგვითხრობს: „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფაიაანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილი უჭირავს, აგრეთვე მიაი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტრონში“² (ღმერთების დედის ტაძარი). არიანეს ეს ცნობა მეტად სანდო საბუთს წარმოადგენს იმის გამო, რომ მოგზაურობის დროს ფაზისში იგი დიდხანს შეჩერდა და იქ სამუშაოებიც კი აწარმოა. „გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურის და ციხის კედლებს გარეთ აშენებულ სახლებს“³ არიანეს თხზულების ქართულად მთარგმნელი, განსვენებული ნ. კეჭეყმაძე წიგნის შესავალში შემდეგს წერს: „საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არიანე, რომელიც კარგად იცნობდა ბერძნულ ღვთაებათა პანთეონს, მიუხედავად ფაზისში დიდხანს ყოფნი-

1 ნ. კეჭეყმაძე, ფლავიუს არიანე „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, თბილისი, 1961, გვ. 34--35.

2 იქვე, გვ. 39.

3 ნ. კეჭეყმაძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 40.

სა, იგი ფაზისის მარცხნივ მდგარ ქანდაკებაში ვერ ცნობს ბერძნულ ღვთაებას¹. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ არიანე შავი ზღვის სანაპიროზე მოგზაურობის დროს მისიონერის როლშიც გამოდის და იმპერატორს სწერს: ტრაპიზუნტის ბერძნული სალოცავისათვის „თუ გსურს გამომიგზავნე ჰერმესის სრული ხუთფუნტიანი ქანდაკება. ასეთი სიდიდის ვგონებ ტაძრის თანაზომიერი იქნებაო“². მოყვანილი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ არიანე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული რელიგიის დამკვიდრებისათვის მებრძოლი პიროვნებაა და, შაშასადამე, მისი კარგი მცოდნეც. ეს გარემოება აშკარას ხდის, რომ მის მიერ ნანახი ფასიანეს ქანდაკება ადგილობრივი ქართული რელიგიური პანთეონის ღვთაებაა. ეს კი თავისთავად მიუთითებს გვიანი ელინისტური ხანის ქალაქ ფაზისში ადგილობრივი რელიგიის გაბატონებულ მდგომარეობაზე, რაც აგრეთვე გულისხმობს ადგილობრივი ეთნიკური ერთეულის პრივილეგირებულ მდგომარეობას და მის წამყვან როლს ფაზისის საქალაქო ცხოვრებაში³. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ქალღმერთ ფასიანეს თაყვანს სცემდნენ არა მარტო ფაზისში, არამედ მთელს კოლხეთში. არიანეს ცნობა იმის შესახებ, ეს რეა უნდა იყოსო, გვარწმუნებს, რომ იგი მდებარეობითი სქესის ღვთაებაა. ქალღმერთ რეას კულტი საბერძნეთში გავრცელდა მცირე აზიიდან. აქ იგი ცნობილი იყო კიბელას სახელით და თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთების დედას.

ანტიკურ ხელოვნებაში კიბელა წარმოდგენილია როგორც ლამაზი, მდიდრულად შემოსილი მატრონა. მას თავზე გვირგვინი ახურავს, ცალ ხელში წინწილი უჭირავს, ხოლო მეორეში კვერთხი. იგი ზის ლომებით გარშემორტყმულ ტახტზე ან ეტლზე, რომელშიც ლომებია შებმული. ზოგჯერ თვითონ არის ლომებზე ამხედრებული⁴. არიანეს აღწერიდან ჩანს, რომ ქართული ღვთაება ზოგიერთი რამით ემსგავსება რეა-კიბელას (ხელში მას წინწილი უჭირავს, მის ფეხებთან ლომები წვანან და თვითონაც ისე ზის, როგორც ათენის მეტრონში ფიდიასის ღვთაება). მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბერძნულ-მცირეაზიურ რეა-კიბელას და ქართულ ფასიანეს შორის სრული მსგავსება იყოს. აღსანიშნავია, რომ თვით რეასა და კიბელას შორის არსებობს თვალსაჩინო განსხვავება, როგორც საკულტო წესებში, ასევე ქალღმერთის ფუნქციებშიც. ღმერთების დედის სალოცავის არსებობა დადასტურებულია ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების რელიგიაშიც და გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მცირეაზიურ და ბერ-

1 ნ. კ ე ე ე მ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 40.

2 იქვე.

3 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, ვვ. 68—69.

4 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132.

ძნულ სამყაროში¹, ასეთ ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველო, სადაც „ღმერთების დედის“, ანუ „დიდი დედის“ კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული. პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, „ღმერთების დედის“ თაყვანისცემა ქართველ ტომებში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების რღვევის ხანიდან მოდის².

„ღმერთების დიდი დედა“, რომელიც ქართულ წეს-ჩვეულებაში ნანად იხსენიება, წარმოადგენს ნაყოფიერების, გაცოცხლებული ბუნებისა და სქესობრივი სიყვარულის ღვთაებას. ეთნოგრაფიული მასალების გარდა, საქართველოში ღმერთების დედის კულტის პოპულარობაზე მიუთითებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ქალის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები. ერთ-ერთი ასეთი ქანდაკების განხილვისას, რომელსაც ბოებორის განძი შეიცავდა, პროფ. ბ. კუფტინი წერდა, რომ იგი წარმოადგენს მცირეაზიური ღმერთების დედის ადგილობრივ რეპლიკას³. აღნიშნული კულტის პოპულარობაზე უნდა მეტყველებდეს აგრეთვე კოლხური თეთრის ვერსზე მოთავსებული ქალის გამოსახულება⁴. ღმერთების დედის თაყვანისცემა საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ კავკასიაში, გავრცელებული იყო ბერძნულ კოლონიზაციამდე დიდი ხნით ადრე. ეს ღვთაება აქაურია და დაკავშირებულია ადგილობრივ რელიგიურ ტრადიციებთან⁵. ამრიგად, სრულიად მართებული ჩანს ვ. ბარდაველიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არიანეზ მიერ ნანახი ქანდაკება, რომელიც ფაზისში იყო აღმართული, ქართულ ღვთაებათა პანთეონის წარმომადგენელია და ღმერთების დედას — ნანას განასახიერებს! ჩვენ სავარაუდოდ გვსურს გამოეთქვათ მოსაზრება, რომ საირხეში აღმოჩენილი კტეისი, როგორც მდედრობითი სქესის საწყისი და ნაყოფიერების სიმბოლო, ლომის თავი როგორც ძალისა და ძლიერების სიმბოლო და აგრეთვე ფალოსიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მდედრობითი სქესის ღვთაებას. ასეთ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს საირხის ანტიკური ხანის ნამოსახლარ ფენებში აღმოჩენილი ქალის გამოსახულება. იგი თიხისაგან არის გამოძერწილი. თავი და მარცხენა ხელი მოტეხილი აქვს. ქანდაკება სქემატურია: მკლავები პორიზონტალურად აქვს გაშლილი, ქვედა ტანი ცილინდრული ფორმისაა. განსაკუთრებითაა ხაზგასმული მკერდის არე. ძუძუები ორი ბირთვის სახითაა გადმოცემული. ძუძუს თავები გამოძერწილია მოშავო ფერის თიხისაგან. ქანდაკება ჯვრის ფორმისაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ქვედა ტანი ცილინდრულია, რაც გვაფიქ-

¹ ბ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 68—69.

² В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядное графическое искусство грузинских племен, Тб., 1957 г., стр. 61.

³ Б. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 247.

⁴ იქვე.

⁵ ბ. ლომოური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 67.

რებინებს, რომ იგი საოჯახო საკურთხეველზე დასადგმელ კერას წარმოადგენდა. (ტაბ. XXXII). ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში საკმაო რაოდენობით გვხვდება ქალის ქანდაკებები. საინტერესოა გვიანბრინჯაოს ხანის ერთი ეგზემპლარი, რომელიც კოდორის ციხის მახლობლად აღმოჩენილი. იგი ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული, წაგრძელებული კისერი აქვს. სახის ნაკეთები სქემატურადაა აღნიშნული, სამაგიეროდ გულმკერდი მკვეთრადაა გამოსახული. ზეცისაკენ აღმართული ხელები იმაზე უნდა მიუთითებდეს¹, რომ ჩვენ ლოცვად ხელაყრობილი ქალღმერთის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი ნაცარგორის მეორე ფენაში აღმოჩენილ ერთ პრიმიტიულ ქანდაკებას მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ნაყოფიერების ღვთაებად მიიჩნევს².

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებში, ისე როგორც ეგეოსის სამყაროში, ფართოდ იყო გავრცელებული ქალის ქანდაკებები. განსაკუთრებით საინტერესოა ტროაში აღმოჩენილი კერპები, რომლებიც ქალღმერთის სქემატურ გამოსახულებებს წარმოადგენენ. ერთ ქანდაკებას, რომელსაც სუსტად გამოსახული სახის ნაკეთები, წაგრძელებული ყელი და მკერდზე დაჭდობილი ხელები აქვს, სასქესო ორგანოსთან გამოსახული ჰქონდა ჯვარი. მისი ქვედატანი, ისე როგორც საირხეში აღმოჩენილი ფიგურისა, ცილინდრული ფორმისაა. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი საკურთხეველზე დასადგმელ კერპს წარმოადგენს. როგორც პროფ. ლისტემბერგი აღნიშნავს, სასქესო ორგანოსთან ჯვრის გამოსახვების ნიშანია, რომ საქმე გვაქვს მშობელ ქალღმერთთან, რომლის მუცელში ბავშვია ჩაახული. ჯვრის გამოსახულება ადრეულ ხანაში ადამიანის აღმნიშვნელი სიმბოლოა, და როცა იგი ქალის სასქესო ორგანოსთანაა გამოსახული, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ნაყოფიერების ღვთაებასთან. ღვთაებათა სხვადასხვაგვარად გამოსახვა ამა თუ იმ ხალხში გავრცელებულ რელიგიურ აზრსა და მხატვრულ ფორმებს ეყრდნობა. გვიან ხანაში ქალღმერთის გამოსახულებები მრავლდებიან და იცვლებიან, ამიტომ მათი გამოყოფა ერთმანეთისაგან ხდება სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნით. საირხეში აღმოჩენილი ქანდაკების ასეთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ მკვეთრად გამოსახული მკერდი, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი მღვდლობითი სქესის ნაყოფიერების კერპს უნდა წარმოადგენდეს.

საირხეში, ადგილ ლომინაურში, იქ, სადაც ფალიური საგნები და ლომის თავის ქანდაკება იყო აღმოჩენილი, ნ. ლამბაშიძეს უპოვია გაურკვეველი დანიშნულების ორი ნივთი. ისინი წარმოადგენენ კირქვისაგან გამოკვეთილ მრგვალ მა-

¹ არქეოლოგიური კატალოგი, ტ. II, თბ., 1955, გვ. 30.

² გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, მიომოხილველი, ტ. II, გვ. 252—256.

სიურ ღეროს, რომლის საგულდაგულოდ დამუშავებული ზედაპირი შემკულია ჩრგვალი, საერთო ფონისაგან გამოყოფილი ლილვებით. ლილვები ზიგზაგისებურად ვრცელდება ღეროს ზედაპირზე, მისი ტანის გასწვრივ და ტალღისებურ ორნამენტს ქმნიან. აღნიშნული საგნები ჩვენამდე ნაკლები სახით არის მოღწეული. ერთი მათგანი, რომელიც შუაზეა გადატეხილი, ბოლოში ვიწროვდება და კონუსის ფორმას ღებულობს. გატეხილი ბოლოსა თუ წვეროს ნაწილიდან ჩანს, რომ იგი გამოყოფილია საერთო ფონისაგან და პროფილირებულია. ამ დეტალის ტანზე 67 ლილვია ამოკვეთილი. მეორე დეტალი პირველის ანალოგიურია იმ ვანსხვავებით, რომ მასზე კონუსისებური ბოლო არ არის შემორჩენილი. (ტაბ. XXVI₁). თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საგნები როგორც ფორმით, ასევე მხატვრული სტილით სრულიად უცხო საგნებს წარმოადგენენ და მათ ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ ლიტერატურაში პარალელები არსად არ ეძებნება. მიუხედავად ამისა, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ეს დეტალები ნაყოფიერების ხის იმიტაცია იყოს და მათი სახით ქვისგან გამოკვეთილ წმინდა ხის სტილიზაციის ცდასთან გვეჭონდეს საქმე. ასეთ საბაბს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ დეტალები იძლევიან, რადგან ისინი ბოძებს და ამდენად ხის ტანს მოგვაგონებენ. ტანის უამრავი ძარღვებისებური ლილვებით შემკობა შესაძლოა ნაყოფიერებისა და სიმრავლის აღმნიშვნელი იყოს და შესაძლებელია წიწვოვანი ხის სტილიზაციას წარმოადგენდეს. ხის კულტი კაცობრიობის ისტორიაში უძველესია და ზოგჯერ ღვთაებების წარმომობაც კი ამ კულტთან არის დაკავშირებული¹. როგორც ქართულ, ასევე ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ რელიგიებში ეს კულტი უმთავრესად თან ახლავს ნაყოფიერების ღვთაებისათვის განკუთვნილ რიტუალს. საქართველოს სინამდვილეში ხის კულტი უკავშირდება ზემო სვანეთში შემორჩენილ და წინაქრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებულ აგრარულ დღესასწაულს „მურყვამობა-კვირიაობას“. „მურყვამობა-კვირიაობაში“ საკულტო ხეებად ითვლებოდა ნაძვი, ფიჭვი, დგნალი და არყი².

სვანეთში ყველა მოსახლეს ჰქონდა კალოზე არყის ხის უზარმაზარი კეტი, რომელიც სიუხვისა და ბარაქის მომტანად ითვლებოდა³. კვირიას საჯალობლის შესრულების დროს კომკს აგებდნენ, მის შუაგულში ნაძვი ან ფიჭვის ბოძს დგამდნენ, რომელსაც მამაკაცის ტანსაცმლით მოსავდნენ. თუ თოვლი არ იყო, კომკის მაგივრად ხეს აღმართავდნენ ხოლმე. რიტუალის მონაწილე ორად გაყოფილი

1 Д. Ж. Фрезер, «Золотая ветвь», выпуск III, М., 1928 г., стр. 94.

2 ჯ. ონიანი, სვანური „მურყვამობა-კვირიაობა“, მაცნე, № 4, 1965, გვ. 64-66.

3 იქვე, გვ. 66.

ჯგუფი საითაც ამ ხეს წააქცევდა, იმ მხარეს მეტი ნალექი და უხვი მოსავალი იქნებოდა¹.

კვირია ღვთაებაა ბუნების აღორძინებისა, სიცოცხლისა, ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლისა. იგი სქესობრივი სიყვარულისა და შვილიერების მფარველი ღვთაებაც არის². ამ ღვთაებასთან ხის კულტის დაკავშირება სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ხის ტანში ცხოვრობს თვით ღვთაების სული და ადამიანიც კი მისი ტანიდან იზადება. უამრავი მაგალითები მიუთითებენ, რომ ხის კულტი საქართველოს ბარის კუთხეებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ბერძნულ და ძველ აღმოსავლურ რელიგიაში ხის კულტს ცენტრალური ადგილი ეჭირა ნაყოფიერების მომცემ ღვთაებათა რიტუალებში. ეგვიპტური ღვთაების ოზირისის საღმრთო ცერემონიალთან განუყრელად იყო დაკავშირებული ხის კულტი. ამ ღვთაებისადმი განკუთვნილ რელიგიურ დღესასწაულზე მორწმუნეები ნადვის ხეს ჭრიდნენ, ატლიდნენ გულს, შემდეგ მისგან ღვთაება ოზირისის ქანდაკებას აკეთებდნენ, ისევე ხეში ჩასვამდნენ და მთელი წლის განმავლობაში ინახავდნენ ნადვის ხეზე მიბმულს³.

დენდორის ტაძრის დარბაზში გამოსატულია კუბო, რომელშიც ჩასვენებულია ღვთაება ოზირისის მუმია. იგი დამწვრდებულია წიწვოვან ხეში, რომლის ფოთლები და ტანი გარშემოხვეულია კუბოზე.

ინგლისელი მკვლევარის ჯ. ფრეზერის აზრით, რიტუალიც და გამოსახულებაც გადმოცემა უნდა იყოს ოზირისის მითისა, რომლის მიხედვით მისი სხეული ხის ტანშია დამწვრდებული. თვით ღვთაების თავდაპირველ წარმოშობასაც კი ხის კულტს უკავშირებს⁴. ოზირისის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია განაყოფიერებაა. ღვთაებისადმი მიძღვნილ ჰიმნში იგი „დედა და მამაა ადამიანთა მოდგმისა“⁵. ეგვიპტეში მორთული ბომების აღმართვა ხდებოდა ღვთაება მინასა და ამონის სახელზეც. ეს ბომები ზოგჯერ გააზრებული იყო როგორც ფალოსები.

ხის კულტს დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე დიონისეს დღესასწაულებში. ძველი ბერძნები თაყვანს სცემდნენ დიონისეს ხეს. ხის კულტი მცირე აზიაში, პალესტინაში უკავშირდებოდა ატასისა და აშერის ღვთაებებს. ქართულ არქეოლოგიურ მასალებში იგი დამოწმებულია თრიალეთის თასზე, სადაც რელიგიური რიტუალური სცენაა გამოსახული. აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, მთავარი პერ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 70.

² იქვე.

³ ჯ. ფრეზერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

⁴ იქვე, გვ. 95.

⁵ Д. ж. Фрезер, «Золотая ветвь», выпуск III, М. 1928 г., стр. 94.

სონაჟის, ე. ი. ღვთაების, უკან გამოსახული ხე არის ხე ცხოვრებისა¹. თასის ზედა ნაწილში მოთავსებულია სცენა, სადაც 22 ნიღბოსანი ადამიანია გამოსახული, ხელში თასებით. აკად. შ. ამირანაშვილი ამ სცენას მიიჩნევს რელიგიურ მისტიკრიად, რომელიც ნაყოფიერების ღვთაების კულტანაა დაკავშირებული². განხილული მასალები გვარწმუნებენ, რომ ხის კულტი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წარმართულ რელიგიებში ორგანულად არის დაკავშირებული ნაყოფიერების ღვთაებასთან. ამრიგად, ლომინაურში მათი არსებობა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ სხვა საგნებთან ერთად სრულიად კანონზომიერ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

საირხეში აღმოჩენილი მასალების მნიშვნელობა დიდია, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვა ამგვარი შინაარსის შემცველ არქეოლოგიურ ძეგლებთან შედარებით, იმის გამო, რომ აქ ღვთაებისადმი კულტმსახურება დაკავშირებულია სატაძრო რიტუალთან. ლომინაურში შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სოფელ საირხეში ანტიკურ ხანაში არსებობდა ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული გრანდიოზული ტაძარი.

ტაძრის სვეტების ბაზისები თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვისაგანაა გამოკვეთილი. ერთი მათგანი წარმოადგენს მთლიანი ბოძის საყრდენს (ტაბ. XXVII₂), ხოლო მეორე ე. წ. ნახევარბოძის საყრდენს (ტაბ. XXVII₃). ხუროთმოძღვარ გ. ლეჟავას აზრით, ეს ფრაგმენტები ტაძრის სვეტისთავებია. მათ ნატიფი ორნამენტით მოჩუქურთმებული ექინი აქვთ. ის ადგილი ექინის ყელისა, სადაც ჩვეულებრივ „ღვედეები“ შემოსდევს ხოლმე, მოჩუქურთმებულია. აბაკისა და ექინს შორის ჩაჭრილია სამი ენერგიული ღარი³. ექინის ჩუქურთმა მთლიანობაში გაშლილ ყვავილს წარმოადგენს. ჩუქურთმის დამუშავების ტექნიკა სკულპტურულია. მკვლევარის აზრით, იგი გაშლილი პაპირუსის ფურცლებია და თანმიმდევრული პლანებით არის განლაგებული ექინის ორმაგ მრუდზე ზედაპირზე⁴. 1961 წელს საირხეში მცხოვრებმა რ. ნადირაძემ ჩვენ გადმოგვცა ქვის ერთი ნატეხი, რომელიც, მისი თქმით, ლომინაურში არის ნაპოვნი. ჩუქურთმის სტილითა და ქარგით იგი სრულიად ემთხვევა დიდი ზომის არქიტექტურულ დეტალს. რესტავრაციის შედეგად დადგინდა, რომ ეს ფრაგმენტი ჩამოტეხილია აღნიშნული კვარცხლბეკიდან და მას ეკუთვნის. ნ. ლამბაშიძის მიერ ლომინაურში მოპოვებული ნივთების კოლექციაში ყურადღება მიიქცია ორნამენტით შემკულმა

1 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1944, გვ. 32—33.

2 იქვე, გვ. 34.

3 გ. ლეჟავა, სოფ. საირხეში აღმოჩენილი სვეტისთვის შესახებ, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 2, გვ. 49.

4 იქვე.

ქვის ერთმა ფრაგმენტმა. მასზე შემორჩენილია ორი სადა ლილვი, რომელთა შორია მოთავსებულია შედარებით მსხვილი გრებილორნამენტებიანი ლილვი. ლილვები ერთმანეთისაგან ჩაჭრილი ღარებით არის გამოყოფილი. ნატეხზე შემორჩენილია აგრეთვე სტილიზებული ფოთლის ნაწილი. (ტაბ. XXVII). ეს ნატეხი ჩუქურთმის ქარგით საირხეში აღმოჩენილი პილასტრის ზუსტ ასლს წარმოადგენს. გ. ლეჟავას მიხედვით, მისი სახით ჩვენ ხელთა გვაქვს კაპიტელის ექინისა და აბაკას ნაწილი¹ რესტავრაციის შედეგად დადგინდა, რომ ზომებითაც იგი სრულიად ემთხვევა მცირე ბოდის კვარცხლბეკს. ფრაგმენტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ საირხეში ლომის თავის ქანდაკებების წსგავსად სვეტის კვარცხლბეკებიც მრავლად ყოფილა. ყოველ შემთხვევაში სამი მათგანი ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხუროთმოძღვარმა გ. ლეჟავამ საირხეში ადრე აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები სვეტისთავებად მიიჩნია. ასეთ მოსაზრებას მეცნიერთა ერთი ჯგუფი იმთავითვე არ იზიარებდა. პროფ. ი. ციციშვილი და ლ. სუმბაძე მხარს უჭერდნენ აკად. შ. ამირანაშვილის მტკიცებას იმის შესახებ, რომ წინაქრისტიანული ხანის ქართულ არქიტექტურაში მსგავსი დეტალები შესაძლებელია ბოდის კვარცხლბეკებად ყოფილიყო გამოყენებული. საქცილისტების მიერ ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევას დიდი მნიშვნელობა ექნება საირხეში სავარაუდოდ ტაძრის ტექნიკურ-მხატვრული ფორმებისა და საერთოდ წინაქრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების სტილისა და მისი რაობის შესასწავლად.

გ. ლეჟავამ აღნიშნული ფრაგმენტები მიიჩნია დორიული ორდერის ტაძრის სვეტისთავებად². ასეთი მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს თუნდაც ამის გამო, რომ დორიულ ორდერში სვეტისთავეები თითქმის არ გვხვდება მოჩუქურთმებული ექინით. ამ გარემოებას მკვლევარიც აღნიშნავს და საირხულ კაპიტელზე ამოკვეთილ ჩუქურთმებს პარალელურ ეგვიპტურ სვეტისთავეებზე და სვეტისკვარცხლბეკებზე უძებნის³. მოჩუქურთმებული ექინით გაწყობილი ტაძრის ფასადი დორიული ორდერისაგან განსხვავებულ მხატვრულ სტილს მოგვცემდა, რაც თავისთავად გულისხმობს არქიტექტურის ჩვენთვის ჯერ კიდევ სუსტად ცნობილ ახალ სინთეზს და არა დორიული ტაძრის სრულ ასლს.

არქეოლოგიური მასალები მეტყველებენ, რომ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომებს სავაჭრო-კულტურული ურთიერთობა პქონდათ უძველეს ცივილიზაციებთან, რომლებსაც შორეულ წარსულში ქმნიდნენ აღ-

¹ გ. ლეჟავა, სოფ. საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავის შესახებ, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1962. № 2. გვ. 49.

² იქვე, გვ. 49—50.

³ იქვე, გვ. 50.

მოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრები სხვადასხვა ხალხები. ისტორიის ამ გრძელ მანძილზე, თითქმის უკლებლივ ყველა ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი კულტურა წარმოდგენილია როგორც თვითმყოფადი ფენომენი.

ადგილობრივი და უცხოური კულტურის ელემენტების შერწყმა და ამ გზით ახლის წარმოქმნა ჩვენთვის ცნობილი თითქმის არც ერთი ცივილიზაციისათვის უცხო არ არის. რა თქმა უნდა, ამ მოვლენას საქართველოს სინამდვილეშიც ჰქონდა ადგილი. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით თუ ვიმაჯულებით, განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება იგი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის ხანაში — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან გაცხოველებული ურთიერთობის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ სწორედ გვეწვევება გ. ლეკავას ცდა საირხეში სავარაუდო ტაძარი ზოგიერთი ტექნიკური მომენტით არქაულ დორიკას დაუკავშიროს¹. ორდერული არქიტექტურა წინასწარ შემუშავებულ წესებს ეყრდნობა, რაც არქიტექტურაში მოდულური სისტემითაა ცნობილი. ამ სისტემის მიხედვით ელინურ სამყაროში და აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში წინასწარ მზადდებოდა შენობის ნაწილები, სვეტები, სვეტისთავეები, სვეტისკვარცხლბეგები, სტერობადია ქვები, არქიტრავი და ა. შ. ნაგებობისათვის განკუთვნილი სწორედ ასეთ ნაწილს წარმოადგენს საირხეში აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები. მისი არსებობა გულისხმობს ანტიკური ხანის საქართველოში ორდერული ხუროთმოძღვრების მაღალ საფეხურს და, როგორც მხატვრული კულტურის ნაშთი, გარკვეულად ადასტურებს სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიის გალაქებსა და დაბებში არის სახლები არქიტექტურის წესების მიხედვით მოწყობილი². ამ შენობათა გაწყობა, როგორც ჩანს, არ ემორჩილება ერთ რომელიმე ქვეყანაში არსებულ ორდერული არქიტექტურის სტანდარტს. ასეთ მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს უკანასკნელ წლებში ვანში გათხრილი საკულტო დანიშნულების მონუმენტური ნაგებობანი³, რომლებიც ძველ სამყაროში არსებულ სამშენებლო ტექნიკის მიხედვითაა აგებული, მაგრამ არ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ საკულტო ნაგებობათა ზუსტ ასლს.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საირხეში აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები და განსაკუთრებით კი ლომის თავის სკულპტურული გამოსახულებ-

¹ გ. ლეკავა, სოფ. საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავის შესახებ, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, № 2, გვ. 50.

² ს. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 127.

³ ოთ. ლორთქიფანიძე, ეანის საგანძურის გაზეთი „კომუნისტი“, 1969, 16 სექტემბერი.

ბა, მხატვრული სტილით სრულიად განსხვავდება ამ სახის კლასიკური ხანის ბერძნული ხელოვნებისაგან. აღნიშნულ საგნებს უფრო მეტი საერთო აქვს აქემენდურ და მცირეაზიურ ძეგლებთან. მართალია, ზუსტი შესატყვისები საირხულ მასალებს არც აღნიშნულ ქვეყნების ხელოვნებაში მოეპოვებათ, მაგრამ ორნამენტით შერკულ ბაზისებსა და მეტად სტილიზებულ ქანდაკებას უფრო აღმოსავლური იერი დაჰკრავს.

ლომინაურში გამოვლენილი მცირე და დიდი ზომის ნაგებობათა ნაშთები არ იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ საირხეში აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები აღნიშნულ ნაგებობათა სამშენებლო ტექნიკაში იყო გამოყენებული. საგულისხმოა, რომ ლომინაურში მოპოვებული საკულტო საგნები წარმოადგენენ საწარმოო წუნს.

ამის საუკეთესო ნიმუშია ქვის ერთი ფრაგმენტი, რომელიც ნახევრად არის დამუშავებული. ფრაგმენტზე აშკარად ჩანს, რომ დაუწყიათ კტეისისა და ფალოსის გამოქანდაკება, მაგრამ ქვა გასტეხიათ და ამის გამო ნივთი ჩვენამდე დაუმთავრებელი სახითაა მოღწეული. ასევე ითქმის დანარჩენ საკულტო საგნებზეც. ყველა მათგანი ნაკლულია და საწარმოო წუნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათი ურთიერთშედარება აშკარას ხდის, რომ საგნები მეტნაკლებად არის დამუშავებული და თითქმის არც ერთი არ არის დამთავრებული. ლომინაურში შემთხვევით ნაპოვნი ცხოველის ქანდაკებაც საწარმოო წუნი უნდა იყოს. სკულპტურის ეს ფრაგმენტიც ასიმეტრიულია და მის მარჯვენა მხარეზე ცხოველის სახის ნაკვეთის არც ერთი დეტალი არ იკითხება. ანგარიშგასაწევი ჩანს გ. ლეჟავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავები გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო დანიშნულებისამებრ, რადგან მათზე ამოკვეთილი არ არის ოთხკუთხედი ფოსოები სის სამაგრებიანათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოსოები საჭირო იყო სვეტის კვარცხლბეკისთვისაც, მაშინ შესაძლებელი ხდება ვივარაუდოთ, რომ ლომინაურში მზადდებოდა ტაძრის ფრაგმენტები და ამ ტაძრისათვის განუთვნილი საკულტო საგნებიც. ასეთ მოსაზრებას, ერთი შეხედვით, ხელს უშლის ის გარემოება, რომ კირქვის კარიერები, რომლისგანაც დეტალებია დამზადებული, საირხიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს — სოფ. ბერეთისაში. ბერეთისულ კირქვას ზემო იმერეთის სოფლებში დღესაც ფართოდ იყენებენ ჭისთაების, კიბეებისა და წყაროების გასამართავად. შუა და გვიან ფეოდალურ ხანაში საფლავის ქვების ერთადერთ მასალას ბერეთისული კირქვა წარმოადგენდა.

ანგარიშგასაწევი ჩანს ის ფაქტი, რომ დღესაც და წარსულშიც ბერეთისულ კირქვას სამტეხლოებიდან ბლოკების სახით ეზიდებოდნენ და მათ დეტალურ დამუშავებას ადგილზე აწარმოებდნენ (ქვის გასუფთავება, ფორმების საბოლოო

დახვეწა, მათი ჩუქურთმებით, წარწერებითა და რელიეფით შემკობა და ა. შ.). თუ ეს ტრადიცია უძველესია, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ლომინაურში აღმოჩენილ მცირე ნაგებობათა ნაშთების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქვის დასამუშავებელ სახელოსნოებთან, სადაც მზადდებოდა საკულტო საგნები როგორც ადგილობრივი, ისე „ქვეყნის“ მთელი მოსახლეობისათვის. ჩანს აქვე უწარმოებიათ ტაძრის ცალკეული ნაწილების დამუშავებაც, მაშასადამე, სავარაუდო ნაგებობა ლომინაურის ტერიტორიაზეა საბუნელი. სამწუხაროდ, აქ გათხრების გაფართობა დღემდე ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ლომინაური მთლიანად უჭირავს კოლმეურნეობა და კერძო პირთა ვენახებს.

დაბოლოს, უნდა აღანიშნოს, რომ ჩვენი მოსაზრება ლომინაურში ქვის დასამუშავებელი სახელოსნოების არსებობის შესახებ ჯერჯერობით პირობით ხანაათს ატარებს და მართებული დასკვნას განიტანა მხოლოდ შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გახდება შესაძლებელი.

ლომინაურში კულტურული ფენის სისქე 80—120 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. იგი აქ მეტად სუსტია, თითქმის არ შეიცავს საბრძოლო ან სამეთუნეო დანიშნულების რაიმე ნივთს და ღარიბია სამეთუნეო ნაწარმის ნაშთებითაც. მცირეოდენი, მეტად დაღვწილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ ძველი ორფენოვანია. ქვედა პირველ ფენაში მოპოვებული სამეთუნეო ნაწარმის ნაშთები ადრეანტიკურ ხანაზე მიუთითებენ. 50—120 სმ-ის სიმაღლეზე სწორად გვხვდება შავი ან რუხი ფერის პირმეცეცილი, ბრტყელძირიანი ჯამების ნატეხები. ჭურჭლის ეს ფრაგმენტები სრულად იდენტიურია შოღინახეს ნესამე ფენაში მოპოვებული ბრტყელძირიანი, პირმეცეცილი ჯამებისა.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, მსგავსი ჭურჭლები ადრეანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული და ძირითადად ძვ. წელთაღრიცხვის V—IV სს. ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი.

აქვე მოპოვებულია აღმოსავლური, წითლად შეღებილი, რბილი, ცარცისებური კეციანი ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. მათ მიხედვით ჭურჭლის აღნაგობაზე საუბარი შეუძლებელია. ნატეხებზე შემორჩენილი მოწითალო შინდისფერი საღებავები იმაზე მიუთითებენ, რომ ჭურჭლები მონატული ყოფილა. თიხის შემადგენლობით იგი სრულიად განსხვავდება დასავლეთ საქართველოს სამეთუნეო ნაწარმისაგან და აღმოსავლეთ საქართველოს სახელოსნოებზე მიუთითებს (ტაბ. IX₂).

გვიან ხანაში მოხატული ჭურჭლის გამოჩენას ძვ. წ. VI საუკუნიდან ვარაუდობენ. ფიქრობენ, რომ აქემენიდურ ხანაში იგი აღმოსავლეთ საქართველოში ირანის გზით უნდა შემოსულიყო¹.

¹ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 18.

მოსატული კერამიკა აღმოჩენილია ბეშთაშენის აქემენიდური ხანის სამაროვ-ნებში¹. შემდეგ ხანებში იგი თანდათან ვრცელდებოდა შიდა ქართლში, აქედან დასავლეთ საქართველოშიც. წითლად მოხატული კერამიკა დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამადლოს არქეოლოგიური ძეგლის ძვ. წ. V—IV სს. ნამოსახლარ ფენებში. რამდენიმე ეგზემპლარი ნაპოვნია ითხვისის ადრეანტიკური ხანის სამარხებში. რ. აბრამიშვილი ითხვისის სამაროვნებს დაახლოებით V საუკუნით ათარილებს².

მოსატული ჭურჭელი უკანასკნელად აღმოჩენილ იქნა ვანის ადრეანტიკური ხანის მდიდრულ ნამარხებშიც. ლომინაურში მოპოვებული ფრაგმენტები თიხის შემადგენლობითა და საღებავის ფერითაც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში მოპოვებულ მოხატულ კერამიკასთან და, ვფიქრობთ, მათი არსებობა აქ ძვ. წ. IV საუკუნიდან მაინცაა სავარაუდებელი.

მეორე ნაგებობის შიგნით მიწის პირიდან 50 სმ-ის სიღრმეზე ნაპოვნია ბერძნული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. ამ ნატეხის მიხედვით ჭურჭლის საერთო ფორმაზე წარმოდგენა არ ხერხდება. ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ იგი ღია ჭურჭელს, შესაძლოა ჯამს წარმოადგენდა, რომლის შიგნითა და გარეთა ზედაპირი დაფარული იყო შავი ფერის ლაკით (ტაბ. IX₁). სპეციალისტები ფიქრობენ, რომ იგი ატიკური სახელოსნოების ნაწარმი უნდა იყოს. ჭურჭელი ლაკის ფერით საგრძნობლად განსხვავდება ადრეული ხანის ამავე სახელოსნოების ნაწარმისაგან. თვით მოდინახეზე და ითხვისში მოპოვებული ძვ. წ. V საუკუნით დათარილებული ჭურჭლის ლაკი შედარებით უფრო შავი და პრილაა. ლომინაურში აღმოჩენილი ჭურჭლის ლაკი კი დაბინდულია და ლითონის ფერი გადაჰკრავს, რაც დაჩახასიათებელია ელინისტური ხანის ბერძნული კერამიკისათვის³. ოთარ ლორთქიფანიძის აზრით, ეს ჭურჭელი ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედზე ადრინდელი არ უნდა იყოს და მისი არსებობა შესაძლებელია III საუკუნის დასაწყისშიც. დაახლოებით ამავე აზრისა არიან ამირან კახიძე და ანტიკური ხანის ბერძნული კერამიკის სხვა სპეციალისტები.

ლომინაურის ზედა ფენებში მოპოვებული კერამიკის ზოგიერთი ფრაგმენტი

1 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 41-46.

2 რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი.

3 В. Д. Балавадский, История античной расписной керамики, стр. 239.

ელინისტურ ხანაზე მიუთითებს, მაგრამ ისინი იმდენად დაღწეულნი და უხარის-
ხონი არიან, რომ დანამდვილებით რაიმეს თქმა ძალზე ჭირს. ამიტომ ძეგლის
აბსოლუტურ თარიღად ჯერჯერობით ძვ. წ. V—IV სს. მივიჩნევთ.

ნაქალაქარის მოსახლეობა

საირხეში ტაძრის ფრაგმენტების, საკულტო ნივთებისა და ნაგებობების აღ-
მოჩენა თავისთავად გულისხმობდა წინაქრისტიანული ხანის დიდ დასახლებას.
მისი მიკვლევის მიზნით ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები და სოფლის დასავ-
ლეთით, კალვათას, ქორეთსა და საირხეს შორის აღმართულ თხუთმეტ ბორცვზე
და მათ გარშემო უზარმაზარ ტერიტორიაზე, აკრეფილ იქნა ელინისტური და
ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმის ნარჩენები, ტიგელის ფრაგმენტები,
რკინისა და ბრინჯაოს წიდები. ტრაქტორისაგან გადახნულ ყანებში მრავლად
ეყარა ბათქაშის ნატეხები, სამშენებლო ქვები და ხელსაფეკავები. გორების ჩამონ-
გრეულ ფლატეებზე და ჭრილში შეინიშნებოდა კულტურული ფენები. მეტად საინ-
ტერესოდ გამოიყურება გორების სახელწოდებანი: „მარნიგორა“, „სკოპეთის გო-
რა“, „ბოსტანა გორა“, „საბადურის გორა“, „ვეშაპიძის გორა“ და ა. შ. გორების
უმრავლესობის ზედაპირი გადარეცხილია და აღარ შეიკავს კულტურულ ფენებს.
მათი ფერდობები კი სავსეა უძველესი ნამუსრევით.

ნამოსახლარი ფენები შედარებით კარგად არის დაცული ვეშაპიძისა და სა-
ბადურის გორებზე. საბადურის ბორცვი განეკუთვნება სამოსახლო გორების იმ
ტიპს, რომელსაც აკად. ნ. ბერძენიშვილი „ამოზიდულს“ უწოდებს¹.

დაბლობ ადგილზე აღმართული დიდი მოცულობის გორა, რომელსაც დაახ-
ლოებით ორი ჰექტარი ფართობი უჭირავს, სამი მხრიდან ციცაბო ფერდობებით
თავდება და ჩამდენიმე კილომეტრის მანძილზე კარგად ზვერავს მიდამოს. იგი
ყველაზე დიდი და ყველაზე მაღალია იმ 15 ბორცვთაგან, რომლებიც საირხე-ქო-
რეთის მიჯნაზე სიმინდის ყანებშია აღმართული. (ტაბ. XXVIII). სიტყვა საბა-
დურს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს როგორც ბადის მოსაგებ ადგილს.
მაგრამ ამ შემთხვევაში იგი სულ სხვა მნიშვნელობის მატარებელია და საბადოს-
თან არის დაკავშირებული.

ასეთი სახელწოდების გორა არსებობს გარეკახეთში: კაკაბეთის სამხრეთით
1,5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს გვიანბრინჯაოს თუ ადრერკინის ხანის

¹ დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპე-
დიციის შედეგები, საქ. ისტორიულ-ეგეოგრაფიული კრებულო, ტ. 1, თბილისი, 1960 წ., ვ. 187 — 188.

ნამოსახლარი. მას ადგილობრივი მოსახლეობა „საბადურას გორას“ უწოდებს¹. საირხეში მუშაობის დროს ამ სახელწოდებამ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. როდესაც გორის ჩამონგრეულ ფერდობებზე კერამიკის ფრაგმენტები შევაგროვეთ, დავრწმუნდით, რომ იგი მართლაც წარმოადგენდა წინაქრისტიანული ხანის მატერიალური კულტურის შემცველ „საბადოს“. გორის სახელწოდება წარმოშობილი უნდა იყოს იმის შედეგად, რომ ადამიანები აქ ხშირად პოულობდნენ მათთვის უცხო საგნებს. ასეთი ვარაუდი დადასტურდა კიდევაც ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრის დროს.*

ყურადღებას იმსახურებს საბადურის გორის ჩრდილოეთით მდებარე ადგილი „მდევეურის“ სახელწოდებით. როგორც გავიხსენებ, ეს სახელწოდება ადგილს მიუღია XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე. სავენახე მიწების გადაბრუნების დროს გლეხებს აქ „უსწაური ქოთნები“ და, რაც მთავარია, „ვეებერთელა ადამიანის“ — „მდევის“, დეკაკის ძეგლები უპოვინათ. ამიტომ ადგილისათვის „მდევეური“ დაურქმევიათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საირხე-ქორეთის მიჯნაზე დიდი ხნის მანძილზე ჩანს ადამიანის მოღვაწეობის კვალი და შესაძლოა „მდევეური“ წინაქრისტიანული ხანის რომელიმე ეპოქის სამაროვანი იყოს.

მეტად საინტერესო არქეოლოგიურ პუნქტს წარმოადგენს „ვეშაპიდის გორა“. აქ რამდენიმე წლის წინათ დაუწყია მეწყერის მოქმედება და მისი დასავლეთი ნაწილი მთლიანად ჩამოწვევებულა. ჩამონგრეულ მიწაში ადგილობრივი მოსახლეობა წლებია განმავლობაში პოულობდა მატერიალური კულტურის უძველეს ნაშთებს. მასალების უზარაღება დაკარგული ჩანს. მცირე ნაწილი კი სოფელ ქორეთის სასკოლო მუზეუმშია დაცული. ორი ცალი ბრინჯაოს ირმის ქანდაკება, რომელიც 1955 წელს აწ განსვენებულ ისტორიკოსს ნ. იაკობაშვილს უპოვია ვეშაპიდის გორაზე, ამჟამად უნივერსიტეტის არქეოლოგიურ კაბინეტში ინახება.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საჩხერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1966—68 წლებში სამი სეზონის განმავლობაში დახვედრითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა ვეშაპიდის, საბადურისა და კოკილავილების გორაზე, ხოლო ადგილ სასოველში, რომელიც საბადურის დასავლ-

¹ კ. ფიცხელაური, იორ-ალანის აუზის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, გვ. 35.

* ქველაძე ნინას საბადურის გორაზე უპოვია ოქროს ნივთი. ტორკსინში ჩაუბარებია. მესიერებაში ველარ აღიდგინა როგორი ფორმისა იყო. ქველაძეები, ენუქიძეები, მგალობლიშვილები, რომლებიც ახლაც გორების გარშემო მოსახლეობენ, ერთხმად ყვებიან, რომ გორები მერვე მსოფლიო ომამდე ტყით იყო დაფარული. როდესაც ტყე გაჩეხეს, კუნძების ამოძირკვის დროს ხშირად ეპოულობდით ქოთნებს, ღოქებს, სპილენძის ქვაბებს. მათ წინაბრების გადმოცემით იციან, რომ იქ ოქრო იყო დაფლული და საბადოც იმიტომ ექვა.

თათ დაბლობში მდებარეობს, გაითხარა ლითონის საწარმოო უბანი. კოკილაში-
ლების გორის კულტურული ფენები იძლევა ადრეფეოდალური ხანის სამეთუნეო
ნაწარმის ნარჩენებს, ხოლო დანარჩენი სამი ძეგლისათვის ძირითადად დამახასია-
თებელია ელინიზტიური, ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის მატერიალური
კულტურის ნაშთები.

ვეშაპიძის გორაზე გაიწმინდა მეწყერის შედეგად ჩამოზვავებული ფერდობი.
40 კვ მეტრ ფართობზე კულტურული ფენა მძლავრი იყო. იგი შეიცავდა სხვადა-
სხვა ფერისა და ფორმის თიხის ჭურჭლის ნატეხებს, რკინის წიღებს, ცხოველის
ძვლებს, ბათქაშის ნამსხვრევებს, ტიგელის ფრაგმენტებს, თიხისაგან გამოძერწილ
ცხოველის ქანდაკებებს, აქვე იყო აღმოჩენილი ბრინჯაოს მშველდააკინძი და
მრგვალგანიკვეთიანი ბრინჯაოს სამაჯური.

საბადურის გორაზე გაწმენდილ იქნა მეწყერისაგან ჩამონგრეული დასავლე-
თის ფერდობი, 50 კვ მეტრ ფართობზე. კულტურული ფენის სისიე აქ 60—100 სმ-
ის ფარგლებში მერყეობდა. იგი შეიცავდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, ნაწვილ-
ფებს რკოსანი ცხოველის ძვლებს, ხელსაფეკავებს, კაყის ნაშკლას ჩასართებს,
ზრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა დანიშნულების საგნებს. ყველა ეს მასალა
უმთავრესად ჩნდებოდა ვეებერთელა ლოდებს შორის, რომლებიც შესამლოა ერთ
დროს ნაგებობის კედლებს წარმოადგენდნენ და შემდგომ, მეწყერისაგან ძირს ჩა-
მოტანილნი, უწყესრიგოდ ეყარნენ მიწაში.

ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის
ნაშთები ძირითადად ერთმანეთის მსგავსი და სინქრონულია. როგორც ერთ, ისე
მეორე პუნქტში გაწმენდილ იქნა მეწყერისაგან დანგრეული ფერდობები, რის გა-
მოც იქ შეუძლებელი იყო სტრატოგრაფიის დადგენა. ამიტომ ძეგლის ქრონოლო-
გიური ჩარჩოების განსაზღვრას ჩვენ შევეცდებით სხვა მასალებთან შედარებითი
ანალიზის საფუძველზე.

კერამიკა

ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე მოპოვებული მასალებიდან ყურადღე-
ბას იქცევს სამეთუნეო ნაწარმის ნაშთები. იგი აქ წარმოდგენილია მრავალჯგარი
ასორტიმენტით. გვხვდება სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების
ჭურჭელი. დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი თიხის ფილები. ფორმების
მიხედვით ისინი სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. მოშაო-რუხი ფერის ჯამები კირმოყრილი ბრტყელი ძირით. ზედაპირზე
დაუყვება წნევიტ გამოყვანილი პრილა ხაზები. თიხა ქარსმინარევი და კარგად
გამომწვარი. (ტაბ. XXI, 1, 2).

2. შავი ან რუხი ფერის ჯამები, პირგადმოშლილი, მკვეთრად დაქანებული მზრებით, ბრტყელი ძირით. ტანზე დაუყვება წნევით გამოყვანილი პრიალა საზები. დამზადებულია მსხვილი სტრუქტურის მქონე ქარსმინარგვებიანი თიხისაგან. (ტაბ. XXIX₃).

3. ჯამები პროფილირებული პირითა და ოდნავ გამოყოფილი ქუსლით. (ტაბ. XXIX₄).

პირველ ჯგუფში გაერთიანებული ბრტყელძირიანი, პირმოყრილი ფიალები დამზადების ტექნიკით, ფორმითა და შემკულობის ხასიათით სრულიად იდენტურია მოდინასხეს მესამე ფენაში და სამარხებში მოპოვებული ფიალებისა, რომლებიც იქ აღმოჩენილი იყო ყურმილიან ჭურჭელთან და ოქროს სხივანა საყურესთან ერთად. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მსგავსი ჭურჭლები ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს ახლავს თან.

მესამე ჯგუფში გაერთიანებული ფიალები ფორმის მიხედვით მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავდება მეორე ჯგუფის ჯამებისაგან. მათ ბრტყელი ძირის ნაცვლად სუსტად გამოყოფილი ქუსლი აქვთ. ამ ნიშნის მიხედვით ისინი უფრო მოგვიანო ხანას უნდა მიეკუთვნოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ქუსლის გამოყოფის ტენდენცია უკვე ადრეანტიკურ ხანაშივე იჩენს თავს. ამაზე ნათლად შეტყვევებს ვანში, ე. წ. მეომრის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ქუსლიანი ჯამი, რომელიც იქ მოპოვებული სხვა ნივთების საშუალებით ზუსტად თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისით¹. ამავე ხანით ათარილებს ურბნისის ნაქალაქარის ქუსლიან ჯამებს ლ. ჭილაშვილი.

მეორე ჯგუფში გაერთიანებული პირგადმოშლილი, ბრტყელძირიანი ფიალებიც ადრეანტიკური ხანის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს.

ასეთი ფორმის ჯამები აღმოჩენილ იქნა მოდინასხეს № 1 სამარხში. ეს სამარხეული კომპლექსი ოქროს სხივანა საყურეს შეიცავს და ამის გამო არ შეიძლება ძვ. წ. V საუკუნეზე გვიანდელი იყოს.

საბადურის გორაზე, მეწყერისაგან ჩამონგრეულ ფერდობზე, დიდი ლოდების ქვეშ აღმოჩნდა დერგის ზოომორფული ყურები, რომლებსაც ქედზე მიძერწილი აქვთ ბოლოებწაკვეთილი რქის მსგავსი შვერილები და ცხვრის თავის გამოსახულებას მოგვაგონებენ. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ აქვე აღმოჩნდა ერთი ყური, რომელიც ცხვარს გამოსახავს. ცხოველის სახე სქემატურია, პირი და თვალები აღნიშნული არ არის, მაგრამ მისი დახვეული ძლიერი რქები, ძირს დახრილი

¹ ი. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. კუონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბილისი, 1971 წ., გვ. 66.

დრუნჩი უდავოს ხდის, რომ ჭურჭლის ყური ვერძის თავს გამოხატავს. (ტაბ. XXIX₅, 6, 7). ზოომორფული ყურები ვეშაბიდის გორაზეც არის მოპოვებული, მაგრამ აქ ქედზე მიძერწილი შვერილები ნაჭდევებით არის შემკული და ზოომორფული მოტივები დაკნინებულია. საზაგიეროდ მრავლად გვხვდება დიდი და მცირე ზომის ჭურჭლის სადა ყურები.

ფორმების მიხედვით ყურები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაჯგოთ:

1. ყურები წაკვეთილი რქის მსგავსი შვერილებით (ტაბ. XXIX);
2. ყური ვერძის თავის გამოსახულებით (ტაბ. XXIX₁₁);
3. ყურები ჭდეულებით შემკული ლილვისებური დანამერწყებით (ტაბ. XXIX₁₀);

4. სადა ყურები;

ჭურჭლები შავი ან ლევა ფერისაა, დამზადებულია ჩარხზე ქარსნიწარევებიანი რთული სტრუქტურის მქონე კარგად გარჩეული თიხისაგან.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული ყურები შედარებით არქაულად გამოიყურება. გარკვეულ მსგავსებას იჩენს მოდინახეს მეორე ფენის დაბლაგომის¹ და სტალინირის² ნაცარგორაზე მოპოვებული იმ ჭურჭლის ყურებთან, რომლებიც წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენებისთვისაა დამზადებული.

პროფესორი კუფტინი ზოომორფულ ყურებს გვიანბრინჯაოს ხანის სამეთუნეო ხელოსნობის პროდუქტად მიიჩნევდა³, ხოლო თ. მიჩელაძე მათ კოლხური კულტურის განვითარების მეორე ეტაპს აკუთვნებდა და ძვ. წ. XII—VII საუკუნეების ზოომორფულ ყურიან ჭურჭლებს კოლხური კერამიკის სპეციფიკად მიიჩნევს⁴. საფიქრებელია, რომ ყურები ლილვისებური დანამერწყებით რკინიდან ადრეანტიკურ ხანაზე გარდამავალი საფეხურისათვის არის დამზადებული. ასეთი მოსაზრება მით უფრო სავარაუდოა, რომ ზოომორფული მოტივების დაკნინება, მათი სტილიზაცია იწვევდა ახალი ვარაუდის წარმოქმნას, რაც ადრეანტიკურ ხანაში ჭურჭლის ყურებზე ლურსმნისებური კოპების წარმოქმნით გამოიხატა ან სრულიად გაქრა.

სწორედ ეს სადა ოვალურგანიკვეთიანი ყურებია უმთავრესად დამახასიათებელი ადრეანტიკური ხანის დიდი და საშუალო ზომის დერგებისათვის. ამ ტიპის ყურები მრავლადაა აღმოჩენილი მოდინახეს ადრეანტიკური ხანის ფენებში,

¹ К у ф т и н Б. А., Материалы к археологии Колхиды, т. II, таб. 35.

² გ. გობეჯიშვილი, სტალინარის ნაცარგორა, მიმომხილველი, ტ. II, გვ. 247.

³ К у ф т и н Б. А., დასახლებული ნაშრომი, გვ. 135.

⁴ თ. მიჩელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან ძვ. წ. XV—IV სს., ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, ხელნაწერი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა, გვ. 142.

ითხვისის ნამოსახლარზე¹ და სოხუმის მთაზე². სადა მრგვალგანივკვეთიანი ყურებით არის შემკული ზოგიერთი ქოთანი დაბლაგომის ქვევრსამარხებიდან³.

საბადურისა და ვეშაპიძის გორებზე დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ზომის ჭურჭლის პირ-კედლის ნატეხები, შემკული რელიეფური გრეხილებით, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. ჭურჭლები დაღწილია, არც ერთი მათგანის შეკოწიწება არ ხერხდება და, რა თქმა უნდა, ამის გამო საირხის ნამოსახლარა ფენებიდან მომდინარე სამეთუნეო ნაწარმის აღნაგობაზე წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტის აღწერილობას, რომლებიც კეცის, ფერისა და ორნამენტის მიხედვით საირხულ კერამიკაში წამყვან ტიპად გვევლინება:

1. ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. მოწითალო ფერის კარგად განლექილი ქარსმინარევებიანი თიხა. ყელზე ირგვლივ შემოუყვება ორ ღარს შორის ჩაკაწრული რომბისებური ორნამენტი. ჭურჭლის ტანი შემკულია წნევით გამოყვანილი პრილა ხაზებით (ტაბ. XXX₁).

2. ჭურჭლის კედლის ნატეხი. შავი ფერის ქარსმინარევებიანი მსხვილი სტრუქტურის მქონე თიხა. მუცელზე შემოსდევს ორ ღარს შორის ჩაკაწრული რომბისებური ორნამენტი. (ტაბ. XXX₂).

3. ჭურჭლის კედლის ნატეხი. ლეგა ფერის კარგად გარჩეული ქარსმინარევებიანი თიხა. მუცელზე შემოსდევს ორ ღარს შორის ჭდეული პუნქტირებით შესრულებული ერთმანეთზე მიჯრილი ირიბი ხაზები. (ტაბ. XXX₃).

4. ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. ლეგა ფერის კარგად განლექილი ქარსმინარევებიანი თიხა. მუცელზე შემოსდევს ტალღისებური ორნამენტი. (ტაბ. XXX₄).

5. კედლის ფრაგმენტი, შავი ფერის, ზედაპირი შემკული აქვს ტალღისებური ორნამენტით. ანდაზი ორმაგი ტალღის სახითაა წარმოდგენილი და ჩაკაწრულია ღარისებურ ხაზებს შორის. (ტაბ. XXX₅).

6. დიდი ზომის ჭურჭლის (დერგის) ყელპირის ნატეხი, კარგად გარჩეული ქარსმინარევებიანი თიხა, შავი ფერის. პირი პროფილირებული აქვს. ოდნავ გადმოსული მალა ყელზე შემოსდევს ფართო ღარისებური ხაზები. (ტაბ. XXX₆).

7. მცირე ზომის ჭურჭლის და კედლის ფრაგმენტი.

ცუდად გამოიწვარი ლეგა ვარდისფერი თიხა, ქარსმინარევებიანი, ყელისა და მხრის გადასვლის ადგილზე, აგრეთვე მუცელზე შემოსდევს წერტილოვანი ჭდეუ-

¹ აკად. ს. ჭანაშაის სახელობის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი.

² ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 63.

³ ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 64, ტაბულა 19, 217.

ლები. დაბალი ყელი და პროფილირებული პირი აქვს, მუცელი გამობერილი და ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული. (ტაბ. XXX₈).

8. მცირე ზომის ჭურჭლის ყელ-კედლის ნატეხი, მოყვითალო ფერის, მუცელ-გამობერილი, ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული. მხრისა და ყელის გადასვლის ადგილზე შემოსდევს ირიბი ჭდეულები. (ტაბ. XXX₁₁).

9. ქოთნის კედლის ნატეხი, შავი ფერის, მხარზე შემოსდევს ღარისებური ხაზები. ყურის ზედა ნაწილი მიძერწილი ჰქონია მუცლის ქვემოთ (ტაბ. XXX₁₃).

10. ქოთნის პირ-ყელის ნატეხი, შავი ფერის ქარსმინარევებიანი თიხა. პირ-გადაშლილი, მხრისა და ყელის გადასვლას ადგილზე ორ ღარს შორის ჩამსული ტალღისებური ორნამენტი შემოუყვება. (ტაბ. XXX₁₂).

11. ქოთნის პირ-კედლის ნატეხი, შავი ფერის კარგად განლექილი ქარსმინარევებიანი თიხა. მხარზე ორ წყებად შემოსდევს ირიბი ნაჭდევები შევავლი წერტილებით.

12. დერგის კედლის ფრაგმენტი, შავი ფერის ქარსმინარევებიანი მსხვილ-მარცლოვანი თიხა. გარშემო შემოსდევს ჭდეულებით შეპკული ლილევა. ერთი მათგანი ჭურჭლის ტანზე წრიულად, ხოლო მეორე ზიგზაგისებურად ვრცელდება. (ტაბ. XXX₁₄).

13. დერგის ყელ-პირის ნატეხი, რუხი ფერის პირბაკიანი. ყელზე შემოსდევს ფართო ღარისებური ხაზები. (ტაბ. XXX₁₀).

აღწერილი სამეთუნეო ნაწარმი კვცის ფაქტურით, ფორმებითა და ორნამენტაციით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს დაბლაგომის ზოგიერთ ჭურჭელთან, რომლებიც ნამოსახლარის ზედა ფენებში გვხვდება აფორებთან და ბერძნულ შავლაკიან ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად¹. განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება კერამიკის მხატვრულ გაფორმებაში: ტალღისებური, რომბისებური, წიწვოვანი ანდაზითა და რელიეფური გრეხილებით ჭურჭლის შეპკობა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია როგორც დაბლაგომის, ასევე საირხის სამეთუნეო ნაწარმისათვის². ჭურჭლის ასეთ გაფორმებას ჩვენ ვხვდებით ფოთის ადრეანტიკურ ნამოსახლარებზე³, ხოლო ითხვინაში მოპოვებული ზოგიერთი ფრაგმენტის თითქმის სრულ იდენტურობას ამჟღავნებს საირხულ კერამიკასთან⁴. მცირე ზომის ფართო კორპუსიანი ჭურჭლები შემკული ჭდეულებითა და ტალღისებური ორნამენტით გარკვეულად ესადაგება აფხაზეთის, გუაღინის⁵ ადრეანტიკური ხანის სამაროვნე-

¹ К у ф т и Б. А., Материалы к арх. Колхиды, стр. 82.

² ი ქ ე ე, ტაბულა 332-7, 348-9.

³ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 160.

⁴ საქ. აკად. ს. ჭანაშიას სახელობის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი.

⁵ Т р а п ш А. М., Труды, том. II, стр. 19-52.

ბის კერამიკას. პირგადმოშლილი ირიბი ხაზებითა და ჭდეულებით შემკული ქოთნის პირ-კედლის ნატეხები კი აღმოჩენილია სტალინირის ნაყარგორის ზედა ფენაში¹. საირხულ კერამიკას პარალელები შეიძლება მოეძებნოს აგრეთვე ვანის, ფიჭვნარის², ურბნისის და თრიალეთის ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალებში, მაგრამ იმის გამო, რომ ჭურჭლები დაღწილია და მათ მთლიან აღნაგობა-შემკულობაზე წარმოდგენა ღირს, ზუსტი ანალოგიების მოტანა არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე მოპოვებული კერამიკის მცირე ნაწილი წინარეანტიკურ ხანას მივაკუთვნოთ, ხოლო ძირითადი მასა ადრეანტიკური ეპოქის სამეთუნეო ნაწარმად მივიჩნით. ასეთ ვარაუდს გარკვეულად ადასტურებს საირხეში მოპოვებული სხვა არქეოლოგიური მასალები, რომლებსაც ქვემოთ შევხებით.

ლითონის ნივთიანი

საირხელ მოსწავლეს ი. ციმაკურიძეს ვეშაპიძის გორაზე მეწყერისაგან ჩამონგრეულ ფერდობზე 1956 წელს უპოვია ბრინჯაოს ლაგამი. ეს ნივთი მოსწავლეს სკოლაში მიუტანია და ამჟამად ქორეთის სასკოლო მუზეუმში ინახება.

ლაგამი შედგება სამი ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პირში ამოსადები ნაწილი, რომელიც საყბურზე ასხმულ რგოლებზეა გამოხმული, წარმოადგენს ბრინჯაოს თავისებურ ჯაჭვს. მასზე დამაგრებულია ხუთი დაკბილული და ერთი საგორავი რგოლი. ლაგამისა და საყბურის ნაწილები ცალ-ცალკეა დამზადებული და შემდეგაა ერთმანეთზე მიჭედილი. (ტაბ. XXXI₂).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარი ლაგამები ძირითადად ადრეანტიკური ხანით თარიღდება და ზოგჯერ თან ახლავს შედარებით კარგად დათარიღებულ კომპლექსებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლაგამები ახალგორის განძიდან³, რომლებიც დეტალურად ემთხვევა საირხულ ცალს. ასევე იმეორებს იგი წინწყაროს მახლობლად, მდინარე ალგეთის ნაპირზე მოპოვებულ ლაგამს⁴. არქეოლოგი დ. ქორიძე საირხეში აღმოჩენილ ლაგამს ძვ. წ. VI—IV საუკუნ-

¹ გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაყარგორა, მიომხილველი, ტ II, ტაბ. VII, სურ. 2.

² ქ. ნადირაძე, მატერიალური კულტურის ძეგლები ყვირილის ხეობაში, „ცისკარი“, 1958 წ., № 2, გვ. 106.

³ Смирнов Я. С., Ахалгорнийский клад, Тифлис, 1934 г., стр. 55.

⁴ Куптин Б. А. Археологические раскопки в Триалети, таб. XII-XIII.

ნებით ათარილებს¹, ხოლო ი. გაგოშიძე მსგავს ნივთებს „წინააზიური“ ლაგმების განვითარებად მიიჩნევს და მათ წარმოგვიდგენს ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ლაგმების ახალ ტიპად².

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ ადგილზე, სადაც ლაგამი იყო ნაპოვნი, გაიწმინდა მეწყერისაგან ჩამონგრეული ფერდობი და აღმოჩნდა ბრინჯაოს მშვილდსაკინძი და სამაჯური.

მშვილდსაკინძი კარგად არის შემონახული, დაფარულია კეთილშობილი პატინით და მხატვრული თვალსაზრისითაც საინტერესო ნივთს წარმოადგენს. მისი შუა მორკალული ნაწილი გაყოფილია 8 ღარისებური ხაზით, ხაზებს შორის მოქცეული არე ოდნავ ამობურცულია და გრავირებულია ზედაპირული ჭდეულებით. ჭდეულები ხაზებთან ერთად ვრცელდება მთელ შუა ტანზე და თავსა და ბოლოში იკვრება კონცენტრული წრეებით. ის ნაწილი, რომელიც თავისა და შესაკვრელის მოვალეობას ასრულებს, გაბრტყელებულია. გლუვ ბრტყელ ზედაპირზე გრავირებულია თევზის გამოსახულება. განსაკუთრებით კარგად არის გამოსახული თევზის კუდი და შუა ტანი. თვალეები და პირი აღნიშნული არ არის. თევზი მოხრილ პოზაშია გადმოცემული, მისთვის დამახასიათებელი სხარტი მოძრაობით. (ტაბ. XXXI₁).

მშვილდსაკინძების გავრცელების არე ძალზე დიდია. ზოგიერთი მეკლეერის აზრით, ისინი წარმოიშვა ხმელთაშუა ზღვის აუზში და აქედან გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში³. ბ. კუფტინი კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მშვილდსაკინძებს ბერძნული წარმოშობის ასიმილირებულ კოლხურ ნივთად მიიჩნევდა. საირხულის მსგავსი მშვილდსაკინძები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიის⁴, კოლხეთისა⁵ და შიდა ქართლის⁶ სამარხეულ კომპლექსებში. საირხული ცალი ანალოგიურია ყობანში აღმოჩენილი ერთი ეგზემპლარისა, რომელსაც შესაკვრელი ნაწილი მოტეხილი აქვს. მისი შუა ნაწილი, ისე როგორც საირხულისა, დაღარულია, ღარებს შორის ოდნავ ამობურცული არე გრავირებულია და თავსა და ბოლოებში წრეებით იკვრება. ნივთების ასეთი დამთხვევა იმაზე მეტყველებს, რომ ყობანში და ყვირილის ზემოწელზე მცხოვრები ტომები იმთა-

1 დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი).

2 ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, აკად. ს. ჭანაშას სახ. სახელმწიფო მუზეუმი¹ა² ნომბე, ტ. XXV, 1968 წ., გვ. 43.

3 М. М. Ивашенко, Материалы к изучению культуры Колхов, стр. 51.

4 П. С. Уварова, МАК, т. VIII, стр. 54.

5 К у ф т и н Б. А., Материалы к Археологии Колхиды, т. II, стр. 120-125.

6 ი. ტყეშელაშვილი, სამთავროს სამაროვანი, ახ. წ. II—VII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXI, გვ. 132.

ვითვე მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან და ფიზულების გავრცელების ერთი გზა ჩრდილოეთში საქართველოდან მოდიოდა¹.

მშვილდაკინძები, როგორც ცნობილია, იზმარებოდა შალის უხეში ტანსაცმლის შესაბნევე-შესაკინძავად. შესაძლოა იგი სარიტუალო ნივთის ფუნქციასაც ასრულებდა, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა მშვილდაკინძები, რომლებიც შემკულია ცხოველთა გამოსახულებებით.

სამხრეთ ოსეთში, სონათში, აღმოჩენილ ერთ მშვილდაკინძზე ცხვრის თავის ქანდაკებაა მარჩილული. ასეთივე მშვილდაკინძი ცხვრის სამი თავით შემკული აღმოჩენილია ყობანში². საინტერესოა საკუთრივ საჩხერეში აღმოჩენილი მშვილდაკინძი, რომლის გაბრტყელებულ თავზე ცხრაფეხა მწერია გრავირებული³. ამ სახის ნივთებზე გრავირების წესით რამე არსების გამოხატვა ნაკლებადაა ცნობილი. გამოჩანასა და წარმოადგენენ საჩხერის რაიონში მოპოვებული მშვილდაკინძები.

თევზის გამოსახულებით ნივთების შემკობა დამახასიათებელია კოლხური კულტურის მთელი რიგი საგნებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთში აღმოჩენილი კოლხური ცულები.

აჭანდარაში ლუკანის მიერ მოპოვებული ცულის ორსავე მხარეა, ყუასა და სატარე ხვრელის გასწვრივ, გრავირებულია თევზი⁴. გარდა თევზისა, ნაჯახის ორსავე ლოყაზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები. ეს ნაჯახი საკულტო დანიშნულების საგანს წარმოადგენს და მასზედ თევზის გამოხატვა რელიგიური მოტივით უნდა იყოს განპირობებული.

პროფ. გ. ნიორაძე იხილავს რა ერთ ბოლო წაკვეთილ მახვილს თევზის კუდის გამოსახულებით, დასძენს, რომ აქ უეჭველად მაგიურ საკულტო მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე და არა რეალისტური სიუჟეტის დამახინჯებულ სიმბოლიზაციასთან. მაგიური საკულტო მნიშვნელობით ქვის სატევრის ბოლოს თევზის კუდის მსგავსად აკეთებდნენ ძველი ეგვიპტელები. მაგიურ მნიშვნელობას აძლევდნენ თევზს სხვა ხალხები. მაგიური მნიშვნელობით აკეთებდნენ წინააზიელები თევზების გამოსახულებას ზარებზე. ასურელები თევზის ნიღაბს იკეთებდნენ, როდესაც სურდათ ავადმყოფის განკურნება მავნე სულებისაგან⁵.

¹ ო. ქ ა ფ ა რ ი ძ ე, კოლხური ცული, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, გვ. 39.

² ი ქ ვ ე.

³ დ. ქ ო რ ი ძ ე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბილისი. 1961 წ., გვ. 116.

⁴ აფხაზეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი.

⁵ გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ქვემო ავქალის სამარე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, გვ. 190.

ზემოთ მოტანილი მაგალითები შესაძლოა გამოდგეს იმის დასაბუთებლად, რომ ვეშაპიძის გორაზე აღმოჩენილ მშვილდსაკინძმზე გამოსახული თევზი მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობით იყოს გამოსახული. სავარაუდებელია, რომ თვითონ ეს საგანი საკულტო მნიშვნელობის მატარებელი იყო, მსგავსად სხვა ცხოველთა გამოსახულებებისა, რომლებსაც გულზე იკიდებდნენ.

თითოეულმა ეპოქამ მშვილდსაკინძების თავისებური ტექნიკური სრულყოფა მოახდინა¹. სხვადასხვა ეპოქისთვის სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის მშვილდსაკინძია დამახასიათებელი. ამ მიზეზით ზოგიერთი მკვლევარი მშვილდსაკინძებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თარიღების დადგენის საქმეში². საბარათელოში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები გვიანბრინჯაოს ხანის პროდუქტს წარმოადგენს³. ისინი XII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს⁴.

საჩხერეში აღმოჩენილ მშვილდსაკინძს, რომლის გაბრწყლებულ თავზე ცხრაფეხა მწერია გრავერებული, არქეოლოგი დ. ქორიძე ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს⁵. ამავე ხანას განეკუთვნებიან ყობანში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები, რომლებიც განსაკუთრებულ მსგავსებას პოულიბენ საჩხერულთან⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ვეშაპიძის გორაზე მოპოვებული მატიერიალური კულტურის ნაშთები ძირითადად ადრეანტიკური ხანით თარიღდება, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ იქ მოპოვებული მშვილდსაკინძი ამავე ხანას მიეკუთვნებოდეს. როგორც შედარებითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, იგი უფრო წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის არის დამახასიათებელი. შესაძლოა მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ვეშაპიძის გორაზე დადასტუროს პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებსაც უნდა მიეკუთვნოს ჩვენს მიერ განხილული მშვილდსაკინძი. მშვილდსაკინძთან ერთად აღმოჩენილია სამაჯური. იგი წარმოადგენს თავგახსნილ მრგვალგანიკვეთიან ბრინჯაოს რგოლს. მისი ზურგის ნაწილი შეკეულია გეომეტრიული ორნამენტით, რომელიც ნახევარწრეებისა და ჯვარედინი ჩაღრმავებული ხაზებისგანაა შედგე-

¹ Л. П. Калитинский, Из истории фибулы на Кавказе, сборник статей по археологии и византийскому искусству, Прага, 1926.

² ო. ტყეშელაშვილი, დასახელებული ნაშრომი.

³ რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების თარიღისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. 19, 20 ბ, გვ. 117.

⁴ საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 137.

⁵ დ. ქორიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 99.

⁶ П. С. Уварова, МАК, т. 8.

ნილი. (ტაბ. XXXI). სამაჯურზე არ შეინიშნება ზურგის შედრეკა და თავების ცხოველების სახით გადმოცემა, რაც დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანის სამაჯურებისათვის. იგი ანალოგიას პოულობს კოლხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებულ იმ სამაჯურებთან, რომლებიც პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის სამარხეულ კომპლექსებს ახლავს თან.

ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე მოპოვებულია რკინის ქინძისთავეები. ისინი ფორმით სრულიად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, წარმოადგენენ რკინის წვრილ ღეროს პირამიდული თავებით. თავს ქვემოთ არე ოდნავ გაბრტყელებულია და გახვრეტილი. (ტაბ. XXXI). ასეთი საკინძეები შედარებით დიდი ზომისაა, ფართოდ ყოფილა გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანაში სოფ. ნულში. ფჩელინას მიერ მოპოვებული ბრინჯაოს ქინძისთავეების ზოგიერთი ეგზემპლარი პირამიდალური თავებით და გახვრეტილი ყუნწით ზუსტ ანალოგიას პოულობს ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე აღმოჩენილ ქინძისთავეებთან¹. ასეთივე ქინძისთავეები ახლახან აღმოჩნდა საჩხერეში მოღინახეს ციხის სამხრეთ ფერდობზე². ისინი მსგავსებას პოულობენ აგრეთვე რაჭაში და შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის საკინძებთან. როგორც ჩანს, ეს ქინძისთავეები საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ტანსაცმლის შესაკრავ ნივთს. ფორმის მხრივ მათ დიდი ცვალებადობა არ განუცდიათ და რკინის ხანაშიც ისეთივე სახეს აძლევდნენ, როგორც მისთვის დამახასიათებელი იყო განვითარების ადრეულ საფეხურზე.

ვეშაპიძის გორაზე შემთხვევითაა ნაპოვნი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ირმის მცირე ქანდაკებები და თიხისგან გამოძერწილი ცხოველთა გამოსახულებები. გათხრების დროს აღმოჩნდა ქალის სქემატური გამოსახულება (თიხის). ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები დაფარულია კეთილშობილი პატივით. ფიგურები ერთმანეთის ანალოგიურია, გადმოცემულია მდგომარე პოზაში. კუდი, ფეხები და პირი სქემატურადაა აღნიშნული. ოსტატი ცდილობს ხაზი გაუსვას ირმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამიტომ დატოტვილი რქები შედარებით კარგად არის გამოყვანილი. ცხოველებს თავი მაღლა აქვთ აწეული და ნელ მოძრაობაში არიან გადმოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკებები სქემატურია, მთლიანობაში ისინი კარგად წარმოგვიდგენენ ირმებს. (ტაბ. XXXI₃). ამ სახის ქანდაკებები საქართველოში მრავლად არის მოპოვებული. ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებული

1 Куптин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, таб. XVIII.

2 საჩხერის პირველი საშუალო სკოლა, „სასკოლო მუზეუმი“, საქ. სსრ ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი.

ზოგიერთი ეგზემპლარი ახლოს დგას საირხულ ცალებთან¹. განსაკუთრებით საყურადღებოა ლუკინის მიერ ზუგდიდის მახლობლად მოპოვებული მცირე ქანდაკების ნიმუშები. ერთ მათგანს ყუნწზე ბრინჯაოს აყურული ლენტი ჰქონდა შემორჩენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სახის ნივთები საკულტო დანიშნულების მატარებელნი არიან და მათ მკერდზე იკიდებენ². არქეოლოგი ივამჩენკო იხილავს რა სოფ. ბორში აღმოჩენილ ირმისა და სოფელ დონორში აღმოჩენილ ხარის ქანდაკებებს, ეჭვმიუტანლად ასკვნის, რომ ეს გამოსახულებანი საკულტო დანიშნულების საგნებს წარმოადგენენ³.

საირხეში აღმოჩენილ ირმის ქანდაკებებს დ. ქორიძე ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით ათარიღებს⁴.

ვეშაბიძის გორაზე შემთხვევით არის აღმოჩენილი თიხისაგან გამოძერწილი ცხოველის ქანდაკება. ცხოველი მდგომარე პოზაშია გადმოცეპული. თავი და ფეხები მომტვრეული აქვს. ტანი კარგად არის გამოძერწილი, ბეჭზე და თემოზე ოვალური ფორმის წრეში ჩასმული ჯვარი აზის (ტაბ. XXXII, 1).

საბადურისა და ვეშაბიძის გორებზე მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო ნივთები სრულ სურათს ვერ გვიქმნის საირხელი მოსახლეობის იმდროინდელ საქმიანობებზე, მაგრამ ზოგიერთი სამეურნეო ნივთი საშუალებას გვაძლევს ზოგადი წარმოდგენა მიანიჭოთ, როგორც მიწათმოქმედების, ისე მეცხოველეობის განვითარებაზე. საბადურისა და ვეშაბიძის გორების კულტურულ ფენებში მრავლად გვხვდება კაუის ნამგლის ჩასართები. ისინი უმთავრესად წარმოადგენენ რძისფერი ან ვარდისფერი კაუისაგან დამუშავებულ მინიატურულ ზომის საგნებს, რომლებსაც ტრაპეციის ფორმა აქვთ. ჩასართების ერთი მხარე ბრტყელია და კარგად არის დამუშავებული, ხოლო მეორე ოდნავ ამოზურცულია, პირი დაკბილული და საკმაოდ ბასრია. (ტაბ. XXXIII, 2, 3, 4). კაუის ნამგლის აღმოჩენა საირხის სა-მოსახლო ბორცვების იმ ფენებში, რომლებიც განვითარებული ლითონის ეპოქას ეკუთვნის, სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. ამ სახის ნამგლებს ამი-

1 Б. А. Куфтин, Материалы к Археологии Колхиды, т. I, стр. 252.

2 იქვე.

3 М. М. Ивашенко, Материалы по изучению культуры Колхов, Тбилиси, 1941 г., стр. 51.

4 დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (სახეჩის რაიონი); თბილისი, 1961 წ., გვ. 125.

ერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები იყენებდნენ ენეოლითის ეპოქიდან მოყოლებული და იგი გვიანობამდე შემორჩა ხმარებაში¹.

კაჟის ნამგლები უპირატესად სამხრეთ ქვეყნებში იყო გავრცელებული². მესოპოტამიაში და ეგვიპტეში კაჟის დაკბილულპირიანი ნამგლები საკმაოდ დიდხანს შემორჩა. ჟ. დე მორგანის აზრით, მისი სამშობლო ქალდეა იყო და იგი პურეულთან ერთად აქედან უნდა გავრცელებულიყო მთელ რიგ ქვეყნებში და მათ შორის ეგვიპტეშიც³.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ენეოლითური კაჟის ნამგლის ჩასართები ტლანქად არის დამუშავებული, შედარებით დიდი ზომისაა და გვერდები მომრგვალებული აქვს⁴. მომდევნო ეპოქაში ისინი უფრო დახვეწილ სახეს იღებენ და გვხვდება როგორც ნამოსახლარებზე, ასევე სამაროვნებშიც⁵, პროფ. კუფტინმა კაჟის ნამგლის ჩასართები აღმოაჩინა ნაოხვამოს ბორცვის ქვედა ფენებში, ხოლო ფ. ბაიერმა რედკინის ბანაკში მოპოვებული ამ სახის ნივთები იქ აღმოჩენილი სხვა მასალების საშუალებით გვიანბრინჯაოს ხანით დაათარიდა. ნამგლის ჩასართები დამახასიათებელია აგრეთვე სტალინირის ნაცარგორის⁶ და დიხაგუძუბის იმ ფენებისათვის, რომლებიც გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მიჯნით თარიღდება. როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, საბადურის ბორცვის ის ნაწილი, სადაც კაჟის ჩასართებია აღმოჩენილი, მეწყერისაგან არის დანგრეული. მათი თარიღის დადგენა ძნელია, თუმცა აქვე აღმოჩენილია რკინის მოხრილი დანა, რომელიც ადრეანტიკური ხანის სამეურნეო იარაღადაა მიჩნეული.

დანას სატარე ყუნწი და წვერი მოტეხილი აქვს. ზედაპირი დაფარულია ჟანგის სქელი ფენით. ყუნწთან შემორჩენილი ხის კვალი მიუთითებს, რომ დანას ხის ტარი ეგო. (ტაბ. XXXII). რკინის მოხრილი დანები ადრეანტიკურ ხანაში ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის ტერიტორიაზე და კარგად დათარიღებულ კომპლექსებს ახლავს თან⁷. ნამგლისებური რკინის დანები აღმოჩენილია ბეშთა-

1 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 86; იხილეთ მისივე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლეთ ქართულ კულტურაში, უნივერსიტეტის შრომები, 1953 წ., ტ. 29, გვ. 203.

2 T. Morgan, *ra, prehistoire m. III*, Paris, 1927 г., გვ. 220.

3 T. Morgan, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 203.

4 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинашвили, Древние Культуры южного Кавказа, стр. 78.

5 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი. 1961 წ., გვ. 86—87.

6 გ. გო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, მიმოხილველი. ტომი II, გვ. 248.

7 Т р а н ш М. М. Труды, т. II, стр. 56.

შენის სამაროვანზე¹, სამთავროში² და გვხვდება აგრეთვე ადრეანტიკური ხანის სომხურ ძეგლებზე³. მსგავსი დანები ლემან ჰაუპტის მიერ ნაპოვნი იყო თოფრაქ-კალეში⁴. კუფტინი დაბლაგომის ქვევრსამარხებში მოპოვებულ ამ სახის იარაღს მევენახეობაში გამოსაყენებელ ნივთად მიიჩნევდა⁵. საბადურის ბორცვზე დიდი რაოდენობით გვხვდება ანდეზიტ-ტუფისაგან დამზადებული ქვის ხელსაფეკვაები, რომლებსაც ოდნავ აწეული ბოლოები აქვთ. ასეთი ფორმის ხელსაფეკვაები დამახასიათებელია დღემდე შესწავლილი თითქმის ყველა ნამოსახლარისათვის. ხელსაფეკვაების ეს ტიპი ადრეულ ეპოქებში ჩანს გავრცელებული და რომაულ ხანამდე მარცვლეულის დასაფეკვავ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

სოფლის მეურნეობის მეორე დარგთან, მესაქონლეობასთან დაკავშირებული ნივთები საირხის მატერიალურ კულტურაში წარმოდგენილია ქვისა და თიხისაგან გამოძერწილი კვირისტავეებით. მათ განსახილველად ცალკეული შესადარებელი მასალის მოტანა, ვფიქრობთ, ზედმეტი იქნება, რადგან მატყლის დართვა-დაძახვის საქმესთან დაკავშირებული ასეთი კვირისტავეები დამახასიათებელია თითქმის ყველა დროის ნამოსახლარებისათვის, მოყოლებული ენეოლითური ეპოქიდან ფეოდალურ ხანამდე.

სამწეხაროდ, დღემდე არ არსებობს საირხის ტოპონიმიკური რუკა. ამიტომ არქეოლოგიური ძეგლის გავრცელების საზღვრებზე და მის მოცულობაზე გარკვეული წარმოდგენა რომ შეიქმნას, საჭირო იქნება სიტყვიერად მაინც ძირითადად მოვზაზოთ ის პუნქტები, სადაც შემთხვევით და გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებია დადასტურებული. ამ შემთხვევაში ჩვენ პირობით მთავარ ორიენტირად საბადურის გორას მივიჩნევთ, რომელიც დასახლების ცენტრშია აღმართული.

საბადურის გორის აღმოსავლეთით, მისგან 100 მეტრის დაშორებით, მდებარეობს ვეშაპიძის გორა. იგი დაახლოებით ორ-ნახევარ ჰექტარ ფართობს მოიცავს. ჩრდილოეთი ნაწილი, როგორც ეს ზემოთ განხილული გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალებიდან ჩანს, მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ადრეანტიკურ ხანაში. აქვე შეინიშნება წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენაც. გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა გვიანელინისტური ხანის სამაროვანი. იქიდან მომდინარე მასალებს ცალკე თავი აქვს დათმობილი. ვეშაპიძის გორის აღმოსავლეთით არსებული საყანე მიწები, რომლებიც მისგან ლელითა გამოყოფილი და საბადურის გორიდან 200 მეტრის მანძილზე მდებარეობს, უხვად შეიცავს

1 К у ф т и н Б. А., Триалети, т. I, стр. 267.

2 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახლებული ნაპრობი.

3 М а р т и р о с я н А. А., Раскопки в Головино, Ереван, 1954 г., стр. 22.

4 Lehman Haupt, დასახლებული ნაპრობი.

5 К у ф т и н Б. А., Колхида, т. II, стр. 37.

ელინისტური და ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ კერამიკას. აქ ანაკრეფ მასალაში დიდი რაოდენობით გვხვდება ყურმილიანი ჭურჭლის, პირმოყრილი ჯამებისა და ქვის ხელსაფუკავების ფრაგმენტები. საირხის არქეოლოგიური ძეგლის უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად ჯერჯერობით ლომინაური უნდა ჩაითვალოს. იგი საბადურის ბორცვიდან 500—600 მეტრითაა დაშორებული და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დასახლების საკულტო ცენტრს წარმოადგენდა. საბადურის გორის სამხრეთით, მისგან 300 მეტრის მოშორებით, გულიაშვილების უბანში შემთხვევითაა აღმოჩენილი გვიანელინისტური ხანის სამარხის ნაშთები. აქ საირხის საშუალო სკოლის მოსწავლეებს მ. გულიაშვილსა და ლ. სხირტლაძეს უპოვიათ ადამიანის ძვლები და მოყვითალო ფერის ფართო კორპუსიანი თიხის ხელადა, რომელიც კეცისა და დამზადების ტექნიკით ძალზე ჩამოგავს ვეშაპიძის გორაზე აღმოჩენილ გვიანელინისტური ხანის სამეთუნეო ნაწარმს. ამავე უბანშია ნაპოვნი მასრაშეკრული შუბის პირი. 1964 წელს საბადურის ბორცვის დასავლეთით ადგილ ლელიპირეში სავენახე მიწის გადაბრუნების დროს უშანგი ენუქიძე წასწყდომია კოლექტიურ სამარხს. მისი გადმოცემით ორმოში უწყესრიგოდ ყოფილა ჩაყრილი რამდენიმე თავის ქალა და აუარებელი ძვლები. ძვლებთან ერთად სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯურები და რკინის თოხი. თოხი ვიწროტარიანია. პირისკენ ოდნავ ფართოვდება. მრგვალი სატარე ხერელი და მასიური ყუა აქვს. წელში ოდნავაა მოხრილი.

გვიანბრინჯაოს ხანიდან დასავლეთ ქართულ კულტურაში ცულთან და სეგმენტისებურ იარაღთან ერთად თოხი ყველაზე მეტად გავრცელებულ იარაღს წარმოადგენს¹. ისინი ძირითადად ერთმანეთისაგან ფორმებით განსხვავდებიან. საირხეში აღმოჩენილი ვიწროტარიანი თოხი, რომელიც პირისაკენ ოდნავაა გაფართოებული, გენეტიკურად დაკავშირებული ჩანს ბრინჯაოს თოხებთან, რომლებიც 1938 წელს მიწის გადაბრუნების დროს აღმოჩენილა საირხის დასავლეთით, მისგან 500-ოდ მეტრით დაშორებულ სოფელ კალვათაში. არქეოლოგი ქორიძე კალვათურ იარაღებს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნით ათარიღებს².

მკვლევარების აზრით, პირვიწრო თოხები წინ უნდა უსწრებდნენ პირფართო თოხებს. ფიქრობენ, რომ თოხის პირის გაფართოება და გადიდება უფრო მოგვიანო ხანაში უნდა დაწყებულიყო. მართლაც, ადრეანტიკური ხანის ამგვარი იარაღები წარმოადგენენ საკმაოდ ფართოპირიან სამკუთხედი ფორმის თოხებს, რომლებიც მსგავსებას იჩენენ იმერეთის მთიანეთში დღემდე შემორჩენილ ე. წ. ნიღრიან თოხებთან.

¹ ო. თ. ქ ა ფ ა რ ი ძ ე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლეთ ქართულ კულტურაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1953 წ., ტ. 49, გვ. 174.

² ე. ქ ო რ ი ძ ე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები.

საირხეში აღმოჩენილი თოხი შეიძლება შევადაროთ აგრეთვე თრიალეთში მარალინდერესას ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს თოხს, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. VIII—VII საუკუნით თარიღდება.

საბადურის დასავლეთით, მისგან 300 მეტრის დაშორებით, სკომიეთის გორის დასავლეთ ფერდობზე არის აღმოჩენილი პირმოყრილი ჯამის ნატეხები და ერთი ფრაგმენტი განიერპირიანი ჭურჭლისა, რომელსაც ყელზე ფართო ღარისებური ხაზები შემოსდევს. პირმოყრილი ჯამები, ისე როგორც დერგის ნატეხები, ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმისათვის არის დამახასიათებელი.

ამავე ხანის კერამიკის ფრაგმენტები მრავლად ყრია აგრეთვე საბადურის ბორცვის ჩრდილოეთით მდებარე სიმინდის ყანებში.

ამრიგად, საირხეში შემთხვევით მოპოვებული და ანაკრეფი მასალებიც კი აშკარად მიუთითებენ, რომ ეს სოფელი წინაქრისტიანულ ხანაში წარმოადგენდა საკმაოდ დიდ დასახლებულ პუნქტს. ვიდრე ამის შესახებ დაწვრილებით რამეს ვიტყვოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ საირხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის კედლეორი არქეოლოგიური ძეგლი.

ლითონის საწარმოო უბანი

1968 წელს სოფ. საირხეში, ადგილ სახოველში გაითხარა ბრინჯაოს საწარმოო კერა. სახოველი მდებარეობს სოფელ საირხისა და ქორეთის მიჯნაზე, გორაკებს შორის წარმოქმნილ ველზე, საბადურის ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 100 მეტრის მანძილზე. სახოველში, რომელიც ამჟამად სოფ. ქორეთის საკოლმეურნეო ყანებს უჭირავს, ჯერ კიდევ 1966 წლის დაზვერვითი სამუშაოების დროს ანაკრეფი მასალა მიუთითებდა, რომ აქ მოსალოდნელი იყო ლითონის საწარმოო უბნის არსებობა. 1968 წელს ტრაქტორისაგან მოხსნულ მიწაში დამატებით მოპოვებული ბრინჯაოს წილები, ტიგელის ფრაგმენტები და საბერველის საქშენი მილი კვლავ ადასტურებდა ჩვენს ვარაუდს. აქ გაჭრილ № 1 სადაზვერვო თხრილში მიწის სიღრმეში 60—70 სმ-ზე მოექცა ცუდად შემონახული ნაგებობის საძირკვლები. გათხრების გაფართოების შედეგად სახოველში გამოვლინდა მშრალად წყობილი ქვის კედლებით ნაგები სამი სათავსოს ნაშთი. ცენტრალურ ნაგებობას, რომელსაც პირობითად № 1 სათავსოს ვუწოდებთ, 25 კვმ ფართობი უჭირავს. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიშენებულ № 2 სათავსოს 10 კვმ, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მიშენებულ სათავსოს 15 კვმ. საფიქრებელია, რომ ქვის საძირკვლებზე, რომელთა სიგანე 30—40 სმ-ის ფარგლებში მერყეობს, დაფუძნე-

ბული იყო საწარმოსათვის განკუთვნილი ხის ნაგებობათა კომპლექსი. (ტაბ. XXXIV). ნაგებობების შიგნითა და გარეთ, მთელ სამშენებლო მოედანზე დაახლოებით 350 კვმ. ფართობზე დადასტურებულ იქნა ორი სხვადასხვა ხანის ფენა, რომელიც ჭრილში იძლევა ორ დონეს. აღნიშნულ დონეებს, შორის არ შეინიშნება რაიმე სტერილური შრე. მეორე და პირველი დონის ნაწილი შეიცავს ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ნაშთებს, ხოლო მეორე დონის ნაწილი და ზედა მოხნული ფენა ძირითადად ელინისტური ხანის სამეთუნეო ნაწარმს. ლითონ-სადნობი სახელოსნოებისათვის დამახასიათებელი ნაშთები დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც პირველ, ასევე მეორე ფენაშიც. ვიდრე ამ მასალების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად დავახასიათოთ სახოველის ორივე ფენაში წარმოდგენილი სამეთუნეო ნაწარმი, რომელიც ამ შემთხვევაში ძველის თარიღის განსაზღვრისათვის ძირითად მასალას წარმოადგენს.

ქვედა პირველი ფენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია საშუალო ზომის შავი ან რუხი ფერის ჭურჭლის სადა ყურები. ოვალურგანიკვეთიანი ყურები, რომლებიც დამზადებულია კარგად გარჩეული ქარსმინარევებიანი თიხისაგან, სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ მოდინახეს მესამე ფენიდან მომდინარე ამგვარივე თიხის ჭურჭლის ყურებთან. გარდა ამ ყურებისა, აღნიშნულ ფენაში შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ყურები, რომლებზეც ზოომორფული მოტივები შეინიშნება. წინარეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკასთან შედარებით ცხოველის დაცქვეტილი ყურების მსგავსი შეერილები ოდნავ შესამჩნევადაა ხაზგასმული, ხოლო ქედზე მიძერწილი სადა ან ჭდეულებით შემკული ლილეები საერთო ფონისაგან რელიეფურად სუსტად გამოიყოფა. ჭურჭელზე ამკარად შეინიშნება ზოომორფული მოტივების დაკნინებისა და მისი შემდგომი გაქრობის კვალი (ტაბ. XXXV).

ძველის ქვედა ფენებში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი შავი ან რუხი ფერის ყელმალალი დერგის ფრაგმენტები გარეთ გადმოკეცილი ჩახვეული პირებით და სხვადასხვა ფორმის ჭურჭლის ფრაგმენტები შემკული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით (ტაბ. XXXVI). ამგვარი ფორმის ჭურჭლები ძირითადად ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის არის ნიშანდობლივი. მათი პროტოტიპები კი უფრო წინარეანტიკური ხანის კერამიკაშია საძებნი¹.

პირველ ფენაში მოპოვებულია კოლხური სასმისის ოთხი ფეხი. ორი მათგანი, რომლებსაც მოწითალო ფერი გადაჰკრავს, შემკულია ტალღისებური ორნამენტით. ერთ შემთხვევაში ორნამენტი გამოსახულია შედარებით სქელი ჩაღარული ხაზებით, ხოლო მეორე შემთხვევაში წვრილი ერთმანეთზე მიჯრილი ზიგზაგისებური

¹ თ. ში ქ ე ლ ა ძ ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 169.

ბაზები ქმნიან ტალღისებურ ანდაზს, რომელიც სასმისის ფეხს გარშემო უშლის. ვფიქრობთ, რომ ეს ფრაგმენტები მიეკუთვნებიან სასმისებს, რომლებსაც მაღალი ცილინდრული ფეხი აქვთ და ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის განმსაზღვრელ ჯგუფს წარმოადგენენ¹.

სახოველში აღმოჩენილი დანარჩენი ორი ფრაგმენტი მოშაო-ლეგა ფერის არის, გარედან სადაა და, როგორც ჩანს, შედარებით დაბალფეხიანი ჭურჭლის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი ეგზემპლარი მოპოვებულია ოჩამჩირის არქეოლოგიური ძეგლის ადრეანტიკური ხანის ფენებში². თ. მიქელაძე კოლხურ-ფეხიან სასმისებს სამ ჯგუფად ჰყოფს. სახოველის მსგავს სასმისებს მესამე ჯგუფში აერთიანებს და მათ, ისე როგორც პირველ და მეორე ჯგუფის ფეხიან სასმისებს, შუა კოლხური პერიოდის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელ სასუფრე ჭურჭლებად მიიჩნევს³.

პირველ ფენაში დიდი რაოდენობითაა მოპოვებული პირგადმოშლილი და პირშეეცეცილი ბრტყელძირიანი ჯამები. ჭურჭლის ეს ტიპები თავის ფორმებით და თიხის შედგენილობითაც სრულიად იმეორებენ მოდინახეს მესამე ფენაში და ადრეანტიკური ხანის სამარხებში მოპოვებულ პირშეეცეცილ და პირმოყრილ ბრტყელძირიან ფიალებს. როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, მსგავსი ჯამები საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის საწყის პერიოდში ჩნდება და დაახლოებით სამი საუკუნის მანძილზე სასუფრე ჭურჭლის ერთ-ერთ ძირითად ეტაპს წარმოადგენს როგორც აღმოსავლეთ, ანუ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. პირველი ფენისათვის დამახასიათებელია ლანგრიან პირ-კედლის ნატეხები, რომელთა სამკუთხა განივკვეთიანი პირების ზედაპირი შემკულია რომბისებური ან წიწვოვანი სახის ორნამენტებით. (ტაბ. XXXV, 9, 10). მსგავსი ფრაგმენტები დიდა რაოდენობით არის მოპოვებული მოდინახეს მესამე ფენაში. ისინი ფორმისა და ბაკოს შემკულობის მიხედვით ძალზე უახლოვდება კოლხეთის დაბლობის სამეთუნეო ნაწარმს, რომელიც შუა კოლხეთის პირველი ეტაპის კერამიკისთვისაა დამახასიათებელი

პირველ ფენაში მასიურად გვხვდება ლეგა და შავი ფერის თხელკედლიანი ქოთნის ყელ-პირის ნატეხები, გადმოკეცილი პირით, რომელსაც მხარზე შემოსდევს ღარისებური ხაზები. ჭურჭლის ეს ტიპი დიდი რაოდენობით არის მოპოვებული მოდინახეს მესამე ფენაში.

სახოველის სამეთუნეო ნაწარმისათვის დამახასიათებელია ორნამენტის მრავ-

¹ თ. მიქელაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 171.

² Б. А. К у ф т и н, Материалы к арх., т. II, стр. 250, таб. 71.

³ თ. მიქელაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 172.

⁴ იქვე.

ვალფეროვნება. ჭურჭლები უმეტესად შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ხასიათის მოტივებით, რომლებიც ჩალარული ნაკაწრი ხაზებითაა შედგენილი. გვხვდება გრეხილი რელიეფური ლილვები და კოპისებური შვერილები, რაც უძველესი ტრადიციების გამოძახილი უნდა იყოს.

პირველ ფენაში აღმოჩენილია ლითონის შემდეგი ნივთები: 1. მამა ბრინჯაოსი, დაფარულია კეთილშობილი პატინით. ბრტყელ ბოლოში, მორკალული საყცების გარეთა ზედაპირზე, მთელ სიგრძეზე ორი ჩალარული ხაზი გასდევს. ხაზებს შორის მოქცეული არე სადაა, ხოლო ნაპირებისაკენ ფხური ორნამენტია ამოტიფრული. ანალოგიური ნივთები აღმოჩენილია მცხეთის როგორც ადრეული¹, ასევე გვიანდელი² ხანის ორმო-სამარხებში. ტ. ჩუბინაშვილის აზრით, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ბრინჯაოს მამები წარბაქნელი იარაღები უნდა იყოს. გ. ფირფილაშვილი მათ ქირურგიულ პინცეტებად მიიჩნევს, რომელთა საშუალებით ხდებოდა დაჭრილის სხეულიდან ისრის პირის ამოღება და შეაბღოა სხვა ქირურგიული ჩარევებით.

ასეთი მოსაზრება რამდენადმე ანგარიშგასაწევია იმის გამო, რომ ბრინჯაოს მამები სამთავროში უმეტესად მამაკაცის სამარხებშია მოპოვებული, საბრძოლო დანიშნულების იარაღებთან ერთად. სპეციფიკური დანიშნულების გამო, როგორც ჩანს, დროის დიდ მონაკვეთში მათ ფორმების ცვალებადობა არ განუცდიათ. ადრეანტიკური ხანის ფენებიდან მომდინარე ეგზემპლარი თითქმის იმეორებს წინარეანტიკური ხანის სამთავროს სამაროვნებში მოპოვებულ ბრინჯაოს ამგვარ იარაღებს³.

2. ანკესი ბრინჯაოსი, დამზადებულია ჩამოსხმის წესით; ანკესა დაფარულია კეთილშობილი პატინით და კარგად არის შემონახული.

ანკესი უჩვეულო ნივთს არ წარმოადგენს როგორც საქართველოს, ასევე ძველი აღმოსავლეთის არქეოლოგიური ძეგლებისათვის. სპილენძის ანკესები აღმოჩენილია ეგვიპტისა და შუამდინარეთის ნამოსახლარ ფენებში. უკანასკნელ ხანს კარგად დამუშავებული ბრინჯაოს ანკესი თავჩახვეული ყუნწით აღმოჩნდა ბორჯომის ხეობაში, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებთან ერთად⁴.

¹ ტ. ჩუბინაშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957 წ., გვ. 25, ტაბ. XVIII.

² რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტაბ. XXII, ტაბ. V, VIII, IX.

³ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტაბ. XXII, ტაბ. V, VIII, IX.

⁴ ცნობა მოგვაწოდა ო. ლამბაშიძემ.

საირხული ცალი განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებს ბიჭვინთაში ანტიკური ხანის ნამოსახლარ ფენებში მოპოვებულ ანკეაბთან, რომლებსაც აგრეთვე გაბრტყელებული ყუნწი აქვთ ¹.

3. ლერაკი ბრინჯაოსი (საკინძის ფრაგმენტი), გაბრტყელებული მოხრილი თავით. მრგვალი ლერო წვეროსაკენ თანდათან წვრილდება და წამახულ წვერში გადადის. სიგრძე 4,7 სმ.

4. ნემსი ბრინჯაოსი, ყუნწის ნახევარი ჩამოტეხილი აქვს, სიგრძე 2—8 სმ.

5. სამაჯური ბრინჯაოსი, დანჯადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულის სადა ლეროსაგან, დეფორმირებულია, სიგრძე 22 სმ.

6. სადგისი ბრინჯაოსი, ოთხკუთხანივკვეთიანი ლერო ოდნავ მობრტყილია, თავსა და ბოლოში წვერი წამახული აქვს.

7. ბრინჯაოს სატეხი? ოთხკუთხანივკვეთიანი ლეროს ერთი ბოლო წაწვეტიებულია, მეორე ბრტყლად წამახული.

8. ჯაჭვი ბრინჯაოსი, შედგება სამი პირგახსნილი რგოლისაგან.

9. ქალის გამოსახულება ბრინჯაოსი, გადმოცემულია მჯდომარე პოზაში, ერთმანეთზე მიტყუებული ფეხები გამოყოფილია ჩაღრმავებული ხაზით. თავი მოტეხილი აქვს. მკერდის არეში წამონაზარდი კოპის სახით აღნიშნულია ძუძუ. მეორე ასეთი კოპი მოტეხილია. ქანდაკება დეფექტურია, მასზე გამოსახული ყველა დეტალი კარგად არ იკითხება.

სახოველის ადრეანტიკური ხანის ბრინჯაოს აწარმოში ქალის გამოსახულების ყალიბის შექმნას და მის ჩამოსხმის ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს შრომატევადი, რთული სამუშაო განპირობებული უნდა ყოფილიყო საქმად სერიოზული მიზეზით, რაც შეიძლება დაკავშირებული იყო საირხეში მდებარეობითი სქესის ღვთაების თავგანიცემასთან.

სხვა ნივთებიდან აღსანიშნავია თახისაგან გამოძერწილი მცირე ზომის ცხოველის სამი ქანდაკება. ორი მათგანი ფრაგმენტულია (მხოლოდ ტანის ნაწილია შემონახული), რის გამოც არ ხერხდება ცხოველის გამოსახულების გამოცნობა. შედარებით კარგად არის შემონახული მოყვითალო-ვარდისფერი თახისაგან გამოძერწილი ძაღლის გამოსახულება. ფიგურა სქემატურია, თავის ნაწილი მომტვრეული აქვს. თვალები და პირი აღნიშნული არ არის. იგი ნელ მოძრაობაშია გამოსახული და ახლად ფენადგმული ლეკვის შთაბეჭდილებას ტოვებს.

¹ ო. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე. ბიჭვინთის VII თხრილში 1956-57 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, 1963, გვ. 93.

სახოველის მეორე ფენა ძირითადად კერამიკული მასალით არის წარმოდგენილი. სამეთუნეო ნაწარმი იმდენადაა დამტვრეული, რომ ასეული ფრაგმენტისაგან თითქმის არც ერთი ჭურჭლის შეკონსტრუქცია არ მოხერხდა. ეს გარემოება საშუალებას არ იძლევა წარმოდგენა შევიქმნათ ჭურჭლის მთლიან ფორმებზე. კერამიკა ძირითადად დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. გვხვდება მოყვითალო და ზაფრანისფერი ჭურჭლის ყურები, მოწითალო ფერის თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები და კოლხური პითოსები, რომლებიც ჩვეულებრივ ელინისტური ხანით თარიღდება და დამახასიათებელია ვანის და ფიჭვნარის ძვ. წ. II—I საუკუნეების ნამოსახლარი ფენებისათვის. სახოველის სამეთუნეო ნაწარმის ნაშთები თიხის სტრუქტურითა და ფერით სრულ მსგავსებას ბოულობს საირხეში, ვეშაიძის გორაზე აღმოჩენილ ელინისტური ხანის სამარხებში მოპოვებულ სამეთუნეო ნაწარმთან. აღნიშნული მასალების განხილვას ჩვენ ქვემოთ შევეცდებით და ვფიქრობთ, მათი მიხსლოებითი თარიღის დადგენა გარკვეულად შეუწყობს ხელს სახოველის ძეგლის მეორე ფენის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას.

სახოველში ორივე ფენა უზეად შეიცავდა ბრინჯაოს წილებს. ნაგებობათა კედლების ნაშთების გარშემო ბლომად ეყარა ბათქაშის ნამტვრევები. მათზე შემორჩენილი ძეგლის ანაბეჭდები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქვის სამირკვლებზე დაფუძნებული სახელოსნოები ალიზით იყო შელესილი. სათავსოს შიგნით და გარეთ, მთელ სათხრელ მოედანზე, როგორც პირველ, ისე მეორე ფენაში, დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული გამომდნარი ლითონის დასაყალიბებელი ტიგელები. (ტაბ. XXXVII). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს № 2 სათავსოს ცენტრში აღმოჩენილი ტიგელების გროვა, რომელიც მთლიანად პირველ ფენას მიეკუთვნებოდა და ასეულობით ტიგელის ფრაგმენტს შეიცავდა. როგორც ჩანს, ეს სათავსო იმთავითვე განკუთვნილი იყო ფერადი ლითონის საწარმოო ჭურჭლების შესანახად გილად. ხანძრისა თუ რალაც უეცარი კატასტროფის შედეგად მოხდა ერთ ადგილზე დალაგებული ჭურჭლების კონსერვაცია. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ გროვიდან მოღწეული ნატეხებიდან ექვსი ტიგელი თითქმის მთლიანად აღდგა. ზომებისა და კეცის მიხედვით ტიგელები ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1. დიდი ზომის ტიგელები წარმოადგენენ მსხვილი სტრუქტურის მქონე თიხისაგან გამოქმნილ მასიურ ჭურჭლებს, რომელთა ფართო, გადაჭრილი პირი მუცლისაკენ მკვეთრადაა დაქანებული. ოვალური ფორმის ძირზე ტიგელებს მიმერწილი აქვს სამი ფეხი. ყველა ჭურჭელს პირზე ღარისებური ჭრილი აქვს გაკეთებული. როგორც ჩანს, ეს ღარი გამოიყენებოდა ჭურჭლიდან ლითონის გადმოსასხმელად ან წიღის მოსაპერად ზოდის საბოლოო გასუფთავების მიზნით. ოთხი ასეთი დიდი ზომის ტიგელის ზომები მიხსლოებით ერთნაირია. (ტაბ. XXXVIII, 2).

2. მცირე ზომის ტიგელები ფორმით თითქმის არ განსხვავდებიან დიდი ზომის ამ სახის ჭურჭლებისაგან. იგი გამოძერწილია ხელით, შედარებით კარგად განლექილი თიხისაგან. (ტაბ. XXXVII₃).

ჭურჭლების ძირზე შერჩენილი ლითონის ნაფენის სპექტრული და ქიმიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტიგელები გამოიყენებოდა ბრინჯაოს ზოდების დასაყალიბებლად. ეს ფაქტი მიუთითებს ადრეანტიკურ ხანაში სასოველში ფერადი მეტალურგიის მძლავრი საწარმოო კერის არსებობაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტიგელის ფრაგმენტები ანაქრეფ მასალებში მრავლად გვხვდება სასოველის დასავლეთით მდებარე ვეშაპიდის გორაზე. ეს ფაქტი კი უნდა გვულისხმობდეს საირხეში კიდევ ერთი ლითონის საწარმოო უბნის არსებობაზე. სასოველში, ისე როგორც ვეშაპიდის გორაზე, დიდი რაოდენობით გვხვდება რკინის მეტალურგიული წიდეები. მათი არსებობა იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ადრეანტიკურ და მის მომდევნო ხანაში აქაური მოსახლეობა მისდევდა არა მარტო ფერადი ლითონის, არამედ რკინა-ფოლადის დამუშავებასაც.

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთი განსაკუთრებით კი მდ. ყვირილისა და რიონის ზემოწელი, არქეოლოგიურ ლიტერატურაში სადღეისოდ ცნობილია როგორც მეტალურგიის მძლავრი და უძველესი კერა. ყვირილის ხეობაში ჯერ კიდევ ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე უნდა არსებულყო მეტალურგიული წარმოების მძლავრი კერა¹. სადღეისოდ ცნობილია, რომ ჩვენში ადრებრინჯაოს ხანის არც ერთ ძეგლს არ მოუცია ბრინჯაოს ნივთების ასეთი რთული და მრავალგვარი ფორმები, როგორც საჩხერულმა ძეგლებმა მოგვცეს².

სალითონო საქმემ, რომელიც საუკუნეობრივ გამოცდილებებს ემყარებოდა, მომდევნო ეპოქებში განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია. ამაზე ნათლად მეტყველებს რაჭა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე აღმოჩენილი მრავალი მძიმე წონის განძი. 1967 წელს სოფ. დუნთაში მცხოვრებმა არსენა ყიფიანმა გადმოგვცა მოდინახეს ციხის ჩრდილოეთით მდებარე გორიჯვრის ახოებში შემთხვევით აღმოჩენილი 50 კგ წონის ოვალური ფორმის ბრინჯაოს ხუთი ზოდი. ამავე წელს მდ. ჩიხურას მარცხენა ნაპირზე, ადგილ ჟალიეთში, მოსწავლეებმა შემთხვევით იპოვეს ბრინჯაოს ზოდები. მათი წონა, დაკარგულისა და შეგროვილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 150 კგ მაინც უნდა ყოფილიყო.* ჟალიეთში აღმოჩენილ ბრინჯაოს განძს თან ახლდა ძალზე დალექილი ლევა ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კეცის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ჭურჭელი წინარეანტიკური ხანის სამე-

1 ო. თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961 წ., გვ. 190.

2 ი. ქ. ე. გვ. 189.

* ამ განძის დიდი ნაწილი დაცულია სხეიტორის რაწლიანი სკოლის მეზუეში.

თუნეო ნაწარმს უნდა ეკუთვნოდეს. ზოდებს გარდა საჩხერის რაიონში აღმოჩენილია ნივთებით შედგენილი განძები სოფ. პერვეიდან¹, კალვათიდან² და სხვ. ადრებრინჯაოს შემდგომი ეპოქებისათვის დამახასიათებელი, შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების სიმრავლე და მრავალგვარობა კი იმაზე მეტყველებს, რომ ყვირილის ზემოწელი ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ყველა ეპოქაში წარმოადგენდა მეტალურგიის მძლავრ საწარმოო კერას. უძველესი ხალითონო ტრადიციები განსაკუთრებით გამოცოცხლებული ჩანს ადრეანტიკურ ხანაში, რის ერთ-ერთ უტყუარ საბუთს წარმოადგენს საირხეში ლითონის საწარმოო უბნის აღმოჩენა. თუ საირხე ადრეანტიკურ ხანაში წარმოადგენდა აღნიშნული ქვეყნის პოლიტიკურ, სავაჭრო, სამეურნეო ცენტრს, რის დამტკიცებასაც ჩვენ გვყავით შევეცდებით, შესაძლებელია შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ამ სოფელში გამოავლინოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ლითონსაწარმოო უბანი.

მლინისტური ხანის სამაროვანი

საირხეში, ვეშაპიძის გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, 1963 წელს მიწის პლანტაჟის დროს ტრაქტორს დაუნგრევია სამაროვანი. გადებრუნებული მიწის ზედაპირზე, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, ეყარა დაღეწილი თიხის ჭურჭელი და დაღეწილი ძვლები. აღნიშნულ ადგილებში გავჭერით საძიებო თხრილები. ერთ-ერთ თხრილში მიწის ზედაპირიდან 50 სმ-ზე აღმოჩნდა დანგრეული სამარხი. მიცვალებულის ჩონჩხი სახნისისაგან შუაზე იყო გაკვეთილი. ზედატანის ძვლები მიწაში უწესრიგოდ ეყარა. ძვლები ტალახში იყო შეზელილი. წითლად გამომწვარი სქელკედლიანი ქვევრის ნატეხებთან ერთად მიცვალებულის ფეხები დაუზიანებლად იყო შემონახული. წვივისა და ბარძაყის ძვლებზე წაფარებული ჰქონდა ქვევრის ნატეხები. ადგილზე იყო შემორჩენილი აგრეთვე კეფის ძვალი. ჩონჩხის ნაწილების მიხედვით შესაძლებელი გახდა დაკრძალვის წესის აღდგენა. მიცვალებული მოკრუნჩხული უნდა წოლილიყო თავით სამხრეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი: 1. ხელადა თეთრი-მოყვითალო ფერის, სამყურას ფოთლისებური პირით, დაბალი ყელით, შვილდისებური ოდნავ გამობურცული ყური წარმოადგენს პირის გაგრძელებას და მუცელზე აქვს მიძერწილი (ტაბ. XXXII). ჭურჭელი ნაკლულია, ძირისა და გვერდების დიდი ნაწილი მომტვრეული აქვს.

¹ დ. ქოჩიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი) თბილისი, 1961 წ., გვ. 37.

² იქვე, გვ. 79.

ასეთი ფორმის ჭურჭლები საკმაოდ გავრცელებული ჩანს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ელინისტურ ხანაში. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ბერძნულ ენესობად მიიჩნევს და საქართველოში ჭურჭლის მსგავსი ფორმების გაჩენას ელინური კულტურის გავლენას უკავშირებდა¹. საირხული ხელადა რამდენადმე მოგვაგონებს დაბლაგომის № 18 სამარხში აღმოჩენილ სამტუნა დოქს, რომელსაც წინ წამოწეული ნისკარტი და დაბალი განიერი კორპუსი აქვს². პროფესორი კუფტინი ამ ჭურჭელს უკავშირებდა სწორედ ბერძნულ ხალვინე ხელადებს³. მიუხედავად იმისა, რომ № 18 სამარხში გარდა ხელადისა აღარაფერი აღმოჩენილა, კუფტინი სამარხს დაბლაგომის სამაროვნისათვის დადგენილ ქრონოლოგიურ ჩარჩოში აქცევდა. საირხულ ჭურჭელს უფრო მახლობელი პარალელები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში მოუპოვებათ. მცხეთის ქვევრსამარხების სამტუნა დოქები, რომლებიც დათარიღებულია I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით⁴, ახლო ანალოგიას პოულობენ საირხულთან.

1. ბრინჯაოს წყვილი სამაჯური აღმოჩნდა გულმკერდის არეში, დაფარული იყო კეთილშობილი პატინით. გაკეთებულია ოთხკუთხაგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღეროსაგან, რომელსაც რკალი შუა ნაწილში შეღუნული აქვს. გახსნილი ბოლოები გამსხვილებულია. ბოლოების გარე სიბრტყეზე კონცენტრული წრეებით აღნიშნულია ცხოველის თვალები. ცხოველის თავი რელიეფურად არის გამოსახული. მის გამოსაკვეთად გამოყენებულია ღრმა ენერჯიული ჭდეულები. სამაჯურის ზედა სიბრტყე დაფარულია სუსტი წიწვოვანი ორნამენტით. ამ ნიშნების მიხედვით ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი ცხოველის თავია აქ გამოსახული. (ტაბ. XXXVIII₆).

ზურგმეზენილი სამაჯურები საქართველოს ტერიტორიაზე აქემენიდურ ხანაში ვრცელდება. დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მსგავსი სამკაულები აღმოჩენილი არ არის და, რადგან ისინი ბევრ საერთო პოულობენ აქემენიდური ხანის ოქროს სამაჯურებთან, ფიქრობენ, რომ სამკაულის ეს ტიპი ანტიკური ხანის დასაწყისში სპარსეთიდან უნდა გავრცელებულიყო სამხრეთ ამიერკავკასიაში⁵. იმ ხანიდან მოყოლებული მკლავსამკა-

1 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950 г., стр. 19.

2 იქვე.

3 იქვე.

4 ვ. თოლორაძე, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძ. წ. III—I სს., მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტომი III, თბილისი, 1963 წ., ტაბ. V₁₋₂.

5 Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

ულის ამ ტიპმა ფორმის მხრივ გარკვეული ცვლილებები განიცადა. უძველეს სამაჯურებს რკალის ჩაზნექილობა მეტად ეტყობათ, მოგვიანოებს კი ზურგი თანდათან უსწორდებათ. განსხვავება ჩნდება თავების გაფორმებაშიც. უძველესი სამაჯურები გამოსახავენ ცხოველის ან ფრინველის თავებს (ხშირად გედის, გველისა და სხვ.), გვიანდლებს კი ბოლოები უბრალოდ აქვს ჩამოჭრილი და სამაჯურის ძირითად ღეროსთან შედარებით უფრო გამსხვილებული¹. საირხული სამაჯურები გენეტიკურად დაკავშირებული ჩანს დაბლაგომის იმ სამაჯურებთან, რომლებსაც ბ. კუფტინი მეოთხე ჯგუფში აერთიანებს და ელინისტური ხანით ათარიღებს². აწვევ გარკვეული მსგავსება შეინიშნება ფარცხანაყანევის სამაროვნებში აღმოჩენილ სამაჯურებსა და საირხულ ცალებს შორისაც. ფარცხანაყანევის არქეოლოგიური კომპლექსები, რომლებიც ზურგშეზნექილ სამაჯურებთან ერთად კოლხურ მონეტებსაც შეიცავს, ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება³. რკალშეზნექილი სამაჯურები მრავლადაა მოპოვებული მცხეთის ქვევრსამარხებში. ისინი უმთავრესად მრგვალგანივკვეთიანი სპილენძის ღეროსაგან არის დამზადებული. ვ. თოლორადავა მცხეთის სამაჯურებს სამ ჯგუფად ყოფს. პირველ ჯგუფში იგი აერთიანებს სამაჯურებს, რომელთა გამსხვილებული ბოლოები ძალზე სტილიზებულ ცხოველის თავს გამოხატავენ და მათ ძვ. წ. III—II საუკუნეებით ათარიღებს⁴. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სოფ. არკნეთში აღმოჩენილ თავგახსნილ და ზურგსწორ სამაჯურებს ოთ. ჯაფარიძე ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით ათარიღებს⁵. როგორც ვხედავთ რკალშეზნექილი და თავგახსნილი სამაჯურები საქართველოს ტერიტორიაზე განაგრძობენ არსებობას ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. ხშირად მათ თარიღს მათივე ფორმები განსაზღვრავენ (რკალის გამსხვილება, რკალის შეზნექილობა, ბოლოების გამსხვილება და სხვ.).

პროფ. ბ. კუფტინი ზურგშეზნექილ და ბოლოებგახსნილ სამაჯურების არსებობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II—I საუკუნეებში აღარ ვარაუდობს. მკვლევარის აზრით, თავგახსნილი სამაჯურები, რომლებიც I საუკუნეში კიდევ ინარჩუნებენ რკალის შეღუნულობას აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. II—I სს. იცვლება მავთულის წვერილი ღეროვანი სამაჯურებით, რომლებსაც თავები გადაგრეხილი აქვს მაჯაზე წამოსაცმელ

¹ ვ. თოლორადავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

² Б. А. К у ф т и н и, დასახელებული ნაშრომი, გვ. 147.

³ М. М. И в а ш е н к о, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155-156.

⁴ ვ. თოლორადავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149.

⁵ ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფელ არკნეთში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63., თბილისი, 1965 წ., გვ. 193.

რგოლზე.¹ ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს საირხეში აღმოჩენილი სამაჯურები, რადგან ისინი თავიანთ ფორმით ახლოს დგას და თითქმის იმეორებს გურჯაანის რკინიგზის სადგურთან ქვაყუთში აღმოჩენილ სამაჯურს, რომელსაც კონუსურად გაბრტყელებული თავი აქვს. აღნიშნულ სამარხში გარდა სამაჯურისა აღმოჩნდა რკინის ინვენტარი და ღია ფერის თიხის ჭურჭელი, რომელთა შორის არის სამტურჩა ფილა, იალოლუ თეფეს კერამიკის სინქრონული. აქვეა აღმოჩენილი მეორე ჭურჭელი. მას წაქცეული ტიკის ფორმა აქვს და კარგად შეესატყვისება იალოლუ თეფეს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილს. საჩხერული სამაჯურების თარიღის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფ. არკნეთში გათხრილ № 2 სამარხის ინვენტარს, სადაც აღმოჩნდა ოდნავ ზურგშეზნექილი, თავგაბრტყელებული ბრინჯაოს სამაჯურები, ვერცხლის 5 პართიული მონეტა — ორი სინეტურკისა ძვ. წ. (77—70 წწ.), ორი—ორად 1-ისა ძვ. წ. (57—37 წწ.) და ერთიც ფარატ III-ისა (70—57 წწ.).

არკნეთში, გარდა ორმო-სამარხისა, გაითხარა ქვევრსამარხიც, სადაც საბეჭდავთან ერთად თავგაბრტყელებული სამაჯურიც აღმოჩნდა. ოთ. ჯაფარიძე ამ არქეოლოგიურ კომპლექსს ძვ. წ. II—I საუკუნეებით ათარიღებს². ამრიგად, შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საირხული სამაჯურები ძვ. წ. II საუკუნის დასასრულსა და ძირითადად კი ძვ. წ. I ს. უნდა მიეკუთვნოს.

2. ბრინჯაოს საბეჭდავი წარმოადგენს სამკუთხედის ფორმის სქელ ფირფიტას. სამკუთხედ რკალში რელიეფურად გამოსახულია გველი. ქვეწარმავლის კუდი ქვედა მარჯვენა კუთხეში იწყობა. მისი დაკლანილი ტანი კადრს მთლიანად ავსებს და თავით ზემო კუთხეს ეხება. საბეჭდავს ზურგზე მრგვალი ყუნწი აქვს მირჩილული (ტაბ. XXXVIII₃). ამგვარი საბეჭდავები ძალზე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ქართულ გლიფტიკაში. სოფ. როქში აღმოჩენილი სამკუთხედი საბეჭდავი რამდენადმე მოგვაგონებს საირხულს, მაგრამ იგი სიუჟეტურად, შესრულების ტექნიკითა და ნახატის სტილით საკმაოდ განსხვავდება საირხულისაგან³. საირხული საბეჭდავი ახლო ანალოგიას პოულობს ლაგოდენის რაიონში აღმოჩენილ ბრინჯაოს სამკუთხედ საბეჭდავთან, რომელზედაც შევლია გამოსახული⁴. ასეთივე საბეჭდავი დელფინის გამოსახულებით აღმოჩენილია სოფ. შრომაში ზურგშეზნექილ თავგახსნილ სამაჯურთან ერთად⁵. ეს გარემოება კი იმაზე უნდა

1 Б. А. Куфтин, Материалы к Археологии Колхиды, т. II, стр. 55.

2 ოთ. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 140.

3 მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიფტიკური ძეგლების კორპუსი, გვ. 110.

4 ს. ჭანაიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი, № 1133.

5 გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის სასკოლო მუზეუმი.

მიუთითებდეს, რომ სამკუთხედი საბეჭდავები რელიეფური გამოსახულებით გვიანელინისტური ხანისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

3. ვერცხლის რგოლები. გაკეთებულია მრგვალგანივკვეთიანი ვერცხლის სადა ღეროსაგან. თავები ოდნავ აქვს გამსხვილებული და ერთმანეთზე მიდებული. ვერცხლის ამგვარ რგოლებს დიდი რაოდენობით შეიცავენ ფარცხანაყანევის ელინისტური ხანის არქეოლოგიური კომპლექსები¹. საირხული ცალები განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებენ სოფ. არკნეთში ვასასწყაროს სამაროვანზე აღმოჩენილ ვერცხლის რგოლებთან, რომელთაც ოთარ ჯაფარიძე საყურეებად მიიჩნევს².

4. სამარხში თავის ქალის არეში 10 მძივი აღმოჩნდა. სფეროსებური ორი მძივი მთის ბროლისაა, ერთი მინია, ერთი შინდის კურკის ფორმის, სერდოლიკისა, ხუთი გიშრისა და ერთი გადაბმული შინდის კურკის ფორმის მოოქროვილი მძივი.

მოოქროვილ მძივებს, მხოლოდ გვიანელინისტური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში ვხვდებით. განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი სამთავროს ძვ. წელთაღრიცხვის II—I საუკუნეების ქვეერსამარხებისათვის. გვხვდება ურბნისის ნაქალაქარის ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის სამარხებშიც. რაც შეეხება დანარჩენ მძივებს, უნდა ითქვას, რომ მათი მსგავსი საქართველოსა და ამიერკავკასიის არქეოლოგიურ კომპლექსებში მრავლად არის აღმოჩენილი. მთის ბროლის, სერდოლიკისა და გიშრის მძივები საკმაოდ დიდი დროის მანძილზე გვხვდება ფორმაშეუცვლელი სახით. ვეშაპიძის გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში № 6 საკონტროლო თხრილში მოექცა სამარხი, რომელიც ხელუხლებლად იყო შემონახული. აქ მიწის ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეში გამოჩნდა მოწითალო ფერის ქვევრის ნატეხები. როგორც ჩანს, შუაზე გატეხილი ქვევრი მიცვალებულს ზემოდან პქონდა წაფარებული. ნატეხების ქვეშ აღმოჩნდა კარგად შენახული ჩონჩხი. იგი მოკრუნჩხულ პოზაში იწვა, მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილოეთისაკენ. დამარხვის ეს წესი შეესატყვისება III—I სს. მცხეთის ქვეერსამარხებში დადასტურებულ დამარხვის წესს³. სამარხი ლარბული იყო. მასში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი⁴:

1. მოწითალო ფერის ხელადა, სამტუჩა, განიერი კორპუსით და ბრტყელი

1 М. М. Ивашенко, დასახელებული ნაშრომი, გვ. 325.

2 ო. თ. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 144.

3 ცნობა მოგვაწოდა არქ. დ. ქორიძემ.

4 ე. თ. ო. რ. დ. ა. ვ. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I სს., მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბ., 1963 წ.

ძირით. ყური მიძერწილი აქვს მხარზე და პირზე. გაკეთებულია უხეში, ქარსმი-
ნარეკებიანი თიხისაგან. (ტაბ. XXXII). თავისი ფორმით ეს ჭურჭელი მთლიანად
შეესატყვისება № 1 სამარხში აღმოჩენილ სამტუნა ხელადას და ახლო ანალოგიებს
პოულობს ურბნისისა¹ და უფლისციხის² ელინისტური ხანის სამტუნა დოქებთან.

2. რეინის დანა, შემორჩენილი აქვს სატარე ნაწილი, წელში ოდნავ მოხრი-
ლია. (ტაბ. XXXVIII).

მსგავსი დანები აღმოჩენილია სამთავროს ქვევრსამარხებში³, ბორში⁴, ჩხო-
როწყუში⁵. იგი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე და
გვხვდება შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ელინისტური ხანის არქეოლოგიურ
კომპლექსებშიც. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ დანებს ვ. თოლორდავა
ვაზის სახელად იარაღად მიიჩნევს⁶.

ზემოსხენებული მასალების გარდა ვეშაპძის გორაზე, ტრაქტორისაგან გად-
მონგრეულ მიწის ზედაპირზე, დიდი რაოდენობით აკვრიფეთ მოწითალო-თეთრი
ფერის საშუალო ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები და ორი მთლიანად შენახული
ჭურჭელი. ერთი მათგანი წარმოადგენს თეთრი ფერის ცალყურა კოჭობს, რო-
მელსაც დაბალი ყელი, განიერი კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს (ტაბ. XXXIX),
ზოლო მეორე — მოწითალო ფერის, ბიკონუსური ფორმის ყურმილიან ჭურჭელს.
(ტაბ. XXXIX).

ცალყურა კოჭობი თავისი ფორმით ძალზე ჩამოგავს მცხეთის ქვევრსამარ-
ხებში აღმოჩენილ იმ კოჭობებს, რომელსაც ვ. თოლორდავა IV ტიპში აერთიანებს⁷.
საირხული ცალი ასევე ახლო ანალოგიას პოულობს სოფ. არკნეთის სამაროვნის ცალ-
ყურა კოჭობთან. როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ამ სამარხებიდან მომდინარე
არქეოლოგიური კომპლექსები ძირითადად ძვ. წ. II—I საუკუნეებით თარიღდება⁸.
რაც შეეხება ყურმილიან ხელადას, იგი თითქმის იმეორებს მცხეთის ქვევრსამარ-
ხებიდან მომდინარე ერთ ასეთ ჭურჭელს, იმ განსხვავებით, რომ მას ვარდისფერი

1 ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ. 1964 წ., ტაბ. XIII₁₋₂.

2 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბილისი, 1964 წ., გვ. 85.

3 ვ. თოლორდავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

4 М. М. Ивашенко, Кувшинные погребения Грузии, сб. «ვახიშვილის სახ. ინსტიტუტი არქ. განყოფილების არქივი, ხელნაწერი» გვ. 175.

5 В. М. Шкорпниа, Раскопки в Керчи 1903 г., ИАК, вып. 9, 1904 г.

6 ვ. თოლორდავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

7 ვ. თოლორდავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 143, იხ. აგრეთვე ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964 წ., გვ. 40.

8 ოთ. ჭაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში, უნივერსიტეტის შრო-
მები, ტ. 63, გვ. 199, 1956 წ.

ზედაპირი წითელი საღებავით ჰქონდა დაფარული¹, ხოლო საირხულ ჭურჭელზე ხევის კვალი შეინიშნება და საღებავი გადაცლილი აქვს. ვეშაპიძის გორაზე ანაკრეფი მასალები დიდი რაოდენობით შეიცავს ქვევრის ფრაგმენტებს. გარდა ამისა, როგორც პირველ, ისე მეორე სამარხში ნახევარი ქვევრები ზემოდან ჰქონდა დაფარებული მიცვალებულის ჩონჩხს. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ელინისტური ხანის საირხული მოსახლეობა სამეურნეო დანიშნულების ქვევრებს იყენებდა სამარხების მოსაწყობად. ქვევრში დამარხვის წესი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში გვხვდება². განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი ელინისტური ხანის სამაროვნებისათვის³. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ამ სახის ძეგლებიდან სადღეისოდ ყველაზე უფრო სრულყოფილად სამთავროს ქვევრსამარხებია შესწავლილი⁴. უნდა აღინიშნოს, რომ სამარხი ქვევრების ინვენტარი სრულიად განსხვავდება მისი წინამორბედი სამაროვნების არქეოლოგიური კომპლექსებისაგან. აქ თითქმის აღარ გვხვდება საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღ-საჭურველი. როგორც ჩანს, ეს მოვლენა მცირე გამოჩანკისის გარდა დამახასიათებელია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დღემდე შესწავლილი ყველა ქვევრსამარხებისათვის.

აღნიშნულ ფაქტს გარკვეულად ადასტურებს საირხის ელინისტური ხანის საწარხები, სადაც აგრეთვე არ აღმოჩენილა საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღები. მკვლევარების უმრავლესობა ამ ფაქტის მიზეზს სამეურნეო და სოციალურ ძვრებში ეძებენ და ფიქრობენ, რომ სამარხული ინვენტარიდან იარაღ-საჭურვლის გაქრობა გამოიწვია მასზე კერძო საკუთრების გაჩენამ და მემკვიდრეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ⁵. იარაღმა განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა შეიძინა. იგი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა და ამის გამო წინაპრებს „საიქიოში“ აღარ ისტუმრებდნენ აღჭურვილთ⁶. სამარხებში იარაღის გაქრობა გარკვეულ ძვრებს უნდა გულისხმობდეს რელიგიის სფეროშიც. ქვევრსამარხების გავრცელების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევარები, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრსამარხები შეისწავლეს ქრონოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ფიქრობენ, რომ

1 ვ. თოლორაძე, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. Vб.

2 Б. А. К у ф т и н, Материалы к Археологии Колхиды, т. II.

3 М. М. И в а ш е н к о, Кувшинные могильники в Запад. Грузии, Советская Археология, 1950 г., XIII, Москва, стр. 322.

4 ვ. თოლორაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.

5 ვ. თოლორაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 160.

6 ს. ჯანაშია, საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1955 წ.

ქვევრსამარხები და მათში დამარხვის წესი აღმოსავლეთ საქართველოში¹ დასავლეთ საქართველოდან უნდა გავრცელებულიყო. ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ აზერბაიჯანელ არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ ქვევრსამარხები სამხრეთ აზერბაიჯანიდან გავრცელდა დასავლეთ აზერბაიჯანში, ხოლო აქედან აღმოსავლეთ საქართველოში². ამ ვარაუდს დამაჯერებლობა აკლია, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხების გაჩენა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ასეთივე სამარხების გაჩენას აზერბაიჯანში³. მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში თეთრი წყაროს რაიონში აღმოჩენილი ქვევრსამარხების თარიღად ძვ. წ. VI—V სს. მიუთითებენ⁴. თუ ასეთი ვარაუდი დადასტურდება, მაშინ გადასასინჯი გახდება მეორე მოსაზრებაც, ქვევრსამარხების დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში გავრცელების შესახებ.

სადღეისოდ საირხეში მოპოვებული მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვევრსამარხების გავრცელების საკითხი ფართო მსჯელობის საგნად ვაქციოთ. იქ მოპოვებული მასალები შედარებით გვიანხანას ეკუთვნის და უფრო მეტ საერთოს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებთან. შესაძლებელია ეს გარემოება მიუთითებდეს დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში მესხური ელემენტის შეღწევაზე. ამ ტომების მიგრაციას იქ ელინისტური ხანის დასაწყისიდან ვარაუდობენ⁵. ზემო იმერეთი სწორედ ის მხარეა, რომელიც ადრევე მოექცა აღმოსავლეთ ქართული კულტურის სფეროში⁶. ეს მომენტი თითქოს ასახული ჩანს საირხის არქეოლოგიური ძეგლის შიგაღივით, როგორც სამარხეულ, ასევე ნამოსახლარის ფენებიდან მომდინარე მასალებში. საირხის ნამოსახლარი, სადაც ჯერჯერობით ძირითადად ორი ფენაა დადასტურებული, შეიცავს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სამეთუნეო ნაწარმს. პირველი ფენისათვის დამახასიათებელ შავი ან რუხი ფერის ორნამენტით შემკულ ჭურჭელს ცვლის თეთრი, მოწითალო ან ზაფრანისფერი სადა ჭურჭლები, რომლებიც არქიტექტონიკითაც საკმაოდ განსხვავდება წინამორბედი კერამიკისაგან. ჩვენთვის მთავარი მაინც ის არის, რომ ელინისტური ხანის სამარხებში აღმოჩე-

1 М. М. Ивашенко, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5; იხ. აგრეთვე Г. А. Ломташадзе, Археологические раскопки в Мухета, Тб., 1955, стр. 58; ა. აფაქიძე, მცხეთა ჭარხლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 40.

2 Г. И. Ионе, Мингечаурские кувшинные погребения с оружием, КСИИМК, вып. 60, 1955 г., стр. 80-81. იხ. აგრეთვე С. М. Козиев, Археологические раскопки в Мингечауре, ИКА, I, стр. 7.

3 ვ. თოლორაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 161.

4 ა. აფაქიძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970 წ., გვ. 691.

5 Г. А. Меликишивили, К истории древней Грузии, стр. 290.

6 თ. მიქელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 182.

ნილი კერამიკა, რომელიც შედარებით კარგად თარიღდება სხვა არქეოლოგიური მასალით, დამახასიათებელია საირხის მეორე ფენისათვის და გავრცელებული ჩანს უზარმაზარ ტერიტორიაზე. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ საირხე, როგორც დიდი დასახლებული პუნქტი, არსებობას განაგრძობს ელინისტურ ხანაშიც.

საირხე — ანტიკური ხანის ნაქალაქარი

საირხეში შემთხვევით აღმოჩენილი და გათხრებით მოპოვებული მასალების განხილვის შემდეგ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, გავიხსენოთ ლეგენდა-გადმოცემა, რომელიც თითქოს სსოვნას ინახავს აქ არსებული დიდი დასახლების შესახებ. შუკაკიძეების, დვალეებისა და ენუქიძეების უბნებში მამა-პაპათაგან აქვე გაგონილი და გადმოცემით იციან, რომ „ორგორები“, „სკობეთის“ გორა, „საბადურის“ გორა, „ბოსტანა“ გორა, „მარნიგორა“ და მათი მიმდებარე ტერიტორია ისე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რომ „თხა ქორეთის კლდიდან რომ გადმობტებოდა, ყვირილის ნაპირს ისე მიაღწევდა, სახურავებიდან არ ჩამოვიდოდაო“. გადმოცემა გულისხმობს დასახლების საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომლის ფართობი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ სამ კილომეტრზეა გადაჭიმული. ანაკრთფი მასალები მიუთითებენ, რომ მოცემული ადგილები დასახლებული ჩანს უძველესი ხანიდან. დასავლეთიდან აღმოსავლეთით, როგორც ამის შესახებ არქეოლოგიური მონაბოვრების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ძველის გავრცელების საზღვრები 700—900 მეტრის ფარგლებში მერყეობს.

საირხე რომ შორეულ წარსულში ქალაქის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა, ამაზე შესაძლოა მიუთითებდეს აგრეთვე საბადურის გორის სამხრეთით მდებარე პატარა ტბების სახელწოდება, რომელსაც ზოგიერთი უბნის მცხოვრებნი „ნაქალაქის“ ტბას უწოდებენ, ხოლო ზოგიერთ უბანში ძალზე დამახინჯებული და გაურკვეველი ფორმით — „ნაზდალაქის“ ტბების სახელითაც იხსენიებენ.

საირხეში უძველესი მოსახლეობის წარმოქმნისათვის იმთავითვე ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები არსებობდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ადრე-ბრინჯაოს ხანიდან, ე. წ. მტკვარ-არეზის კულტურის მატარებელი მიწათმოქმედი ტომების ძირითად საცხოვრისს, როგორც ამიერკავკასიაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც წარმოადგენდა გორები. საცხოვრებლად ბორცვის ამორჩევა, ერთი მხრივ გამოწვეული იყო თავდაცვითი მოთხოვნილებით, ხოლო მეორე მხრივ, მეურნეობრივი ფაქტორით¹. ამ უძველესი მიწათმოქმედი მელითონე ტომების კულტურა

¹ დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის დახვეწილი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიის გეოგრაფიული კრებული, გვ. 188.

კარგადაა ცნობილი საჩხერის რაიონის გორა-სამარხებიდან¹. 1955 წელს პ.ოფ.ოთარ ჯაფარიძემ საირხეში, „სკომეთის“ გორის ჩრდილოეთით, მისგან ოცობდენ მეტრის მოშორებით ადგილ კარასტინში* გაჭრილ სადაზვერო თხრილებში აღმოაჩინა ადრებრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნიმუშები. კარასტინში შემთხვევით აღმოჩენილი ამ ხანის სამეთუნეო ნაწარმი ინახება აგრეთვე ქორეთის სასკოლო მუზეუმში.

ამჟამად სკომლიეთის გორის ზედაპირი გადარეცხილია და აღარ შეუძლებს კულტურულ ფენებს, მაგრამ მის მახლობლად დადასტურებული ადრეული სამიწაობიდან მდო კულტურის ნაშთები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მეწყერული მიწაზე უფრო მეტად ბორცვის ნაწილი ძირს არის ჩამოქცეული და, როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ მისანე ათასწლეულში წარმოადგენდა სამოსახლო ბორცვს.

საირხის ნამოსახლარის ტერიტორიაზე, არც გორებზე და არც მის გარშემო, დამოწმებული არაა შეუპოვებელი ხანის მატერიალური კულტურის ნაშთები. ეს მოვლენა კანონზომიერია ამიერკავკასიის უძველესი ნამოსახლარებისათვის, სადაც ადრებრინჯაოს ხანის მომდევნო ქრონოლოგიურ პერიოდში უძველეს შემთხვევაში გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ფენებია დადასტურებული². ესაა სრულიად აშკარა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ხდება სამოსახლო გორების „ხელახალი“ ინტენსიური ათვისება. საირხის ნამოსახლარი გორების ისტორიაში ეს მომენტი თვალნათლივ შეინიშნება. აქ მოპოვებული მასალების სიმცირის გამო ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რომელ საუკუნეში ხდება „მეორედ“ აქ მოსახლეობის გაჩენა. ერთი კი ცხადია, რომ ვენაპიძისა და სახადურის ბორცვის ფენები, როგორც ზემოთ იყო ნაწვევები, შეიცავენ წინარეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ნაშთებს.

გვიანბრინჯაოსა და ადრეურკინის ხანაში ძველი ნამოსახლარების ათვისებას მკვლევართა ერთი ჯგუფი მეურნეობის განვითარებას უკავშირებს და მიწათმოქმედების მძლავრი აღორძინებით ხსნის. მათი აზრით, ამ პერიოდში ხდება წონისა და ბარის საბოლოოდ დაწინაურება³. თ. მიქელაძის აზრით, ყვირილის ხეობის სამოსახლო გორების ათვისება კი გვიანბრინჯაოს გვიან საფეხურზე უნდა ნომხდარიყო კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ⁴. ახლა ძნელია სა-

1 ო. თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლოთინის წარმოებას ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961 წ., გვ. 122; იხილეთ აგრეთვე Б. А. Кухтин, Археологическая миссия в Грузии, 1945 г., გვ. 14-32.

* ამჟამად ეს ადგილები სოფ. ქორეთის საკოლხეურნო კანკის უბრავეს.

2 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, კ. ცქიტიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 192.

3 ი ქ ე ვ ა.

4 თ. მიქელაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 183.

დადსტურებულია ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი¹. ამავე სოფელში უდორძის ეკლესიის შემოგარენში აღმოჩენილია ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმი (პირმოყრილი ჯამებისა და ყურმილიანი დოქების ფრაგმენტები), რაც იქ უძველესი ნამოსახლარის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს².

სოფელ ითბვისში გათხრების შედეგად შესწავლილია გვიანბრინჯაოსა და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი³ და ადრეანტიკური ხანის მდიდრული სამარხები⁴. სოფელ ნავარძეთში მიკვლეულია რკინის მადნის გამონამუშევრები და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარები⁵, სოფ. ბაჯითში ელინისტური ხანის კერამიკა და რკინის ნაჯახი⁶, სოფ. დუნთაში და ადგილ ჟალიეთში გვიანბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს ზოდები⁷, სოფ. ბუინვეში წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი⁸, სოფელ გორაპირში წინარეანტიკური ხანის სამარხები, ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი⁹; დაბასახხერის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები და ამავე ეპოქის განძები სოფ. დურევიდან და სოფელ პერევიდან¹⁰, სოფელ არგვეთში ანტიკური ხანის ნამოსახლარი¹¹ და ა. შ. ყვირილის ზემოწელის არქეოლოგიური პუნქტების ეს არასრული ჩამოთვლაც კი ნათლად მეტყველებს, რომ ისინი გვიანბრინჯაოს ხანიდან ინტენსიურადაა დასახლებული. სასაქონლო ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე, როგორც ამას ითხვისის, საირხისა და მოდინახეს არქეოლოგიური ძეგლები გვიდასტურებენ, ეს მხარე კიდევ უფრო დაწინაურებული ჩანს ადრეანტიკურ ხანაში.

ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში კოლხეთის ტერიტორიაზე ყალიბდება

¹ დ. ქორიძე, მატრიალური კულტურის ექველესი ძეგლები (სახერის რაიონი), გვ. 80—84.

² აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი.

³ რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, ისტ. ინსტ. სამეცნიერო ხესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963 წ.

⁴ ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, აკად. ს. ჭანაშვიას საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოაზვე, ტ. XXV, 1966 წ., გვ. 31.

⁵ ცნობა მოგვაწოდა არქეოლოგმა რ. აბრამიშვილმა.

⁶ Б. А. Куфтин, Археологическая Маршрутная экспедиция, стр. 67.

⁷ საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდი.

⁸ Б. А. Куфтин, დასახლებული ნაშრომი, გვ. 66-67.

⁹ აკად. ს. ჭანაშვიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი.

¹⁰ დ. ქორიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 37, იხ. აგრეთვე დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965 წ. გვ. 137.

¹¹ რ. აბრამიშვილი, დასახლებული ნაშრომი.

საქალაქო ტიპის მსხვილი სამოსასალოები, რომლებიც ადრეანტიკურ ხანაში ირგვლივმდებარე ტერიტორიის (ქვეყნის) ცენტრებად იქცევიან¹.

საირხეში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სოფელი კოლხეთის სასელმწიფოს ძლიერების ხანაში წარმოადგენდა საჩხერის ქვეყნის ცენტრს. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ბორცვზე დადასტურებული წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენები და შემდეგ ეპოქაში გორებს შორის მდებარე ვაკეებზე წარმოქმნილი ქვის კეცებით შემოსულადული ქალაქური ტიპის დასახლება*, რომელიც ცალკეული საწარმოო კერებით ხასიათდება. საირხეში, ადგილ სახოველში, სახელოსნოს ნაშთები, აგრეთვე ვეშაბიძეების გორაზე აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტები და რკინის ნიღაბი მოწმობენ ადრეანტიკურ — ელინისტურ ხანაში აქ ფერადი და შავი მეტალურგიის რამდენიმე საწარმოო უბნის არსებობას.

სახოველის სახელოსნოს ნაგებობის ნაშთები სრულიად აშკარად მიუთითებენ, რომ იგი იმთავითვე განკუთვნილი იყო წარმოების სხვადასხვა პროცესისათვის.

მოიცავდა თუ არა ეს საწარმო მეტალურგიული პროცესის მთელ ციკლს, ამის თქმა ჯერჯერობით ჭირს, მაგრამ სახოველში მოპოვებული ტიგელები და ამავე ტიგელებში დაყალიბებული ბრინჯაოს ზოდები აშკარად მეტყველებს, რომ აქვე საბეზნელია ლითონსადნობი ქურები. ის, რაც სადღეისოდ ჩვენ ხელთა გვაქვს, უწყველად გულისხმობს ფერადი ლითონის მეორად დამუშავებას მანც**.

მადნები, რომელთა რესურსებზე იყო დაფუძნებული ეს წარმოება და საერთოდ ამ კუთხის უძველესი მეტალურგია, ცნობილი არ არის.

ყვირილისა და ძირულის ხეობებში ჯერ კიდევ მიუცვლეველია სპილენძის გამონამუშევრები და აქ არც კალის არსებობას ვარაუდობენ, თუმცა უკანასკნელი ხანის გეოლოგიურმა გამოკვლევებმა ძირულის კრისტალურ მასივებში დაადასტურა კალის საბადოები². სპილენძის უახლოესი საბადოები, საიდანაც შეეძლოთ

¹ ო. თ. ლ. ო. თ. ქ. ო. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 39, იხ. აგრეთვე ლ. ხახუტაიშვილი, ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1960 წ., გვ. 194.

* საირხეში გორებს შორის მოქცეულ ვაკეზე ალაგ-ალაგ შემორჩენილია მშრალად წყობილი ქვის ორპირი კედლები (ცოროებია), რომლებიც შესაძლოა უძველესი ზღუდეების ნაშთებია იყოს.

** საირხეში კოვკლავილების გორის დასავლეთ ფერდობის ანაკრფი მასალები შეიცავს როგორც ბრინჯაოს, ასევე რკინის წილებს.

² Н. Г. Харашвили, Оловни, Природные ресурсы Гр. ССР. т. I, Москва, 1958 г., стр. 165—167. იხ. აგრეთვე ო. ლამბაშიძე, მდ. რიონის შუაწლის გეანბრინჯაოს ხანის კულტურა, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, 1963 წ. გვ. 38.

ესარგებლათ ყვირილის ხეობის მეღითონეებს, აღმოჩენილია რაჭაში¹. მაგრამ ასე დაშორებული პუნქტიდან მადნის გადმოკანა, მაინც საეჭვოა და, ვფიქრობთ, სპილენძის გამოსავლები საქებნელია რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ჩიხურისა, ლებურისა და ყვირილის სათავეებში, სადაც ზოდების სახით წინა-რეანტიკური ხანის დიდი წონის ბრინჯაოს განძებია აღმოჩენილი. ეს აღმოჩენები-მეტყველებენ, რომ ყვირილის ზეწოწელზე უძველესი ხანიდანვე არსებობდა ცალკეული მეტალურგიული კერები, რომელთა კონცენტრაციას მკვლევარები უკვე პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ვარაუდობენ დაბური ტიპის დიდ დასახლებებში². საჩხერის „ქვეყნის“ ერთ-ერთ ასეთ დასახლებას საირსე წარმოადგენს. ადრეანტიკური ხანიდან სხვადასხვა უბანზე აქ უკვე მოქმედებს რაღვენიმე ლითონსაწარმოო სახელოსნო, რომელთა წარმადობა გაპირობებული უნდა ყოფილიყო რამდენიმე ათეული და შესაძლოა ასეული მუშა-მეღითონის დასაქმებით. დაბური ტიპის თუნდაც დიდი დასახლებების მცხოვრებთათვის, ცნადა, საჭირო არ იქნებოდა ამ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია. მანასადაც, მის დიდ ნაწილს, ჩანს, სასაქონლო ხასიათი ჰქონდა და საირსე, როგორც წარმოების ცენტრი, „ქვეყანას“ ამარაგებდა ლითონის ნაწარმით.

საირსეში მიკვლეული ტაძრის ფრაგმენტების ჩვენს მიერ შემოთავაზებული თარიღი მიახლოებით თუ მაინცაა ზუსტი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ მონუმენტური არქიტექტურის ყველაზე უძველეს ნიმუშებს მათ შორის, რომლებიც კი სადღეისოდ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ამდენად, ლომინაურას ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვს არაშარტო საირსის ისტორიისათვის, არამედ ანტიკური ხანის ქართული ორდერული არქიტექტურისა და რელიგიის განვითარების ისტორიისათვის. უკანასკნელ ხანს საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი საკულტო ნაგებობანი, რომლებიც ძველ ცივილიზებულ სამყაროში არაებული ტექნიკისა და ორდერული არქიტექტურის წესების გათვალისწინებითაა ნაგები, მიუთითებენ, რომ კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოებრიობანი იცნობდნენ სატაძრო ორგანიზაციების რთულ ტიპებს.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა შესწავლამ პროფ. ოთ. ლორთქიფანიძეს საშუალება მისცა ემსჯელა არა მარტო ანტიკურ-ელენისტური ხანის ქალაქებთან არსებულ ცალკეულ სატაძრო წარმონაქმნებზე, არამედ დიდ სატაძრო ცენტრზე, სატაძრო ქალაქზე, რომელიც არ წააგავს „ნამდვილ“ „საერო ქალაქს“. მკვლევარს ვანი წარმოადგენილი აქვს იმავე რიგის ქალაქად, როგორიც იყო ძველ

¹ Г. Тогоидзе, Предварительный отчет о работе оштарской Г.р. партии. 19332 ს.კ. გეოლოგიური სამართველოს ფონდი.

² დ. ხახუტაიშვილი, ქალაქები და საქალქო ცხოვრება ანტიკური ხანის ქართლში (იბერია), ს.კ. ისტ. ნარკვევები, თბილისი, 1971 წ., გვ. 622.

ევგვიტეში კარნაკი, ხოლო არქაული და კლასიკური ხანის საბერძნეთში ოლიმპია, დელფო, დელოსი, დედონა, აგრეთვე ელინისტური ხანის დიდი სატაძრო გაერთიანებანი: პონტოს კომანა და ზელა, ზევსის და აპოლონის ტაძრები პენინუნტში, ოლიბის სატაძრო სახელმწიფო კილიკიაში, ანიტას ტაძარი არმენიაში და ა. შ. ¹.

ცნობილია, რომ ეს ტაძრები მართო საკულტო რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ იყვნენ მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ მიწებს და აურაცხელ სიმდიდრეს ².

მართალია, ვანის ნაქალაქარის საკულტო ძეგლები ძირითადად ელინისტური ხანისაა, მაგრამ აქ აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ბრწყინვალე კულტურა სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ აღნიშნულ ხანაში ვანი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრს წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ იგი იმთავითვე გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებაში. როგორც ჩანს, კოლხეთის სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა მეტ-ნაკლებად განვითარებული ასეთი ცენტრები. ერთ-ერთი მათგანი საირხე უნდა იყოს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, საირხეს სატაძრო ქალაქად არ მივიჩნევთ, მაგრამ ანტიკური ხანის დიდ დასახლებაში ისეთი მდიდრული და დახვეწილი გემოვნებით შესრულებული არქიტექტურული დეტალების და საკულტო საგნების აღმოჩენა, როგორიც ლომინაურის ძეგლებია, შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ხანაში საირხეში არსებობდა საკმაოდ ძლიერი სატაძრო ორგანიზაცია. სადღეისოდ ცნობილია, რომ მცირე აზიაში და სომხეთში არსებობდა ტაძრის საშიტიპი: თეოკრატიული, საქალაქო და სახელმწიფო ანუ სამეფო ტაძარი ³.

ეს სატაძრო ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სოციალურ-ეკონომიური წყობითა და პოლიტიკური სტრუქტურით ⁴. ყველაზე უმნიშვნელოვანესი მათგან თეოკრატიული ტაძარი იყო, რომელიც უძველეს სასოფლო თემში ჩაისახა და რომლისგანაც შემდეგში განვითარდა რთული სატაძრო ორგანიზაციები.

თეოკრატიული ტაძრის სტრუქტურა ყველაზე კარგად საქართველოს ეთნოგრაფიამ შემოინახა ხევსურული თემების სახით ⁵. სათემო ტაძარმა არ იცოდა მი-

¹ ო. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე., „ვანის ქალაქი“, „ცისკარი“, 1968 წ., № 7, გვ. 136.

² ო. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე., ვანი I, 1972 წ., გვ. 25.

³ А. Г. Периханиян, Храмовое объединение Малой Азии и Армении, 1959 г., стр. 5.

⁴ ო. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე., „ვანის ქალაქი“, „ცისკარი“, № 7, 1968 წ., გვ. 136.

⁵ ვ. ბ. ა. რ. დ. ა. ე. ლ. ი. ძ. ე., ხევსურული თემი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XIII, № 8-10. იბილეთ აგრეთვე, В. Бардавелидзе, Земляные владения грузинских святынищ, Советская этнография, 1944 г., № 1.

წის კერძო საკუთრება, ისე როგორც უძველესი ბერძნული თემები არ იცნობდა ორდერულ არქიტექტურას. ღმერთების ადგილსამყოფელად მიჩნეული იყო ხეობები და ბორცვები¹, სადაც იმართებოდა რელიგიური რიტუალები და ღვთაებები-სადმი მსხვერპლის შეწირვა. მთიანეთისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, საქართველოს ბარში უკვე ადრეანტიკური ხანიდან ყალიბდებიან სატაძრო ორგანიზაციები, რომელთა უპირველესი ნიშანი იყო ამა თუ იმ ღმერთის სახელზე აგებული საკულტო ნაგებობების ტაძარი. საქართველოში ასეთი ტაძრების არსებობას გვიდასტურებენ ბერძნული წყაროები. სტრაბონი თავის გეოგრაფიაში წერს: „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთიას სამლოცველო ფრიქსე მიერ აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ წირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ჩვენ დროს ფარნაკეს, ხოლო ცოტა მოგვიანებით მითრდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“².

ბერძენ გეოგრაფს ლაპარაკი აქვს აგრეთვე მთვარის ტაძარზე, რომელიც იბერია-ალბანეთის საზღვარზე იდგა. სტრაბონის ცნობა მოსხების ქვეყანაში არსებული ტაძრის შესახებ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი აგებულია ფრიქსეს მიერ. ბერძნული მითების მიხედვით ფრიქსე პირველი კოლონისტია, რომელიც კოლხიდაში მოვიდა. მამასადამე, სამლოცველო დაარსებული ყოფილა ადრეულ ხანაში. ეს ვითარება სტრაბონის ცნობაში საგანგებოდაა აღნიშნული და ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უკვე ადრეანტიკური ხანიდან მაინც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ზუროთ-მოძღვრული წესით აგებული საკულტო ნაგებობანი. ასეთი ნაგებობის ნაშთებად შეიძლება მივიჩნიოთ საირხის ძეგლები, რომლებიც სტილისტური ნიშნების მიხედვითაც შედარებით არქაულად გამოიყურებიან. საგანგებო ლიტერატურაში დამტკიცებულია, რომ ელინისტურ ხანაში ქართული ტაძრები ბერძნულია და მცირე აზიური სამლოცველოების მსგავსად საკმაოდ დიდ სიმდიდრეს ფლობენ³.

ბერძენი გეოგრაფის ცნობა ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ლევკოთეას მდიდარ სამლოცველოს ერთ საუკუნეში ორი დამპყრობელი ძარცვავს. სატაძრო ორგანიზაციის უზუნაესი ხელისუფალი, როგორც ეს სტრაბონის ცნობიდან ჩანს, მეფის შემდეგ პირველი პირია და „განაგებს ვრცელსა და კარგად დასახლებულ საღვთო მამულს“⁴. ამ მხრივ შესაძლებელია ნიშანდობლივი იყოს ის გარემოება, რომ საირხეში საგულეებელი ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ადრეან-

1 Ф. Ф. Велншска, Быт греков и римлян, 1878 г., стр. 1.

2 თ. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957 წ. გვ. 124.

3 იქვე, გვ. 151.

4 იქვე.

ტიკური ხანიდან საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული, დღესაც განთქმულია ყველაზე ნოყიერი და უზემოსავლიანი მიწებით. მხოლოდ გარკვეული სიმდიდრის მფლობელ ცენტრალიზებულ ორგანიზაციას შეეძლო ეწარმოებინა ისეთი დიდი მანქანების სამუშაოები, რომელსაც ითვალისწინებს საირხის ტაძრის მშენებლობა. ზემოთ უკვე აღნიშნული გეჰონდა, რომ საკულტო საგნები და ტაძრის ფრაგმენტები გაკეთებულია მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან, რომლის საბადოები საირხიდან დიდი მანძილითაა დაშორებული. ქვის სამტეხლოებში სამშენებლო მასალის მოპოვება და მისი ტრანსპორტირება და კონსტრუქციული ნაგებობისთვის ცალკეული არქიტექტურული ფრაგმენტების მხატვრული დამუშავება, რა თქმა უნდა, გულისხმობს შრომის გარკვეულ ორგანიზაციას და მიუთითებს კვალიფიციურ ხელოსანთა და მხატვარ-ხუროთმოძღვართა წრის არსებობაზე. როგორც აღნიშნული გეჰონდა, ლომინაურის არქეოლოგიური ძეგლი, სადაც აღმოჩნდა საკულტო საგნები და არქიტექტურული ფრაგმენტები, ორფენოვანია. პირველი ფენა შეიცავს ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმს, ხოლო მეორე ფენა ელინისტური ხანის კერამიკის ფრაგმენტებს. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საირხის ტაძარი აღმართული იყო ადრეანტიკურ ხანაში და იგი არსებობას განაგრძობდა მომდევნო ეპოქაშიც. აკად. ს. ჯანაშია, ეყრდნობა რა სტრაბონის ცნობებს იბერიაში არსებული ტაძრებისა და სატაძრო ორგანიზაციების შესახებ, დასძენდა, რომ ეს ორგანიზაციები ძველსა და ძლიერ ტრადიციებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული¹. საირხის ძეგლი ასეთ მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს და საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უკვე ადრეანტიკური ხანიდან ამ სოფელში არსებობდა საკულტო ცენტრი, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდა დიდ დასახლებასთან არსებულ საქალაქო ტაძრის ტიპს.

საირხული მასალები საშუალებას არ იძლევა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე, როგორც სავაჭრო ცენტრზე, მაგრამ ლომინაურში მოპოვებული ბერძნული და აღმოსავლური კერამიკის მცირე ფრაგმენტები გარკვეულად ადასტურებენ ამ დასახლების კავშირს გარე სამყაროსთან. აქ მოპოვებული უცხოური ნაწარმის შესწავლა ცხადყოფს კოლხეთის გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობას ადრეანტიკური ხანის, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან². ამ ურთიერთობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული და განსაკუთრებულ ინტენსიურ ხასიათს ატარებს ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან, რაც დადასტურებულია შავიზღვისპირა ზოლში აღმოჩენილი მასალების შესწავ-

¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 152.

² ო. თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966 წ., გვ. 91.

ლით¹. ადრეულ ხანაში კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურ როლს იონური სავაჭრო სახელოსნო ცენტრები ასრულებდნენ². ხოლო ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის შუახანებიდან საბერძნეთთან სავაჭრო ურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებს და ამ ურთიერთობაში გაბატონებული მდგომარეობა ათენს უკავია³. უცხოური საქონელი განსაკუთრებით ინტენსიურად იკაფავს გზას ქვეყნის სიღრმეში — რიონ-ყვირილის მაგისტრალზე. ანტიკური კერამიკა აღმოჩენილია ვანში⁴, დაბლაგომში, ჯოგნარში, ითხვისში⁵, მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე⁶ და საირხეში. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ 1969 წელს საჩხერიდან თბილისისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, კორბოულის გადასასვლელზე, სოფელ გორაძირის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მცირე გორის სამხრეთ ფერდობზე, დენსადენის ანძისათვის ამოთხრილ ორბოში ჩვენს მიერ აკრეფილ ანტიკური ხანის მასალებში აღმოჩნდა ბერძნული კერამიკის მცირე ფრაგმენტი. ამ ნატების მიხედვით არ ხერხდება წარმოდგენა შევიქმნათ ჭურჭლის არქიტექტონიკაზე, მაგრამ შავი ფერის მშინვარე ლაკი განასხვავებს მას ელინისტური ხანის ბერძნული კერამიკისაგან და ადრეანტიკური ხანის ატიკურ სახელოსნოებზე მიუთითებს. გორაძირზე ბერძნული სამეთუნეო ნაწარმის მოპოვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ეს სოფელი სადღეისოდ კოლხეთის უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს წარმოადგენს, სადაც უცხოური მასალა დადასტურებული. ისე როგორც ბერძნული იმპორტის აღმოჩენის დანარჩენი პუნქტები (ითხვისი, მოდინახე, საირხე), გორაძირიც მდებარეობს იმ საგზაო მაგისტრალის გასწვრივ, რომლითაც დასავლეთ საქართველო უკავშირდებოდა შიდა ქართლს.

უკანასკნელი ხანის აღმოჩენების მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, ეს გზა მოქმედი უნდა ყოფილიყო ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მაინც⁷ და წარმო-

1 ა. კ ა ხ ა ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის; იხილეთ აგრეთვე, ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის ძეგლები; 2. იზნაქე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, ტ. II, თბ., 1962 წ.

2 ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 69.

3 იქვე, გვ. 80.

4 ვანი I არქეოლოგიური გათხრები, სურ. 113. იხილეთ აგრეთვე H. B. Хоштария. Арх. исследования в Ване и Ванском р-оне, 1952 г., ტაბ. XVIII.

5 ო. გ ა გ ო შ ი ძ ე, ითხვისის სამარხი, ქანაშის სახ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV, 1966 წ., გვ. 38—39.

6 ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

7 ო. გ ა გ ო შ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45; იხ. აგრეთვე, ჟ. ნალირაძე. ეურნალი „ცისკარი“, 1958 წ., № 2.

ადგენდა ტრანსკავკასიის საგზაო მაგისტრალის იმ მონაკვეთს, რომლის საშუალებითაც უძველესი ხანიდან უკავშირდებოდა ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნები. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მარტო არქეოლოგიური მასალები, არამედ ძველ ბერძენთა წერილობითი წყაროებიც. კერძოდ, სტრაბონის ცნობა კოლხეთიდან იბერიაში შემავალ გზას ყვირილის ხეობაზე უნდა გულიანხმობდეს. ცნობილია, რომ სანაოსნო ტრასა, რომელიც საბერძენეთის ნავთსაყუდლებში იწყებოდა და მოემართებოდა შავი ზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ, ფაზისზე აღმა ცურვის შემდეგ წყდებოდა ზესტაფონ-შორაპნის მიდამოებში¹. იბერიაში შემავალი ოთხი გზიდან სტრაბონი აღწერს ერთს, რომელიც გადის „კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომელზედაც ფაზისი მომდინარეობს..... ფაზისზე 120 ხილით გადაისვლება — მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო“².

ბერძენი მწერლები გულისხმობდნენ მდ. რიონს — ყვირილით. ამაზე ნათლად მიუთითებს სტრაბონი, რომელიც ფაზისის ხეობაში გამავალი გზის აღწერის შემდეგ იქვე დასძენს, რომ მდინარე წარმოიქმნება „ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ლებულობს ჰხვა მდინარეებს, რომელთა შორის არი გლავკოსი და ჰიპოსი. გაესილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში“³. ამ ცნობიდან თითქოს აშკარად ჩანს, რომ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზა ნაგულისხმევია ისევე ფაზისის ხეობაში, მაშასადამე, მდ. ყვირილის გასწვრივ. დაზუსტებას მოითხოვს სტრაბონის ცნობა ხეობაში არსებული 120 ხიდის შესახებ. მწელი დასაჯერებელია სამოცი კილომეტრის მანძილზე, რაც არ უნდა მიხვეულ-მოხვეული ყოფილიყო მდინარე, მასზე 120 ხიდი აუშენებინათ. უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ცნობაში ნაგულისხმევია ბოგირები და მცირე ხიდები, აშენებული ხრამებზე და პატარა მდინარეებზე, რომელნიც მართლაც ასეულობით ერთვიან ორივე მხრიდან მდინარე ყვირილას.

სტრაბონი თვითონაც აღნიშნავს, რომ „ეს ადგილები დახრამულია მრავალი ნაკადულებით“⁴.

სტრაბონის გეოგრაფიაში კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ცნობაა დაცული, რაც ყვირილის ხეობაში გამავალი სავაჭრო გზის დამადასტურებელ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ.

იგი საგანგებოდ მიუთითებს გზის გასწვრივ აღმართულ მაღალ კლდეებზე

1 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია.

2 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957 წ., გვ. 128.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 108.

(ასეთია კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი, დახშული კლდეებით) ¹. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და, კერძოდ, იმ მონაკვეთზე, სადაც კოლხეთიდან იბერიაში შემავალი გზაა ნაგულისხმევი, ხეობები არსად არაა „დახშული“ ისეთი მაღალი კლდეებით, როგორც ჭიათურა-საჩხერის მონაკვეთზე ვხვდებით. აქ 145 კმ-ის მანძილზე ვიწრო ხეობას ორსავე მხრიდან თავს დაჰყურებს 200—300 მეტრის სიმაღლის შვეული კლდეები, რომლებიც მთავრდება სოფელ კალვათასთან. აქედან იწყება შედარებით ვრცელი და მკვიდროდ დასახლებული „საჩხერის ქვეყანა“. როგორც მთლიანად ისტორიული არგვეთის ტერიტორია, ეს მხარეც ელინისტური ხანიდან იბერიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს ². ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ³ იბერიის დასავლეთი სასაზღვრო ხაზი ინაცვლებს შორაპნის ციხის აღმოსავლეთით. ციხე, რომელიც ფარნავაზმა აღაშენა და, მამასადამე, ძვ. წ. III საუკუნეში ქართლის სამეფოს საზღვრებშია, ძვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, როგორც ეს სტრაბონის ცნობებიდან ჩანს, კოლხეთის კუთვნილებაა ⁴. მამასადამე, პირველ საუკუნეში ისტორიული არგვეთის მხოლოდ ნაწილი შედის ქართლის სამფლობელოში. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კლდეებს შორის დახშული გზა შედიოდა იბერიის იმ ნაწილში, რომელიც პერანგა — ლიხის მთის დასავლეთ კალთებზე მდებარეობდა. საირხე-კორბოულზე გავლის შემდეგ გზა გადაჰყვებოდა მთას, რომელიც „გარს ერტყმის შუა იბერიას“. აქედან მდ. ჭერათხევის ხეობას მიჰყვებოდა მტკვრის სა-ნაპიროსაკენ, გაივლიდა ანტიკური ხანის იბერიის ქალაქებს ⁵ და მიემართებოდა აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში. გ. წერეთელს პონტოდან ბაქტრიაში მიმავალი გზა ყვირილის ხეობის გასწვრივ ეგულებოდა. მან აქ იმოგზაურა გასულ საუკუნეში და 1898 წელს თავის ერთ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ყვირილის ხეობაში ზოგზაურობისას ადამიანი დარწმუნდება სტრაბონის აღწერის გასაოცარ სიმართლეში. შორაპნიდან საჩხერემდის და შეჯდეგაც დღემდისაა შემორჩენილი ქვის ხიდების ბურჯები ასი კილომეტრის მანძილზე ⁶. ასევე აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილსაც ანტიკურ ხანაში სატრანზიტო გზა ყვირილის ხეობაში ეგულებოდა. იგი შენიშნავდა, რომ უძველესი გზა, რომელიც რიონზე ასოც ხიდს საჭიროებდა, სა-

¹ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957 წ., გვ. 129.

² გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საეითხისათვის, საქ. ისტ. გეოგრაფიული კრებული № 2, 1964 წ., გვ. 80.

³ Г. М е л и к ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 304.

⁴ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 128; იხილეთ აგრეთვე გ. ცქიტიშვილი, დასახლებული ნაშრომი.

⁵ ლ. კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964 წ., გვ. 147.

⁶ სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 121.

შუალო საუკუნეებში მივიწყებულა, ან უკეთ ვაჭრობისა და ტრანსპორტის სახის შეცვლის გამო ის გზა ყვირილის მოშორებით, მდინარის გაღმა-გამოღმა სოფლებზე გაუშართავთ.

მკვლევარს მხედველობაში აქვს ე. წ. „ულევისა“ და „დიდწიფელას“ გზები, „დიდწიფელას“ გზა მიემართებოდა მდ. ყვირილის მარჯვნივ მდებარე ზეგანზე, გაივლიდა ბოსლევს, კაცხს, ჭიათურას, საჩხერეს. აქ გზა სამ ტოტად იყოფოდა, ერთი მდინარე ჯრუჭულას ხეობიდან შქმერის გადასასვლელით გადიოდა რაჭაში და აქედან მამისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიაში, მეორე ჯალაბეთის გადასასვლელით შიდა ქართლის მთიანეთში, ხოლო მესამე საირხე-კორბოულიასა და ჯვარი-კორტოხის გადასასვლელით ჩადიოდა ქ. ალში. ულევის გზა იწყებოდა შორაპანში, მიემართებოდა ყვირილის მარცხნივ მდებარე ზეგანზე და სვერგეს-რულის გავლით სოფ. კორბოულთან უერთდებოდა შიდა ქართლში მიმავალ გზას.

აღნიშნული გზები, როგორც ამას ქართული წერილობითი წყაროები ადასტურებენ, ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძირითად დამაკავშირებელ ტრასას. ჩანს ამ გზას უკვე უძველესი ხანიდანვე უპირატესობა ენიჭებოდა ძნელად გადასალახავ ფონას უღელტეხილთან შედარებით, რომელიც მდ. ჩხერიმელას და ძირულას ხეობებით მიემართებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ტრანსკავკასიის უძველესი გზის მკვლევარები, რომლებიც უკვე ადრეანტიკური ხანიდან ვარაუდობენ კავკასიის ყელზე დიდი სავაჭრო მაგისტრალის არსებობას, უპირატესობას სურამის გადასასვლელს ანიჭებენ¹, მაგრამ სადღეისოდ წერილობით წყაროებთან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს არქეოლოგიურ მასალებს და ამ გზის მთავარ მონაკვეთად შორაპან-საჩხერე-ალი-გომის ტრასა უნდა მივიჩნიოთ.

ბუნებრივია, მისი არსებობა დიდ როლს ასრულებდა როგორც მთლიანად ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაში, ასევე ცალკეული პუნქტების აღმოცენება-განვითარებაში.

არქეოლოგიური მონაპოვრები საშუალებას გვაძლევს ერთ-ერთ ასეთ პუნქტად საირხე მივიჩნიოთ. იგი იდგა არა მარტო დიდ გზაზე, არამედ დიდ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალის გზაჯვარედინზე². საფიქრებელია, რომ უკვე ანტი-

¹ ი. თ. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მიმავალი ატრანსპორტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 3; იხილეთ აგრეთვე Г. К. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье, изд. Чехословацкой Академии Наук, Прага, 1957 წ. ი. Ямпольский, к изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Чёрному морю, ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956 წ.

² ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დასავლეთიდან მომავალი გზა საირხე-საჩხერის მიდამოებში სამ ტოტად იყოფოდა.

კურ-ელინისტური ხანიდანვე იყო ჩაბმული, როგორც საშინაო, ისე საგარეო სავაჭრო ურთიერთობის ფერხულში¹ და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლომინაურში ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული ტაძრის საკულტო საგნებს შორის გარკვეული ადგილი უჭირავს ხის კულტს. ამ მიმართებაში საინტერესოდ გამოიყურება თვით სოფლის სახელი საირხე*. აღნიშნული ტოპონიმის შედარებით არქაული ფორმა შემორჩენილია სოფლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩატანებულ საფლავის ქვაზე. აქ ამ სოფლის სახელი იკითხება როგორც სარიხე, რაც შესაძლოა ნაწარმოები იყოს საყე-სარყედან. ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ „დაშთეს ვითარცა საყე მთასა ჴედა და ვითარცა ნიშანი ქონებული ბორცვისა“². — საყე აქ სარის სვეტის მნიშვნელობითაა ნახმარი. შესაძლოა სარიხეც ამ სიტყვიდან იყოს ნაწარმოები. მეორე საუკუნის ბერძენ ავტორს კლავდიოს პტოლემეაოსს კოლხეთის ქალაქების ჩამოთვლისას დასახელებული აქვს სარაკე. ბერძენი მწერლის ეს ცნობა უფრო უძველეს ბერძნულ წყაროებზე უნდა იყოს დამყარებული და შესაძლოა, ისე როგორც სარაპანისში — შორაპანი და სევსამორაში — წიწამური, სარაკეშიც საირხე იგულისხმებოდეს.

¹ გვიანფეოდალურ ხანაში საჩხერე წარმოადგენდა რაქა-იმერეთისა და ლიხის შთის გაღალმა მცხოვრები ტომების სავაჭრო თავშესაყარს. ეს ტრადიცია უძველესი ჩანს. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კოლხურმა კულტურამ ჩრდილოეთ კავკასიაში რიონისა და ყვირილის ხეობების გზით შეაღწია.

* განსვენებული ნ. ლამბაშიძე კერძო საუბარში საირხეს ძელიტხოველთან აიგივებდა.

² დაბადება — ნაწ., II, თბილისი, 1884 წ., ესაია 3017.

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ КВИРИЛЬСКОГО УЩЕЛЬЯ

Введение

В работе рассмотрены археологические материалы, найденные в последние годы в результате раскопок в районах Сачхере и Чиатура. Эти районы составляют большую часть Аргвети, одной из важнейших территориально-административных единиц древней Грузии. Аргвети, восточная провинция исторической Колхиды, расположена в бассейне реки Квирила. Селения её разбросаны в предгорьях Большого Кавказа, на склонах Рачинского и Лихского хребтов. Лихский хребет, описанный еще Страбоном, представляет собой единственную линию, соединяющую Большой и Малый Кавказские хребты. Вытянутый с севера на юг, он служит естественной границей между Западной и Восточной Грузией. В северной части Лихского хребта берет начало река Квирила — левый приток главной реки Колхиды — Риони. Реку Квирилу древние греки отождествляли с Фазисом, принимая ее за верхнее течение р. Риони. Такое отождествление было обусловлено тем, что древний транзитный путь, соединявший еще в раннеантичную эпоху Элладу с Востоком, шел из Эвксинского Понта вверх по р. Риони и дальше по р. Квирила. Судходство обрывалось у древней Колхской крепости Шорапани. Далее дорога шла уже по суше, вдоль ущелья р. Квирила. Этот международный торговый путь способствовал, по-видимому, созданию Колхского государства и культурно-экономическому расцвету его отдельных областей. Хотя, надо отметить, что корни грузинской античной культуры уходили в глубину древних цивилизаций, которые создавались в Закавказье в течение веков племенами грузинского происхождения.

Еще в 1910 году академик Еквтиме Такаишвили производил раскопки в районе Сачхере, результаты которых отмечены в статье, помещенной в Вестнике Кавказского отделения московского археологического общества. Здесь было высказано предположение, что мате-

риалы, обнаруженные в Сачхере, относятся к бронзовой эпохе и предшествуют Кобанской культуре. Это весьма смелое для того времени и интересное предположение отчасти подтвердилось археологическими раскопками, проведенными позднее в районе Сачхере.

До начала второй мировой войны и после ее окончания академиком Б. Куфтиным были раскопаны и изучены курганные погребения в верховьях р. Квирила, в Сачхере и селении Корети, выявившие многочисленные памятники материальной культуры. Эти погребения датированы Б. Куфтиным второй половиной III тысячелетия до н. э.

Бронзовые предметы, обнаруженные в Сачхере, весьма схожи с бронзовым инвентарем второй половины III тысячелетия до н. э. из Ура и Акада, что даёт возможность говорить о культурных взаимосвязях древнейших цивилизаций Кавказа и Передней Азии.

Памятники обнаруженной в верховьях Квирилы древнеземледельческой культуры дают огромное количество металлических предметов и можно сказать, что в этом отношении они являются ведущими памятниками общекавказской т. н. Куро-Аракской культуры III тысячелетия до н. э., ареал распространения которой выходит далеко за пределы Кавказа.

Изучение найденных в Сачхере боевого оружия и хозяйственных орудий из металла дало возможность Б. Куфтину убедительно отвергнуть распространенные ранее в археологии предположения Шантра и Вирхова о том, что расцвет металлургии в Грузии и вообще в Закавказье якобы начинается только на рубеже II-I тысячелетий до н. э. и что здесь не существовало этапов развития металлургии, предшествовавших позднебронзовой эпохе. На основании глубокого научного анализа исследователь в своей работе доказал, что Сачхерская культура содержала архаические элементы и была связана с истоками местной металлургии. Верховья Квирилы совершенно справедливо признавались им, как один из древнейших во всем Закавказье очагов металлургии.

После Б. Куфтина изучение сачхерских памятников раннего периода продолжил проф. О. Джапаридзе. В отличие от Б. Куфтина, который довольствовался общей характеристикой памятников и рассмотрением отдельных ведущих типов вещей, О. Джапаридзе дает полное описание материалов, исследуя их взаимосвязи с археологическими памятниками раннего периода, обнаруженными на территории Грузии и за ее пределами. На основании сравнительного анализа О. Джапаридзе дает периодизацию могильников и относительно полную социальную и бытовую картину племен, заселявших верховья Квирилы на ранней ступени развития металлургии бронзы.

Как видно из вышесказанного, выявленная в Сачхере культура раннего периода с самого начала заняла достойное место в проблематике

археологии Закавказья, в связи с чем, этим археологическим памятникам уделяется определенное внимание в работах многих советских и зарубежных ученых (Б. Пиотровский, Т. Мартиросян, К. Шефер, Ч. Барней и др.)

Из исследованных Б. Куфтиным в районе Сачхере 9 археологических объектов, 5 отнесены к эпохам следующим за раннебронзовым периодом. Однако памятники позднейших периодов, в частности античной эпохи, долгое время никем не изучались. Случайно обнаруженным и хранящимся в музеях материалам посвятил свое исследование Д. Коридзе. Рассмотренные в его работе материалы явно указывали на наличие в верховьях Квирилы интересных памятников всех без исключения эпох. Для изучения истории Грузии античного периода большое значение имели археологические раскопки в районе Чиатура в селе Итхвиси, которые вел Государственный музей Грузии им. акад. С. Джанашиа в 1962-63 годах (руков. Р. Абрамишвили).

Экспедиция изучила культурные слои бронзовой и античной эпох и погребения раннеантичного периода, которые содержали предметы боевого и бытового назначения, ювелирные изделия, образцы местной и завезенной керамики.

Археолог Ю. Гагошидзе посвятил отдельную статью обнаруженному в Итхвиси погребальному комплексу и на основании найденной посуды точно определил их дату — вторая четверть V в. до н. э.

Кроме посуды, вышедшей из античных мастерских с греческими надписями, в Итхвиси было обнаружено несколько экземпляров расписной керамики, по-видимому, восточно-грузинского происхождения. Изучение этих материалов позволяет говорить о культурно-торговых связях населения в верховьях Квирилы с древним миром и, кроме того, дает возможность установить отдельные участки пути, посредством которого через Закавказье были связаны восточные и западные цивилизации.

Как видно из вышесказанного, ранние памятники в верховьях Квирилы изучены были лучше, чем более поздние.

С целью частичного восполнения этого упущения под руководством акад. Ш. Я. Амиранашвили здесь в течение пяти сезонов в 1966 — 1970 годах работала археологическая экспедиция. В районах Сачхере и Чиатура экспедицией было обнаружено свыше тридцати археологических объектов. Археологические раскопки велись здесь в основном — в селе Саирхе и на южных склонах крепости Модинахе.

Настоящая работа является попыткой научно обработать обнаруженный этими экспедициями материал.

Модинахе — крепость феодальной эпохи. Она расположена на крайнем южном ответвлении Кавказского хребта, на отрогах Рача-Имеретского хребта, над городом Сачхере. Крепость весьма значительных размеров, обновленная во второй половине восемнадцатого века (табл. 11), возведена на известняковом массиве. Со всех четырех сторон крепость защищена естественными отвесными скалами. С башен крепости видны восточные провинции Колхиды, а иногда в глубине синего неба сияют вершины Малого Кавказа, которые с юга отделяют Кавказ от плоскогорья Анатолии.

Склоны горы южнее крепости, амфитеатром спускающиеся к берегу Квирилы, были заселены издавна. Здесь видны следы деятельности человека начиная с раннебронзового периода до средневековья. Часть культурных слоев нарушена во время прокладки автомобильной дороги, а также из-за глубоких ям, которые выкопали здесь для посадки сосен. Памятник поврежден также ливневыми потоками, которые постоянно смывают покатый склон. В связи с чем культурные слои еще и весьма смешаны, что усложняет установление стратиграфии.

Несмотря на это, в некоторых местах все же удалось установить наличие различных хронологических слоев, выделяющихся в разрезе глинобитными прослойками, которые представляют собой полы жилищ. Таких уровней всего три. Культурные слои, помещенные между полами, содержат в основном остатки, характерные для одной хронологической эпохи. Общая мощность слоев, в некоторых случаях, достигает 4 метров.

Толщина первого, нижнего слоя колеблется в пределах 60-70 см, она желтоватого цвета и хорошо просматривается рядом с вышележащим слоем серого цвета. Нижний слой в основном характеризуется глиняными очагами, сырцовыми круглоплановыми сооружениями, базальтовыми ладьевидными зернотерками и фрагментами лепной глиняной посуды. Сосуды имеют черную или красноватую лощеную поверхность и розовую подкладку. Особое внимание привлекают полушаровидные ушки больших размеров, овальное отверстие которых вдавлено в стенку сосуда (табл. 11, 2). Гончарные изделия, обнаруженные в первом слое, украшены орнаментом из волнообразных и спиралевидных вдавленных линий. Судя по всем этим признакам керамика первого слоя относится к той группе южно-кавказской керамики, которая характерна для памятников раннебронзовой эпохи. То же можно сказать о ладьевидных зернотерках и о вставленном в пол очаге. Подобные материалы обнаружены на территории Восточной Грузии и Армении. Они на протяжении долгого времени продолжали существовать без изменений формы, поэтому основным материалом для датировки остатков жилища в Сачхере

ре является все-таки керамика. Керамика прекрасно соответствует гончарным изделиям раннебронзовой эпохи, обнаруженным в Урбниси, на Амيرانс-гора, Садахлийском Геонтепе и в районах других памятников. Особо схожи, а иногда почти идентичны они с сосудами, обнаруженными в погребениях курганного типа в Сачхере.

Сравнительный анализ дает возможность отнести обнаруженные в первом слое гончарные изделия, так же как и найденные Б. Куфтиным и О. Джапаридзе в Сачхере погребальные материалы, к так называемой, Куро-Аракской культуре, и датировать их второй половиной III тысячелетия до н. э.

Второй слой своим серым цветом хорошо отделяется от черновато-серого третьего слоя. Его толщина колеблется в пределах 2-2,5 м и содержит в большом количестве кости животных, каменные зернотерки, гончарные изделия, железные и бронзовые орудия. Керамика изготовлена на гончарном кругу из глины крупнозернистой структуры, с примесью слюды. Керамические изделия имеют серую подкладку и черную, темно-серую или розовую поверхность.

